საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
8 – 14 თებერვალი, 2012
№5 (143)

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
info@geworld.net

## შაშკინი და კუდ-ი პერევის სკოლის დირექტორს «ქართულ ოცნებაში» შესაგზავნად «ავერბოვკებდნენ»

9

## პლაცდარმი — ობამას; ტახტი — მიშას; სპარსეთის რისხვა — საქართველოს!

7




„თუ საქართველო ნებისმიერი ფორმით სამხედრო დახმარებას აღმოუჩენს ამერიკას, ირანი საქართველოს ამერიკის მოკავშირედ და მტრად განიხილავს, ირანის რეაქციაც, დიპლომატიურიც და სამხედროც, ადეკვატური იქნება“

## ერთხელ, გაფრენამდე...

3

## ვანო მერაბიშვილის ყოფილი თანაშემწე ხელს ადებს...

18

## მცოცავი დესუვერენიზაცია




4

კიდევ რა გნებავს, ძია სემ?



12

## «გალიაში ცოლისძმების ზიან»



6

ნინო ბურჯანაძე:

## საქართველომ ან საკუთარ ტერიტორიებზე უნდა თქვას უარი, ან ნატოში გაწევრიანებაზე



ემარ ბურჯანაძე:

## მეშინია!

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**მიმაჩნია, რომ „საქართველო და მსოფლიოს" მიერ წამოწყებულმა დისკუსიამ შედეგები გამოიღო. თუნდაც იმიტომ, რომ ათიოდე დღის წინ შალვა რამიშვილის „აკრედიტაციის გარეშე" ზუსტად იმ რეკომენდაციას ასახავდა, რომელიც წამოსვლამდე „ქართულ ოცნებაში" წერილობითი სახით დავტოვე.**

# ბიძინა ივანიშვილმა უნდა თქვას ერთი რამ: გიწვევთ ყველას სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ!



**თითქმის ერთი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში" ჩემი სტატია „რა ხდება ქართულ ოცნებაში" გამოქვეყნდა. შემდგომი ორი კვირის განმავლობაში ამ თემისადმი ინტერესი არ გამქრალა. ყველა საინფორმაციო საშუალება (სამთავრობოც და ოპოზიციურიც) გამოეხმაურა ჩემ წამოსვლას ივანიშვილის მოძრაობიდან. არც ისეთი გამოუცდელი ვარ (გნებავთ, ჟურნალისტიკაში, გნებავთ – პოლიტიკაში), რომ არ მცოდნოდა, — ამ ფაქტის გამოყენებას ყველა სათავისოდ ეცდებოდა. არც ის იყო ძნელი გასაკეთებელი, გავჩუმებულიყავი და „სხვისი ხელით ნარის გლეჯის" უპირატესობა არ მცოდნოდა, მაგრამ დგება მომენტი, როცა საკუთარ თავს ეკითხები: საკუთარი ინტერესი გიჯობს თუ საქვეყნო?**

კარგად მესმის, ბევრს ამაზე ისევე ჩაეღიმება, როგორც სიტყვა „სამშობლოს" ხსენებაზე, მაგრამ, როგორც ერთ დიდ რომანშია ნათქვამი, „აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს". ასე გამზარდეს და არც დედაჩემს მოსვლია თავში, ასე გაზრდილისთვის რაიმე საყვედური ეთქვა. ასე 2003-შიც, როცა ნავიდან ნავში გადახტომა, გადადგომა (ხელსაყრელ მომენტში), ღალატი და „მიშას მატარებელზე ბილეთის აღება" სულაც არ იყო ძნელი. სიტყვამ მოიტანა და, ვინც ამ ცდუნებას ვერ გაუძლო, შემდეგ ყველამ ინანა.

ასეა ახლაც; ან უნდა გაჩუმდე და არჩევნების შემდეგ ხელები გაშალო: – ამას როგორ წარმოვიდგენდიო, ან ახლავე უნდა შეუძახო მათ, ვისაც მხოლოდ ქებასა და მოწონებას უძღვნიან. „ქართულ ოცნებაში" რომ პრობლემები იყო, ამას მხოლოდ კოალიციის ზოგიერთი წევრი არ იმჩნევდა, დანარჩენი საზოგადოება კი ამ არაპოპულარულ თემაზე ჯიუტად დუმდა. **ბევრი ვიფიქრე, დამეწერა თუ არა იმაზე, რასაც საქართველოში იმედის კიდევ ერთ (იქნებ – საბოლოო?) გაცრუებისკენ მივყავდით, თუ „ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასას" სიბრძნეს მივყოლოდი.**

**არ ვნანობ. პირიქით. თუნდაც იმიტომ, რომ „ფორუმთან" გაუთავებელი კონსულტაციების შემდეგ, როგორც იქნა, მათი კოალიციაში ყოფნა გადაწყდა; თუნდაც იმიტომ, რომ რესპუბლიკელების მიერ სრულიად არადემოკრატიულად გარიცხული რეგიონული ლიდერი – მურმან დუმბაძე უახლოეს მომავალში „ქართულ ოცნებაში" იქნება (ასე ამბობს ივანიშვილი); თუნდაც იმიტომ, რომ, ყველა წინა განცხადებისგან განსხვავებით, ბიძინა ივანიშვილი აღარ გამორიცხავს ქუჩის საპროტესტო აქციებს. ბევრი თუნდაც არის ამ ისტორიაში.**

„ქრონიკამ" ბოლო ნომერში საგანგებოდ აღნიშნა: ნანა დევდარიანის ამბავი გახმაურდა, რადგან ის ცნობილი ადამიანია. უამრავი ადამიანი მიდის „ქართული ოცნებიდან", ოღონდ ამის შესახებ საზოგადოებამ არ იცის. საზოგადოებამ კი უკვე იცის, რომ არ შეიძლება ჭირის დამალვა, რადგან ჭირი თავს არ დამალავს. ისიც იცის, რომ „ოცნებაში" მისულს გაყინული თვალებით არ უნდა დაგხვდნენ და ის მაინც უნდა გკითხონ, რამ მიგიყვანა; და ადამიანების „ჩარეხცვაში" სააკაშვილს არ უნდა გაეჯიბრონ.

ორიოდე დღის წინ ასეთი წერილი მივიღე: **„25 წელი ემიგრაციაში ვცხოვრობდი. მეხუთე წელია, რაც მშობლიურ ქუთაისში დავბრუნდი. ამ ბოლო დროს გამოსული თითქმის ყველა თქვენი სტატია წავიკითხე. ქართულ პოლიტიკაში მაინცდამაინც ჩახედული არა ვარ, მაგრამ შეგრძნებები თითქმის ისეთივე მაქვს, როგორც თქვენ, მიუხედავად იმისა, რომ დედაქალაქიდან მოშორებით ვცხოვრობ. ამჟამად ვთანამშრომლობ ოპოზიციურ პარტიებთან, კერძოდ „თავისუფალ დემოკრატებთან". როგორც კი „ქართული ოცნების" ოფისი გაიხსნება ჩვენთან, სურვილი მაქვს, გავწევრიანდე. ჩემი ღრმა რწმენით, ჩვენი სამშობლოს გადარჩენისთვის არჩევანის გზა ბევრი არა გვაქვს, ამიტომ თქვენს მტკიცე პოზიციას პატივს ვცემ".**

პატივს ვცემ ამ სტრიქონების ავტორს, რადგან მის წერილშიც საქვეყნო სატკივარი ჩანს და არა საკუთარი. პატივს ვცემ ყველა ადამიანს, რომელიც მილიარდერის დასახმარებლად 5-5 ლარის შესატანად რიგში იდგა „ქართუ" ბანკთან. ასეთი რამ წარმოუდგენელია სხვა ნებისმიერ ქვეყანაში. ეს მხოლოდ საქართველოში შეიძლება მოხდეს. ქართველები იმაზე ბევრად დიდი ხალხია, ვიდრე ეს ზოგიერთ ზესახელმწიფოს წარმოუდგენია.

იმ რიგში მდგომი შეჭირვებული ადამიანებისგან განსხვავებით, ივანიშვილის კარზე რომ სხვა რიგი დგას, ამას ყველა ხედავს. მათ უკანასკნელი 5 ლარი კი არ შეაქვთ, გამოტანაზე არიან ორიენტირებული (და არა ნატოზე, თუმცა ერთი მეორეს არ გამორიცხავს). ვამბობდი და კვლა გავიმეორებ: **ივანიშვილმა ყველა უნდა შემოიკრიბოს და ყველა დარაზმოს ამ რეჟიმის წინააღმდეგ. აი, ეს იქნება გამარჯვების წინაპირობა, სხვანაირად არაფერი გამოვა. ბიძინა ივანიშვილმა უნდა თქვას ერთი რამ: გიწვევთ ყველას სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ!**

ამის ნაცვლად იგი კვლავ მიჯნავს ოპოზიციის ნაწილს (საყოველთაოდ ცნობილ ფსევდოოპოზიციას არ ვგულისხმობ), ნაწილს კი სთავაზობს: **„იმ პარტიებს, რომლებიც ვერ გაერთიანდებიან ჩვენს კოალიციაში, მაგრამ არ არიან იდეოლოგიურად მიუღებელნი, ვთავაზობთ მაჟორიტარული წესით არჩევნებისას საერთო კანდიდატზე შესაძლო შეთანხმების ვარიანტს".** ამ წინადადებაში იმდენი დათქმა და პირობაა, რომ საკითხავი მხოლოდ ის რჩება, ვისთან უნდა შეთანხმდნენ? თუ იდეოლოგიურად მიუღებელი არ არის რომელიმე ძალა, მაშინ რატომ „ვერ" უნდა გაერთიანდეს კოალიციაში? რა სუბიექტური ფაქტორები განაპირობებს ამ „ვერ"-ს?

ასეც რომ არ იყოს, მაჟორიტარების კანდიდატებზე შეთანხმება იმდენად ჩვეულებრივი პრაქტიკაა არჩევნებისას, რომ ეს არავითარ ნოვაციას არ ნიშნავს. შეთანხმების გარეშე ვინც ხეირობს, ეს ჩვენმა საზოგადოებამ არაერთხელ იხილა. შეთანხმება ყველაფერზე შეიძლება, თუ ავტორიტარული რეჟიმის გაშვება გინდა და არა სხვა რამ. სხვა რამ კი ზოგიერთი პარტიისთვის რამდენიმე გარანტირებული საპარლამენტო მანდატია, სხვისთვის – მმართველ პარტიასთან პარლამენტში თანამშრომლობა და ა. შ. **ისე, ხომ საინტერესოა, რომ ოპოზიციის ერთ ნაწილთან თანამშრობლობას კატეგორიულად გამორიცხავ, სააკაშვილის რეჟიმთან კი – დასაშვებად მიიჩნევ? ან განა ის არ არის საინტერესო, რომ 2003 წლის რევოლუციას ამართლებ, ხოლო ყოველივე ცუდში მხოლოდ სააკაშვილს ადანაშაულებ? საინტერესო არ არის, როცა სხვას მუდმივად დანაშაულზე უთითებ, საკუთარ „ღვაწლზე" სახელმწიფო გადატრიალებაში კი ახლაც სიამაყით საუბრობ?**

ნართაულებით საუბარი არ მიყვარს. **რესპუბლიკელებზე არაერთხელ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ: უმცირესობა არ უნდა მართავდეს უმრავლესობას (ამას სააკაშვილის ხელისუფლებაც აკეთებს). ივანიშვილს კი სჯერა, რომ რესპუბლიკელების ერთადერთი პრობლემა ის არის, რომ ისინი „აკადემიური ენით საუბრობენ და ვერ საუბრობენ იმ ენით, რომლითაც მოიხიბლება საზოგადოება".**

თუმცა, მისივე აზრით, ეს საზოგადოების პრობლემაც ყოფილა: **„აქ საზოგადოებაშიც უნდა ვეძებოთ მიზეზები. შესაძლოა, ჩვენ პოლიტიკური კულტურაც გვაკლია... რესპუბლიკელები ევროპისთვის გასაგები ენით საუბრობენ, მაგრამ ბოლო ათწლეულებში საქართველოში მომხდარმა მოვლენებმა ასეთი ხასიათი ჩამოგვიყალიბა, — მეტ რადიკალიზმსა და მეტ სიფიცხეს ვართ ჩვეულნი".** ვისაც თინა ხიდაშელის სიფიცხე და რადიკალიზმი ეცოტავება, გაიხსენოს მისი განცხადებები იმის შესახებ, რომ **„ბათიაშვილი, რა თქმა უნდა, დასაჭერია"** (სააკაშვილი ასეც მოიქცა), ან **რესპუბლიკელების მიერ მურმან დუმბაძის გარიცხვის ბოლშევიკური პროცედურა!** პრობლემა მათ აკადემიურობაში კი არა, სხვაგან არის საძებარი.

ქართული საზოგადოება, როგორც არ უნდა „აკლდეს პოლიტიკური კულტურა", ამომრჩეველია. მას ყური უნდა მიუგდო და არა დააძალო ესა თუ ის პოლიტიკური ძალა. დაფარვით არაფერს ვამბობ და არც ივანიშვილისგან რომელიმე პარტნიორის გარიყვას ვცდილობ. აკი ვამბობ, **მარტო ესენი კი არა, სხვებიც უნდა შეემატონ კოალიციას. უბრალოდ, ყველა ძალას თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს და არა იმაზე მეტი, ვიდრე მას ამომრჩეველმა მოუზომა. თუ არადა, რა განსხვავებაა „ნაციონალებისგან"?**

მიმაჩნია, რომ „საქართველო და მსოფლიოს" მიერ წამოწყებულმა დისკუსიამ შედეგები გამოიღო. თუნდაც იმიტომ, რომ ათიოდე დღის წინ შალვა რამიშვილის „აკრედიტაციის გარეშე" ზუსტად იმ რეკომენდაციას ასახავდა, რომელიც წამოსვლამდე „ქართულ ოცნებაში" წერილობითი სახით დავტოვე. აი, მისი ერთი ფრაგმენტი: **„მოძრაობაში გაწევრიანების მსურველთათვის სატელევიზიო სიუჟეტების გაშვება. ეს რეკლამაზე უკეთ იმუშავებს, რადგან გამოჩნდება, რომ ხალხი მოდის. ვისაც ჯერ კიდევ შიში აქვს, მოეხსნება. სიუჟეტში უნდა იყვნენ ნაჩვენები რეალური ადამიანები, რომლებიც იტყვიან, რატომ მოვიდნენ მოძრაობაში, რა იმედები აქვთ, გამარჯვების რწმენაზე ილაპარაკებენ და ა. შ. (შესამუშავებელია კონკრეტული გრაფიკი. გადაღებები უნდა დაიგეგმოს, ადამიანები მოსამზადებელი არიან გადაღებისთვის. იმისთვის, რომ მაყურებელმა მისამართი იოლად დაიმახსოვროს, შესაძლებელია, სიუჟეტში დაწვრილებით მოყვეს რამდენიმე ადამიანი, რა ტრანსპორტით, რომელი რაიონიდან თუ ქალაქის უბნიდან როგორ მოვიდა და ა. შ.)."**

ამას „საავტორო უფლების დაცვის" გამო არ შეგახსენებთ; მთავარია, საქმე გაკეთდეს და ვინ გააკეთებს, მნიშვნელობა არ აქვს. ისიც მახარებს, რომ სხვა ჩემი რეკომენდაციის კვალდაკვალ კოალიციის ლიდერებისგან უკვე გაისმა ფრაზა: „ყველას ვერ დაიჭერენ"! რეკომენდაციის ის ფრაგმენტი კი ამგვარი იყო: **„მზად უნდა ვიყოთ, მობილურად განვახორციელოთ ცვლილებები, რადგან, სავარაუდოდ, ეფექტიანად მომუშავე თავმჯდომარეებს პრობლემებს შეუქმნიან. აუცილებელია რაიონულ და საუბნო რგოლებში რეზერვის არსებობა სწრაფი ჩანაცვლებისთვის, პრინციპით — „ყველას ვერ დაიჭერენ"!**

თუკი „ქართული ოცნება" მზად აღმოჩნდა აზრისა თუ რეკომენდაციის გასაზიარებლად, ეს მხოლოდ მახარებს. ცხადია, რეკომენდაციების იმ ნაწილს, რომელიც ბრძოლის ტაქტიკას ეხება, საჯაროს არ გავხდი, მაგრამ, რაც საჯაროდ უნდა ითქვას, იმას შორი მანძილიდან, პრესის საშუალებით ყოველთვის გავანდობ თუნდაც რესპუბლიკელებსა და „თავისუფალ დემოკრატებს", ივანიშვილსა და „ფორუმზე" რომ აღარაფერი ვთქვა.

კარგია, როცა მტერს მეგობრად აქცევ. ძალიან ცუდია, როცა მეგობარს მტრად მოიკიდებ. ეს ანბანური ჭეშმარიტებაა, თუმცა ერთი საიდუმლო მინდა გავანდო ჩემს „დაუძინებელ მეგობრებს": **განსხვავება ჩემსა და ამ ხელისუფლების აპოლოგეტებს შორის, სხვა მრავალთან ერთად, ისიც არის, რომ მე ისინი არც რევოლუციამდე მძულდა და არც ახლა, მათ კი მაშინაც ვძულდით და ახლაც ვძულვართ.**

თქვენ?

**P.S.** „საქართველო და მსოფლიოს" სახელით უფლებამოსილი ვარ, განვაცხადო: ყოველთვის ვმოქმედებთ პრინციპით – „მოყვარეს პირში უძრახე" და მოხარული ვართ, როცა მკვახე შეძახილს შედეგი მოაქვს. გულით ვულოცავთ „ეროვნულ ფორუმს", რომ სამართალმა პური ჭამა და ობლის კვერი გამოცხვა. იმედი გვაქვს, მალე მურმან დუმბაძესა და სხვა ბევრ კარგ ქართველსაც მივულოცავთ, ხოლო თუ ჩვენი კრიტიკა გულზე მოგხვდებათ, გადაიკითხეთ „ოთარაანთ ქვრივი". თუმცა, რაკი მუდამ მოუცლელები ხართ, ამ ამონარიდსაც ჩვენ მოგაწვდით:

**„ტკბილი სიტყვა რა არისო! — იტყოდა ხოლმე, — ამ გამწარებულს წუთის-სოფელში ტკბილი სხვა რა არის, რომ სიტყვა იყოს. რას მიქვიან ტკბილი სიტყვა! თვალთმაქცობაა, სხვა არაფერი. ტკბილი სიტყვა ნუგეშია, კაცს გულს მოჰფხანს. გულის-ფხანა რაღა დარდუბალაა! ფხანა ქეცმა იცის. ნუ გაიქეციანებ გულს და ფხანაც საჭირო არ იქნება. სიტყვა სამურველი ხომ არ არის, — მოსაკიდებელი ჩანგალია, რომ გული ან აქეთ მისწიოს, ან იქით, თორემ ობი მოეკიდება, როგორც კიდობანში დავიწყებულს პურს. გული ადგილიდამ უნდა მისძრას-მოსძრას კაცმა, თუ კაცს კაცის სიკეთე უნდა. ფხანა გულისა რის მაქნისია! უქმის კაცის საქმეა. თავადიშვილები ფეხის გულზე ხელს ასმევინებენ, რომ ძილი მოიგვარონ, გულის ფხანაც ის არის: ძილს მოჰგვრის. ის კი არ იციან, რომ, თუ წუთის-სოფელს ერთს ბეწო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა".**

**საააკაშვილის მხარდამჭერებმა თავიანთ ბელადს შეიძლება ჭკვიანი, გამჭრიახი, სამშობლოზე შეყვარებული, იდეალისტი და კეთილგონიერიც კი უწოდონ, თუმცა არც ერთი მათგანი იმის შემდეგ, რაც გორში და, ზოგადად, ომის დროს მოხდა, მას მამაცს არ უწოდებს; ეს დღესაც ასეა და ათწეულების შემდეგაც (როდესაც შესაბამისი მემუარები გამოქვეყნდება) ასე იქნება.**



დიმიტრი მონიავას
საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ერთხელ, გაფრენამდე...



**ვაჟკაცსა გული რკინისა, აბჯარი თუნდაც პლასტმასის... საკუთარი არნახული ჰეროიზმის შესახებ მიხეილ სააკაშვილმა ამჯერად ჯორჯტაუნის უნივერსიტეტის სტუდენტებს მოუთხრო.**

„ერთხელ გაფრენამდე ჩემთან ანერვიულებული პრესსპიკერი მოვიდა *(აქ იგულისხმებოდა გაფრენა თვითმფრინავით და არა მის გარეშე, როგორც, შესაძლოა, ზოგმა იფიქრა. — ავტ.).* და მითხრა, რომ ჩემს თვითმფრინავს ჩამოაგდებდნენ, რადგან ყველა რუსული ვებ-საიტი წერდა, რომ 40 წუთში გაფრენას ვაპირებდი. მე ჩემს პრესმდივანს ვუთხარი, გაეკეთებინა საჯარო განცხადება და ეთქვა: „ვიცით, რომ თქვენ გვიმიზნებთ. ნუ ნერვიულობთ, არ გჭირდებათ ვებ-საიტებზე ამ ინფორმაციის გავრცელება. ჩვენ ვხედავთ, მაგრამ არ გვადარდებს. ჩვენი თვითმფრინავი მაინც გაფრინდება“.

ამ უცნაური ისტორიით, რომელიც ფრიად არაბუნებრივ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს შეიცავდა, სააკაშვილმა, სავარაუდოდ, სცადა, დაემტკიცებინა აუდიტორიისთვის და საკუთარი თავისთვის, რომ მამაცია. **ცხადია, ამ პასაჟის ანალიზი სამხედრო საქმის, ეროვნული უსაფრთხოების, კლინიკური ფსიქიატრიის ან თუნდაც ჩვეულებრივი ლოგიკის ვიწრო ჩარჩოებში არ შეიძლება; აქ სხვა მიდგომაა საჭირო.**

სააკაშვილის მხარდამჭერებმა თავიანთ ბელადს შეიძლება ჭკვიანი, გამჭრიახი, სამშობლოზე შეყვარებული, იდეალისტი და კეთილგონიერიც კი უწოდონ, **თუმცა არც ერთი მათგანი იმის შემდეგ, რაც გორში და, ზოგადად, ომის დროს მოხდა, მას მამაცს არ უწოდებს; ეს დღესაც ასეა და ათწეულების შემდეგაც (როდესაც შესაბამისი მემუარები გამოქვეყნდება) ასე იქნება.**

„ჩამოხრჩობილის სახლში თოკზე საუბარი“ მოსაწონი რამ არ არის და არა მხოლოდ ლოიალისტები, არამედ საზოგადოების დიდი ნაწილიც, ასე თუ ისე, ცდილობს, ფიგურანტის შელახულ თავმოყვარეობას წიხლი არ მიაჭიროს. პრინციპში, ყველა პოლიტიკოსი არ არის ვალდებული გორგასლისთვის დამახასიათებელი თვისებებით გამოირჩეოდეს; XXI საუკუნეში მათი დეფიციტის კომპენსირება სხვა ღირსებებით შეიძლება. მართალია, ქართული ტრადიცია მთავარსარდლისგან გამოკვეთილ სიმამაცეს მოითხოვს, თუმცა ეს ფეოდალური რწმენა-წარმოდგენები შეგვიძლია, გამონაკლისის სახით, დროებით გვერდზე გადავდოთ. **პრობლემა თავად სააკაშვილშია: ის, გაჩუმების ნაცვლად, ამ თემას თვითონ ეხება, ცდილობს, ირიბად მაინც მიანიშნოს იმაზე, რომ ვაჟკაცობით აღმაშენებელს არ ჩამოუვარდება და ამას მეტად ორიგინალური ისტორიების მეშვეობით აკეთებს. საინტერესოა, რატომ ან რისთვის.**

აქ, ალბათ, მცირე შესავალი დაგვჭირდება. ადამიანის მეხსიერება საკმაოდ უცნაური რამ არის და მასში ცრუ მოგონებების იმპლანტაცია სავსებით შესაძლებელია. ამერიკელმა ფსიქოლოგმა ელიზაბეტ ლოფტუსმა 90-იანებში ერთი საინტერესო ექსპერიმენტი ჩაატარა: მის მონაწილეებს ნათესავების მოგონებებზე დაფუძნებული ისტორიები დაურიგდათ, რომლებიც მათ თავს 4-6 წლის ასაკში გადახდათ. ერთ-ერთი, სუპერმარკეტში დაკარგვის ამბავი, ყალბი იყო, თუმცა ექსპერიმენტში მონაწილეთა მესამედმა ეს თავგადასავალი, რომელსაც რეალობაში ადგილი არ ჰქონია, დეტალურად „გაიხსენა“. კიდევ უფრო შთამბეჭდავ შედეგს 2002-ში ფსიქოლოგმა კიმბერლი უეიდმა მიაღწია, როდესაც ექსპერიმენტის მონაწილეებს უჩვენა ყალბი, მონტაჟის გზით მიღებული ფოტოები, რომლებიც აეროსტატით მათ გაფრენას ასახავდა. ექსპერიმენტის მონაწილეთა ნახევარმა სრულად ან ნაწილობრივ „გაიხსენა“ ეს გაფრენა, რომელიც სინამდვილეში არ მომხდარა. „ზუსტი მექანიზმები, რომელთა მეშვეობით ასეთი ცრუ მოგონებების ფორმირება ხდება, შემდგომ გამოკვლევას საჭიროებს“, — წერდა ლოფტუსი 1997 წელს ვაშინგტონის უნივერსიტეტის საიტზე გამოქვეყნებულ წერილში და იმ დროიდან მოყოლებული დღემდე არაფერი შეცვლილა, მეხსიერება კვლავინდებურად ფრიად ჩაბნელებულ ლაბირინთად რჩება.

ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ ციტატები ჯორჯ ორუელის „1984“-დან იმის თაობაზე, თუ როგორ ახდენდა სისტემა კოლექტიური მეხსიერების კორექტირებას იმის მიხედვით, თუ ვის ეომებოდა ამა თუ იმ მომენტში ოკეანია- ოსტაზიას თუ ევრაზიას. კაცმა რომ თქვას, ამ რომანის წაკითხვა იმის დასადგენად, თუ რა ხდება თანამედროვე საქართველოში, სავალდებულოა, თუმცა ამჯერად, ალბათ, აჯობებს ისევ ფსიქოლოგებს მივუბრუნდეთ.

1986-ში, როდესაც ამერიკულმა კოსმოსურმა ხომალდმა „ჩელენჯერმა“ კატასტროფა განიცადა, ულრიხ ნეისერმა ჩაატარა გამოკითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ რას აკეთებდა ესა თუ ის ადამიანი მაშინ, როდესაც ამ ტრაგედიის შესახებ შეიტყო. გარკვეული დროის შემდეგ კი ისევ გაესაუბრა და იმავე ადამიანებმა სულ სხვა გარემოებები აღუწერეს, ხოლო როდესაც ნეისერმა პირველი ინტერვიუების ჩანაწერები წარუდგინა, მათ ეს ჩანაწერები ეჭვქვეშ დააყენეს. საინტერესოა, რომ თავად ნეისერი წლების განმავლობაში დარწმუნებული იყო, რომ პერლ-ჰარბორზე იაპონელების თავდასხმის შესახებ მაშინ შეიტყო, როდესაც ბეისბოლის მატჩის ტრანსლაციას უსმენდა, შემდეგ გაირკვა, რომ არანაირი ტრანსლაცია იმ დღეს რადიოეთერში არ გადაიცემოდა.

ერთმა ანონიმურმა ინტერნეტ-მომხმარებელმა ყოველივე ამას საინტერესო მეტაფორა მოუძებნა: **„მეხსიერება დოკუმენტური კინოქრონიკა არ არის. ის მხატვრული ფილმია, რომელიც რეალურ მოვლენებს ეფუძნება. ამასთანავე, როდესაც ადამიანი რაღაცის გახსენებას ცდილობს, სცენარს ამ ფილმისთვის ხელახლა წერს. ჩვენ ვერასოდეს გავიგებთ, ფილმის რომელი ნაწილია რეალური, ხოლო რომელი დაამატა სცენარისტმა „მეტი სილამაზისთვის“.**

იქნებ სააკაშვილი თავის სულისშემძვრელ ისტორიებს კი არ იგონებს, როგორც ბევრი კომენტატორი მიიჩნევს, არამედ „იხსენებს“ მათ ისე, როგორც ამას ამერიკელი ფსიქოლოგების ექსპერიმენტების მონაწილეები აკეთებდნენ?

როგორც ცნობილია, ფიგურანტი ყმაწვილკაცობაში რეჟისორობაზე ოცნებობდა, პიონერთა სასახლის შესაბამის წრეში დადიოდა და, საერთოდ, კამერას ხელიდან ვერ გააგდებინებდი. ნამდვილად ვერ გამოვრიცხავთ, რომ მისგან კარგი კინოხელოვანი დადგებოდა, განსაკუთრებით, საშინელებათა ფილმების მიმართულებით. თუმცა, როგორც ცნობილია, ბედის ბორბალი უკუღმა დატრიალდა და **არშემდგარი რეჟისორის გადასაღებ მოედნად სრულიად საქართველო იქცა. დღეს, როდესაც საკუთარი ჩანაფიქრების ხორცშესხმა რეალურ სივრცეში აღარ შეუძლია (ჰოლივუდში რომ იტყვიან, ბიუჯეტი ბანალურად გათავდა და გადაღებაც შეწყდა), მან, როგორც ჩანს, მხატვრული ფილმების გადაღება საკუთარ წარმოსახვაში დაიწყო, მეტიც, მათ წარდგენას ფართო აუდიტორიის წინაშე ცდილობს.**

ერთი მონაკვეთი სააკაშვილის გამოსვლიდან აშშ-ს სამხედრო-საზღვაო აკადემიაში: **„არასოდეს დაგვავიწყდება, რომ ეს იყო დრო, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისა და მთავარსარდლის ბრძანებით ამერიკული საზღვაო ქვეითების ძალები საქართველოსკენ დაიძრნენ. ჩვენს პორტებში მე-6 ფლოტის ხომალდები შემოვიდა, განხორციელდა ჰუმანიტარული-სამხედრო ოპერაცია, ჩვენს აეროპორტებში ეშვებოდნენ ამერიკული თვითმფრინავები და, როდესაც ეს ბრძანება გაიცა, ვნახეთ, რომ თავდასხმა ჩვენს დედაქალაქზე, ჩვენს მთავრობაზე და ჩვენს ხალხზე შეჩერდა. ეს არ დაავიწყდება არა მარტო ჩემს, არამედ მომავალ თაობებს...“.**

ამ შემთხვევაში ადგილი არა ფაქტების გაყალბებას, არამედ აქცენტების, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო გადატანას, მცირე კორექტირებას აქვს, თუმცა ახალი ბლოკბასტერის „გადაღებისთვის“ ესეც საკმარისია. **თავი დავანებოთ იმას, რომ განცხადება შესაბამისი ოპერაციის ჩატარების შესახებ ჯორჯ ბუშმა საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ გააკეთა, იმას, რომ საზღვაო ქვეითების ძალები არსად დაძრულან, იმას, რომ თურქები სრუტეებთან დამამცირებლად აყურყუტებდნენ იმ ხომალდებს, რომელთაც წყალი და სხვა, სავსებით მშვიდობიანი ტვირთები მოჰქონდათ.** ეს ხომ, როგორც უკვე ვთქვით, არა კინოქრონიკა, არამედ მხატვრული ფილმია, რომელიც რეალური მოვლენების მიხედვითაა გადაღებული, დაახლოებით ისე, როგორც „მაინც გაფრენილი თვითმფრინავის“ ეპიზოდი, რომელშიც საერთოდ გაუგებარია, რა მოხდა (თუ მოხდა) სინამდვილეში. მსგავსი „ფილმები“ რეალობაზე გაცილებით ლამაზია და დაძაბულობით სპილბერგის „რიგითი რაიანის გადასარჩენად“ პირველ კადრებს მოგვაგონებს: ხომალდები ტალღებს მიაპობენ, საზღვაო ქვეითები ქარსა და ცივ შხეფებს უშვერენ გასხივოსნებულ სახეებს, ხოლო წვერებიანი რუსი ჯარისკაცები „უშანკებსა“ და „ვალენკებში“ პანიკაში ყრიან ჟანგიან ნაჯახებს და უკანმოუხედავად გარბიან. ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ სააკაშვილმა ორჯერ გამოიყენა „არ დაგვავიწყდება“, როგორც მონაკვეთის დასაწყისში, ისე მის ბოლოს. ეს ძალიან ჰგავს „ცრუ მოგონების იმპლანტაციას“, თუმცა საინტერესოა, ვის უნერგავდა სააკაშვილი მას: ამერიკელებს თუ საკუთარ თავს?

აშშ-ის სამხედრო-საზღვაო აკადემიის ნებისმიერი მსმენელი იოლად აღმოაჩენს, რომ 2008-ში „საზღვაო ქვეითების ძალები“ საქართველოსკენ არ დაძრულან, მეტიც, ის შეიძლება მივიდეს დასკვნამდე, რომ აშშ-ს „სახის დაკარგვამდე“ მაშინ ძალიან ცოტა დააკლდა, რადგან ეს განწყობა ბევრი ამერიკელი კომენტატორის პუბლიკაციებს გასდევს. ქართულ აუდიტორიას, სავარაუდოდ, ამ ეპიზოდის არა მხოლოდ „არდავიწყება“, არამედ გახსენებაც კი არ სურს, ვინაიდან იმ დღეებში შოკი განიცადა, როდესაც საკუთარი თვალით იხილა სხვაობა რეალობასა და იმ ილუზიებს შორის, რომლებიც ამერიკელების დახმარებასთან დაკავშირებით ჰქონდა. **საბოლოოდ, ეს „კორექტირებული მოგონებები“, რომლებშიც სააკაშვილი გულადი, ძლევამოსილი მოკავშირეების მქონე ავიატორია, თავად სააკაშვილის გარდა დიდად არავის სჭირდება.**

ცხადია, 2008 წლის აგვისტოში სააკაშვილმა უდიდესი ფსიქოლოგიური დარტყმა მიიღო. მან პირველად იგრძნო, რა არის ომი და გორში გამოვლენილი პანიკური რეაქცია მნიშვნელოვანწილად ამის შედეგი იყო. სხვათა შორის, ბევრი მამაცი, გამოცდილი ოფიცერი არ მალავს, რომ პირველ ბრძოლაში ლამის შარვალი დაუსველდა; მათ ასევე იციან, რომ ახალბედები პანიკაში იოლად ვარდებიან და კარგ მეთაურს მისი აღკვეთა უნდა შეეძლოს. საქართველო სააკაშვილის პანიკას, დიდი ალბათობით, დაივიწყებდა, ყოველ შემთხვევაში, ცნობილ გარბენას (თუ გახოხვას) და ჰალსტუხის შემდგომ ღეჭვას ბრალად არ წაუყენებდა, რომ არა მისი დაჟინებული მცდელობა — თავის არნახულ სიმამაცეზე მიუთითოს. ეს გაღიზიანებას იწვევს და სააკაშვილს არა მხოლოდ ამ, არამედ სხვა ეპიზოდებზეც მიანიშნებენ, სადაც ვაჟკაცობის ნაცვლად რაღაც სრულიად საპირისპირო გამოავლინა.

ცრუ მოგონებები, როგორც ჩანს, საკუთარი წარუმატებლობის დავიწყების, ქვეცნობიერის სიღრმეში მისი დამალვის საშუალებაა. **მათი აქტიური გენერაციის მექანიზმის ფორმირება, სავარაუდოდ, არა ზრდასრულ ასაკში, არამედ ბავშვობაში იწყება, მაგალითად, მაშინ, როდესაც სკოლის მოწაფემ შეძახილს „მოდი აქ, შე ჰალსტუხიანო!“ სათანადო პასუხი ვერ გასცა, რის გამოც მთელი ცხოვრება წუხდა, მეტიც, გარშემომყოფებს (ოჯახს თუ ქვეყანას, რა მნიშვნელობა აქვს) ტანჯავდა. არა უშავს, ეს განკურნებადია. სიმშვიდე, წყლის პროცედურები, ჯანსაღი კვება, თერაპიული საუბრები ამბულატორიულ პირობებში... სტაციონარამდე საქმის მიყვანა, ალბათ, არ ღირს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი კოლეგა ამის გადაუდებელ აუცილებლობაზე მიუთითებს.**



ელიზაბეტ ლოფტუსი (კოგნიტური და სამართლებრივი ფსიქოლოგიის, აგრეთვე, მეხსიერების ფსიქოლოგიურ მექანიზმთა ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი კალიფორნიისა და ვაშინგტონის უნივერსიტეტების ფსიქოლოგიის პროფესორი):

## «ზუსტი მექანიზმები, რომელთა მეშვეობით ასეთი ცრუ მოგონებების ფორმირება ხდება, შემდგომ გამოკვლევას საჭიროებს»

საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## პოლიტიკა

**არ არსებობს იდეოლოგია ან რაიმე ფასეულობები, რომლებიც ელიტას უბიძგებს, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლებაზე იზრუნოს. მტაცებლური, ბარბაროსული ინსტინქტები არ აძლევს მას შესაძლებლობას, თვალებში გამოიხედოს და საკუთარი თავის წინაშე ცოტა უფრო ამბიციური ამოცანები დააყენოს, ვიდრე საკუთარი მოსახლეობის შეუჩერებელი ძარცვაა.**

საქართველო ამერიკის შეერთებული შტატების კოლონიაა, — ასეთ დასკვნამდე, ალბათ, სავსებით ბუნებრივად მივიდოდა ნებისმიერი ადამიანი, რომელმაც ბოლო დროს სახელისუფლო ტელეარხებს თუნდაც ნახევარი საათის განმავლობაში უყურა. ისინი აშშ-ში სააკაშვილის ვიზიტს უპრეცედენტო აღტკინებით აშუქებდნენ და ამერიკელი პოლიტიკოსების პრაქტიკულად ყველა რეპლიკას ლამის ღვთაებრივი, უზენაესი ნების გამოვლინებად წარმოაჩენდნენ. ამას ემატებოდა ქართული დელეგაციის წევრთა გამოსვლები და სახეების გამომეტყველება მაამებლობის ისეთი კონცენტრაციით, რომლითაც ძველად სულთნის ყველაზე ერთგული საჭურისებიც კი ვერ დაიკვეხნიდნენ. ქვეყანა ოცი წელი იბრძოდა, შიმშილობდა, იტანჯებოდა და ბოლოს საკუთარი მმართველები უცხო ქვეყნის ხელისუფალთა კარზე ღირსებააყრილი მარიონეტების როლში იხილა. ამის დაწერა და წაკითხვა, ცხადია, არასასიამოვნო იყო, თუმცა ბოლო მოვლენები სხვა დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას ნაკლებად გვაძლევს.




# მცოცავი დესუვერენიზაცია, ანუ კიდევ რა გნებავს, ძია სემ?

### გზა ვაშინგტონისკენ

ფორმალური თვალსაზრისით, საქართველო სუვერენული სახელმწიფოა, თუმცა აშშ-ის წარმომადგენლები თითქმის აღარ მალავენ, რომ იმ საკითხების გადაწყვეტაში ერევიან, რომლებიც აშკარად საშინაო საქმეებს მიეკუთვნება. 2 თებერვალს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ვიქტორია ნულანდმა დაადასტურა, რომ სააკაშვილთან შეხვედრებზე ამერიკელები მისი შესაძლო გაპრემიერების თემას შეეხნენ. ამას, ისევე, როგორც ბარაკ ობამას ფრაზას საქართველოში არჩევნების ჩატარების და ხელისუფლების გადაცემის შესახებ, სააკაშვილის მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების მწვავე დისკუსია მოჰყვა, იმის თაობაზე „მოხსნა“ სააკაშვილი ვაშინგტონმა, თუ პირიქით, ხელახლა „დანიშნა“ (ტელეეთერში, ცხადია, სხვა ფორმულირებები გამოიყენებოდა, თუმცა ინტერნეტ-მომხმარებლები ტერმინების შერჩევით თავს მაინც და მაინც არ იკლავდნენ). ამ, თავისი არსით სამარცხვინო, კამათის დროს, ორივე მხარე, ფაქტობრივად, ამყარებდა მოსაზრებას თეთრი სახლის ყოვლისშემძლეობისა და, შესაბამისად, ქართველი ამომრჩევლის უსუსურობის შესახებ; **მთელი პოლიტიკური პერსპექტივა, დაყვანილ იქნა ცინიკურ კითხვამდე: „გააპრავებენ“ ამერიკელები არჩევნების მორიგ გაყალბებას თუ არა? „ვაშინგტონ პოსტის“ სარედაქციო საბჭოს 6 თებერვლის წერილმა ამ კონტექსტში ხომ საერთოდ საკონტროლო გასროლის როლი შეასრულა.**

აშშ უძლიერესი ზესახელმწიფოა და ნებისმიერი პატარა ქვეყანა ცდილობს, არ დაუპირისპირდეს და მისი ინტერესები შეძლებისდაგვარად გაითვალისწინოს, თუმცა ამერიკელების ჩარევას საკუთარ საქმეებში ასეთი მოცულობით მხოლოდ საქართველო უშვებს. მეტიც, პოლიტიკური ელიტის აბსოლუტური უმრავლესობა და საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი მხურვალედ მიესალმება ამას. მცოცავი დესუვერენიზაციისა და სახელმწიფოებრივი დეგრადაციის უფრო თვალსაჩინო მაგალითი დღევანდელ მსოფლიოში, უბრალოდ, არ არსებობს.

ამას, ალბათ, რამდენიმე მიზეზი განაპირობებს. დღევანდელი ქართული საზოგადოება ერთობ ინფანტილურია და ჯერაც მზად არ არის, იტვირთოს ის პასუხისმგებლობა, რომელსაც თანამედროვე სახელმწიფოს შექმნის ამოცანა აკისრებს. თანაც ამდენი მარცხის შემდეგ, მას, შესაძლოა, აღარ ჰყოფნის ნებისყოფა იმისათვის, რომ გარკვევით თქვას: „ეს ქვეყანა ჩემია“ და ნელ-ნელა ბატონყმური მსოფლმხედველობის მორევში იძირება. ეს კრიტიკული მომენტი, შეიძლება ნოკაუტში გაგზავნილი მოკრივის მდგომარეობას შევადაროთ, ის ნებისმიერ ფასად ან ფეხზე უნდა წამოდგეს, ან დამარცხება აღიაროს; ისეთ არამატერიალურ, თუმცა მეტად ღირებულ აქტივს, როგორიც არის ნებისყოფა, ამ შემთხვევაში ვერაფერი შეცვლის.

**ამასთანავე, არ არსებობს იდეოლოგია ან რაიმე ფასეულობები, რომლებიც ელიტას უბიძგებს, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლებაზე იზრუნოს. მტაცებლური, ბარბაროსული ინსტინქტები არ აძლევს მას შესაძლებლობას, თვალებში გამოიხედოს და საკუთარი თავის წინაშე ცოტა უფრო ამბიციური ამოცანები დააყენოს, ვიდრე საკუთარი მოსახლეობის შეუჩერებელი ძარცვაა. მას არ ძალუძს, მიღწიოს შიდა კონსენსუსს „თამაშის წესებზე“ და აქედან გამომდინარე, გარე არბიტრის ჩარევა სჭირდება. დღევანდელი ქართული პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლების შესაძლებლობების მაქსიმუმს, სავარაუდოდ, უცხო სახელმწიფოს გუბერნატორის როლის შესრულება წარმოადგენს, რომელიც ზედმიწევნით ზუსტად შეასრულებს ინსტრუქციებს იმის თაობაზე, თუ რა მოიმოქმედოს საკუთარ ქვეყანაში, რა ომებში გაგზავნოს ადგილობრივი კონტინგენტი და რომელ ბანკში შეინახოს პირადი სახსრები. თუ მის რიგებში უცაბედად „პრომეთე“ გამოჩნდება, რომელიც სისტემის შეცვლას დააპირებს, დანარჩენები დაესევიან, გაკოჭავენ და დაკორტნიან ისე სწრაფად, რომ ვერც ერთი უცხოური სადამსჯელო რაზმი ვერ დაასწრებს.**

ერთობ პათეტიკურად კი გაიჟღერებს, თუმცა, როდესაც დღევანდელ საქართველოს ვუყურებთ, შეიძლება გაგვიჭირდეს იმის დაჯერება, რომ ამ ქვეყნის ისტორიაში დიდგორი და ბახტრიონი იყო, რომ ერის წიაღში ოდესღაც იბადებოდა იდეები და მისრაფებები, რომლებსაც ის გამარჯვებამდე მიჰყავდა. დღეს ჩვენში უფრო მარტივი დღის წესრიგი დომინირებს: **მონა ოცნებობს იმაზე, რომ ბატონი გახდეს, ბატონს ეშინია, რომ მონად არ იქცეს. ამერიკელი პარტნიორები, როგორც ჩანს, რაღაც მომენტში მიხვდნენ, რომ შეუძლიათ ქართულ საზოგადოებას მისივე ილუზიები და ფობიები მიჰყიდონ, თანაც ძვირად. არაფერი ანტიამერიკული ამ ფაქტის კონსტატაციაში არ არის, ისინი, უბრალოდ, კარგი ბიზნესმენები არიან.**

### გზა უფსკრულისკენ

**სტრატეგიული თვალსაზრისით, საქართველო მომავალ საპარლამენტო არჩევნებში უკვე დამარცხდა, რადგან მათში, ისევე როგორც ზოგადად ქვეყნის ცხოვრებაში, უცხო ქვეყნის უზომო ჩარევა დაუშვა. რაც შეეხება ვაშინგტონის სავარაუდო პოზიციას მომავალი არჩევნების დროს, ის საქართველოში აშშ-ის გავლენის გაფართოებას უზრუნველყოფს.**

**სააკაშვილის პერსონას, ისევე როგორც ქართველი პოლიტიკოსების დეკლარაციებს ამ კონტექსტში მესამეხარისხოვანი მნიშვნელობა მიენიჭება. ამერიკელებისთვის მთავარია, რომ საქართველოში არ მოხდეს „რაღაც“, რაც მათ პოზიციებს საფრთხეს შეუქმნის.**

მართალია, ქართველი პოლიტიკოსები ვაშინგტონში (ქვეტექსტში, შეფარვით) იმუქრებიან, რომ მათ არარჩევას (თუ არდანიშვნას) შეიძლება საქართველოში მასშტაბური დესტაბილიზაცია მოჰყვეს, თუმცა ძია სემმა, სავარაუდოდ, მშვენივრად იცის, რომ მისი ნების საწინააღმდეგოდ ამას ხელს არც ერთი მათგანი არ შეუწყობს. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საკითხი ცოტა უფრო მარტივად დგას: **ამერიკელებმა საქართველოს ხელისუფლებაში მყოფი, მათ მიმართ ლოიალური პოლიტიკური ძალების ისეთი კონფიგურაცია უნდა მოძებნონ, რომელიც ქართულ საზოგადოებას ნაკლებად გააღიზიანებს, არ გამოაფხიზლებს, „გაგიჟებამდე“ არ მიიყვანს, მკვეთრად ანტიამერიკულად არ განაწყობს და, საბოლოო ჯამში, უდრტვინველი დეგრადაციის გაგრძელებაში ხელს დიდად არ შეუშლის.**

არის სააკაშვილის რეჟიმის შენარჩუნებისა და განმტკიცების ვარიანტი, თუმცა ის პერსპექტივაში, ძალიან დიდი ალბათობით, მეტად ოდიოზური დიქტატურის ჩამოყალიბებით დაგვირგვინდება, რამაც შეიძლება უმართავი პროცესები გამოიწვიოს. არის ორპარტიულ მოდელზე გადასვლის ვარიანტი, რომელთა მიხედვით, ორივე პოლუსი მკვეთრად პროამერიკული იქნება (ამ მოდელში მესამე, პირობითად „ეროვნული ძალის“ ინტეგრირებაც შეიძლება, რომელიც რეალურად არაფერს გადაწყვეტს, თუმცა ბევრი ამომრჩევლისთვის დამამშვიდებელი აქსესუარის როლს შეასრულებს). ეს ვარიანტი პერსპექტივაში მეტ სტაბილურობას და აშშ-ის გავლენის შემდგომ გაფართოებას მოიტანს, თუმცა ეს გზა ზოგიერთ ეპიზოდში ბეწვის ხიდზე გავლას და საკმაო მოცულობის მიკრომენეჯმენტს გულისხმობს. არის ვარიანტი, რომელიც დღევანდელი რეჟიმის ანიჰილაციასა და სისტემის სრულ „გადატვირთვას“ ითვალისწინებს, „ვარდების მეორე რევოლუციის“ მოწყობით, სუფთა ფურცლიდან დაწყებით და იგივე კურსის გატარებით, თუმცა ამ ვარიანტსაც სატრანზიტო პერიოდის რისკები, კადრების როტაციასთან და საზოგადოების მღელვარებასთან დაკავშირებული პრობლემები ახლავს. მოკლედ, ვარიანტები არის, ვარიანტებს რა გამოლევს... რაც მთავარია, „ორ მხარედ“ გაყოფილი ქართული ელიტა ნებისმიერ დაკვეთას, ძალიან დიდი ალბათობით, ზედმიწევნით ზუსტად შეასრულებს. ▶

**მთელი პოლიტიკური პერსპექტივა, დაყვანილ იქნა ცინიკურ კითხვამდე: «გააპრავებენ» ამერიკელები არჩევნების მორიგ გაყალბებას თუ არა? «ვაშინგტონ პოსტის» სარედაქციო საბჭოს 6 თებერვლის წერილმა ამ კონტექსტში ხომ საერთოდ საკონტროლო გასროლის როლი შეასრულა**

---

მოკლედ

## ირანმა ორმუზის სრუტეში სამხედრო სწავლება დაიწყო

**ირანმა ორმუზის სრუტეში მორიგი სამხედრო სწავლება დაიწყო. ირანული მედიის ინფორმაციით, ირანის სამხედრო ფლოტის გემები სწავლებას ერთი თვის განმავლობაში გააგრძელებენ.** შეგახსნებთ, რომ გასული წლის დეკემბრის ბოლოს ირანის სამხედრო-საზღვაო ძალებმა იმავე ორმუზის სრუტეში უკვე ჩაატარეს სწავლება სახელწოდებით „ველაიატ-90“ და ეს სწავლება შორეული რადიუსის რაკეტების გამოცდით დაასრულეს. ამჟამად სპარსეთის ყურეში ორი ამერიკული ავიამზიდი იმყოფება. მოსალოდნელია, რომ მარტში სპარსეთის ყურეში კიდევ ერთი ამერიკული ავიამზიდი შევა.

## კადაფის სისხლიანი პერანგი იყიდება

**ლიბიის ყოფილი ლიდერის, მუამარ კადაფის საქორწინო ბეჭედი და მისი სისხლიანი პერანგი, რომელიც სიკვდილის დროს ეცვა, 2011 წლის ოქტომბერში არაბულ ინტერნეტპორტალზე გასაყიდადაა გამოტანილი.** გავრცელებული ინფორმაციით, ლიბიელმა აჰმედ ვარფალმა გააკეთა განცხადება ვერცხლის ბეჭდისა და სისხლიანი პერანგის გაყიდვის შესახებ 2 მილიონ აშშ დოლარად. ბეჭდის ფოტოები 2 თებერვალს გაჩნდა არაბულ ინტერნეტპორტალ „ArabsToday.net“-ზე. ბეჭედზე ამოტვიფრულია ლიბიის ლიდერის ბოლო ცოლთან, სოფიასთან ქორწინების თარიღი — 2010 წლის 10 სექტემბერი.

**ახალი საგანმანათლებლო რევოლუციის გარეშე ქართული საზოგადოება თავს საკუთარი ქვეყნის პატრონად, სავარაუდოდ, ვერ იგრძნობს და, შესაბამისად, დამოუკიდებელ, ღირსეულ სახელმწიფოს ვერ შექმნის. ამ შემთხვევაში მხოლოდ ისღა დაგვრჩება, რომ ვუყუროთ, თუ როგორ ასრულებენ ჩვენი გაუმაძღარი ბელადები რიტუალურ ცეკვებს ვაშინგტონში და მორჩილად დაველოდოთ, რომელ მათგანს გამოარჩევს ბატონი.**

# პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„განვითარების დიქტატურას“ აზრი ორ შემთხვევაში ეკარგება: მაშინ, როდესაც განვითარება წყდება და მაშინ, როდესაც ის თავის დანიშნულებას ასრულებს, ქვეყანა უფრო მაღალ საფეხურზე ადის და იქმნება წინაპირობები (მართვადი) დემოკრატიის ფორმირებისთვის; ამ დროს ანაქრონიზმადქცეული „განვითარების დიქტატურა“ და მისი მოწადინების შედეგად „გამძღარი“, წინ წასული საზოგადოება ერთმანეთთან გადაულახავ კონფლიქტში შედიან. კარგ მაგალითს, ამ მხრივ, სამხრეთ კორეის უახლესი ისტორია გვაძლევს.**

სააკაშვილის (თეორიული) შანსი ამერიკელებისთვის იმის დამტკიცებაში მდგომარეობს, რომ „აღმშენებლობის“ (და საქართველოს აშშ-ზე 100%-იანი მიბმის, რაზეც ხმამაღლა არ საუბრობენ) პროცესი ჯერაც არ დასრულებულა და მისი რეჟიმი სწორედ ახლაა საჭირო. ოპოზიცია კი, თავის მხრივ, ირწმუნება, საქართველო სრული კრახისკენ მიექანება, რაც დესტაბილიზაციითა და, მათ შორის, ამერიკელებისთვის არსასურველი შედეგებით დასრულდებაო. ბარაკ ობამას 30 იანვრის რეპლიკებით თუ ვიმსჯელებთ, მან შემდეგი პოზიცია ჩამოაყალიბა: საქართველოს ტრანსფორმაციის პირველი ეტაპი დასრულდა, რისთვისაც დიდი მადლობა, ახლა კი სასურველია, რაღაც შეიცვალოს, სავარაუდოდ, იმისთვის, რათა ქვეყანამ სტაბილურობა, ხოლო აშშ-მა მასში საკუთარი პოზიციები შეინარჩუნოს (და გააფართოოს).

**ვიდრე ვაშინგტონში „მარიონეტების თეატრის“ წარმოდგენა გრძელდება, საქართველო დარღვეული ტერიტორიული მთლიანობის პირობებში (ნიშანდობლივია, რომ ობამა-სააკაშვილის 30 იანვრის ბრიფინგზე ეს თემა არ ფიგურირებდა), უსაფრთხოების ყოველგვარი გარანტიების გარეშე ცხოვრობს, საგარეო ვალს ზრდის და სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდოთი დღემდე არნახულ რეკორდებს ამყარებს. ის 100 ათას მოსახლეზე პატიმრების რაოდენობით ევროპაში პირველ, ხოლო მსოფლიოში მეექვსე ადგილს იკავებს. ის ღვთისაგან მივიწყებულ ავღანეთში ჯარისკაცებს კარგავს და შინაგანად მზად არის, ხვალ ისინი ირანში დაკარგოს.** ამ ჩამონათვალის გაგრძელება ძალიან დიდხანს შეიძლება, თუმცა შემაჯამებელი კითხვა ნებისმიერ შემთხვევაში ასეთ სახეს მიიღებს: „კიდევ რა გნებავს, ძია სემ?“.

## გზა დიდგორისკენ

**სახელისუფლო პროპაგანდამ ამერიკელი პარტნიორების ბოლოდროინდელი „გაღმერთებით“, დიდი ალბათობით, უნებლიეთ ხელი ანტიმერიკული განწყობის ზრდას შეუწყო. თუმცა ამ ემოციებსა და მყარ იდეოლოგიურ პლატფორმას შორის, რომელიც საკუთარი ქვეყნის ბედის საკუთარ ხელში აღებას გულისხმობს, საკმაოდ დიდი სხვაობაა.**

დღეს საზოგადოება, სავარაუდოდ, მზად არ არის შეგნებული, თანმიმდევრული ბრძოლისთვის ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ, რაც, სხვათა შორის, არ შეიძლება არსით ანტიამერიკული და, საერთოდ, „ანტი““ იყოს, არამედ მხოლოდ პოზიტიურ მიზანზე — „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს“ ორიენტირებული.

სიტუაციის შეცვლა არც ძლიერ ეკონომიკას და არც მოხერხებულ პროპაგანდას არ შეუძლია, ერის მომზადება ამ მისიის შესრულებისთვის, სავარაუდოდ, მხოლოდ განათლებას ძალუძს. ჰუმბოლდტის რეფორმა მიწასთან გასწორებულ, შეურაცხყოფილ პრუსიაში დაიწყო და მისი ნაყოფი, საბოლოო ჯამში, ერთიანი, დიადი გერმანია გახდა, რაც დაადასტურა კიდეც ოტო ფონ ბისმარკმა თავისი ცნობილი ფრაზით მასწავლებელზე, რომელმაც ომი მოიგო. საინტერესოა, ვინ მოიგო დიდგორი? **ოდესმე თუ დავფიქრებულვართ იმ ბერებზე, რომლებიც წელში გაწყვეტილ საქართველოში ბავშვებს წერა-კითხვას ასწავლიდნენ და ეუბნებოდნენ რაღაც ისეთს, რამაც ათწლეულების შემდეგ, 1121 წლის 12 აგვისტოს მისცა შინაგანი ძალა იმისთვის, რომ ხმლით ხელში მტრის მორევში გადაშვებულიყვნენ, ხოლო შემდეგ ქვეყანა ისე მოეწყოთ, რომელიც დღესაც მიუწვდომელ იდეალად რჩება? გერმანელები სავსებით სამართლიანად ამაყობენ იმ როლით, რომელიც მათი ქვეყნის აღზევებაში ბერლინის უნივერსიტეტმა შესრულა და, ალბათ, არც ჩვენ უნდა დავივიწყოთ, რომ დიდგორისკენ მიმავალმა გზამ იყალთოს და გელათის აკადემიებზე გაიარა.**

ასე შორს რომ არ წავიდეთ, შეგვიძლია 1879 წელი და „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ გავიხსენოთ. ეს სტრატეგიული ხასიათის არჩევანი იყო, რომლის გარეშე, საქართველო დღეს გაცილებით შეჭირვებულ, განუვითარებელ მდგომარეობაში იარსებებდა (თუ იარსებებდა!). თავი დავანებოთ იმ ბანალურ ჭეშმარიტებას, რომ საქართველომ XXI საუკუნეში წარმატების მიღწევისთვის ინვესტირება ცოდნაში უნდა მოახდინოს (სხვა რამდენადმე ღირებული ალტერნატივა მას, უბრალოდ, არ აქვს). აქ მთავარი, ალბათ, სხვა რამ არის. **ახალი საგანმანათლებლო რევოლუციის გარეშე ქართული საზოგადოება თავს საკუთარი ქვეყნის პატრონად, სავარაუდოდ, ვერ იგრძნობს და, შესაბამისად, დამოუკიდებელ, ღირსეულ სახელმწიფოს ვერ შექმნის. ამ შემთხვევაში მხოლოდ ისღა დაგვრჩება, რომ ვუყუროთ, თუ როგორ ასრულებენ ჩვენი გაუმაძღარი ბელადები რიტუალურ ცეკვებს ვაშინგტონში და მორჩილად დაველოდოთ, რომელ მათგანს გამოარჩევს ბატონი.**

**დიმიტრი მონიავა**




**დღევანდელი ქართული პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლების შესაძლებლობების მაქსიმუმს, სავარაუდოდ, უცხო სახელმწიფოს გუბერნატორის როლის შესრულება წარმოადგენს, რომელიც ზედმიწევნით ზუსტად შეასრულებს ინსტრუქციებს იმის თაობაზე, თუ რა მოიმოქმედოს საკუთარ ქვეყანაში, სად გაგზავნოს ომში ადგილობრივი კონტინგენტი და რომელ ბანკში შეინახოს პირადი სახსრები**




**სტრატეგიული თვალსაზრისით, საქართველო მომავალ საპარლამენტო არჩევნებში უკვე დამარცხდა, რადგან მათში, ისევე როგორც ზოგადად ქვეყნის ცხოვრებაში, უცხო ქვეყნის უზომო ჩარევა დაუშვა. რაც შეეხება ვაშინგტონის სავარაუდო პოზიციას მომავალი არჩევნების დროს, ის საქართველოში აშშ-ის გავლენის გაფართოებას უზრუნველყოფს.**

## ისრაელი ირანს გაზაფხულზე დაარტყამს

**აშშ-ის თავდაცვის მინისტრი ლეონ პანეტა დარწმუნებულია, რომ არსებობს სერიოზული საფრთხე იმისა, რომ ისრაელმა ირანის ბირთვულ ობიექტზე დარტყმა მიმდინარე წლის გაზაფხულზე განახორციელოს.** ეს განცხადება პანეტამ გაზეთ „ვაშინგტონ პოსტთან“ საუბარში გააკეთა. მისივე თქმით, დარტყმა შესაძლოა განხორციელდეს აპრილში, მაისში ან ივნისში, ანუ მანამ, ვიდრე ირანი ე.წ. იმუნიტეტის ზონას გადალახავს და ატომური ბომბის დამზადებას შეუდგება. აშშ-ის თავდაცვის მინისტრი ასევე აცხადებს, რომ მან და აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამაც „აუხსნეს ისრაელს, რომ აშშ ირანისათვის დარტყმის მიყენების წინააღმდეგია. მათ სჯერათ, რომ მზარდი საერთაშორისო სანქციები, რომლებიც ირანის მიმართ არის შემოღებული, ამ ისლამურ სახელმწიფოს საშუალებას არ მისცემს, სახიფათო ზღვარი გადალახოს“.



## რუსეთსა და უკრაინას შორის ახალი კრიზისი იწყება

**ევროპაში არსებული რეკორდული ყინვების პირობებში რუსეთსა და უკრაინას შორის გაზის მიწოდებასთან დაკავშირებით ახალი კრიზისი იწყება. უკრაინის ენერგეტიკის მინისტრის, სერგეი ბოიკოს განცხადებით, კონტრაქტის მიხედვით, ევროპის გაზმომარაგებისათვის „გაზპრომმა“ უკრაინას ყოველდღიურად 490 მილიონი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი უნდა მიაწოდოს.**

რუსეთი ხელშეკრულებას არღვევს და მხოლოდ 415 მილიონ კუბურ მეტრ გაზს აწვდის, ეს კი ევროპასაც აზარალებს. გაზმომარაგების პრობლემის წინაშე იტალია, ავსტრია, სლოვაკეთი და პოლონეთი დადგნენ. „გაზპრომი“ უკრაინის ბრალდებას უარყოფს და აცხადებს, რომ პირიქით, მიმდინარე ზამთარში კომპანიამ გაზმომარაგება არა მხოლოდ დასავლეთ ევროპის, არამედ დსთ-ს ქვეყნებსაც გაუზარდა.

ამბები

## რუსეთში ხელისუფლების მომხრეთა მიტინგზე 100 ათასზე მეტი ადამიანი მივიდა

**„პოკლონნაია გორაზე“ ხელისუფლების მომხრეთა მიტინგზე მყოფი ადამიანების რაოდენობამ 100 ათასს გადააჭარბა.** ინფორმაციას ამის შესახებ შს სამინისტროს მოსკოვის რაიონული სამმართველოს პრესსამსახური ავრცელებს. მისივე ინფორმაციით, მიტინგის დასრულების შემდეგ შედგება ოქმი აქციის ორგანიზატორთა მიმართ, სადაც მითითებული იქნება მათი პასუხისმგებლობა იმასთან დაკავშირებით, რომ აქციის მონაწილეთა რაოდენობამ თავიდან განცხადებულს გადააჭარბა. თავდაპირველად ორგანიზატორები აცხადებენ, რომ ხელისუფლების მომხრეთა აქციაზე დაახლოებით 15 ათასი ადამიანი მიიღებდა მონაწილეობას.

## ევროპაში სიცივეს 79 ადამიანი ემსხვერპლა

**ევროპის უმეტეს ნაწილში ყინვა რეკორდს აღწევს. ბოლო 6 დღის განმავლობაში სიცივეს 79 ადამიანი ემსხვერპლა.** მთელ რიგ ქვეყნებში მობილიზებულია სასწრაფო დახმარების ვერტმფრენები, რათა საჭიროების შემთხვევაში თოვლით დაფარული სოფლებიდან ხალხის ევაკუაცია განახორციელონ. რუმინეთში ტემპერატურა -32 გრადუსია, მაღალი ყინვის გამო შავი ზღვაც გაიყინა. ათასობით ადამიანი სიცივისგან დასაცავად თავშესაფრებში გადაიყვანეს. სინოპტიკოსები საიმედო პროგნოზებს ჯერჯერობით ვერ აკეთებენ.

საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ინტერვიუ

# «რაც შეეხება იმას, რომ თურმე ბურჯანაძე პუტინს ელაპარაკება, რა, ბიძინა ივანიშვილი თუ მოვა ხელისუფლებაში, პუტინს არ დაელაპარაკება?»

## ნინო ბურჯანაძე:

# საქართველომ ან საკუთარ ტერიტორიებზე უნდა თქვას უარი, ან ნატოში გაწევრიანებაზე



## «თუ არჩევნები იმისთვის ჩატარდება, რომ ვანო მერაბიშვილისა და მიხეილ სააკაშვილის წინასწარ დადგენილი ციფრები ოფიციალურად დაამტკიცონ, მე ამაში მონაწილეობას არ მივიღებ»

**„როცა ოპოზიციის მთავარი ამოცანაა, ბურჯანაძეს ებრძოლოს და არა სააკაშვილს, რა თქმა უნდა, სააკაშვილიც მშვიდად იქნება“, — აცხადებს „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოსთვის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე. თუ რომელ ოპოზიციურ ძალასთან ითანამშრომლებს და მიიღებს თუ არა მომავალ არჩევნებში მონაწილეობას, ასევე, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ნინო ბურჯანაძე ესაუბრა.**

**— თქვენი განცხადება, რომ ბრძოლის გაგრძელებას აპირებთ, ბუნებრივია, ნიშნავს, რომ არჩევნებშიც მიიღებთ მონაწილეობას, როგორ მოახერხებთ თქვენს უპირატესობაში საზოგადოების დარწმუნებას?**

— ჩვენ ბრძოლა ერთი წუთით არ შეგვიწყვეტია. მე ოპოზიციას არ ვეომები და ვეჯიბრები, მე ხელისუფლებას ვებრძვი. ხელისუფლება წავიდეს და შემდეგ უკვე საზოგადოებამ მიიღოს გადაწყვეტილება, რომელ ოპოზიციურ პარტიას აირჩევს. ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები კი ისე საუბრობენ, თითქოს მიხეილ სააკაშვილი უკვე წასულია, არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობა“ დავამარცხეთ და მხოლოდ ისღა დაგვრჩა გასარკვევი, რომელი ოპოზიციური პარტია სჯობს.

თქვენ ბრძანეთ, რომ ბუნებრივია, მონაწილეობას მიიღებთ არჩევნებშიო, საქართველოში ბუნებრივი არაფერი არ არის, ვინაიდან არაბუნებრივ გარემოში ვცხოვრობთ. პირდაპირ გეუბნებით, არჩევნებში მხოლოდ იმ შემთხვევაში მივიღებ მონაწილეობას თუ ამას აზრი ექნება და არჩევნები მინიმალურად მაინც იქნება სამართლიანი და დემოკრატიული. თუ არჩევნები იმისთვის ჩატარდება, რომ ვანო მერაბიშვილისა და მიხეილ სააკაშვილის წინასწარ დადგენილი ციფრები ოფიციალურად დაამტკიცონ, მე ამაში მონაწილეობას არ მივიღებ.

**— მას შემდეგ რაც ხელისუფლებამ კანონში „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ მთელი რიგი ცვლილებებისა განახორციელა, როგორ ფიქრობთ, ოპოზიციას აქვს გამარჯვების შანსი?**

— თუ ოპოზიცია, მეორე ან მესამე ადგილზე გასასვლელად კი არა, არჩევნების მოსაგებად და საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად რეალურად იბრძოლებს, რა თქმა უნდა, მოგების შანსიც ექნება, მაგრამ ჯერჯერობით მე ოპოზიციის ბრძოლას ვერ ვხედავ, მხოლოდ განცხადებებს ვისმენ.

ბატონი ბიძინა ბოლო განცხადებაში ამბობს, რომ ქუჩის აქციებსაც არ გამორიცხავს, რაც ნიშნავს, რომ ბიძინა ივანიშვილი ხვდება, რომ სწორედ ბურჯანაძე ამბობს სიმართლეს და არა სხვები.

**— როგორ გგონიათ, იბრძოლებს ოპოზიცია? თქვენ ახსენეთ, რომ რიგი ოპოზიციური პარტიებისა თანახმა არიან, მეორე-მესამე ადგილებს დასჯერდნენ.**

— იცით, მე არ ვამბობ ამას, ისინი ყველაფერს თავად ამბობენ საკუთარ ინტერვიუებში. **არსებობენ პოლიტიკური პარტიები, მათ შორის ბიძინა ივანიშვილის ირგვლივ, რომლებიც ღიად აცხადებენ, რომ მათთვის მეორე ადგილი პრობლემას არ წარმოადგენს და მზად არიან, ხელისუფლებასთან ითანამშრომლონ. აცხადებენ, რომ მომავალი საპარლამენტო არჩევნების დროს გიგა ბოკერია იქნება ოპოზიციის უფლებების დამცველი. თუ ასეთი დემოკრატია გიგა ბოკერია და ასეთი არაჩვეულებრივი ურთიერთობა აქვთ მასთან, მივიდნენ და 26 მაისის შემდეგ ტყუილუბრალოდ 40 პოლიტპატიმარი რომ ზის ციხეში, მათი უფლებები დაიცვან. მათი ამოცანაა, პარლამენტში 5-10 კაცით შევიდნენ, თუნდაც 30 კაცით რომ შევიდეს კოალიცია პარლამენტში, ეს რას შეცვლის?**

**ალმოჩნდა, რომ ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის ახალგაზრდა სახეების ოცნება მომავალ პარლამენტში ჩიორა თაქთაქიშვილთან, აკო მინაშვილთან, ბოცო წიკლაურთან და გოკა გაბაშვილთან თანამშრომლობა ყოფილა. ასეთ ადამიანებთან საერთო ენას ვერ გამოვნახავ. ძალიან მოაქვთ თავი, რომ პროდასავლურები და პროგრესულები ვართო, და ჩიორა თაქთაქიშვილთან თანამშრომლობაზე კი ოცნებობენ. მე ამაზე ნამდვილად ვერ ვიოცნებებ. რომ ვახსენებ ჩიორა თაქთაქიშვილს, მეცინება; რას ვერჩი, მაგრამ იქნებ ეს ბავშვი ოდესმე გონს მოვიდეს.**

**— თქვენ ბიძინა ივანიშვილთან თანამშრომლობა გსურდათ, მაგრამ მან სხვა ოპოზიციურ პარტიებთან ურთიერთობა არჩია. როგორ ფიქრობთ, რატომ აღმოჩნდნენ მისთვის უფრო მისაღები რესპუბლიკელები და თავისუფალი დემოკრატები?**

— ეს ბიძინა ივანიშვილს უნდა ჰკითხოთ. როგორც მისი ინტერვიუებიდან ირკვევა, ბიძინა ივანიშვილმა ბევრი რამ არ იცის მის ირგვლივ მყოფი ადამიანების შესახებ, რაც, ერთის მხრივ, გასაგებია — ის არ იყო პოლიტიკაში და არ იცნობდა პოლიტიკური პარტიების განცხადებებს, მაგრამ, როცა უკვე პოლიტიკაში ხარ და ამდენ ადამიანს აქვს შენი იმედი, უნდა იცოდე, რა პოზიციები აქვთ შენს პოლიტიკურ პარტნიორებს. **რესპუბლიკელებისა და ალასანიას ზოგიერთ განცხადებაზე ივანიშვილი ამბობს, რომ არ ვიცი, არა მგონია, მათ ეს ეთქვათო. ვფიქრობ, ალბათ, გარკვეული დროა კიდევ საჭირო, რათა ბიძინა ივანიშვილმა ქართული პოლიტიკური რეალობა სწორად დაინახოს.**

**— თქვენი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური ხედვა რადიკალურად განსხვავდება, თუნდაც ხვალვე რომ შემოგთავაზოთ ივანიშვილმა კოალიციაში გაწევრიანება, როგორ წარმოგიდგენიათ მათთან თანამშრომლობა?**

— ნებისმიერ პოლიტიკურ ძალასთან ვითანამშრომლებ, რომელიც რეალურად ხელისუფლების შეცვლისთვის იბრძვის, რომელსაც უყვარს ქვეყანა. **რა თქმა უნდა, ჩემი და რესპუბლიკელების ხედვა განსხვავდება ერთმანეთისგან, ვინაიდან მე არასდროს ვილაპარაკებ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების დამოუკიდებლობაზე. რა თქმა უნდა, ჩემი და ალასანიას პრინციპები განსხვავდება ერთმანეთისგან, რადგან ალასანიას პოლიტიკურ გემოვნებაში ბოცო წიკლაური, გიგა ბოკერია, ჩიორა თაქთაქიშვილი და ვანო მერაბიშვილი ჯდებიან.**

**მე არ მგონია, „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში დატოვება და მისთვის პასუხის არმოთხოვნა დემოკრატიული ფასეულობები იყოს. ვფიქრობ, რომ დემოკრატია თავისუფალი სასამართლოს არსებობაა, რომელიც გადაწყვეტს, „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები არიან ქვეყნის წინაშე დამნაშავენი თუ არა.**

საგარეოპოლიტიკურ ორიენტაციას რაც შეეხება, ძალიან მაინტერესებს, სად წაიკითხა ბიძინა ივანიშვილმა, რომ ნინო ბურჯანაძე პროდასავლური ფასეულობების მომხრე არ არისო. თუ პროდასავლურობა ილია ჭავჭავაძის უარყოფას ნიშნავს, როგორც მისი თანაგუნდელები უარყოფენ, მაშინ ნამდვილად არ ვარ პროდასავლური. მათგან განსხვავებით, ჩემთვის პროდასავლურობა ადამიანის უფლებების დაცვა, მედიისა და სასამართლოს თავისუფლება, ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვაა. სწორედ ამ ფასეულობების მომხრე ვარ.

**— ანუ ამბობთ, რომ თქვენი პარტია პროდასავლური ორიენტაციისაა?**

— ჩემი პარტია პროქართულია. რატომ უნდა ვიყო პროამერიკული, პროევროპული ან პრორუსული? რაც შეეხება იმას, რომ თურმე ბურჯანაძე პუტინს ელაპარაკება, ბიძინა ივანიშვილი თუ მოვა ხელისუფლებაში, რა, პუტინს არ დაელაპარაკება?

**— ბიძინა ივანიშვილი და მის გარშემო კოალიციაში გაწევრიანებული პარტიები აცხადებენ, რომ რუსეთთანაც მოაგვარებენ ურთიერთობას და ნატოშიც გაწევრიანდება საქართველო. რამდენად შესაძლებელია ამგვარი საგარეოპოლიტიკური კურსის განხორციელება?**

— რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება ნამდვილად შესაძლებელია, ამაში დარწმუნებული ვარ, მაგრამ ნატოში გაწევრიანების უახლოესი პერსპექტივა გამორიცხულია. **დღესვე რომ გვითხრან, ნატოში მიგიღებთო, გამოდის, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარეშე უნდა გავწევრიანდეთ. თუ ვინმე ამაზე თანახმაა, არ ვიცი. ქვეყანა, რომლის ტერიტორიაზეც რუსული ბაზებია განლაგებული, არჩევანის წინაშე დგება: ან საქართველომ საკუთარ ტერიტორიაზე უნდა თქვას უარი, ან ნატოში გაწევრიანებაზე. სააკაშვილი პროდასავლური პოლიტიკოსი არ არის, მან ყველაზე მეტად გაუკეთა რუსეთს თავისი საქმე და, მათ შორის, ნატოში გაწევრიანებაც შორეულ პერსპექტივად აქცია, თუ საერთოდ არ გაანადგურა.**

**— თუმცა, როდესაც რუსეთის პატრიარქმა „ბოდიშის წერილი“ გამოგიგზავნათ, ამას გარკვეული მითქმა-მოთქმა მოჰყვა...**

— არანაირი მითქმა-მოთქმის საბაბი ეს არ იყო. მე ძალიან ვაფასებ რუსეთის პატრიარქისგან გამოწვდილ მეგობრულ ხელს და მის განცხადებას, რომ ჩვენი მართლმადიდებლური ეკლესიის საზღვრებს პატივს სცემს რუსეთის საპატრიარქო. **როდესაც რუსეთის პატრიარქმა ბრძანა, რომ მზად არის, ილორის წმინდა გიორგის ეკლესიის საკითხებით დაინტერესდეს და, თუ აღმოჩნდება, რომ შეგნებულად არის ეკლესიის სახე დამახინჯებული, საკუთარი ხარჯით აღუდგენს ეკლესიას პირვანდელ სახეს, მის განცხადებას სრული იგნორირება მოჰყვა, არამარტო ხელისუფლების, არამედ ოპოზიციის მხრიდანაც. რატომ არც ერთმა ოპოზიციონერმა არ დაუჭირა მხარი საქართველოს საპატრიარქოს მოთხოვნას, პირდაპირი მოლაპარაკებები დაწყებულიყო რუსეთის საპატრიარქოსთან? მხოლოდ იმიტომ, რომ ქულები ბურჯანაძეს დაეწერებოდა? არა უშავს, ილორის ეკლესია დაზიანებული იყოს, მთავარია, ბურჯანაძეს ქულები არ დაეწეროს? როცა ოპოზიციის მთავარი ამოცანაა, ებრძოლოს ბურჯანაძეს და არა სააკაშვილს, რა თქმა უნდა, სააკაშვილიც მშვიდად იქნება.**

**— როგორ ფიქრობთ, კონკრეტულად ვინ გებრძვით?**

— კი არ ვფიქრობ, ზუსტად ვიცი, ვინც მებრძვის. გადახედეთ ოპოზიციონერთა განცხადებებს, ჩემი ხელისუფლებიდან წამოსვლის პირველივე დღიდან ანტიბურჯანაძისეული კოალიციები იქმნებოდა და დღესაც, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები ბურჯანაძის კრიტიკას მეტ დროს უთმობენ, ვიდრე სააკაშვილისას.

**— ობამა-სააკაშვილის ვიზიტს საზოგადოების ნაწილი წარმატებულად აფასებს, ნაწილი კი პირიქით ფიქრობს. თქვენ როგორ აფასებთ ორი პრეზიდენტის შეხვედრას, რა შედეგს მოუტანს ის საქართველოს? და კიდევ: თქვენ ცოტა ხნის წინ განაცხადეთ, რომ სააკაშვილს აშშ-ის მიმართ მონური დამოკიდებულება აქვსო, რაში გამოიხატება ეს დამოკიდებულება?**

— რით იყო ეს ვიზიტი წარმატებული და რა მოუტანა ქვეყანას? მონური დამოკიდებულება იმაში გამოიხატება, რომ სააკაშვილის ხელისუფლება სკამის შესანარჩუნებლად ყველაფერს გააკეთებს. ყველა ქვეყანას ავღანეთიდან ჯარი გამოჰყავს ან ამცირებს კონტინგენტს, ქართველები კი პირიქით, ზრდიან ჯარისკაცების რაოდენობას. სააკაშვილის მხრიდან ეს არის ჩვენი ბიჭების სისხლით ვაჭრობა. რა თქმა უნდა, ავღანეთში უნდა იყოს ქართული ჯარი, მაგრამ არა ამ რაოდენობით. არ შეიძლება ავღანეთში ნატოს წევრ სახელმწიფოებზე მეტი ჯარისკაცი საქართველოს ჰყავდეს.

**— გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბადრი ბიწაძე ხელისუფლებამ გარკვეული გარიგების სანაცვლოდ გაუშვა. სად იმყოფება ამჟამად თქვენი მეუღლე?**

— სად იმყოფება ბადრი ბიწაძე, ამის თქმას ნამდვილად არ ვაპირებ, რადგან მას ხელისუფლების მხრიდან საფრთხე ემუქრება. გაუშვა თუ არა ხელისუფლებამ ჩემი მეუღლე, დასკვნა ხალხმა გამოიტანოს. შეიძლება ვინმე ჭკვიანმა ხელისუფლებაში თქვა, რომ არ ღირდა ბადრი ბიწაძის დაკავება, რადგან ხელისუფლებისთვის ბიწაძის დაპატიმრება მომგებიანი არ იქნება — მას ვერც აღიარებით ჩვენებას მიაცემინებენ და ვერც ტელეკამერის წინ ატირებენ, გმირადქცეული ბიწაძე კი არ აწყობთ.

**საზოგადოებამ მინდა კარგად გააცნობიეროს, რომ ჯერ სააკაშვილი წასულა თანამდებობიდან და არც არსად წასვლას არ აპირებს. შემთხვევით არ უთქვამს, 17 წლის შემდეგ დავწერ მემუარებსო... ავტოკრატიული რეჟიმის არჩევნების გზით შეცვლა მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს. თუ ხელისუფლების შეცვლას ვაპირებთ, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ არჩევნები არჩევნებამდე მოვიგოთ.**

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

**„თავი უნდა შევიკავოთ ისეთი ფორმულირების გამოყენებისგან, როგორიცაა „საქართველოს სამხედრო პლაცდარმად გამოყენება“, — ასე გამოეხმაურა ვაშაკიძე ტრადიციულ ბრიფინგზე ტელეკომპანია „მაესტროს“ ჟურნალისტის კითხვას, რომელიც უკავშირდებოდა საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილის — ბათუ ქუთელიას განცხადებას „აშშ-ის სამხედრო ოპერაციებში საქართველოს პლაცდარმად შესაძლო გამოყენების შესახებ“**

## ვაი ქვეყნისაგან

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პლაცდარმი — ობამას; ტახტი — მიშას; სპარსეთის რისხვა — საქართველოს!



**კითხვაზე — დაიწყებს თუ არა ომს ამერიკა ირანთან? — ექსპერტები და პოლიტიკოსების უმრავლესობა აღარ დავობენ. პასუხი ნათელია: ომი ირანთან, სავარაუდოდ, მაისის ბოლოს ან ივნისში დაიწყება.**
**ამის დამალვას დიდად არც ოფიციალური ვაშინგტონი ცდილობს. „საქართველო და მსოფლიო“ უკვე წერდა, რომ არის სერიოზული ნიშნები, რომლებიც ცალსახად ადასტურებს, რომ ამ ომში საქართველო, მინიმუმ არაპირდაპირ, მიიღებს მონაწილეობას. სააკაშვილის ობასთან შეხვედრამდე ვწერდით, რომ თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფო თითქმის დაცარიელებულია იმის გამო, რომ ომის დაწყების შემთხვევაში ის ამერიკელ სამხედროთა განმგებლობაში გადავა — სამხედრო ჰოსპიტლად გადაკეთდება და ამ ომში დაჭრილ ამერიკელ სამხედროებს მოემსახურება.**

**„საქართველო და მსოფლიოს“ კონფიდენციალურად აცნობეს, რომ საქმე მარტო საქართველოს საავადმყოფოებში დაჭრილი ამერიკელი ჯარისკაცების ევაკუაციასა და ქართველი ექიმების სამხედრო სამედიცინო პროგრამით გადამზადებას არ ეხება.**

წყაროს ინფორმაციით, თავდაცვისა და ჯანდაცვის სამინისტროების გასაიდუმლოებული ექსპრესპროგრამით, გორის სამხედრო ჰოსპიტალში გადამზადებას გაივლიან ქართველი ექიმები. მათ კვალიფიკაციის ამაღლებაზე, სამხედრო მედიცინის განხრით, ისევ ქართველები იზრუნებენ. ეს მედიკოსთა ის კონტინგენტია, რომელმაც 2006-07 წლებში ნატოს პროგრამით ამერიკაში გაიარა სპეციალური 3-თვიანი მომზადება. ექიმებთან ერთად მაშინ ექთნებიც მოამზადეს (80 ექიმი და 20 ექთანი). გარდა ამისა, მაშინ ამ პროგრამაში ჩართული იყო 30 ქართველი ექიმი-ფსიქოლოგი, რომლებიც სამხედრო მედიცინის ფსიქოლოგიის განხრით გადააკვალიფიცირეს. მათ 2-თვიანი სტაჟირება 2006 წელს გაიარეს.

წყაროს ინფორმაციით, პროგრამა 15 თებერვალს დაიწყება და 3 თვეს გასტანს — 15 მაისს დასრულდება. **პროგრამის მიხედვით, უნდა გადამზადდეს 3000 ექიმი და 2000 ექთანი. ამ 3 ათასში ექიმი-ფსიქოლოგებიც იგულისხმებიან. პროგრამის მესვეურნი სამხედრო ექიმთა, ანუ მასწავლებელთა რაოდენობას არ უჩივიან, მაგრამ, ცხადია, გორის ჰოსპიტალი 3 თვეში 5000 კაცის გადამზადებას ვერ აუვა, ამიტომ არ არის გამორიცხული, პროგრამაში ჩართონ რომელიმე სამოქალაქო ტიპის საავადმყოფო (შესაძლოა, რემონტის ან სხვა მიზეზით, რომელიმე სახელმწიფო-კლინიკური საავადმყოფო დახურონ და სამხედრო ექიმებმა იქ გაიარონ სწავლება) ან რომელიმე კერძო კლინიკა. ცხადია, ვერც ერთი კლინიკის მფლობელი თავდაცვის მინისტრის ნებას ვერ გადავა, მით უფრო, რომ ეს პრეზიდენტის დავალებაა და, როგორც ჩანს, ქართულ-ამერიკული სამხედრო-სტრატეგიული თანამშრომლობის ხელშეკრულების რეალურად ამუშავების პირველი ნიშნები. ასეა, რადგან ამ პროგრამაში ნატო არ ფიგურირებს და ამ ეტაპზე მარტო ამერიკული ინტერესები იკვეთება.**

**საგულისხმოა ისიც, რომ ამ ვითომ გასაიდუმლოებულ პროგრამაში საქართველოში ახლადგახსნილი კლინიკების ექიმებთან და ექთნებთან ერთად ჩართავენ იმ რეგიონებში მომუშავე მედპერსონალსაც, სადაც ახალი კლინიკები ჯერაც არ გახსნილა. ამასთან, ყველას წინდაწინ ეცოდინება, გამოძახების შემთხვევაში, რომელი რაიონის კლინიკას უნდა მიაშუროს.**

განსაკუთრებით საგანგაშოა ის გარემოება, რომ ობამა-სააკაშვილის შეხვედრასთან დაკავშირებული საშიში მოლოდინი, რომ ეს შეხვედრა ირანთან საომარი მოქმედებების შემთხვევაში ამერიკელების მიერ საქართველოს ტერიტორიებისა და სამხედრო ინფრასტრუქტურის თეირანის წინააღმდეგ გამოყენებას შეეხებოდა, გამართლდა. ამის შესახებ საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილეს, აშშ-ში ყოფილ ელჩს და თავდაცვის მინისტრის ყოფილ მოადგილე ბათუ ქუთელიას „წამოცდა“. ეს იმდენად მოულოდნელი და უხერხული „თვითილუსტრირება“ აღმოჩნდა ხელისუფლებისთვის, რომ ქუთელიას განცხადების გამო, თავის მართლება ჯერ პარლამენტის თავმჯდომარეს — დავით ბაქრაძეს, ხოლო შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესაც მოუწია. **საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის — ნიკოლოზ ვაშაკიძის აზრით, „თავი უნდა შევიკავოთ ისეთი ფორმულირების გამოყენებისგან, როგორიცაა „საქართველოს სამხედრო პლაცდარმად გამოყენება“. ასე გამოეხმაურა ვაშაკიძე გუშინ გამართულ ტრადიციულ ბრიფინგზე ტელეკომპანია „მაესტროს“ ჟურნალისტის კითხვას, რომელიც უკავშირდებოდა საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილის — ბათუ ქუთელიას განცხადებას „აშშ-ის სამხედრო ოპერაციებში საქართველოს პლაცდარმად შესაძლო გამოყენების შესახებ“** (სააგენტო „პირველი“).

არადა, ომი რომ აუცილებლად დაიწყება, ამას ნათლად მოწმობს ისიც, რომ **„აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ამერიკის ტერიტორიაზე ირანის ყველა სახელმწიფო აქტივის გაყინვასთან დაკავშირებით განკარგულება გასცა,“ — ამის თაობაზე „ფრანს-პრესი“ იუწყება.**

**ობამას განცხადებით, ასეთი ზომები მას საშუალებას მისცემს, ძლიერი ზეწოლა მოახდინოს ირანის ცენტრალურ და სხვა ბანკებზე, რომლებმაც, მისი თქმით, საერთაშორისო სანქციების გვერდის ავლით საკუთარი ტრანზაქციების დაფარვა ისწავლეს. როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, ახალი შეზღუდვები კიდევ უფრო გაართულებს საზღვარგარეთ ირანული ბანკების მუშაობას“** (ინტერპრესნიუსი).

ჩვენ სხვა ანალოგიური წინასაინტერვენციო სიტუაციებიდან (სერბეთი, ერაყი, სირია) ნათლად გვახსოვს, რომ ომს წინ ჯერ საინფორმაციო მომზადება, ხოლო შემდეგ საბანკო არჩევნებისა და ანგარიშების გაყინვა უსწრებს ხოლმე. ირანთან ომმა საინფორმაციო მომზადება უკვე გაიარა, ახლა საბანკო ანგარიშების გაყინვისა და „წერტილოვანი დაბომბვების“ ჯერი დგება.

„საქართველო და მსოფლიო“ უკვე წერდა, რომ თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მიმდინარე პროცესები და გორის სამხედრო ჰოსპიტალში ქართველი ექიმების გადამზადება ამერიკის ირანის წინააღმდეგ მოსალოდნელ საომარ კამპანიას უკავშირდება. **არც თუ დიდი ხნის წინ, ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილ შეფს და თავდაცვის ექსმინისტრ რობერტ გეიტსს „წამოსცდა“, რომ, თუ ამერიკა ირანს დაარტყამს, ეს ივნის-ივლისამდე არ მოხდება.** თუმცა ექსპერტები და რიგი ოფიციალური პირები ღიად საუბრობენ, რომ ირანის წინააღმდეგ საომარი მოქმედებები, შესაძლოა, მაისში დაიწყოს. თავდაპირველად ამ მოქმედებებს ისრაელი წამოიწყებს, აშშ კი მათ მოგვიანებით შეუერთდება.

**სავარძლისა და ძალაუფლების შესანარჩუნებლად სააკაშვილმა ამერიკულ მხარეს ირანთან საომრად საქართველოს ტერიტორიების გამოყენებაზე თანხმობა რომ მისცა, ისიც მოწმობს, რომ ქართველი მედიკოსების სასწრაფოდ, ექსპრესრეჟიმში გადამზადების პროცესი 15 მაისს დამთავრდება.**

ამ დროს ამერიკა მზად იქნება ომისთვის. ისეთი ინფორმირებული და წონიანი პოლიტიკოსი, როგორიც რობერტ გეიტსია, სიტყვებს ჰაერში არ ისვრის.

საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან ასეთი თანხმობის დასტურად შეიძლება გამოდგეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება — იყო დრო, ბაჩო ახალაიას საქართველოს თავდაცვის მინისტრად დანიშვნით ამერიკის პოლიტიკური ისტებლიშმენტს პირკატა ეცა. 2008 წლის ომის შემდეგ დავით კეზერაშვილის ადგილზე სააკაშვილმა მცირე ხნით „თავისუფლების ინსტიტუტის“ ერთ-ერთი ფავორიტი, გიგა ბოკერიას მეგობარი და იდეური თანამოაზრე, დავით სიხარულიძე დანიშნა. მაგრამ სიხარულიძემ ერთ წელსაც ვერ გაძლო მინისტრად და ის ბაჩო ახალაიამ შეცვალა. „ვიკილიქსის“ მიერ გამოქვეყნებული ერთ-ერთი მასალა სწორედ ამ მოვლენებს ეძღვნება. კერძოდ, 2009 წლის ივლისში ამერიკის ელჩი საქართველოში, ჯონ ტეფტი, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისთვის გაგზავნილ საიდუმლო ტელეგრამაში ასეთ პოზიციას აფიქსირებს: **„მიხეილ სააკაშვილმა მოხსნა პროამერიკელი დავით სიხარულიძე და გენერალური შტაბის უფროსი ვლადიმერ ჩაჩიბაია“.** ტეფტი შეშფოთებას გამოთქვამს, რომ სიხარულიძის ნაცვლად, სააკაშვილმა თავდაცვის მინისტრად დანიშნა „მკაცრი ხელი“ — ბაჩო ახალაია. ტეფტი ეჭვს გამოთქვამს, შესძლებს თუ არა ახალაია, გააგრძელოს **„ქართულ-ამერიკული სამხედრო თანამშრომლობის ხაზი და უფრო წარმატებული გახადოს ის“**.

მოკლედ, დიდი სიხარულით არ შეხვდნენ ამერიკელი დიდმოხელენი ახალაიას გათავდაცვისმინისტრებას. თუმცა, როგორც ჩანს, ამერიკელები, ოღონდ საქართველო ირანის წინააღმდეგ პლაცდარმად თუ არა, საჭიროებისამებრ მოკავშირედ გაიხადონ, ყველაფერზე მიდიან. ახალაიას გამოუცდელობა, საეჭვო მენეჯერული პოტენციალი და მრავალი კითხვის ნიშანი მასთან დაკავშირებით მყისვე მოიხსნა, როგორც კი ამერიკულ ინტერესებს საქართველოს ხელისუფლების დახმარება დასჭირდა. **ბაჩო ახალაია, რომელიც 2009 ივლისიდან 30 თვის განმავლობაში ამერიკის თავდაცვის სამინისტროს არც ერთ გავლენიან ჩინოსანს არ შეხვედრია, უცებ ჩაიხუტეს ამერიკელებმა — 2 თებერვალს, ბრიუსელში, ნატოს თავდაცვის მინისტრების შეხვედრაზე, ახალაია თავად თავდაცვის მინისტრს, ლეონ პანეტას შეხვდა. ახალაია ბრიუსელის სამიტს შარშან და შარშანწინაც ესწრებოდა, მაგრამ ამერიკელებს ახლოს არ გაუკარებიათ. როგორც ჩანს, სწორედ მოსალოდნელმა ომმა, ამ ომში საქართველოს როლმა და მასთან დაკავშირებულმა დეტალებმა დააჩქარა პანეტა-ახალაიას შეხვედრა.** ცხადია, პანეტამ ახალაიას კონკრეტული დავალება მისცა, მისგან კი საჭირო ინფორმაცია მიიღო. ასევე ცხადია, რომ პანეტას დავალებები მარტო ექიმების სამხედრო წესით სტაჟირებითა და საქართველოს საავადმყოფოების სრულ მზადყოფნაში მოყვანით არ შემოიფარგლებოდა.

მიხეილ სააკაშვილი, აშკარაა, ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით, ყველაფერზეა წამსვლელი. ამერიკელმა პატრონებმა რომ დაავალონ, ის ჯარსაც გაგზავნის ირანში, არათუ დაჭრილ ამერიკელ ჯარისკაცებს მიიღებს. შესაძლოა, ამ ომმა სააკაშვილსა და „ნაცმოძრაობას“ მართლა გაუხანგრძლივოს ხელისუფლებაში ყოფნა, მაგრამ ირან-ამერიკის ომში საქართველოს ნებისმიერი ფორმით ჩართვა, კატასტროფა იქნება საქართველოსთვის. ჯერ კიდევ შარშან, სექტემბერში, ინკოგნიტო ქართველ მაღალჩინოსანზე დაყრდნობით, გამოცემა „ფორინნ პოლისი“ წერდა, რომ ირანის თავდაცვის სამინისტროსა და ხელისუფლების სხვა შტოების პირველი პირების პოზიცია ცალსახაა: **„თუ საქართველო ნებისმიერი ფორმით სამხედრო დახმარებას აღმოუჩენს ამერიკას, ირანი საქართველოს ამერიკის მოკავშირედ და მტრად განიხილავს, ირანის რეაქციაც, დიპლომატიურიც და სამხედროც, ადეკვატური იქნება“.** ეს გზავნილი პირველი გაფრთხილება იყო სააკაშვილისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ინკოგნიტოდ იქნა გამოგზავნილი.

თუმცა ღია გაფრთხილებამაც არ დააყოვნა. ირანის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჯადმა განაცხადა, რომ, თუ ამერიკა ირანს ომს გამოუცხადებს, ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც ნებისმიერი ფორმით დახმარებას აღმოუჩენს ამერიკას, ირანის ხელისუფლების მიერ განიხილება ამერიკის მოკავშირედ, ირანის მტრად და ირანის ხელისუფლება, შესაბამის სამხედრო ზომებს მიიღებს მის მიმართ. **„ნებისმიერი წერტილი, რომელიც მტრის მიერ გამოყენებული იქნება ირანის წინააღმდეგ მტრული ოპერაციის ჩასატარებლად, საპასუხო აგრესიას მიიღებს“,** — განაცხადა ისლამური რევოლუციის დამცველთა კორპუსის მეთაურის მოადგილემ ჰოსეინ სალიმმა.

სააკაშვილის მონდომებითა და ჩვენი „ამერიკელი პარტნიორების“ წყალობით, საქართველო რეალურად იქცა „წერტილად“, რომელსაც აჰმადინეჯადი და ჰოსეინ სალიმი „საპასუხო აგრესიის“ ობიექტად უკვე ოფიციალურად განიხილავენ.

ცხადია, რომ **თეირანი „ნებისმიერ ქვეყანაში, რომელზეც ირანი მიიტანს იერიშს“, უპირველესად, სწორედ საქართველოს გულისხმობს, თუნდაც ჩვენი ტერიტორიების ირანული რაკეტებისთვის ადვილი ხელმისაწვდომობის გამო.** ამაზე გასაგებად პოლიტიკოსები იშვიათად ლაპარაკობენ, ხოლო აჰმადინეჯადი არ არის ის ფიგურა, ვისი განცხადებების სერიოზულობაში ეჭვის შეტანის საბაბი არსებობდეს. ამის მიუხედავად, მიხეილ სააკაშვილი არ ისვენებს. ის ჯერ ბარაკ ობამამ დაიბარა და უკვე თვალსაჩინოა, მომავალ ომში ხელის ბიჭად გაიხადა, ხოლო პანეტა-ახალაიას შეხვედრა ამ ომში საქართველოს მონაწილეობის დეტალების დაზუსტების მიზნით შედგა და ამ ყველაფერმა, ადვილი შესაძლებელია, საქართველო საზარბაზნე ხორცად აქციოს.

**სააკაშვილი ისეა ჩაფრენილი პრეზიდენტის სავარძელს, იმასაც ვერ აცნობიერებს, რომ ამ ომიდან საქართველო ან საერთოდ ვერ გამოაღწევს, ანდა — უზარმაზარი ზარალით.** აჰმადინეჯადი ნამდვილად არ დაიშურებს ჩვენთვის რამდენიმე ბალისტიკურ რაკეტას, რომლებიც უპრობლემოდ მოსწვდება თეირანიდან საქართველოს ნებისმიერ წერტილს, თანაც საჰაერო თავდაცვითი სისტემები არ გაგვაჩნია, ობამა კი, რომც სურდეს, ხელით ვერ დაიჭერს ამ რაკეტებს.

სააკაშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის“ რეიტინგი კატასტროფულია. ამიტომ სააკაშვილმა ხელისუფლების შესანარჩუნებლად არჩევნები არნახულად უნდა გააყალბოს, ხოლო ამერიკამ და ევროკავშირმა უნდა „გაუპრავონ“ არჩევნებიც და შემდგომი ქმედებებიც, მაგრამ გაპრავების სანაცვლოდ საჭირო იყო თანაწონადი ხარკის გაღება... **და აი, ხარკიც გაღებულია, ირანთან ომიც კარსაა მომდგარი, ჩვენ კი, ქართველ ამომრჩევლებს, შემოდგომაზე ან ცეესკო დაგვთვლის წიწილებივით ან მიძელგაბრიელი, თუმცა სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა“ აქამდეც მიჩვეული იყვნენ არჩევნების „მკვდარი სულების“ ხარჯზე მოგებას.**

მანამდე კი ვიმარჩიელოთ: რომელ ბალისტიკურ რაკეტას გვესვრიან ირანიდან — „შაჰაბ-3“-ს თუ „შაჰაბ-4“-ს.

ბედის ირონიაა, რომ ამ რაკეტებს საქართველოს მრავალგზის ამომგდებისა და ამაოხრებლის, შაჰ-აბას I-ის სახელი ჰქვია.

ლევან ჯავახიშვილი

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ხელისუფლება ისტერიკაშია და მას უკვე სხვა გზა აღარ დარჩა, გარდა ვიღაც უცხოელ დიპლომატებთან ხეტიალისა. მოგეხსენებათ, ახლა ახლოვდება საპარლამენტო არჩევნები, შემდეგ საპრეზიდენტოც და ამათ უბრალოდ უნდათ, ბერკეტები შეინარჩუნონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სააკაშვილმა კარგად იცის, რომ შანსი აღარ რჩება, ამიტომ, ბუნებრივია, მან მუდმივად უნდა იძახოს, რომ ამ ქვეყანაში დაცულია ადამიანის უფლებები, რომ ვითარდება დემოკრატია, მოისპო კორუფცია და ა.შ., სინამდვილეში კი ყველამ კარგად ვიცით, რომ მისთვის სულ ერთია, აქ რა ხდება და საით მივყავართ ამ ყველაფერს.“



# ქეთი ბექაური: წალენჯიხის პოლიციის უფროსმა დაკავებულ არქანიას 20 ღერი სიგარეტი მიაწვა იღლიაში

## დღეს საქართველოში ყოველ მეხუთე ოჯახს ჰყავს პატიმარი, ყოველი 100 განაჩენიდან 99 უსამართლოა და ციხეში ორ კვადრატულ მეტრზე მოდის 10-15 მსჯავრდებული

**ადამიანის უფლებების დარღვევის ბოლოდროინდელ ფაქტებსა და სხვა მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ადვოკატი და უფლებადამცველი ქეთი ბექაური.**

**— ქალბატონო ქეთი, მთელი ეს დღეები, რაც სააკაშვილი ვაშინგტონში ოფიციალურ შეხვედრებს მართავდა, თითქმის ყველა მისი გამოსვლა იწყებოდა იმის ხაზგასმით, რომ საქართველოში დემოკრატიული პროცესები სწრაფად ვითარდება, რომ ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმების შედეგად ქვეყანაში ადამიანის უფლებები დაცულია და ა.შ. რამდენად რეალურია ეს ყველაფერი და, თქვენი აზრით, თავის მხრივ, ამერიკელი დიპლომატები როგორ აღიქვამენ ამ განცხადებებს?**

— ის, რომ მიხეილ სააკაშვილი თავის „ნაციონალურ ამალასთან“ ერთად კარდაკარ დაძრწის სხვადასხვა ქვეყნის პირველ პირებთან და თავს იწონებს მათ წინაშე დემოკრატიით, რომელიც თურმე ყვავის ჩვენს ქვეყანაში, არ ნიშნავს, რომ მისი საქმე კარგადაა. პირიქით, ეს იმაზე მეტყველებს, რომ **ხელისუფლება ისტერიკაშია და მას უკვე სხვა გზა აღარ დარჩა, გარდა ვიღაც უცხოელ დიპლომატებთან ხეტიალისა. მოგეხსენებათ, ახლა ახლოვდება საპარლამენტო არჩევნები, შემდეგ საპრეზიდენტოც და ამათ უბრალოდ უნდათ, ბერკეტები შეინარჩუნონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სააკაშვილმა კარგად იცის, რომ შანსი აღარ რჩება, ამიტომ, ბუნებრივია, მან მუდმივად უნდა იძახოს, რომ ამ ქვეყანაში დაცულია ადამიანის უფლებები, რომ ვითარდება დემოკრატია, მოისპო კორუფცია და ა.შ., სინამდვილეში კი ყველამ კარგად ვიცით, რომ მისთვის სულ ერთია, აქ რა ხდება და საით მივყავართ ამ ყველაფერს.**

რაც შეეხება თქვენს კითხვას, როგორ უყურებენ მას ამერიკელი და ზოგადად დასავლელი დიპლომატები, გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ დღეს უკვე ეს რეჟიმი იმდენადაა გაშიფრული და გაშიშვლებული მსოფლიოს თვალში, იმდენად აშკარაა, რომ ამათ ხელში რამე დემოკრატიული პროცესების განვითარება გამორიცხულია, რაც უნდა ხშირად იმეოროს სააკაშვილმა მაღალი ტრიბუნებიდან, კონსტიტუციით აღიარებულ ფუნდამენტურ ღირებულებებს ვიცავ და არიქა, მიმიღეთ ნატოშიო, ის უკვე ვერც ამერიკას მოატყუებს და ვერც ევროკავშირს. ამას ძალიან კარგად ხვდება თვითონ სააკაშვილიც და ამიტომაა დღეს ხელისუფლება ასეთ ისტერიკაში, მაგრამ თავისთავად ეს არ არის გამოსავალი, პირიქით, სწორედ ეს ისტერიკაა ის, რაც მოასწავებს ხელისუფლების პოლიტიკურ აღსასრულს და ძალიან მალე ჩვენ დავრწმუნდებით ამაში...

**— კონკრეტულად რაში ატყობთ ხელისუფლებას, რომ ისტერიკაშია?**

— რაშიც არ ეტყობა, იქედან დავიწყოთ. კაცი რომ სერიოზულად იტყვის, ათ წელიწადში ანაკლია შავი ზღვის საკვანძო ქალაქი უნდა გავხადოო, ის რა, არ არის ისტერიკაში?! რამდენი ასეთი სულელური განცხადება მოვისმინეთ. სხვათა შორის, **ამასწინათ ვანო მერაბიშვილმა პოლიციის შენობა გახსნა გურიაში და ბავშვებს მიმართა, იმედი მაქვს, თქვენ აქ მოხვალთო, რა ფორმით მივლენ ეს ბავშვები იქ, ადვილი წარმოსადგენია; ისე, მართალი კი თქვა — დადგება თუ არა მათი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკი, ბევრ მათგანს მართლა მოუწევს იქ მისვლა.** სხვა, აბა, რა უნდა ეგულისხმა მერაბიშვილს, პოლიციის განყოფილებაში რომ საექსკურსიოდ არ მიდიან, მოგეხსენებათ!..

**— ისე, არ გრჩებათ შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლება ამ ყველაფერს წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში აკეთებს? იქნებ სწორედ ამ პროცესის ნაწილია ისიც, რომ სააკაშვილი დღეში ორ თუ სამ პოლიციის შენობას ან საავადმყოფოს ხსნის ერთდროულად...**

— რა თქმა უნდა, ეჭვი არავის ეპარება, რომ ეს ყველაფერი პიარკამპანიის ნაწილია, მაგრამ პიარსაც ხომ უნდა ჰქონდეს გარკვეული ფორმა და რაღაც ჩარჩოები?! შეიძლება ყველაფერზე ლენტები ჭიმო და ეს ჩვენი გამარჯვებააო, იძახო?! ახლახან ერთი ჩემი კოლეგა მიყვებოდა, რამდენიმე დღის წინათ სააკაშვილმა ლაგოდეხში საავადმყოფო რომ გახსნა, გურჯაანიდან სასწრაფოდ გადმოუყვანიათ ავადმყოფი, ვიღაც პენსიონერი კაცი ამათ დასახვედრად. მედპერსონალს ავადმყოფის საკაციდან საწოლში გადაყვანა ძლივს მოუსწრია, რომ პრეზიდენტის ესკორტიც მისულა. კაცი ყვიროდა თურმე: „სად მიგყავართ, ხალხო, კარგად ვარ, დამანებეთ თავიო“, მაგრამ ვინ დაუგდო ყური. აი, ესაა ხალხისთვის თვალში ნაცრის შეყრა, მაგრამ ადრე შეიძლება გასდიოდა მსგავსი ოინები ხელისუფლებას, დღეს კი ასეთი იაფფასიანი პიარით ვერავის მოატყუებს. ეს ქვეყანა ძალიან პატარაა, ყველა ერთმანეთს იცნობს, ერთმანეთის ნათესავია, ასე რომ, **რაც უნდა გამალებით იმუშაოს ხელისუფლების პროპაგანდისტულმა მანქანამ, შეუძლებელია, დამალო ის, რაც ყველამ იცის და ხალხს შავი თეთრად მოაჩვენო...**

**— დასაწყისში თქვენ თქვით, რომ სააკაშვილი ველარ მოატყუებს ვერც ამერიკას და ვერც ევროკავშირსო. გამოდის, რომ მას უკვე აღარ აქვს დასავლეთის მხარდაჭერა და, თუ ასეა, მაშინ რას ეყრდნობა დღესდღეობით ეს ხელისუფლება?**



— სააკაშვილის ერთადერთი დასაყრდენი დღეს ის ლობისტური კომპანიებია, რომლებსაც ჩვენი ჯიბეებიდან მილიონებს უხდის იმისათვის, რომ საერთაშორისო ასპარეზზე მუდმივად აპიარონ. ევროპას და ამერიკის შეერთებულ შტატებს რაც შეეხება, იქიდან ამ ხელისუფლებას, უკვე დიდი ხანია, ტკბილი სიტყვა აღარ მოუსმენია. პირიქით, **ბარაკ ობამამ ძალიან მკაფიოდ და გასაგებად თქვა, რომ საქართველომ უნდა ჩაატაროს ნამდვილი დემოკრატიული არჩევნები, რაც იმას ნიშნავს, რომ წავიდა ის დრო, როცა ხელისუფლება კარუსელებს ატრიალებდა და მერე ამერიკა შედეგებს „უპრავებდა“; ანუ, შეიძლება ითქვას, რომ სააკაშვილის დღეები უკვე დათვლილია, მისი პოლიტიკური კარიერა დასასრულს უახლოვდება და, თუ ვინმე გრძნობს დღეს ამ ყველაფრის მოახლოებას, პირველ რიგში, ეს სწორედ სააკაშვილია...**

**— დავუბრუნდეთ ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს, სტატისტიკური მონაცემებით, ყველაზე მძიმე მდგომარეობა ამ თვალსაზრისით ციხეებშია, თქვენთვის თუა ცნობილი რაიმე კონკრეტული შემთხვევა პატიმრის ცემასთან ან მისდამი არაადამიანურ მოპყრობასთან დაკავშირებით?**

— მარტო იმ პატიმრების სახელებისა და გვარების ჩამოთვლა რომ დავიწყო, რომელთა მიმართაც მუდმივად ხორციელდება ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზემოქმედება, ერთი საგაზეთო ინტერვიუ შეიძლება არც ეყოს. გავიხსენოთ თუნდაც გიორგი ოქროპირიძის შემთხვევა. ეს ადამიანი ციხის ადმინისტრაციამ იმ მდგომარეობამდე მიიყვანა, რომ საავადმყოფოში აღმოჩნდა და წარმოიდგინეთ, იქაც კი გრძელდებოდა მასზე ფიზიკური ზემოქმედება. ეს ხდებოდა გლდანის მეთვრამეტე სამკურნალო დაწესებულებაში, რომელიც ცნობილია როგორც მსჯავრდებულთა სასაკლაო. იქვე სცემეს და სასტიკად აწამეს ფსიქიურად დაავადებული პატიმარი ტარიელ საყვარელიძე. ასეთი ფაქტები უამრავია...

შეიძლება გსმენიათ კიდეც, **არის ასეთი პატიმარი, რეზო ხარძიანი, რომელსაც ფიზიკურად გაუსწორდნენ იმის გამო, რომ სტრასბურგში შეიტანა საჩივარი; ანალოგიური მიზეზის გამო სცემეს ინვალიდის სავარძელს მიჯაჭვულ მსჯავრდებულ ილო მუკბანიანსაც, შე მოღალატევ, შენს ქვეყანას სადღაც უცხოეთში როგორ უჩივლეო.**

რაც ყველაზე ამაზრზენი და შემაძრწუნებელია, ამ ყველაფერს ხშირად პირადად ხელმძღვანელობს ხოლმე მეთვრამეტე სამკურნალო დაწესებულების დირექტორი ვაჟა ცხვედიანი. სხვათა შორის, ეს ადამიანი ბაჩო ახალაიას უახლოესი მეგობარია და მასაც, ალბათ, ისევე, როგორც ციხეების სხვა ლიდერებს, მალე გადაიყვანს თავდაცვის სამინისტროში...

**— პირადად თქვენი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ თუ ყოფილა ფიზიკური ან რამე სხვა სახის ზემოქმედების შემთხვევა?**

— ზუსტად ახლა მე ვიცავ მსჯავრდებულ ლაშა არქანიას, რომელიც ისეა ნაცემი და ნაწამები, რომ ლაპარაკსაც კი ვერ ახერხებს წესიერად. ეს ადამიანი გახლავთ ბიძაშვილი იმ მალხაზ არქანიასი, რომლის მიმართაც, შეიძლება გახსოვთ კიდეც, გაუპატიურების მცდელობას ჰქონდა ადგილი ზუგდიდის მეოთხე დაწესებულებაში. სხვათა შორის, ამ საქმეში მონაწილეობდა მეგის ქარდავაც...

**ლაშა არქანია 2010 წლის 14 ივლისს დააკავეს და, სანამ განყოფილებაში მიიყვანდნენ, წალენჯიხის პოლიციის უფროსმა სოსო აბაშიძემ მას ერთი კოლოფი სიგარეტი მიაწვა იღლიაში.** შემდეგ იგი გადაიყვანეს იზოლატორში და იქ უკვე მის მიმართ გამოყენებულ იქნა ფიზიკური ზემოქმედების ისეთი ფორმები, რომ არ ვიცი, საერთოდ როგორ გადარჩა ეს ადამიანი ცოცხალი. ასეთი ფაქტები უამრავია და უარესებიც ხდება, მაგრამ ხელისუფლება საგულდაგულოდ ასაიდუმლოებს. შესაბამისად, **ჩვენთვის, უფლებადამცველებისთვისაც კი არ არის ბოლომდე ცნობილი, რა ხდება რეალურად ციხეებში; თავის მხრივ, მსჯავრდებულები ისე არიან დაშინებულნი, რომ ხმის ამოღებას ვერ გაბედავენ...**

**— ყველა ამ კონკრეტული ფაქტის შესახებ რომელიმე შესაბამის უწყებას თუ მიმართეთ რეაგირებისთვის?**

— ფაქტობრივად, არ დარჩენილა უწყება თუ ორგანიზაცია, მე რომ განცხადებით არ მიმემართოს და ბოლოს თვით ზურაბ ადეიშვილის სახელზეც შევიტანე საჩივარი, მაგრამ შენც არ მომიკვდე, არც ერთ საქმეზე არათუ გამოძიება არ დაწყებულა, საერთოდ დაზარალებულადაც არ ცნეს ეს ნაცემ-ნაგვემი პატიმრები. მაგალითად, ლაშა არქანიას შემთხვევაში შვიდი პიროვნება იყო დასახელებული, რომლებიც მის წამებაში მონაწილეობდნენ, მაგრამ არც ერთი მათგანის პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა, პირიქით, ეს ადამიანები დააწინაურეს და ბევრი მათგანი დღეს საკმაოდ სერიოზულ თანამდებობებზეა დანიშნული...

**— თქვენი აზრით, როცა შეიცვლება ხელისუფლება, უნდა დადგეს თუ არა ყველა იმ თანამდებობის პირის, მათ შორის მოსამართლეებისა და პროკურორების, პასუხისმგებლობის საკითხიც, რომლებსაც რაიმე წვლილი მიუძღვით თქვენ მიერ ჩამოთვლილი უკანონო განაჩენების გამოტანაში?**

— **როცა დადგება დრო, ანუ როცა ქვეყანაში მოვა ნორმალური ხელისუფლება და გვექნება სამართლიანი სასამართლო, სათითაოდ, კარდაკარ უნდა ჩამოუარონ ხელისუფლების ყურმოჭრილ ყველა პროკურორს, მოსამართლეს, გამომძიებელსა თუ სხვა თანამდებობებზე მომუშავე პირებს და კანონის ფარგლებში ყველა მათგანი უნდა გაასამართლონ.**

დღეს საქართველოში, სტატისტიკურად, ყოველ მეხუთე ოჯახს ჰყავს პატიმარი, პროცენტულად თუ ავიღებთ, ყოველი ასი განაჩენიდან 99 უსამართლოა, საპყრობილეებში ორ კვადრატულ მეტრზე მოდის დაახლოებით ათი-თხუთმეტი პატიმარი და ეს ყველაფერი არის სწორედ იმ ადამიანების დამსახურება. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ საერთოდ საუბარიც კი არ უნდა იყოს იმაზე, არის თუ არა ეს ხალხი დასასჯელი; ცხადია, ყველა მათგანი უნდა დაისაჯოს, ვინაიდან სხვანაირად შეუძლებელია ქვეყანაში სამართლიანობის დამყარება. მე პირადად ხმამაღლა ვამბობ, რომ ვებრძვი ყველას და ყოველთვის ვიქნები ყველა იმ თანამდებობის პირის მტერი, რომლებიც ფეხქვეშ თელავენ ადამიანის უფლებებს. ვიმეორებ, ეს ეხება ყველას, დაწყებული რეჟიმის რიგითი მსახურიდან, დამთავრებული უმაღლეს თანამდებობებზე მყოფი ჩინოვნიკებით, რომელთა მიერ ჩადენილი მძიმე დანაშაულებებიც ფართო საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**გენერალურ ინსპექციას უშიშროების თანამშრომელი მოჰყვა და გურამ შუკაკიძეს, როგორც განათლების სამინისტროს წარმომადგენელი, ისე გაეცნო. ჯერ ურჩია, სკოლიდან წასულიყო, რომ ვერ დაითანხმა, გაუმხილა, რომ კუდ-ის თანამშრომელი იყო და თანამშრომლობა შესთავაზა: — „ქართულ ოცნებაში“ იყავი, იქიდან ინფორმაცია მოგვაწოდე, დირექტორობიდან გადადექი, დევნილი დირექტორის როლი ითამაშე და ჩვენი აგენტი გახდიო**

ნაც-ტერორი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# შაშკინი და კუდ-ი პერევის სკოლის დირექტორს «ქართულ ოცნებაში» შესაგზავნად «ავერბოვკებდნენ»

**საჩხერეში ბიძინა ივანიშვილის მომხრეებზე ლამის საყოველთაო „ნადირობა“ გამოაცხადეს ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებმა. სახელისუფლო სტრუქტურებში დასაქმებულ ივანიშვილის მომხრეებს უბოდიშოდ ათავისუფლებენ სამსახურებიდან. ხალხს აშანტაჟებენ, აშინებენ და ამ ბინძური მეთოდებით ცდილობენ მათ გადმობირებას. არადა, „ნაცმოძრაობის“ ლიდერებს ავიწყდებათ, რომ ეს ადამიანები (პედაგოგები, ექიმები და ა. შ.) ხელფასს სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებენ და არა „ნაციონალური მოძრაობის“ ცენტრალური ოფისიდან.**

ამ დღეებში წმენდაში მოჰყვა პერევის საჯარო სკოლის დირექტორი გურამ შუკაკიძეც. „საქართველო და მსოფლიო“ დაუკავშირდა ყოფილ დირექტორს, მაგრამ მან მისი გათავისუფლების მიზეზებზე საუბარი არ ისურვა და მხოლოდ მცირე კომენტარით შემოიფარგლა (მან დაადასტურა ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ზეწოლა და შანტაჟი დავერბოვკების მიზნით რაც მის მიმართ განხორციელდა), ამიტომ ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია სხვა წყაროებიდან მოვიძიეთ.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, ოქტომბერში, საჩხერის რაიონის სოფელი პერევი სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეჟიმის სამხედრო ფორმირებებმა და რუსეთის ჯარის ნაწილებმა ერთობლივად დაიკავეს. მიზეზი კი ის იყო, რომ პერევი ჯავის რაიონის სოფელ სინაგურს ესაზღვრება — სულ 3 კილომეტრითაა დაშორებული და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ადგილია; მალე რუსი და ოსი ჯარისკაცები რუსეთის სასაზღვრო ჯარების შენაერთმა ჩაანაცვლა პერევის შესასვლელთან, იქვე ბლოკ-პოსტიც გამართეს, ჯავშანტექნიკაც დააყენეს და სოფელში შემსვლელ-გამომსვლელს აკონტროლებდნენ. ბლოკპოსტის გამოღმა პერევის რამდენიმე ოჯახი დარჩა, სკოლა კი ბლოკპოსტის გაღმა აღმოჩნდა. ამ სკოლაში დადიოდნენ სოფელ ჯრიაში მცხოვრები ბავშვებიც, მაგრამ რადგან მათთვის და მათი მშობლებისთვის არც თუ ისე სასიამოვნო იყო დღეში ორჯერ ბლოკპოსტის გავლა, სასწავლო პროცესი ჩაშლის პირას იყო.

**სასწავლო პროცესი რომ არ ჩაეშალა, სკოლის დირექტორი გურამ შუკაკიძე და მისი პედაგოგები სახლებში ჩამოუვლიდნენ მოწაფეებს, შეკრებდნენ ერთად და მოყავდათ სკოლაში, ცხადია, ბლოკ-პოსტის გავლით. გაკვეთილების მერე კი მოსწავლეებს შინ აცილებდნენ. ასე გაგრძელდა ორი თვის მანძილზე. მერე გურამ შუკაკიძემ, პედაგოგებმა და მშობლებმა მოახერხეს რუსეთის სასაზღვრო ჯარების იმ ოფიცერთან ნორმალური ურთიერთობის დამყარება, რომელიც პერევში მეთაურობდა შენაერთს, ურთიერთობაც დათბა და საქმე იქამდე მივიდა, რუსი „პოსტავიკები“ სკოლის მოსწავლეებს აღარც კი აჩერებდნენ. პერევის სკოლას საჩხერის გამგეობამ მიკროავტობუსი გამოუყო. ყოველ დილით ამ მიკროავტობუსს მიჰყავდა ჯრიისა და პერევის მოსწავლეები სკოლაში. პერევში სასწავლო პროცესი არ შეფერხებულა.**

გურამ შუკაკიძეს განათლების სამინისტროს მესვეურნი ათას მადლობას უხდიდნენ, დიმიტრი შაშკინის უშუალო გადაწყვეტილებით, შუკაკიძისთვის „ღირსების ორდენი“ უნდა მიენიჭებინათ და, ბიძინა ივანიშვილი რომ არ გამოჩენილიყო, ეს ორდენი უკვე სახლში ექნებოდა სკოლის ყოფილ დირექტორს. **პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, პერევიდან რუსეთის სასაზღვრო ჯარის ნაწილის გასვლიდან ერთ კვირაში თბილისში, პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში პედაგოგებთან გამართულ შეხვედრაზე პერევის სკოლის დირექტორსა და პედაგოგებს გმირები უწოდა: „ამ ხალხმა ოკუპირებულ სოფელში შეძლო მთელი ორი წლის მანძილზე სასწავლო პროცესი არ ჩაეშალა. ეს სამოქალაქო გმირობა იყო. ეს არის სამაგალითო საქციელი. აი, ასეთი დირექტორები უნდა ჰყავდეს ჩვენს სკოლებს“.**



**მიხეილ სააკაშვილი:**
**ამ ხალხმა ოკუპირებულ სოფელში შეძლო მთელი ორი წლის მანძილზე სასწავლო პროცესი არ ჩაეშალა. ეს სამოქალაქო გმირობა იყო. ეს არის სამაგალითო საქციელი. აი, ასეთი დირექტორები უნდა ჰყავდეს ჩვენს სკოლებს**

ბიძინა ივანიშვილმა რომ პოლიტიკური აქტიურობა დაიწყო, გურამ შუკაკიძე მას გვერდით დაუდგა. საჩხერის რაიონის რამდენიმე სოფლის სკოლაში მან ითავა ხელმოწერების შეგროვება, ივანიშვილისთვის მოქალაქეობის აღდგენის მოთხოვნით. ფეხით შემოიარა მეზობელი სოფლები და აგროვებდა ხელმოწერებს. განათლების სამინისტროს მაღალჩინოსანთა კეთილგანწყობაც მალე დაკარგა, შემოუთვალეს: დაანებე თავი ხელმოწერების შეგროვებას, თორემ პრობლემებს შეგიქმნითო. დირექტორი არ გაჩერდა. აკეთებდა იმას, რასაც ყველა ნორმალური საჩხერელი გააკეთებდა.

მინისტრ დიმიტრი შაშკინის ბრძანებით, პერევის სკოლაში გენერალური ინსპექცია გაგზავნეს. 2 დღე დიდი ლუპით ყველა ფინანსური დოკუმენტი შეისწავლეს გენინსპექციის წარმომადგენლებმა, მაგრამ ვერანაირი დარღვევა ვერ აღმოაჩინეს. არადა, შაშკინს მიზეზი სჭირდებოდა შუკაკიძის გასათავისუფლებლად ან უარესიც — დასაჭირად. შეუთვალა კიდეც — დაწერე განცხადება და წადიო, მაგრამ შუკაკიძემ არ დაწერა განცხადება — არაფერი დამიშავებია და არსადაც არ წავალ, თუ გინდათ, თქვენ გამათავისუფლეთო.

**გენერალურ ინსპექციას უშიშროების თანამშრომელი მოჰყვა და გურამ შუკაკიძეს როგორც განათლების სამინისტროს წარმომადგენელი, ისე გაეცნო. ჯერ ურჩია, სკოლიდან წასულიყო, რომ ვერ დაითანხმა, გაუმხილა, რომ კუდ-ის თანამშრომელი იყო და თანამშრომლობა შესთავაზა: — „ქართულ ოცნებაში“ იყავი, იქიდან ინფორმაცია მოგვაწოდე, დირექტორობიდან გადადექი, დევნილი დირექტორის როლი ითამაშე და ჩვენი აგენტი გახდიო. შუკაკიძემ კუდ-ის თანამშრომელი კაბინეტიდან გამოაგდო. ცოტა ხანში კი თავად მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა დაურეკა გურამ შუკაკიძეს, ეტყობა, კუდ-ის აგენტმა უთხრა, რომ სპეცოპერაცია ჩაიშალა და კატეგორიულად მოსთხოვა, დაწერე განცხადება და წადი, თორემ ძალიან დიდ უბედურებას გადაგყრიო. რომ იტყვიან, ყელში ამოუვიდა გურამ შუკაკიძეს, დაწერა განცხადება და ვითომ საკუთარი სურვილით დატოვა დირექტორის პოსტი.**

პერევის სკოლის დირექტორმა გაცლა იმიტომ ამჯობინა, რომ განათლების მინისტრი, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილი შეფი, მორიგ პროვოკაციას გეგმავდა მის წინააღმდეგ: პერევის სკოლიდან რამდენიმე პედაგოგის გათავისუფლებას აპირებდა, მერე კი თავისი აგენტურის მეშვეობით ხმებს გაავრცელებდა და ამ ხალხს დაარწუნებდა, შუკაკიძემ მოითხოვა თქვენი გაშვებაო. მოკლედ, შუკაკიძეს თანამშრომლები და მეგობრები, თანასოფლელები უნდა გადაეკიდებია. ახალი არაფერია, ხელისუფლებისთვის ნაცადი მეთოდია — ჩაშვება, ბეზღობა, შანტაჟი, ბინძური ხმების გავრცელება, პატიოსანი ხალხის ერთმანეთთან დაპირისპირება და ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერა. დიმიტრი შაშკინი ხომ ამ ხელისუფლების ღირსეული წარმომადგენელია მთელი იმ მანკიერებით, რაც ამ სისტემას გააჩნია.

ნორმალური მინისტრი, როცა სპეცსამსახურების წარმომადგენელი მისი დირექტორის „დავერბოვკებას“ ცდილობდა, დიდ ამბავს ატეხდა, დირექტორს დაიცავდა და ქვეყანას შეძრავდა. შაშკინი კი კუდთან შეთანხმებით ცდილობდა, ღირსეული კაცის აგენტად ქცევას. ასეთია ამ ხელისუფლების ნამდვილი სახე — დიმიტრი შაშკინი მერაბიშვილისა და ადეიშვილის ყურმოჭრილი მონაა.

**აი, რამდენიმე შეკითხვა, რომლებზეც „საქართველო და მსოფლიოს“ გურამ შუკაკიძემ უპასუხა.**

**— ბატონო გურამ, ახლა რატომ არ გსურთ ლაპარაკი იმ სიბინძურეზე, რაც თქვენ წინააღმდეგ განახორციელა განათლების სამინისტრომ და პირადად მინისტრმა?**

— ჩემ გარდა არაერთი დირექტორი და პედაგოგი მოხსნეს და გადავწყვიტეთ, რომ ამ ეტაპზე დეტალებზე არ ვისაუბროთ. მოვა დრო და ვიტყვი ყველაფერს. ვადასტურებ, რომ ჩემ მიმართ იყო ზეწოლა, შანტაჟი, მუქარა „დავერბოვკების“ მიზნით.

**— მართლა ჩამოვიდა უშიშროების თანამშრომელი და სცადა თქვენი „დავერბოვკება“?**

— კი, ჯერ გენინსპექცია გამომიგზავნა შაშკინმა, იმათ ვერაფერი იპოვნეს, რომ გავეთავისუფლებინე სამსახურიდან. მერე მოვიდა უშიშროების თანამშრომელი — ჩვენი აგენტი იყავი „ქართულ ოცნებაშიო“. უბოდიშოდ გავუშვი კაბინეტიდან, ბოლომდე არ დავაცადე სათქმელის დამთავრება. ამ ფაქტს სპეციალურად ვახმაურებ. ჯერ ერთი, ფრთხილად რომ იყოს ხალხი — ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერებს ვგულისხმობ; მეორეც, გაიგონ კარგად, ესენი ვინ ყოფილან. **კაცო, ყველა სიბინძურეზე წამსვლელები არიან! კარგის მეტი რა გამიკეთებია? არ მიყვარს საკუთარ თავზე ლაპარაკი, მაგრამ მე და ჩემმა პედაგოგებმა, როცა კაცმა არ იცოდა, ტყვია საიდან გავარდებოდა, როცა პერევში მთელი დღე სამხედრო ვერტმფრენები დაფრინავდნენ და ხალხი შიშით სახლიდან ვერ გამოდიოდა, იმდენი გავაკეთეთ, სკოლაში სასწავლო პროცესი არ ჩავშალეთ.**

ბიძინა ივანიშვილმა საჩხერელები ფიზიკურად გადაარჩინა და ახლა ესენი გვიშლიან, მადლობა არ უთხრათ ამ კაცსო. პირიქით, გალანძღეთ და მიპარვით, ღალატით ზურგში დანა ჩაარტყითო. ესენი ვინ ყოფილან, კაცო? უმადურობა ერთ-ერთი დიდი ცოდვაა ამქვეყნად, ვერ ვიქნები უმადური. **რასაც ბიძინა ივანიშვილი ამ წლების მანძილზე აკეთებდა, ჩემ თვალწინ ხდებოდა და ვერ დავივიწყებ ამათნაირად ერთ დღეში. უმადური იყავი, რაც გაუკეთა რაიონს, მიაფურთხე და უღალატეო — პირდაპირ მეუბნებიან.** არც ვიცნობ ბატონ ბიძინას, ტელევიზორში მყავს ნანახი, მაგრამ წლების მანძილზე ჩემს ოჯახს უხდიდა დენის, გაზის საფასურს, სკოლას ინახავდა და, ომი რომ არა, პერევის სკოლაც გარემონტდებოდა. ამ ზაფხულს აპირებდა ჩვენი სკოლის გარემონტებას, მაგრამ ახლა ხელისუფლება აღარ ანებებს.

**— საჩხერეში ჰყავს ხელისუფლებას მხარდამჭერები?**

— მოსახლეობის 5 პროცენტი მაქსიმუმ, ისიც სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებული ხალხი. თუმცა დიდი ეჭვი მაქვს, ეს ადამიანებიც ბიძინა ივანიშვილს მისცემენ ხმას არჩევნებზე. **მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ყველა ბინძურ მეთოდს იყენებს ხალხის დასაშინებლად და გადასაბირებლად, საჩხერეში ფეხს ვერ მოიკიდებენ.**

**ლევან ჯავახიშვილი**

**თავად მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა დაურეკა გურამ შუკაკიძეს, ეტყობა, კუდ-ის აგენტმა უთხრა, რომ სპეცოპერაცია ჩაიშალა და კატეგორიულად მოსთხოვა, დაწერე განცხადება და წადი, თორემ ძალიან დიდ უბედურებას გადაგყრიო**

ნაც-რეალობა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ოვალური კაბინეტიდან გამოსულმა სააკაშვილმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა — ადრეც ბევრჯერ ვყოფილვარ მაგ კაბინეტში, მაგრამ ასეთი კმაყოფილი, როგორც დღეს, არასოდეს გამოვსულვარო. და იქვე დაამატა, რჩევები კარგია, მაგრამ გადაწყვეტილებას მე მივიღებო...**

# «ციცას ეფერება ლუი XIV», ჩემი სამშობლო ამერიკას ფეხზე ჰკიდია...

**ასე, დიდი მუხრანის ციტირება-პერიფრაზით შეიძლება ობამა-სააკაშვილის პირველი ოფიციალური შეხვედრის შეფასება, მოკლედ და მარტივად, ანუ, ე.წ. საშუალო სტატისტიკური ქართველისთვის გასაგებ ენაზე, ანუ იმ დიპლომატიურ-პოლიტოლოგიურ-გლობალური წიაღსვლების გარეშე, რომლებიც დაახვავეს როგორც ოპოზიციის, ასევე ხელისუფლების წარმომადგენლებმა, რადგანაც ორივენი სათავისოდ ცდილობენ იმის დანახვასა თუ წაკითხვას, რაც ვიხილეთ თუ ვისმინეთ ტელევიზიებით.**



დავიწყოთ იქიდან, რომ ეს პირველი შემთხვევა იყო მიშას უმაღლესი დონის ვიზიტების ისტორიაში, როდესაც არც ერთი კადრი არ გვიჩვენეს არა თუ აეროპორტიდან, არამედ თეთრი სახლის მისადგომებიდან, ანუ გაუგებარი დარჩა ნაცების პრეზიდენტის დახვედრის ეტიკეტის დონე — ობამა რომ არ შეგებებია თეთრი სახლის „ალაგეზე“, ამას მივხვდით, რადგან მიშავიზიები ამ კადრებს „გაატარებდნენ“. მაგრამ სხვაც, თუნდაც ჩვენი „საყვარელი“ მეთიუ ბრაიზას ნაირი „პეშკაც“ არავინ შეაგებეს და ისე, „ჩორნი ხოდიდან“ მიჰგვარეს მიშა დასავლეთის „კაპო დი ტუტი კაპოს“, ანუ ბოსების ბოსს, ბარაკ ობამას ოვალურ კაბინეტში, საიდანაც დაიწყო ტელერეპორტაჟი.

დიახ, სადღაც უკვალოდ გამქრალიყო, იქნებ ხელოვნური და მოჩვენებითი, მაგრამ მაინც მიშასთვის ჩვეული „აპლომბი“— საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა, რიხი, რასაც ყოველცისმარე ვუყურებთ მიშავიზიებით და სააკაშვილის „ოქტომბრელის“ პოზაში ჯდომა და თავისკანტური ფეხიფეხზე გადადებული ობამას წინაშე უნებურ ასოციაციებს იწვევდა დონ კორლეონეს წინაშე აწურული მესაფლავე ამერიგო ბონასერას ცნობილ კინოკადრებთან.

მაგრამ ეს ლირიკაა და, როგორც იტყვიან, იქით იყოს...

ოვალურ კაბინეტამდე არა ერთ და ორ პიარ შეხვედრებზე მიშას მთავარი სალაპარაკო რუსული აგრესია და, ამის მიუხედავად, „გამარჯვებულ-აყვავებული“ საქართველო იყო, რის შესახებაც აშკარად დარიგებულ-გარიგებული დარბაზიდანაც, რომ იტყვიან, სატოპკე კითხვებს უწევდნენ...

**და ოვალურ კაბინეტში ჩამქრალ (?!) ბუხართან არც ერთი სიტყვა ოკუპანტ რუსეთზე და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერაზე, რაც, მინიმუმ, ორ რამეზე მეტყველებს: პირველი. მიშიკო წინასწარ მკაცრად იყო გაფრთხილებული, რომ კრინტი არ დაეძრა რუსებზე; და მეორე. თუ ზიგმუნდ ფროიდის ე.წ. წამოცდენების თეორიას გავიზიარებთ — რომ რაიმეს წამოცდენა სულაც არ არის ტვინის მექანიკური შეცდომა, არამედ ადამიანის ქვეშეცნეულში, ნებით თუ უნებლიეთ, ჩაბუდებული მთავარი საფიქრალია — მაშინ გამოდის, რომ აშშ-ის პრეზიდენტს რუსეთი უადგილოდ იმიტომ წამოსცდა, რომ იმაზე უფრო ფიქრობდა, თუ როგორ აღიქვამდა პუტინი სააკაშვილის აუდიენციას თეთრ სახლში, ვიდრე საქართველოზე და, მითუმეტეს, მის შინ თუ გარეთ გაკოტრებულ პრეზიდენტზე.**

როგორც ზემოთ აღვნიშნე, სააკაშვილისა და ობამას შეხვედრას პოზიციაც და ოპოზიციაც სათავისოდ „ჭრის და კერავს“. ამ მხრივ დიდი ვნებათა ღელვა გამოიწვია ობამას ნათქვამმა ფრაზამ, რომ **2012 წლის არჩევნების შემდეგ უნდა მოხდეს ხელისუფლების „ფორმალური გადაბარება“**, რაც დღემდე გრძელდება, ძირითადად, ლინგვისტური წიაღსვლების თანხლებით.

იქექებიან ლექსიკონებში და იმას არკვევენ, თუ რას ნიშნავს ინგლისურად სიტყვა „ფორმალ“ და, რადგანაც ამ სიტყვას არაერთი განმარტება ჰქონია, ბუნებრივად მივიდნენ „კონტექსტს გააჩნიას“ დასკვნამდე.

აქედან გამომდინარე, როგორც ვნახეთ, ოპოზიცია-პოზიცია ვერაფრით თანხმდებიან ერთ, ყველასთვის მისაღებ კონტექსტზე და ამიტომ მეც უფლებას ვიტოვებ, არც ერთს არ დავეთანხმო და საზოგადოების ყურადღება იმას მივაპყრო, რაც თითქმის ყველას გამორჩა მხედველობიდან.

თავი დავანებოთ იმას, რომ ხელისუფლების ფორმალური გადაცემა ადამიანურ ენაზე იმას ნიშნავს, რომ ფიქტიურად ვინმე თოჯინა იჯდება (თუნდაც ოპოზიციური კანდიდატი) პრეზიდენტის თუ პრემიერის სავარძელში, ფაქტიურად კი ისევ შენ იმეფე, ჩემო „შუქურვარსკვლავოო“, ის გავიხსენოთ, თუ რა უპასუხა სააკაშვილმა ბოსების ბოსს, როცა ამ უკანასკნელმა იმედი და სურვილი გამოთქვა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების შესახებ:

2013 წელს საქართველო სხვა პრეზიდენტს აირჩევსო!!!

ანუ ამას ჰქვია სიტყვის ბანზე აგდება, რადგანაც ობამამ სულ სხვა რამე თქვა და მიშამ სულ სხვა რამ უპასუხა...

აქედან დასკვნა მარტივია: მიშაც და მიშნაცებიც არსად წასვლას, ანუ ხელისუფლების დათმობას არაფრის დიდებით არ აპირებენ. ეს რომ ასეა, **ოვალური კაბინეტიდან გამოსულმა სააკაშვილმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა — ადრეც ბევრჯერ ვყოფილვარ მაგ კაბინეტში, მაგრამ ასეთი კმაყოფილი, როგორც დღეს, არასოდეს გამოვსულვარო. და იქვე დაამატა, რჩევები კარგია, მაგრამ გადაწყვეტილებას მე მივიღებო...**

საერთოდ კი ობამას თქმულს თუ არ თქმულს შორის წასაკითხის თაობაზე მარჩიელობა უკვე მარაზმში გადადის — რა არის, მამაძაღლი, უფალი ღმერთია ბარაკ ობამა თუ მისი ნათქვამია ბიბლია, რომ ამდენს ვუკირკიტებთ და მისი ნათქვამის თუ ნაფიქრის ტექსტის დადგენას ვცდილობთ?

ერთი ისეთი რამ არ უნდა ეთქვა ღია ტექსტით, ანუ ცალსახად და ყოველგვარი ინტერპრეტაცია-ინსინუაციების პერსპექტივის გარეშე, რაც ქართველ კაცს გულს მოუფონებდა?

მაგრამ არა, სამაგიეროდ ღია ტექსტით გული გაგვიხეთქა, როცა სააკაშვილს ქებათაქება უძღვნა, მისი პრეზიდენტობის დროს გატარებული წარმატებული რეფორმების გამო და ქართველმა ხალხმა თურმე უნდა ვიამაყოთ ამ ყველაფრით, ანუ მიშათი!

„რაც შეიტანა, ისევ ის გამოიტანა იმ ვერსალიდან სახელგანთქმულმან ელჩმან ქართლისამ“...

დღესაც ასეა, თუმცა რომელი სულხან-საბა მიშაა, რომ ამერიკის ვერსალში საქართველოს ვარამი შეეტანა, მაგრამ ქართველი ხალხის მცირე ნაწილი მაინც იმედით შეჰყურებდა ობამას, რომ იქნებ მართლაც ქართველი ხალხისთვის საიმედო რამ ეთქვა.

მაგრამ „ვარდების რევოლუციით“ გაცრუებულ იმედებზე ჩივილიც შევაგზავნეთ ოვალურ კაბინეტში, ისევ ის და კიდევ უფრო მეტი იმედგაცრუება გამოვიტანეთ — ქართველი საჯიშე ბიჭების, საზარბაზნე ხორცის რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება ავღანეთში.

აი, მთავარი და ხელშესახები შედეგი ობამა-სააკაშვილის შეხვედრისა. რაც, როგორც ჩანს, უპირველესი თავის ტკივილია პრეზიდენტ ობამასი. რადგანაც მისთვისაც საარჩევნოა მიმდინარე წელი და მოუწევს წინასაარჩევნო დაპირების შესრულება — ერაყიდან ხომ აახვიეს და ავღანეთიდანაც აახვევენ ამერიკელები.

რაც ყველაზე უფრო სამწუხაროა, ავღანეთში ჩვენი ბიჭების ახალი პარტიის გაგზავნის განზრახვას ერთნაირი ტაშის გრიალით შეხვდნენ ხელისუფლებაც და ბიძინაჩვენის ოპოზიციაც.

და თუ რის ფასად, ანუ რის სანაცვლოდ დაიღვრება ავღანეთის ჯანდაბაში ქართული სისხლი, ბევრმა ისედაც ვიცით, მაგრამ სულ მალე ურწმუნო თომებიც დარწმუნდებიან.

დღეს კი ერთი სამწუხარო რამ არის ნათელიც და ცხადიც:

„საფრანგეთს ვთხოვოთ: გვიშველისო, — სასაცილოა!
შენი ვახტანგი ლუდოვიკოს ფეხზე ჰკიდია“...

**დავით მხეიძე**

## იური ვაზაგაშვილი: ვინც ყველაფრის პატიებას აპირებს ამ მკვლელებისთვის,

**ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი ბიძინა ივანიშვილსა და მის გუნდს, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ უჭერს მხარს და იმედით შესცქერის, რომ, ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში, ეს ხალხი უსამართლობას აღკვეთს და სამართლიანობას დაამკვიდრებს. ეს თავისთავად ნიშნავს, რომ „ნაციონალური ხელისუფლების“, უპირველეს ყოვლისა, ლიდერებს, სრული კანონის დაცვით მოუწევთ პასუხისგება იმ უამრავი დანაშაულისთვის, რაც მათ „ვარდების რევოლუციიდან“ დღემდე ჩაიდინეს და, ალბათ, ვიდრე წავლენ ხელისუფლებიდან, კიდევ ბევრს მოასწრებენ.**



„ქართულ ოცნებაში“ შემავალი პარტიის ლიდერებმა კი არაერთხელ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ხელისუფლებას უნდა ვაპატიოთ ჩადენილი დანაშაულებიო. პირველი, ვინც ეს თქვა, ირაკლი ალასანია იყო, იგივე გაიმეორა კობა დავითაშვილმაც. თავად ბიძინა ივანიშვილიც საკმაოდ ფრთხილია ხელისუფლების რიგი წევრების პასუხისმგებლობის და დასჯის საკითხზე საუბრისას. გარდა ამისა, ბიძინა ივანიშვილმა არაერთხელ განაცხადა, რომ ამ ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ წარმატებად შინაგან საქმეთა სამინისტროში და პოლიციაში გატარებული რეფორმები, ხოლო ხელისუფლების საუკეთესო „მენეჯერად“ ვანო მერაბიშვილი მიაჩნია. არადა, სწორედ „საუკეთესო მენეჯერის“ მიერ „რეფორმირებულ პოლიციელთა“ კისერზეა არაერთი მძიმე დანაშაული. მაგალითისათვის გირგვლიანის, ვაზაგაშვილის, გამცემლიძის, რობაქიძის საქმეებიც იკმარებს. ეს, ასე ვთქვათ, გახმაურებული მკვლელობების ნაწილი ჩამოვთვალე, თორემ კაცმა არ იცის, რამდენია პოლიციელის მიერ ჩადენილი დანაშაული ჩაფარცხულ-მიჩქმალული, რომელთაც ფარდა მხოლოდ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ აეხდება.

„საქართველო და მსოფლიო“ ამ საკითხებზე ზურაბ ვაზაგაშვილის მამას, **იური ვაზაგაშვილს** ესაუბრა, რომელიც „ქართული ოცნების“ აქტიური მხარდამჭერი და ბიძინა ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვების კამპანიას უდგას სათავეში.

— ბატონო იური, „ქართული ოცნების“ ლიდერებმა არაერთხელ და არაორაზროვნად მიანიშნეს, რომ ხელისუფლების წარმომადგენელთა დასჯას არ აპირებენ. ბიძინა ივანიშვილიც საკმაოდ ფრთხილ განცხადებებს აკეთებს „ნაციონალური დამნაშავეების“ მიმართ. არადა, თქვენ და თქვენმა ოჯახმა განსაკუთრებით მწარედ გამოცადეთ ამ ხელისუფლების სივერაგე და სისასტიკე. ამდენად, მაინტერესებს, ეთანხმებით ფორმულას „ყველას ყველაფერი ეპატიოს“?

— რას ჰქვია, ეპატიოთ! დანაშაულიცაა და დანაშაულიც. არის დანაშაული, რომლის პატიებაც შეუძლებელია. **ბიძინა ივანიშვილმა ჩემთან ერთი-ერთზე საუბრისას მკაფიოდ განაცხადა, რომ ხელისუფლებაში მოკა-** ▶



**მიკრობიზნესზე „მზრუნველ“ მერს სინამდვილეში ფეხებზე ჰკიდია მიკრო და მცირე ბიზნესი: ყველა ჯიხური აუქციონზე მსხვილმა კომპანიებმა ჩაიგდეს ხელთ. არც ერთ მცირე მეწარმეს არც ერთი აუქციონი არ მოუგია. მოკლედ, ბლეფი იყო ეს ყველაფერი და თავისუფალი მედიისთვის — კიდევ ერთი ალიყური.**

ნაც-რეალობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სიტყვის თავისუფლება ქართულად — ძირს პრესის ჯიხურები! ვაშა, პოლიციას!

**თბილისის მერი გიგი უგულავა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ისედაც საინფორმაციო ვაკუუმში მოქცეული მოსახლეობისთვის ობიექტური ინფორმაცია ხელმიუწვდომელი გახადოს და ხალხი „ნაციონალური ხელისუფლების“ კონტროლირებადი ტელემედიის ამარა დატოვოს. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა მერიის მიერ გამოცხადებული „საჯიხურე აუქციონი“, როცა პრესის გამავრცელებელ ორგანიზაციებს, კერძო და იურიდიულ პირებს ხელიდან გამოჰგლიჯეს ჯიხურები და თბილისის ყველაზე ხალხმრავალ ადგილას მდებარე ახალი დიზაინით შექმნილი ჯიხურები ამ აუქციონზე გაყიდეს.**



ცხადია, ყველა აუქციონი ისეთმა კომპანიებმა მოიგეს, რომელთაც პრესასთან საერთო არაფერი აქვთ, და ზოგიერთი მისი მფლობელი წერა-კითხვასთანაც მწყრალად არის. კომპანიებმა: „კოდამ“, „კუმისმა“, „ეკო-ფუდმა“ და სხვებმა მოიგეს აუქციონები და ცხადია, ამ ჯიხურებში ჟურნალ-გაზეთს არავინ გააჭაჭანებს, ეს კომპანიები უკვე წარმატებით ყიდიან საკუთარ პროდუქციას. ამან პირდაპირ დაარტყა ყველა გაზეთის, ჟურნალის ტირაჟს, შემოსავალს, ჟურნალისტთა ხელფას-ჰონორარს, რაც მთავარია, განვითარების პერსპექტივას. აი, ასე ზრუნავს ჩვენი ხელისუფლება თავისუფალ მედიაზე. ხელშეწყობას ვინ ოხერი ითხოვს, ხელს ნუ გვიშლითო, — იხვეწებოდნენ გამომცემლები, მაგრამ უგულავა რის უგულავაა, იმ გაზეთებისთვის სამაგიერო არ გადაეხადა, პრეზიდენტს ნერვებს რომ უშლის და ხალხისთვის ამ ვანდალური ხელისუფლების მიერ ყოველდღიურად ჩადენილი დანაშაულობების, სიმართლის გაგების შანსი კიდევ ერთხელ არ მოესპო. ახლა იმ ხალხმრავალ ადგილებში შაურმა იყიდება, ხოლო ჟურნალ-გაზეთებს ჯერჯერობით მეორეხარისხოვანი (ხალხმრავლობის თვალსაზრისით) ადგილები დაუტოვეს, ჯერ ყველა ჯიხურს არ დარევიან.

**გიგი უგულავა და ამ ინიციატივის მხარდამჭერები როცა ამ იდეას — საუკეთესო ადგილებზე ჯიხურებისა და საჯიხურე ფართის აუქციონით გაყიდვას — აპიარებდნენ, ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ისინი ამით მიკრობიზნესის განვითარებას უწყობდნენ ხელს და, რაც მთავარია, ხალხი დასაქმდებოდა. იქვე დასძენდნენ, ამ პროექტის ერთ დადებით მხარეზე — მისი განხორციელებით, აუქციონიდან სოლიდური თანხა შევა თბილისის ბიუჯეტშიო. ჯერ ერთი, ხალხი დასაქმებული იყო, პრესას ყიდდა, ისინი გაყარეს და მათ ადგილას ახლა სხვები შაურმას ყიდიან (თუ 200 კაცი ყიდდა გაზეთს, ახლა ისევ 200 კაცი შაურმას ყიდის).**



**ბოლო სამი თვეა, გიგი უგულავა და ვანო მერაბიშვილი დიდი მაკრატლით დადიან და თბილისის სხვადასხვა უბანში პოლიციის ახალ შენობებს ხსნიან**

მეორეც, **ნახევარ მილიარდზე მეტია დღეს დედაქალაქის ბიუჯეტი, მაგრამ სად მიდის, ვის და რას ხმარდება ეს თანხა, როცა 800 ათასი თბილისელი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს და ქალაქი მათხოვრებითაა გადაჭედილი?! მიკრობიზნესზე „მზრუნველ“ მერს სინამდვილეში ფეხებზე ჰკიდია მიკრო და მცირე ბიზნესი: აუქციონზე ყველა ჯიხური მსხვილმა კომპანიებმა ჩაიგდეს ხელთ. არც ერთ მცირე მეწარმეს არც ერთი აუქციონი არ მოუგია. მოკლედ, ბლეფი იყო ეს ყველაფერი და თავისუფალი მედიისთვის — კიდევ ერთი ალიყური.**

ბოლო სამი თვეა, გიგი უგულავა და ვანო მერაბიშვილი დიდი მაკრატლით დადიან და თბილისის სხვადასხვა უბნებში პოლიციის ახალ შენობებს ხსნიან. შსს-ს ვებგვერდი იუწყება, რომ 2008 წლიდან დღემდე თბილისში პოლიციის 21 ახალი შენობა გაიხსნა, და რატომლაც ბოლოხანს ყველას ტანდემი ხსნის — უგულავა-მერაბიშვილისა. ბოლო ასეთი შუშის შენობა უგულავა-მერაბიშვილმა, დიდუბეში, მეტრო „წერეთლის“ „ყურისძირში“ გახსნა, სადაც დიდუბე-ჩუღურეთის მთავარი სამმართველო განთავსდა. იმ ადგილას, სადაც ეს შენობაა, 1 კვ. მიწის ფასი 600-700 დოლარზე ძვირია. მისი აუქციონის ან ტენდერის გზით გრძელვადიანი იჯარით გაცემის შემთხვევაში დედაქალაქის ბიუჯეტში სოლიდური თანხა შევიდოდა.

უგულავა-მერაბიშვილის წყვილმა ასეთივე ვეებერთელა შუშის შენობა სარაჯიშვილის გამზირზე, მეტრო „ღრმაღელესთანაც“ ჩადგა. ეს ადგილიც მისწრებაა ბიზნესისთვის. მეტროსთან რამდენიმე ობიექტია: სლოტ-კლუბი, მაღაზიები... და არის დიდი აღებ-მიცემობა, ყველა მოგებაზე მუშაობს და კმაყოფილია. ერთი კილომეტრის იქით რომ აეშენებინათ შუშის პოლიცია და ის 30-ოდე პოლიციელი ზედ მეტროს თავზე რომ არ დაესაქმებინათ, ამით არაფერი დაშავდებოდა.

**ასეა, როცა ქვეყანაში მთავარი პრიორიტეტი პოლიცია და ციხეა, როცა ავტოკრატიულ რეჟიმს ვაშენებთ და გეზი ტოტალიტარიზმისკენ გვაქვს აღებული. დიახ, ასეთი უკუღმართობები მხოლოდ იმ ქალაქში ხდება, რომელსაც ფორმალურად პირდაპირი წესით არჩეული მერი ჰყავს, რომელსაც დიდი გული მარტო გარემოვაჭრეებთან და პრესის ჯიხურების მეპატრონეებთან აქვს, ხოლო შინაგან საქმეთა მინისტრს შიშით სიტყვას ვერ უბრუნებს, დიდი მაკრატლით დასდევს და ყოველ კვირა პოლიციის ახალი შენობების წითელ ლენტებს ჭრის იქ, სადაც ნორმალური მერი ბიზნესობიექტებს გახსნიდა.**

**ლევან ჯავახიშვილი**

**ნახევარ მილიარდზე მეტია დღეს დედაქალაქის ბიუჯეტი, მაგრამ სად მიდის, ვის და რას ხმარდება ეს თანხა, როცა 800 ათასი თბილისელი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს და ქალაქი მათხოვრებითაა გადაჭედილი?!**

# მისი პირველი ოპოზიციონერი მე ვიქნები

**◀ ლათებული მკვლელები უნდა დაისაჯონ, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი, რა რანგის ჩინოვნიკებიც.** უნდა დაისაჯონ ისინი, ვინც ციხეები უკანონო პატიმრებით აავსო, ბევრი ასეთი პატიმარი გარდაიცვალა ციხეში, ბევრი უკურნებელი სენით დაავადდა, ხალხს ქონება, სახლ-კარი წაართვეს, ოჯახები დაუნგრიეს, ემიგრაციაში გააქციეს... ამ ყველაფრის პატიება შეუძლებელია. არა აქვს ჩემთვის მნიშვნელობა, ვინ იტყვის ამას და ვინ დააყენებს საკითხს, რომ ყველას ყველაფერი ეპატიოს, ამაში ვერავის დავეთანხმები. ვინც ყველაფრის პატიებას აპირებს ამ მკვლელებისთვის, მისი პირველი ოპოზიციონერი მე ვიქნები.

**— იმიტომ ხომ არ კეთდება ასეთი განცხადებები, რომ სიტუაცია არ დაიძაბოს და ხელისუფლების დამნაშავე ლიდერები არ გაალიზიანონ, დაუსჯელობის ერთგვარი ეიფორია შეუქმნან, მერე კი ყველას მოსთხოვენ პასუხს, ანუ ეს „ქართული ოცნების“ ერთგვარი ტაქტიკაა?**

— ვერ გეტყვით, მე მხოლოდ ის ვიცი, რომ არის დანაშაულობები, რომლებიც არც ერთ ხელისუფლებას არ უნდა ეპატიოს. შევარდნაძის ხელისუფლების უამრავ წარმომადგენელს რომ აპატიეს დანაშაული, შერჩევითი მართლმსაჯულება რომ გამოიყენეს, ესენი იმიტომ გათამამდნენ და იმიტომ გააჩაღეს საყოველთაო ტერორი, იმიტომ ხოცავენ დაუსჯელად ქუჩაში ადამიანებს.

**არავის, მათ შორის, არც ერთი ლიდერის გადასაწყვეტი არ არის, ვინ უნდა დაისაჯოს და ვინ არა. როცა „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოვა, სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, მიუკერძოებელმა, სამართლიანმა სასამართლომ, კანონმა: ვინ დამნაშავეა, ვინ — არა, ვის უნდა ეპატიოს რაღაც და ვის — არა.**

ერთი და ორი კაცი რომ წყვეტს ახლა მსგავს საკითხს, ამიტომაცაა, ქვეყანაში სამართალი რომ არ არის. ესენი რომ წავლენ, თუ ისევ ერთმა და ხუთმა კაცმა განსაზღვრა, ვინ არის დამნაშავე და ვინ უდანაშაულო, ვის ეპატიოს და ვის არა დანაშაული, არაფერი შეიცვლება არსებითად, ვინც არ უნდა იყოს ხელისუფლებაში. ხომ გითხარით, თუ ასეთი ტენდენცია შევნიშნე პირველი მე გამოვალ ამის წინააღმდეგ.

**— ბიძინა ივანიშვილი ამ ხელისუფლებას წარმატებად უთვლის პოლიციის კუთხით გატარებულ რეფორმას...**

— ვფიქრობ, გასათვალისწინებელია, როდის და რა კონტექსტში თქვა ეს ბიძინა ივანიშვილმა. პირადად ჩემთვის კი საპატრულო პოლიცია შსს-ს ისეთივე დანაშაულებრივი დეპარტამენტია, როგორიც კუდ-ი, სოდ-ი, ამათი სპეცნაზი. ყველა ეს უწყება არის ვანო მერაბიშვილის უსიტყვოდ მორჩილი, საუბედუროდ, იქ მომუშავე ადამიანები არიან მონები და, მერაბიშვილმა რაც უნდა უკანონობა უბრძანოს, თვალის დაუხამხამებლად ასრულებენ, კაცსაც კი მოკლავენ აუღელვებლად. **ალბათ, ბატონი ბიძინა სხვა რამეს გულისხმობდა, როცა საპატრულო პოლიციის რეფორმის წარმატებაზე ლაპარაკობდა, თორემ გრიგალაშვილი და გეგეჭკორი რომელი რეფორმატორები არიან?! ესენი არიან კრიმინალები, ამ კრიმინალთა ბანდის მეთაურები კი მერაბიშვილი და სააკაშვილი არიან.**



ზურაბ ვაზაგაშვილი

ესაუბრა

**ლევან ჯავახიშვილი**

ჰაშიშობა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მაშინ ჟორჟოლიანი შემხვდა და მითხრა, ის ბიჭი ტყუის, მანქანები უბრალოდ ერთმანეთს ჰგავსო, თუმცა შემდეგ იმ ბიჭმა მომიტანა უტყუარი მტკიცებულება, რომ ეს მანქანა მართლაც თავისი იყო. ვსვამ კითხვას, სოდ-ის მიერ ჩამორთმეული მანქანით რატომ უნდა დადიოდეს ნატოს საინფორმაციო სამსახურის უფროსი?“**

## დონალდ ტრამპი მიტ რომნის უჭერს მხარს

**ამერიკელი ბიზნესმენი, მილიარდერი დონალდ ტრამპი აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში მხარს რესპუბლიკელ მიტ რომნის უჭერს.** როგორც ტრამპმა აშშ-ში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, იგი რომნის საპრეზიდენტო შესაძლებლობებში დარწმუნებულია. შეგახსენებთ, რომ დონალდ ტრამპი საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას თვითონაც აპირებდა, თუმცა შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბიზნესმენმა პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა გადაიფიქრა.

## ირანმა კოსმოსში თანამგზავრი გაუშვა

**ირანმა კოსმოსში თანამგზავრი გაუშვა, — იუწყება ინგლისურენოვანი ტელეარხი „პრეს-ტვ“, ირანის კოსმოსური სააგენტოს ხელმძღვანელ ჰამიდ ფაზელზე დაყრდნობით.** წყაროს ცნობით, თანამგზავრი ორბიტაზე 250-დან 370 კილომეტრის სიმაღლემდე წარმატებით გავიდა. თანამგზავრი ადგილობრივი წარმოებისაა. ის უკვე მესამე ირანული თანამგზავრია. პირველი ასეთი ობიექტი კოსმოსში 2009 წლის თებერვალში, ხოლო მეორე 2011 წლის ივნისში გაუშვეს. ჰამიდ ფაზელის განცხადებით, მისი უწყების უახლოესი გეგმა კოსმოსში ბიოკაფსულის გაშვებაა, რომელშიც მაიმუნი იჯდება. ეს ჩანაფიქრი გასული წლის ოქტომბერში უნდა განხორციელებულიყო, მაგრამ გადაიდო. გარდა ამისა, უკვე შექმნილია და კოსმოსში გაშვებას ელოდება კიდევ ორი ირანული კოსმოსური აპარატი.

## აიათოლა ალ ჰამეინი დასავლეთს ემუქრება

**ირანის სულიერი ლიდერი აიათოლა ალ ჰამეინი დასავლეთს საპასუხო ზომებით ემუქრება.** ასე გამოეხმაურა ჰამეინი 1979 წლის ისლამური რევოლუციის წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე ამერიკისა და ისრაელის თავდაცვის მინისტრების განცხადებებს, რომლებმაც ირანზე თავდასხმა არ გამორიცხეს. ირანის სულიერმა ლიდერმა აღნიშნა, რომ „თეირანის ბირთვულ პროგრამას მშვიდობიანი მიზნები აქვს და მას ვერანაირი მუქარა ვერ შეაჩერებს“.

**ორიოდე თვის წინ ნანუკა ჟორჟოლიანის შოუში ლალი მოროშკინამ თაკო ფხაკაძეს ღირსების შეურაცხყოფა ვერ აპატია და „აჩანგლა“. არა, ისეთი არავითარი ზიანი ფხაკაძის სილიკონებს არ მისდგომია, მაგრამ პატრული „იმედის“ პარტიულ სტუდიაში ციმციმ გამოიძახეს და „საზოგადოებისთვის საშიშ“ მოროშკინას საპატიმროში უკრეს თავი. მანაც ადმინისტრაციული პატიმრობა ისე მოიხადა, ერთიც არ დაუჩივლია; ეგ იყო ოღონდ, კოლეგა ჟურნალისტებს სთხოვა, მისი ვაჟების ღირსებასა და თავმოყვარეობაზე ეფიქრათ და ეს უსიამოვნო ინციდენტი კიდევ უფრო არ ეპიარებინათ.**



# «გალიაში ცოლისძმებიც ზიან»

## კრიმინალური პოლიციის უფროსის ცოლის, ნანუკა ჟორჟოლიანის ძმა დიდი ოდენობით ნარკოტიკის შეძენა-შენახვისთვის დაიჭირეს

მაშინ ნანუკა ჟორჟოლიანმა თავი მოიქაჩლა, პატრული არ გამოგვიძახებიაო, თუმცა ფაქტი ჯიუტი იყო. **„ძალიან ძნელი იყო, პოლიციისთვის დამერეკა და მეთქვა, ლალი მოროშკინა დათვრა, თაკო ფხაკაძე სცემა და მოდით, დაიჭირეთო. ჩემს გადაცემას არ ახასიათებს სტუდიიდან სტუმრების აყვანა. ვიცი, რომ ეს დანაშაულის დაფარვის მუხლით კვალიფიცირდება და, თუ ჩემი დაკითხვა გახდება საჭირო, ამისთვისაც მზად ვარ“,** — „თავგანწირვით“ აღნიშნა ჟორჟოლიანმა.

რამდენიმე წლით ადრე ნანუკა ჟორჟოლიანისთვის არავითარი პრობლემა არ იყო, სატელეფონო ზარის გამო სამი ახალგაზრდის დაპატიმრების ზეპირი ბრძანება გაეცა. მაშინდელი სახალხო დამცველი სოზარ სუბარი იგონებს: **„ნანუკა ჟორჟოლიანს ვილაცამ დაურეკა ღამის ორ საათზე და ამისთვის ერეკლე კოდუამ სამი უდანაშაულო ბიჭი დააჭერინა. მათ ჩაუდეს ნარკოტიკები, ბომბები, შეთხზეს მტკიცებულებები, თითქოს არსებობდა დანაშაულებრივი დაჯგუფება, რომელმაც პოლიციას წინააღმდეგობა გაუწია. ამის თაობაზე პოლიციელებმა მისცეს ცრუ ჩვენებები და ამ ბიჭებს შეუთხზეს 25-წლიანი მუხლები, მაგრამ როდესაც გაირკვა, რომ ეს ბიჭები საერთოდ არ იცნობდნენ ერთმანეთს, პირობითი სასჯელი მიუსაჯეს, 3-3 ათასი ლარი გადაახდევინეს და შინ გაუშვეს.**

თუ ასეთი დამნაშავეები იყვნენ, მსუბუქი სასჯელი რატომ აკმარეს? ნანუკა ჟორჟოლიანისთვის რა უნდა მეკითხა, დაურეკეს თუ არა? მე წარმოვადგინე საკმარისი მტკიცებულებები, რომ მართლა დაურეკეს. არ მაინტერესებს, რა უთხრეს და რაზე ელაპარაკნენ. რაც უნდა ეთქვათ, ამის გამო ადამიანების დაჭერა არ შეიძლებოდა!

მეორე საქმე კი ასეთია: **ერთ ბიჭს, გვარს არ დავასახელებ, სოდ-მა წაართვა მანქანა სრულიად უკანონოდ, ქალბატონი ნანუკა კი, როდესაც ნატოს საინფორმაციო სამსახურის უფროსი გახლდათ, ამ მანქანით დადიოდა. მაშინ ჟორჟოლიანი შემხვდა და მითხრა, ის ბიჭი ტყუის, მანქანები უბრალოდ ერთმანეთს ჰგავსო, თუმცა შემდეგ იმ ბიჭმა მომიტანა უტყუარი მტკიცებულება, რომ ეს მანქანა მართლაც თავისი იყო.**

ვსვამ კითხვას, სოდ-ის მიერ ჩამორთმეული მანქანით რატომ უნდა დადიოდეს ნატოს საინფორმაციო სამსახურის უფროსი? ეს არ არის ნანუკას დანაშაული, ეს კოდუას პასუხისმგებლობის საქმეა. სხვათა შორის, იმ მანქანის პატრონმა მიიღო კომპენსაცია, რადგან დაამტკიცა, რომ ავტომობილი სრულიად უკანონოდ წაართვეს. ეს იყო კოდუას და მისი მეგობრების მიერ ჩადენილი ყაჩაღობა, ისინი პირდაპირ ნადირობდნენ ძვირადღირებულ მანქანებზე. სხვათა შორის, ჩვენს ოფისს შესწავლილი აქვს ერთი საქმე, რომელსაც ბაჩო ახალაიაც სწავლობდა. ამ საქმის მიხედვით, კოდუამ მისი ერთი თანამშრომელი წაიყვანა ტყეში საქმის გასარჩევად, სადაც იარაღით ემუქრებოდა, მეტიც, ესროლა კიდეც, ბიჭი შემთხვევით გადარჩა“.

თუმცა ეს იყო მაშინ, ახლა კი ნანუკა ჟორჟოლიანი კეთილშობილი მატრონას მანტიას (თუ ტოგას) ირგებს და ამიტომაც იკავებს თავს სამართალდამცავებთან ფორმალურ კონტაქტზე. სიტყვა „ფორმალური“, სააკაშვილის ფანი ტელევიზიების წყალობით ერთობ პოპულარული გახდა ბოლო დღეებში. მას ხან „ვითომ-ვითომ“-ს მნიშვნელობით თარგმნიან (ანუ სააკაშვილს ობამამ უთხრა, ხელისუფლება „ვითომ-ვითომ“ გადაეციო), ხანაც „ოფიციალურის“ მნიშვნელობით (ოპოზიცია იმას „აწვება“, რომ ობამამ ხელსუფლების ოფიციალურად დათმობისკენ მოუწოდა სააკაშვილს).

ასეა თუ ისე, ნანუკა ჟორჟოლიანი სამართალდამცავებთან ფორმალურადაც „შეკრულია“ და ოფიციალურადაც; მისი მეორე ნახევარი ხომ კრიმინალური პოლიციის უფროსი ერეკლე კოდუა გახლავთ. ის ერეკლე კოდუა, რომელმაც ბადრი პატარკაციშვილთან საკუთარი დიალოგი ოთახში კი „ჩაწერა“, მაგრამ აივანზე ეს ვერ მოახერხა და ზეპირსიტყვიერად მისცა ჩვენება, რომ პატარკაციშვილი პოლიციის მაღალჩინოსნების მოკვლაზე ეთათბირებოდა. მაგრამ ამ ყოველივეს ხელი არ შეუშლია კოდუასთვის, „წესრიგისა და კანონიერებისათვის“ კვლავაც ძველებურად ემსახურა.

ხელი ვერც იმან შეუშალა, რომ 2010 წლის აპრილში, შს სამინისტროს ვაკე-საბურთალოს რაიონული განყოფილების თანამშრომლებმა მისი ტელემეუღლის, ნანუკა ჟორჟოლიანის ძმა — მი- ▶



**«რამდენიმე დღის წინ კოდუას ცოლისძმა ამჯერად მცხეთაში დააკავეს, მასთან ერთად კი „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმის“ დირექტორის, დავით ზუბიტაშვილის (შევარდნაძის დროს — ენერგეტიკის მინისტრი) შვილი, ნიკა ზუბიტაშვილიც დააპატიმრეს. მათ ბრალად ედებათ დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვა»**

მოკლედ

## American Airlines-ი 13 ათას თანამშრომელს დაითხოვს

**აშშ-ის ერთ-ერთმა უმსხვილესმა ავიაკომპანიამ American Airlines-მა უკვე განაცხადა, რომ თანამშრომელთა რიცხოვნებას 13 ათასით შეამცირებს.** შემცირება კომპანიის მენეჯმენტსაც შეეხება. წინასწარი ინფორმაციით, დათხოვნილი იქნება 1,4 ათასი მენეჯერი, 400 პილოტი, 2,3 ათასი თანამშრომელი დამხმარე პერსონალიდან, 4,6 ათასი თანამშრომელი სახმელეთო სამსახურებიდან. აღნიშნული ქმედებით კომპანიის ხარჯები 20 %-ით შემცირდება.



## ისრაელი: ირანი 4 ატომური ბომბის დასამზადებლად მზადაა

**ისრაელის დაზვერვა აცხადებს, რომ მოცემულ მომენტში ირანს ოთხი ატომური ბომბის დასამზადებლად გამდიდრებული ურანის საკმარისი რაოდენობა გააჩნია.** ეს განცხადება ისრაელის სამხედრო დაზვერვის მეთაურმა ავივ კოჰავმა გააკეთა. მისივე თქმით, გარდა ატომური ბომბებისა, ირანს დღეისათვის 200 ათასი ბალისტიკური რაკეტის დამზადება შეუძლია. როგორც ისრაელის სამხედრო მაღალჩინოსანმა ჟურნალისტებს განუცხადა, ირანი ისრაელისთვის უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს.

**„ეს იყო კოდუას და მისი მეგობრების მიერ ჩადენილი ყაჩაღობა, ისინი პირდაპირ ნადირობდნენ ძვირადღირებულ მანქანებზე. სხვათა შორის, ჩვენს ოფისს შესწავლილი აქვს ერთი საქმე, რომელსაც გაჩო ახალაიაც სწავლობდა. ამ საქმის მიხედვით, კოდუამ მისი ერთი თანამშრომელი წაიყვანა ტყეში საქმის გასარჩევად, სადაც იარაღით ემუქრებოდა, მეტიც, ესროლა კიდეც, ბიჭი შემთხვევით გადარჩა“**

## ჰაშიშობა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მიხეილ ჟორჟოლიანი პოლიციისთვის ჯგუფური წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით (353-ე მუხლის მეორე ნაწილი) დააკავეს, წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეუფარდეს და შემდეგ გირაოს გადახდის სანაცვლოდ გაათავისუფლეს, თან ისე, რომ სასამართლო დღემდე არ გამართულა. **მაშინ მიხეილ ჟორჟოლიანის გაშვების ფორმალურ (თუ ოფიციალურ?) მიზეზად მისი მეუღლის ფეხმძიმობა დასახელდა. ვისაც არ გჯერათ, რომ თანამედროვე ქართული სასამართლო ასეთი ჰუმანურია, გაიხსენეთ, როგორ ადამიანურად მიუდგა იგი სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში ბრალდებულებს!** თუმცა მიხეილ ჟორჟოლიანის შემთხვევაში ქართულმა სასამართლომ საკუთარ ჰუმანიზმს გადააჭარბა, რადგან იგი, მწვადებითა და „სვაბოდაზე“ თავისუფალი პაემნებით კი არა, ფეხმძიმე მეუღლის უშუალო მეთვალყურეობით დააჯილდოვა!

არავინ იცის, ერეკლე კოდუაც რომ დაეჭირათ და ცოლისა და ოთხი შვილის პატრონობა სასამართლოს ძალით მიესაჯათ, შესაძლოა, ყველაფერი სხვაგვარად ყოფილიყო. თავად ნანუკაც არ მალავს: **„ირაკლი ჩემგან ძალიან ბევრჯერ წავიდა თავის ცოლთან, ოჯახის შესანარჩუნებლად. ალბათ, თორმეტჯერ მაინც მოხდა ასეთი რამ. მე კი ამ დროს არც ერთხელ არ დამირეკავს და არ მითქვამს, ჩემთან დაბრუნდი-მეთქი. ამის არანაირი უფლება არ მქონდა... მე ირაკლის ოჯახში პროვოცირების მიზეზი გავხდი და მოვლენები დავაჩქარე. მაგალითად, ახლა თამამად ვიტყვი, რომ ვერავინ ვერ დამინგრევს ოჯახს, რადგან ვისთანაც ვცხოვრობ, ის ადამიანი ძალიან მიყვარს და იგივე მუტრია მეორე მხრესაც“.**

კარგია, როცა მუტრი გაქვს, თან – ორივე მხრიდან, მაგრამ თავისი მუტრები მიხეილ ჟორჟოლიანსაც აღმოაჩნდა და ერთხელ ფეხმძიმე ცოლის ხათრით გაშვებული, მეორედაც შარში გაება: **რამდენიმე დღის წინ კოდუას ცოლისძმა ამჟერად მცხეთაში დააკავეს, მასთან ერთად კი „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმის“ დირექტორის, დავით ზუბიტაშვილის (შევარდნაძის დროს — ენერგეტიკის მინისტრი) შვილი, ნიკა ზუბიტაშვილიც დააპატიმრეს. მათ ბრალად ედებათ დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვა.**

დის და სიძის გულის გასახეთქად, მიხეილ ჟორჟოლიანი 2010 წელსაც შევარდნაძის დროინდელ მაღალჩინოსანთა (მიშა იტყოდა – „მუმიების“) შვილების კამპანიაში დააპატიმრეს: დავით ბენიძე (შევარდნაძის დროს გენერალური პროკურორის მოადგილის, ვენადი ბენიძის შვილი და ამავდროულად თავდაცვის ყოფილი მინისტრის, დავით კეზერაშვილის მეგობარი), ირაკლი ღლონტი (შევარდნაძის დროს საგადასახადო სამსახურის მაღალჩინოსნის, ავთო ღლონტის შვილი), კონსტანტინე ჩაჩავა (შევარდნაძის დროს თბილისის ვიცე-მერის, მალხაზ ჩაჩავას შვილი) და ვლადიმერ დოლიძე.

სხვათა შორის, ეს ის ვლადიმერ დოლიძეა, რომელიც მამასთან ერთად ბახმაროში გამართული დოღის დროს, ხულიგნობის ბრალდებით დააპატიმრეს. მამა ევროსასამართლოში სარჩელის შეტანის შედეგად გათავისუფლდა, ხოლო შვილი 2010-ში მეორედ დაიჭირეს და დღემდე საპატიმროშია. დოლიძის გარდა, ყველა დაკავებულმა საპატიმრო გირაოს სანაცვლოდ დატოვა, მამა-შვილი დოლიძეების სასამართლო კი დღემდე არ გამართულა და სტრასბურგის იმედზე არიან.

**რას ემართლება „ნაციონალების“ ერთგული მედია ბიძინა ივანიშვილს, როცა მის „ქართულ ოცნებაში“ ერთად იმდენი „შევარდნაძის სახე“ არასოდეს ყოფილა, რამდენიც ერეკლე კოდუას ცოლისძმის ერთ სისხლის სამართლის საქმეში? ძალიან, ძალიან ანერვიულებს მიშა** (საკაშვილი არა — ჟორჟოლიანი!) **დასაც და სიძესაც, მაგრამ სისხლი და ხორცია და რას იზამენ?** ამ ინციდენტის შემდეგ ნანუკა ჟორჟოლიანმა facebook-ზე ასეთი სტატუსი დადო: **„იმიტომ რომ ბევრი არასწორი ინფორმაცია გავრცელდა იძულებული გავხდი გამეკეთებინა განმარტება ჩემთვის ძალიან მტკივნეულ თემაზე!!! ჩემი ძმა, ოთხ ადამიანთან ერთად დააკავეს მარიხუანის (პლანის) უკანონო შეძენა, შენახვა მოხმარების ბრალდებით. დაკავება მცხეთაში მოხდა. სამ პიროვნებას არ ვიცნობ. ერთი ჩემი ძმის მეგობარია. ექსპერტიზის შედეგად, ყველა მათგანს ანალიზში აღმოაჩნდა მხოლოდ მარიხუანა (პლანის) მოქმედება. ჩხრეკის დროს ჩემს ძმას მარიხუანა თან არ ჰქონია. აღნიშნული ნივთიერება იყო ავტომანქანაში, რომელშიც ისინი ისხდნენ. შესაბამისად იმიტომ რომ კანონით მარიხუანის შეძენა შენახვა ისჯება, პასუხისმგებლობა გადანაწილდა ყველაზე. ყველას მიუსაჯეს წინასწარი პატიმრობა და გადაყვანილები არიან გლდანის ციხეში. ჩემი „არტილერიის“ მოყვარულებს კიდევ სასიხარულო ამბავი გაცნობეთ, მეგობრებს და გულშემატკივრებს კი სამწუხარო. იმედია ამომწურავი ინფორმაცია მოგაწოდეთ. ეს არის ჩემი ბოლო კომენტარი ამ თემაზე. წარმატებებს გისურვებთ ყველას!“** (სტილი დაცულია!)

ამ ამბავმა ისე დაუთუთქა გული ერეკლე დეისაძეს, რომ იგი იქვე გამოეპასუხა ნანუკას: **„იქნებ ეღირსოს ამ ქვეყანას ლეგალიზაცია! უსინდისობაა, პლანის გამო რომ გიჭერენ“.** ვინმე მაია დვალაძე კი კიდევ უფრო აფორიაქდა: **„ნანუ, ძალიან მეწყინა, დარწმუნებული ვარ, ყველაფერი მალე მოგვარდება და მიშკას** (სააკაშვილს არა – ჟორჟოლიანს! – თ.დ.) **გამოუშვებენ, არ არის მიშკა დასაჭერი კაცი, სხვა ვერ ნახეს ვერავინ??? მკვლელებით და ნაძირლებით არის სავსე ქვეყანა“...**

სხვა როგორ ვერ ნახეს – 100 ათას სულ მოსახლეზე პატიმრებით მსოფლიო ჩემპიონები ვართ, მაგრამ ნანუკას „ტუსოვკამ“, როგორც ჩანს, სხვა მკვლელების შესახებაც იცის და ჰკითხოს ვინმემ! თუმცა მაგათ სხვაგვარი ანგარიშსწორება იციან და, შესაძლოა, ჩვენ სულ არ გაგვაგებინონ არაფერი, მაგრამ ბოლოს არც ეს იმალება ხოლმე, როგორც ეს ნანუკას მამის შემთხვევაში მოხდა 2009 წელს. მაშინ ზურაბ ჟორჟოლიანმა ხმამაღლა განაცხადა: **„სილა ხელწალმა და ხელუკულმა გავაწანი. 7 მარტს გუდაურში ხაბეიშვილის სახელობის შეჯიბრება ტარდებოდა, სადაც შვილიშვილთან, მარიამთან ერთად ვიმყოფებოდი. მოვიდა კიწმარიშვილი. მე ვთხოვე აეხსნა, რას ნიშნავდა მისი ბოლოდროინდელი განცხადებები, მისგან ცინიკური და შეურაცხმყოფელი განცხადებები მივიღე. ამის შემდეგ მოვიქეცი ისე, როგორც ყველა თქვენთაგანი მოიქცეოდა, რომელსაც ღირსება აქვს. თქვენ შეაფასეთ, რამდენად იყო ეს კონფლიქტი პოლიტიკური“.**



**სოზარ სუბარი:**

**«ნანუკა ჟორჟოლიანს ვიღაცამ დაურეკა ღამის ორ საათზე და ამისთვის ერეკლე კოდუამ სამი უდანაშაულო ბიჭი დააჭერინა. მათ ჩაუდეს ნარკოტიკები, ბომბები, შეთხზეს მტკიცებულებები, თითქოს არსებობდა დანაშაულებრივი დაჯგუფება, რომელმაც პოლიციას წინააღმდეგობა გაუწია. ამის თაობაზე პოლიციელებმა მისცეს ცრუ ჩვენებები და ამ ბიჭებს შეუთხზეს 25-წლიანი მუხლები»**

აბა, სად პოლიტიკა და სად კიწმარიშვილი? მით უფრო, სად პოლიტიკა და სად ერეკლე და ნანუკა? ერთადერთი, რაც მათ აერთიანებთ, სიტყვა „ღირსების“ ხშირი და უადგილო ხმარებაა. „თუ ეროსი კიწმარიშვილი კვლავ გააგრძელებს ჩემი ოჯახის ღირსების შელახვას, ისე მოვიქცევი, როგორც მოვიქეცი გუდაურში, — ასეთი განცხადება გააკეთა ნანუკა ჟორჟოლიანის მამამ. მამას ტოლს არც ნანუკა უდებს და საკუთარ პატარას გულში ჩამწვდომად უმღერის:

**შენი თბილი**
**გულისცემა მესმის**
**ასე რომ გამახარა,**
**ეს ცხოვრება**
**მიჩუქნია შენთვის,**
**ჩემო პატარა.**
**აგისრულდეს,**
**რაც გისურვე,**
**მალე გაიზრდები,**
**შეუმჩნევლად**
**გაივლიან წლები,**
**ამ სიხარულს**
**დაგიბრუნებ,**
**შენ თავს გეფიცები.**
**მიყვარხარ, შენ გიმღერი!**
*(იხ. http://www.geolyrics.com/7466)*

„ეს ცხოვრება მიჩუქნია შენთვის,“ — ამ სიტყვებს ვეღარც სანდრო გირგვლიანი ეტყვის შვილს და ვერც ირინა ენუქიძე — დაუბადებელ შვილიშვილს. ჯვარი სწერიათ ერეკლეს ოთხივე შვილს და ნანუკასთან საერთო პატარას, რომელსაც იგი ამ სიმღერას უძღვნის. აკი „შვილები მამების (თუგინდ დედების) ცოდვებზე პასუხს არ აგებენ“. უბრალოდ, სხვასაც რომ აქვს ღირსება და საკუთარი შვილები შენსავით სტკივა, არ უნდა დაივიწყო!

**თამარ დავითულიანი**

**P.S. ზურაბ ჟორჟოლიანის გასაგონად: არც გუდაურში ვაპირებ თხილამურებზე თქვენთან ერთად სრიალს და არც „კოპალაში“ — ღირსებაზე ლაპარაკს, მაგრამ იმდენი მაინც ქენით, რომ ეს თქვენი თავგადასავლები საქართველოს სერიალივით არ აყურებინოთ!**



**ნანუკა ჟორჟოლიანი:**

**ჩემი ძმა, ოთხ ადამიანთან ერთად დააკავეს მარიხუანის (პლანის) უკანონო შეძენა, შენახვა მოხმარების ბრალდებით. დაკავება მცხეთაში მოხდა. სამ პიროვნებას არ ვიცნობ. ერთი ჩემი ძმის მეგობარია. ექსპერტიზის შედეგად, ყველა მათგანს ანალიზში აღმოაჩნდა მხოლოდ მარიხუანა (პლანის) მოქმედება.**

## ყირგიზეთის ვიცე-პრემიერს წყლით სავსე ჭიქა ესროლეს

**ყირგიზეთში მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ალექსანდრე კრემერმა ვიცე-პრემიერ ჯომარტ ოტორბაევს წყლით სავსე ჭიქა ესროლა და სხდომათა დარბაზი დატოვა.** ადგილობრივი მედიის ცნობით, კრემერმა სიტყვით გამოსვლისას მსოფლიო ბანკის სახელით ყირგიზეთის მთავრობასთან თანამშრომლობის მზადყოფნა გამოთქვა, რის შემდეგაც მოულოდნელად წამოდგა და ხელისუფლების წარმომადგენელს წყლით სავსე ჭიქა ესროლა. ვიცე-პრემიერი ჯომარტ ოტორბაევი კრემერმა შეურაცხმყოფელი სიტყვებითაც მოიხსენია და დარბაზი დატოვა. კოლეგის ქცევის გამო ვიცე-პრემიერს მსოფლიო ბანკის კიდევ ერთმა წარმომადგენელმა მოუბოდიშა. რამდენიმეწუთიანი უხერხული დუმილის შემდეგ სხდომა გაგრძელდა.



## სერგეი ლავროვს ფიჯიზე გვირგვინი დაადგეს

**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვს ფიჯის კუნძულებზე უჩვეულო დახვედრა მოუწყვეს.** ქალაქ ნანდიში ჩაფრენისთანავე ლავროვმა მონაწილეობა მიიღო საპატიო სტუმრების დახვედრის საზეიმო ცერემონიალში, რომელიც ადგილობრივი ტრადიციების შესაბამისად გაიმართა. სერგეი ლავროვი და ფიჯის პრემიერ-მინისტრი ფრენკ ბაინიმარამა კვარცხლბეკზე დასვეს და სტუმარს თავზე ყვავილების გვირგვინი ჩამოაცვეს. იქვე ახლოს კი ტრადიციულ სამოსში ჩაცმულმა ადგილობრივებმა უძველესი რიტუალი შეასრულეს, რომლითაც მეზღვაურებს ხვდებოდნენ. ცერემონიის ფარგლებში, სერგეი ლავროვმა რიტუალური სასმელიც დააგემოვნა, რომელიც იქვე სახელდახელოდ მოამზადეს.

**მოკლედ**

## ჩინეთი, შესაძლოა, ევროპას დაეხმაროს

**ჩინეთი შესაძლოა ევროპას კრიზისის დაძლევაში დაეხმაროს, ამის შესახებ განცხადება გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა გააკეთა.** მისი თქმით, ჩინეთი დაეხმარება ევროზონას მაღალი ვალის პრობლემის მოგვარებაში, რადგან პრობლემა ეხება არა მხოლოდ ევროპას, არამედ ის გავლენას ახდენს მთლიანად გლობალურ ეკონომიკაზე. შეგახსენებთ, რომ დეკემბრის ბოლოს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ევროპის ცენტრალური ბანკი საერთაშორისო რეზერვების სამართავად სპეციალური მექანიზმის შემუშავებას გეგმავდა. როგორც ვარაუდობენ, ახალი მექანიზმი მოიცავს ორ ფონდს, რომელთაგან ერთი ორიენტირებულია აშშ-ში ინვესტირებაზე, ხოლო მეორე, ძირითადად, — ევროპაზე.

## აშშ-ის „პრო“ რუსეთის წინააღმდეგაა მიმართული

**რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი დოკუმენტურ ფილმში „ხოლოდნაია პოლიტიკა“ აცხადებს, რომ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემა, რომელსაც აშშ და ნატო ევროპაში განათავსებენ, რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგაა მიმართული.** „რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა, რა თქმა უნდა, მიმართულია იქით, რომ რუსეთის ფედერაციის სარაკეტო-ბირთვული პოტენციალის ნეიტრალიზება მოხდეს. იმიტომ, რომ რადარები და რაკეტსაწინააღმდეგო სისტემები, რომლებსაც ჩვენი საზღვრების ახლოს ათავსებენ, გადაფარავს ჩვენს ტერიტორიას ურალამდე და ასევე გადაფარავს ჩვენი სახმელეთო ბირთვული ძალების ბაზირებას“, — აცხადებს ვლადიმერ პუტინი.

ინტერვიუ

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

დღეს მსოფლიოში ყველა მიხვდა, ვინ არის სააკაშვილი. ამერიკის შეერთებულ შტატებს 2003-2004 წლებში საქართველოში სერიოზული მხარდაჭერა ჰქონდა, მაგრამ, სააკაშვილის წყალობით, ხალხს ამერიკის ხსენებაც აღარ უნდა. როგორც შევარდნაძის დროს განვითარდა მოვლენები, ახლაც ასე იქნება — თავს გვახვევენ ამერიკას და ნატოს, რუსეთი კი მტერიაო. მტერი მაშინ არ იყო რუსეთი, რესპუბლიკური პარტია შევარდნაძესთან ერთად რომ მოუძღოდა საქართველოში? გვარები ჩამოვთვალო? დღეს ვინც „ქართულ ოცნებაშია", მათი 80% მონაწილეობდა ამ ყველაფერში. რუსეთის ტანკებზე იყვნენ ამხედრებულნი.

# გია ყრუაშვილი: გიორგი თარგამაძეს მოვუწოდებ, სახელი შეუცვალოს თავის პარტიას, რადგან არანაირი კავშირი მას ქრისტიანობასთან არ აქვს



**პარტია თავისუფალი საქართველოს წევრი გია ყრუაშვილი „ქრისტიან-დემოკრატების" პროტესტს ეხმაურება და აცხადებს, რომ თავის დროზე მან „საქართველოს რკინიგზაში" არსებულ დარღვევებზე სერიოზული კომპრომატები გადასცა გიორგი თარგამაძეს, მაგრამ მან აღნიშნული ინფორმაცია არათუ გაახმაურა, რკინიგზის ხელმძღვანელობას გაურიგდა და მათგან ფულიც კი აიღო. რატომ სდებს ბრალს გია ყრუაშვილი გიორგი თარგამაძეს და რატომ გამორიცხავს თავისუფალი საქართველო რესპუბლიკურ პარტიასთან ყოველგვარ ურთიერთობას, „საქართველო და მსოფლიოს" გია ყრუაშვილი ესაუბრება.**

— ჩემი გალიზიანება „ქრისტიან-დემოკრატების" ბოლოდროინდელმა განცხადებებმა გამოიწვია. „ქრისტიან-დემოკრატები" ახლა რომ მართავენ ბრიფინგებს და რკინიგზის ხელმძღვანელობას სამართლიანობისკენ მოუწოდებენ, როცა რკინიგზაში არსებული დარღვევების შესახებ გიორგი თარგამაძეს საკმაოდ სერიოზული მასალები გადავეცი, მაშინ რატომ გაჩუმდა?

**„ვარდების რევოლუციის" შემდეგ ჟვანია-სააკაშვილს შორის უთანხმოება მოხდა, რადგან ორივეს „საქართველოს რკინიგზაში" თავისი კადრების დანიშვნა სურდა. ბოლოს მაინც ჟვანიას კადრი, დავით ონოფრიშვილი დაინიშნა „საქართველოს რკინიგზის" ხელმძღვანელად და, სანამ ზურაბ ჟვანია ცოცხალი იყო, ონოფრიშვილი სააკაშვილის გუნდს ყველა თხოვნაზე უარს ეუბნებოდა. ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ კი ონოფრიშვილს 25 მილიონი შეატანინეს ბიუჯეტში, რომ არ დაეჭირათ,** ხოლო უწყების ხელმძღვანელად ირაკლი ეზუგბაიას მოსვლის შემდეგ ფინანსური პოლიცია შემოვიდა „რკინიგზაში". წელიწადნახევრიანი შემოწმების შემდეგ ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა დაახლოებით 23 შუალედური აქტი დაწერეს „საქართველოს რკინიგზაში" არსებულ დარღვევებთან დაკავშირებით. დაიჭირეს რკინიგზის ფინანსური დირექტორი, ხოლო გადაზიდვის სამსახურების უფროსების კაბინეტები დალუქეს. ბოლოს სააკაშვილის სახლში შეიკრიბნენ გიორგი არველაძე, დავით კეზერაშვილი, მიხეილ სააკაშვილი და გადაწყვიტეს, ეზუგბაიასგან თანხა აეღოთ და არ დაეჭირათ, რის შემდეგაც ეს დაჭერილი ხალხი თანამდებობებზე დააბრუნეს.

რკინიგზის თანამშრომლებთან ვმეგობრობდი, ბევრი მათგანი პოლიციასთანაც თანამშრომლობდა. სწორედ მათი მეშვეობით ჩამივარდა ხელში ეს შუალედური აქტები, რომლებშიც დაახლოებით ას მილიონზე მეტ გახარჯულ თანხაზეა საუბარი.

აღნიშნული აქტები წავიღე ტელეკომპანია „იმედში", შევხვდი ტელეკომპანიის ხელმძღვანელობას. საშვთა ბიუროსთან დამხვდა ვინმე მამუკა ურუშაძე, რომელმაც საშვის გარეშე შემიყვანა ტელევიზიაში. კაბინეტში ისხდნენ გიორგი თარგამაძე, მაია თაბაგარი და მაგდა ანიკაშვილი. როცა ეს აქტები ვაჩვენე, გადახედეს ერთმანეთს და „ვაიმე, რა ბომბი მასალააო!" — თქვეს. საინფორმაციო გამოშვებაში ამ სიუჟეტის გაშვება დაენანათ და გადაწყვიტეს, იგი გადაცემა „დროებაში" გაეშვათ. დაუძახეს ნათია მიქიაშვილს, რომელთანაც დღესაც ვმეგობრობ, და დაავალეს სიუჟეტის მომზადება. ერთი კვირის განმავლობაში ვამზადებდით სიუჟეტს, ფინანსური პოლიციის აქტების გარდა, გადავიღეთ სხვა დარღვევებიც, მაგალითად, კადრებში კარგად ჩანს, თუ როგორ გამოაქვს გადამყიდველს ბილეთები და როგორ ჰყიდის სამმაგ ფასში.

სიუჟეტი „დროებაში" 2006 წლის 25 დეკემბერს უნდა გასულიყო, თუმცა, რატომღაც არ გაუშვეს. როდესაც ვიკითხე, მიპასუხეს, ახალი წლის დღეებია, საახალწლო სიუჟეტებს ვამზადებთ და ორი კვირის შემდეგ გავუშვებთო. მერე მითხრეს, ძველით ახალ წელს გავაო. ასე მატყუებდნენ და საბოლოოდ მიზეზიც ვეღარ მითხრეს, თუ რატომ არ გავიდა აღნიშნული სიუჟეტი ეთერში. შემდეგ რკინიგზის ერთ-ერთმა თანამშრომელმა, თანამდებობის პირმა საიდუმლოდ მაცნობა, რომ გარიგება მოხდა „საქართველოს რკინიგზის" ხელმძღვანელობასა და გიორგი თარგამაძეს შორის, ამიტომ ეს სიუჟეტი აღარ გავა ეთერშიო. **სამასი ათასი დოლარი გადაუხადეს „საქართველოს რკინიგზის" ხელმძღვანელებმა გიორგი თარგამაძეს, რომ სიუჟეტი გადაცემაში არ გაეშვა. თუ არ აუღია ეს თანხა, მაშინ გამობრძანდეს თარგამაძე და ამიხსნას, ასეთი მნიშვნელოვანი მასალა რატომ დაბლოკა! დაინტერესდეს პროკურატურა, ამოიღონ ჩემი 2006 წლის სატელეფონო საუბრები, მზად ვარ, გამოძიებასთანაც ვითანამშრომლო. დაინტერესდნენ, მე ხომ საქართველოს რკინიგზიდან დატაცებულ ას მილიონზე ვსაუბრობ?**

საერთოდ, მოვუწოდებ გიორგი თარგამაძეს სახელი შეუცვალოს თავის პარტიას, რადგან არანაირი კავშირი მას ქრისტიანობასთან არ აქვს. წაიყვანს გიორგი თარგამაძე ტელევიზიებს, გადაიხდის პატრიარქის ჯანმრთელობის პარაკლისს, მერე რომელიმე მეუფესთან მივა და ტელევიზიები აშუქებენ ამ ყველაფერს. როდის იყო, მართლმადიდებელი მორწმუნე თავისი ღვთისმოსაობით სპეკულირებდა! „ბუდა ბარი" შენდება საპატრიარქოსთან, უახლოეს მომავალში ქართველების ძვლებს ამოყრიან საფლავებიდან და არავინ აპროტესტებს. გარეგინი ჩამოვიდა საქართველოში, ლამის სცემა ჩვენი პატრიარქი, სულ მუხლებზე ურტყა ხელი ძველი ბიჭივით, არც ეს გააპროტესტეს, კაზინო ააშენეს საპატრიარქოსთან, ახლა მეჩეთი შენდება ბათუმში, ესეც არ ადარდებთ. რატომ არაფერს აპროტესტებენ ან „ქრისტიან-დემოკრატები" და ან სხვა ოპოზიციონერები? ოპოზიცია დუმს, რადგან ყველაფერი დადგმული სცენარის მიხედვით მიმდინარეობს.

**— ანუ, თქვენი აზრით, მთელი ოპოზიცია გარიგებულია ხელისუფლებასთან?**

— უმეტესობა, ოპოზიციის 80% გაყიდულია. ყველა, ვინც დღეს ხელს უშლის ოპოზიციის გაერთიანებას, ხელისუფლების თამაშს თამაშობს. მაგალითად, გავიხსენოთ, როგორ გამოვიდა ნოღაიდელი და განაცხადა, ფეხებს დავამტვრევ სააკაშვილსო. სად არის დღეს ნოღაიდელი? რატომ არ აქტიურობს? გამოჩნდა, რა მისიაც ჰქონდა, შეასრულა და ოპოზიციას, რომელიც ისედაც სულს ღაფავდა, სულ ბოლო მოუღო. ახლაც ასე ხდება.

**— ცოტა ხნის წინათ თქვენი პარტიის ლიდერმა კახა კუკავამ ჩვენთან ინტერვიუში განაცხადა, რომ შემოთავაზების შემთხვევაში მზად არის, ბიძინა ივანიშვილთან ითანამშრომლოს, მაგრამ რამდენიმე დღეში აზრი შეიცვალა. რატომ შეცვალეთ გადაწყვეტილება?**

— დღესაც ვაცხადებთ, რომ რესპუბლიკელების განწყობასა და ჭკუაზე არასდროს ვივლით. ბატონმა ბიძინამ დააკონკრეტოს, რა უნდა. რესპუბლიკელების დასაფინანსებლად თუ ჩამოვიდა, ბარემ მილიონი საფრანგეთიდან გამოეგზავნა. რომ იძახიან, ნინო ბურჯანაძე და კახა კუკავა არ გვინდაო, ვინ ეხვეწებათ, საერთოდ? მათ უნდა ეამაყებოდეთ ჩვენთან დგომა და არა ჩვენ — მათთან. ჩვენ ვამბობთ იმას, რაც ყველამ კარგად იცის, რომ **ამ კანონმდებლობით და ასეთი ქცევებით სააკაშვილს არჩევნებს ვერ მოვუგებთ. ხალხს რატომ ატყუებენ? თუ ვინმეს იმის ილუზია აქვს, რომ ივანიშვილი ალასანიათი და რესპუბლიკელებით სააკაშვილს დაამარცხებს, სირცხვილია.** ახლა, ეგენი დამარცხებაში იმას თუ გულისხმობენ, რომ ალასანია და კობა დავითაშვილი თითო-თითო მანდატს მიიღებენ და ნაციონალები ისევ უმრავლესობაში დარჩებიან, არ ვიცი.

ნინო ბურჯანაძეს „ბრაკავენ", იწუნებენ. კი, ბატონო, მაგრამ **მე ელიზბარ ჯაველიძე, სოსო ჯაჭვლიანი, ნონა გაფრინდაშვილი, გია ბურჯანაძე, ლუკა კურტანიძე მირჩევნია მთლიანად რესპუბლიკელებს. სადმე გინახავთ ამ ხალხის ცუდი საქციელი? მაგრამ უსუფაშვილების, ხიდაშელებისა და ბერძენიშვილების გვინახავს.** მათ განათლებაზე არ მაქვს პრეტენზია, კი, ბატონო, განათლებული ხალხია, მაგრამ ჩვენთვის მთავარი მათი იდეოლოგიაა.

კახა კუკავას მისვლა კოალიციაში ნიშნავს, რომ თინა ხიდაშელი ბიძინას აღარ დასჭირდება და კოალიციაში ბევრის ადგილი არ დარჩება, იმიტომ, რომ რეიტინგითაც და ჭკუითაც მათ აჯობებს. კონკურენცია არ სურთ.

**— იქნებ მიზეზი არა კონკურენციაში, არამედ იდეურ განსხვავებაშია?**

— რუსეთუმეობას ჩვენ გვაბრალებენ, არადა, სოჭში აფხაზეთის დამოუკიდებლობას ხელი რესპუბლიკელებმა მოაწერეს და 1989 წელს უსუფაშვილი კომუნისტურ პარტიაში შევიდა. ძმებ ბერძენიშვილებზე აღარაფერს ვამბობ, მათი საქმეების გამო, ზუგდიდში ჩასვლასაც რომ ვერ ბედავენ. გლდანის ეკლესია რომ დაარბიეს, ლევან ბერძენიშვილმა ბოკერიასთან ერთად განაცხადა, ყველაზე ბედნიერი დღე გათენდა ჩემთვისო. ახლა კი ბიძინა **ივანიშვილის პარტიის შესასვლელში მოურავივით ზის თინა ხიდაშელი და, ვინც არ უნდა, არ უშვებს.**

**— რატომ ფიქრობთ, რომ ივანიშვილზე ამხელა გავლენა აქვთ რესპუბლიკელებს? ოპოზიციონერების მხრიდან მათი მისამართით ბოლო დროს ხშირად ისმის ბრალდებები, რა ხიფათს ხედავთ ასეთს რესპუბლიკელებში?**

— ხიფათს იმიტომ ვხედავთ, რომ თავად ბიძინაა რესპუბლიკელების მარწუხებში მოქცეული. ისინი დამოუკიდებლად ერთპროცენტიან ბარიერსაც ვერ გადალახავენ. თუ ვერ ხვდებიან, რომ ამ რეჟიმის დამარცხებას ერთიანობა სჭირდება, ვერავინ დამაჯერებს, რომ ეს კაცი საქართველოს ოცნების ასახდენად ჩამოვიდა. კი, ბატონო, ბევრი კარგი საქმე აქვს გაკეთებული ბიძინა ივანიშვილს, სამებაც ააშენა, მაგრამ ეკლესიებს ქურდებიც აშენებდნენ. მთავარია, ახლა რას იზამს. ქვეყანაა გადასარჩენი!

**დღეს მსოფლიოში ყველა მიხვდა, ვინ არის სააკაშვილი. ამერიკის შეერთებულ შტატებს 2003-2004 წლებში საქართველოში სერიოზული მხარდაჭერა ჰქონდა, მაგრამ, სააკაშვილის წყალობით, ხალხს ამერიკის ხსენებაც აღარ უნდა. როგორც შევარდნაძის დროს განვითარდა მოვლენები, ახლაც ასე იქნება — თავს გვახვევენ ამერიკას და ნატოს, რუსეთი კი მტერიაო. მტერი მაშინ არ იყო რუსეთი, რესპუბლიკური პარტია შევარდნაძესთან ერთად რომ მოუძღვოდა საქართველოში? გვარები ჩამოვთვალო? დღეს ვინც „ქართულ ოცნებაშია", მათი 80% მონაწილეობდა ამ ყველაფერში. რუსეთის ტანკებზე იყვნენ ამხედრებულნი.** თავად ბიძინა ივანიშვილიც იყო ჩამოსული, შევარდნაძის დავალებით შეხვდა გამსახურდიას და სთხოვა, შეეწყვიტა ურთიერთობა დუდაევთან და ჩეჩნებთან და დიდი თანხაც ჰქონდა ჩამოტანილი, მაგრამ ზვიადმა რომ უარი უთხრა, ის ფული კიტოვანთან აიტანეს თბილისის ზღვაზე.

მივმართავ ბატონ ბიძინას, გამოუცხადოს თავის გარემოცვას, ვითომ სადღაც სამოგზაუროდ მიჰყავს, უქირაოს გემები და სადღაც შუა ზღვაში დატოვოს. მაშინ მართლა ოცნების ქვეყანას ავაშენებთ.

**— მაისის საპროტესტო აქციების დროს თქვენი განცხადება ბევრმა ჰომოფობიურად აღიქვა. როგორ ფიქრობთ, რამდენად მართებულია პოლიტიკოსის მხრიდან მსგავსი განცხადებებით გამოსვლა და როგორ აისახება ეს თქვენს იმიჯზე?**

— მე, პირველ რიგში, ქართველი კაცი ვარ და არა პოლიტიკოსი. დღეს რუსთაველის თეატრში რა სპექტაკლებს დგამენ, ვნახეთ უკვე. ერთობლიობაში ეს ყველაფერი ერის გარყვნისკენაა მიმართული, თორემ იეღოველები და გეები კომუნისტების დროსაც იყვნენ, მაგრამ წყნარად იყვნენ, თავისთვის, ხელისუფლებაში მოსვლას კი არ ლამობდნენ. მამათმავალსაც აქვს ცხოვრების უფლება, მე არავის ვერჩი, მაგრამ ქვეყანაში ამ ხალხის განდიდება და პროპაგანდა რომ მიმდინარეობს, ეს არ მომწონს.

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

## «ვინც დღეს ხელს უშლის ოპოზიციის გაერთიანებას, ხელისუფლების თამაშს თამაშობს!»

**შევარდნაძემ მშვენივრად გააკეთა, რაც სურდა: ჩვენ და „მხედრიონს“ ერთმანეთს გვახოცინებდა. ისინი იყვნენ გაფუჭებული „პრისტუპნიკები“, რომლებიც ციხიდან გამოიყვანა, გამოიყენა ჩვენ წინააღმდეგ და მერე, როცა მათი არსებობა აღარ სჭირდებოდა, ჩვენ თუ დავხოცავდით, ხომ კარგი, თუ ისინი დაგვხოცავდნენ, — მთლად უკეთესი...**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ვალტერ შურღაია: ჯაბა იოსელიანი სოხუმში მწერალთა კავშირის სახლის აფეთქებაში დახმარებას გვთხოვდა

**მიცვალებულზე ან კარგს ამბობენ, ან არაფერს. ამ კაცზე ლაპარაკი არ სურთ, არადა, 90-იან წლებში „მხედრიონი“ და მისი ლიდერი ჯაბა იოსელიანი მოსახლეობას შიშის ზარს სცემდა (იგი თემურ-ლენგსაც კი შეადარეს); ისინი აწიოკებდნენ და არბევდნენ მოსახლეობას, განურჩევლად ყველა კუთხეს, განსაკუთრებით კი — სამეგრელოს. წარსულს ჩაბარდა ის ავადმოსაგონარი წლები, თუმცა არიან ადამიანები, რომლებმაც საკუთარ თავზე იწვნიეს „მხედრიონის“ სისასტიკე. ახლახან დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დასაფლავებულ „მხედრიონის“ ლიდერ ჯაბა იოსელიანის საფლავის ამოთხრის მცდელობა იყო. „იმსახურებს თუ არა იგი ამას, კიდევ განსჯის საგანია, თუმცა, სანამ არ შეფასდება 90-იანი წლების პროცესები, მანამდე შესაძლოა მუდმივად გაგრძელდეს საფლავის ამოთხრა,“ — აცხადებს ყოფილი უზენაესი საბჭოს დეპუტატი ვალტერ შურღაია, რომელსაც ძალიან უმძიმს იმ ავბედითი დროის გახსენება.**

**— ბატონო ვალტერ, თუ შეგიძლიათ გაიხსენოთ 90-იანი წლები, „მხედრიონი“ და მისი ლიდერი ჯაბა იოსელიანი?**

— თუ გნებავთ, რამდენიმე შტრიხს გამოვყოფ ჯაბას პორტრეტისთვის. ეს იყო 1989 წელს, როდესაც 15-16 ივლისის მოვლენებისას აფხაზეთში მოკლეს ვოვა ვეკუა. მაშინ გავრცელდა ხმა, თითქოს თურქი-მესხები გაგრის გავლით საქართველოში შემოჭრას აპირებდნენ. ამ დროს ზუგდიდში ჩვენი ჯგუფი შეიქმნა და ასევე თავის ხალხთან ერთად სამეგრელოში ჩამოვიდა ჯაბა იოსელიანი (იმ პერიოდში იგი ზვიად გამსახურდიას მხარეზე იყო). იოსელიანმა ითხოვა ჩემთან და ზაურ ქობალიასთან შეხვედრა (ზაურ ქობალიაც პოლიტპატიმარი იყო 60-იანი წლებში). სოხუმთან, აჩადარის ტყეში შევხვდით მე და ზაური. ჩვენთან ერთად იყო კიდევ ერთი ახალგაზრდა კაცი ჭავჭავაძის საზოგადოებიდან. ჯაბამ (ვითომ დიდი საიდუმლო გაგვიმხილა) გვითხრა, რომ ქმნიდა სამხედრო ფორმირებას, რომლისთვისაც „მხედრიონი“ უნდა დაერქმია და დახმარება გვთხოვა. ჩვენ ვკითხეთ, თუ რა საშუალებებით აპირებდა ამის გაკეთებას. განცხადებას გამოვაქვეყნებ გაზეთ „კომუნისტშიო“, — გვიპასუხა. ჩვენ ვუთხარით, რომ, „თუ განცხადებას გააკეთებთ, აგენტები შემოცვივდებიან, მადლიზა ეროვნული მოძრაობა იწყება და გვინდა ჩვენ აგენტი?“ ჯაბამ გვიპასუხა: „მერე რა, შემოვიდეს, სად წამივაო?“

ჩვენ ვუთხარით, რომ ეს არ იყო ჩვენი საქმე და უარით გამოვისტუმრეთ. **მაშინ ჯაბა იოსელიანი სოხუმში მწერალთა კავშირის სახლის აფეთქებაში დახმარებას გვთხოვდა. ჩვენ, რა თქმა უნდა, უარი ვუთხარით და დავემუქრეთ კიდეც, თუ ამას გააკეთებდა, ვამხელდით მთელი ერის წინაშე. იმ დროს ძლივს ჩაცხრა სიტუაცია და სოხუმში მწერალთა სახლის აფეთქება იქნებოდა?! იქ, სხვათაშორის, ქართველი მწერლებიც იმყოფებოდნენ.**

**— ჯაბა იოსელიანმა და მისმა „მხედრიონმა“ ყველაზე სასტიკად სამეგრელო ააოხრეს, თუ გახსოვთ ეს ავადსახსენებელი პერიოდი?**

**— სამეგრელოზე ვლაპარაკობ მხოლოდ ერთი მიზეზის გამო, აქ აშკარად გამოჩნდა მათი ნამოქმედარი, თორემ ისე მხედრიონელებს ფეხებზე ეკიდათ სამეგრელო, ქართლი, კახეთი თუ თბილისი. ისინი ერთნაირად დათარეშობდნენ, ყაჩაღობდნენ, ძარცვავდნენ და აუპატიურებდნენ ყველგან, სადაც ხელი მიუწვდებოდათ. სამეგრელო იმიტომ ამოიჩემეს, რომ სამეგრელოში იყო ყველაზე დიდი წინააღმდეგობა, აქ იკრიბებოდა მთელი საქართველოს მოსახლეობა. ქალაქ ზუგდიდში, სადაც 60 ათასი კაცი ცხოვრობდა, 200-ათასიანი მიტინგები იმართებოდა. ლოზუნგებზე იყო წარწერები: „ხაშური“, „თბილისი“, „ქუთაისი“... საერთოდ, მთელი საქართველო იქ იყო, დაუმორჩილებლობის ეპიცენტრი იყო ზუგდიდი და ამიტომაც ლაშქრავდნენ სამეგრელოს. მხედრიონელებს და მის ლიდერს სამეგრელოში საშინელი რაღაცები აქვთ გაკეთებული.**

**— ედუარდ შევარდნაძე იხსენებს: როცა სამეგრელოში ჩავედი, ქალებმა მითხრეს, ოღონდ ჯაბა იოსელიანი მოგვაშორე და შენზე ვილოცებთო; ამის მერე მართლაც გამოვიწვიე იოსელიანი უკანო. თუ გახსენდებათ, როდის დაეხსნა სამეგრელოს „მხედრიონი“?**

— სოფელ დარჩელში „მხედრიონმა“ და დოდო გუგეშაშვილმა 40-მდე სახლი რომ გადაწვეს, ეს ხომ ფაქტია. იყო ერთი კაცი, გვარად ჩალიგავა. მხედრიონელები სახლში შეუცვივდნენ მას და მისი ქალიშვილის გაუპატიურება მოინდომეს. იგი შეებრძოლა და ადგილზევე მოკლეს; ვინმე შენგელიას გამოსასყიდად კი სოფელს ოქრო მოსთხოვეს. სოფელმა ოქრო შეუგროვა „მხედრიონს“, მაგრამ მხედრიონელებმა მკვდარი ბიჭი დაუბრუნეს. ამას გარდა, შამათავა, ჩემი უმცროსი მეგობარი, დაიჭირეს სამტრედიაში. ისიც ოქროთი გამოისყიდეს ნათესავებმა, მანამდე კი საშინელ ტანჯვაში ჰყავდათ. როდესაც წყალი ითხოვა თურმე, მხედრიონელებმა უთხრეს, რომ საკუთარი შარდი დაელია. **არ შემიძლია არ გავიხსენო და ქედი არ მოვიხარო ახალგაზრდა მხატვრის, ვახტანგ ნოდიას წინაშე, რომელიც მხედრიონელებმა სასტიკად აწამეს — ჯერ ერთი ხელი მოაჭრეს, მერე — მეორე, მერე — ორივე ფეხი და ასე წამებით მოკლეს. ვახტანგ ნოდია იმიტომ აწამეს, რომ მან პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია დახატა. ასეთ საშინელებებს მხოლოდ ფაშისტების ნამოქმედარში თუ წაიკითხავთ. ისინი სისხლისმიერი ქართველები კი იყვნენ, მაგრამ სულიერად არ იყვნენ ქართველები. თუმცა ზვიადი ამბობდა, რომ ყველა არ იყო ასეთი...**

**— სამეგრელოში იმ პერიოდში მხედრიონელებმა 6 ახალგაზრდა დახვრიტეს. ამ ოპერაციაში მაშინდელი შს მინისტრი კვირაიაც მონაწილეობდა, თუმცა ამისათვის კვირაია მხოლოდ თანამდებობიდან გადააყენეს და პასუხი მისთვის არავის მოუთხოვია.**

— კვირაიამ 6 კაცი დახვრიტა შევარდნაძის თანდასწრებით. ეს ფაქტი გადაიღო ერთმა ახალგაზრდა კაცმა, რომლის სახელი და გვარი, სამწუხაროდ, არ მახსოვს. ის ჩემზე ბევრად ახალგაზრდა იყო. შემდეგ ეს ახალგაზრდა შევარდნაძის მომხრე და მისი კორესპონდენტი იყო, მერე კი რატომღაც დაიჭირეს. კვირაიას მიერ 6 ბიჭის დახვრეტის ამბავი სწორედ მან გაავრცელა. თუ ამ ინტერვიუს წაიკითხავს, გამომეხმაუროს, რადგან ამის კადრები მხოლოდ მას ჰქონდა. ამ დროისთვის მე დაპატიმრებული ვიყავი.

**— ის მაინც არ გვითხარით, როგორ დატოვა „მხედრიონმა“ სამეგრელო...**

— 1992 წელს მოხდა ძალიან დიდი შეტაკება „მხედრიონის“ რაზმებსა და ადგილობრივ პატრიოტებს შორის. „მხედრიონის“ აღვირახსნილობამ — ძარცვავდნენ, აუპატიურებდნენ და კლავდნენ ადამიანებს — მოსახლეობას იარაღი ააღებინა. ტანკებზე ეწერა „სიძეები მოდიან“ და მეგრელებმა ვერ აიტანეს ამდენი დამცირება. შეიარაღებულმა ბიჭებმა ჯაბა და „მხედრიონი“ ალყაში მოაქციეს. ისინი მხოლოდ ტყუილისა და შემთხვევის წყალობით გადაურჩნენ სიკვდილს. **სასწრაფოებს გამოუძახეს, თითქოს მკვდრები და დაჭრილები უნდა გაეყვანათ, ჯაბა იოსელიანი და სხვა მხედრიონელები საკაცეებზე დააწვინეს და ისე გამოიყვანეს სამეგრელოდან, თითქოს მკვდრები იყვნენ. ასე რომ არ გაეკეთებინათ, ვერც ჯაბა და ვერც ერთი მხედრიონელი სამეგრელოდან ცოცხალი ვერ გამოვიდოდა.** ჯაბა მაშინ არ უნდა მომკვდარიყო, იმიტომ, რომ, როდესაც მისმა პატრონმა შევარდნაძემ ჯაბა გამოიყენა და მერე ციხეში ჩააგდო, ისე იტანჯებოდა, როგორც ჩვენ. სამართალმა იზეიმა.

**— თუმცა ამბობენ, რომ აფხაზეთის ომში ზვიადისტები და მხედრიონელები იმ პერიოდში ერთად იბრძოდნენ...**

— როდესაც შევარდნაძემ აფხაზეთის ომი დაიწყო, უნდოდათ, ისე წარმოეჩინათ, თითქოს ამ ომში კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლები არ მონაწილეობდნენ. ჩვენ ჩუმ-ჩუმად ვაგზავნიდით ხალხს — 50-100 კაცს აფხაზეთის ომში, რომ არ გამოვჩენილიყავით. როგორც კი ჩვენ გადავწყვეტდით აფხაზეთში საომრად წასვლას, იმ წუთში ჯაბას ხალხი გამოჩნდებოდა სამეგრელოს საზღვართან. **მათ არ სურდათ ჩვენი მონაწილეობა ომში, იმიტომ, რომ აფხაზეთში ომის მოგება არ უნდოდათ. ჩვენ აფხაზეთის ომის დაწყების სასტიკი წინააღმდეგი ვიყავით, მაგრამ, რადგან დაიწყო ეს ომი, არ გვინდოდა ჩრდილში ყოფნა, რადგან მერე ჩვენი თანამემამულეების თვალში თავს ვერ გავიმართლებდით, ამიტომ იძულებული ვიყავით, ამ ომში ჩავრთულიყავით.**

**— მხედრიონელთა ერთი ნაწილი აფხაზეთის ომში მაროდიორობითა და ძარცვით იყო დაკავებული, ნაწილი კი მართლაც იბრძოდა. თქვენი აზრით, რა წვლილი მიუძღვით მათ ამ ომში?**

— მე ბევრი მხედრიონელი მინახავს — ისინი, ვინც ომობდნენ, და ისინი, ვინც ყაჩაღობდნენ. მაშინ რეგულარული ჯარი არ არსებობდა, რადგან შევარდნაძეს არ სურდა, არც მობილიზაცია გამოუცხადებია. როცა უნდოდათ, წავიდოდნენ; როცა უნდოდათ, წამოვიდოდნენ. არ არსებობდა არც მეთაურის მორჩილება და რაიმე წესრიგი. ჩვენმა ბიჭებმა დაიჭირეს შეიარაღებული მხედრიონელები, რომლებსაც ნაძარცვი მოჰქონდათ. ამ ნაძარცვში ქალის ნახმარი თეთრეულიც კი აღმოაჩინე. ეს ნაძარცვი ტელევიზიას გადმოვუგზავნეთ საჩვენებლად, მაგრამ, რასაკვირველია, არ აჩვენეს. იმ დროს „მხედრიონზე“ ლოცულობდა მთელი თბილისი, ხოლო ჩვენ სამშობლოს მოღალატეებად გვაცხადებდნენ. **სხვათა შორის, შევარდნაძემ მშვენივრად გააკეთა, რაც სურდა: ჩვენ და „მხედრიონს“ ერთმანეთს გვახოცინებდა. ისინი იყვნენ გაფუჭებული „პრისტუპნიკები“, რომლებიც ციხიდან გამოიყვანა, გამოიყენა ჩვენ წინააღმდეგ და მერე, როცა მათი არსებობა აღარ სჭირდებოდა, ჩვენ თუ დავხოცავდით, ხომ კარგი, თუ ისინი დაგვხოცავდნენ, — მთლად უკეთესი...**

არის ფაქტები, რომელთა დაუნახაობაც არ შეიძლება. ეს იყო ლაბრასთან (სადაც მეც ვიყავი), როდესაც კანონიერი ხელისუფლების მომხრეები, ლოთი ქობალია და ჯაბა იოსელიანი ერთად იბრძოდნენ. ეს იყო გმირობა ორივე მხრიდან და ჩვენ გახარებული ვიყავით, რომ „მხედრიონში“ ყოფილან კარგი ბიჭები, მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან ცოტა.

**— ალბათ, არასასიამოვნო გასახსენებელია, მაგრამ ჩაგეკითხებით: თქვენ ტელევიზია აიღეთ და მაშინ თქვენს დასაპატიმრებლად სპეცოპერაცია ჩატარდა. დღევანდელი გადასახედიდან როგორ უყურებთ ამ ამბავს?**

— როდესაც დამაპატიმრეს, ამ სპეცოპერაციაში „მხედრიონიც“ მონაწილეობდა და გვარდიაც. მხედრიონელები დამცინოდნენ, მაფურთხებდნენ და რას არ აკეთებდნენ. ეს ამბავი იმელის შენობაში ხდებოდა. ამის შესახებ ბევრჯერ მისაუბრია, მაგრამ ვიტყვი იმას, რომ, სანამ ცოცხალი ვარ, ამ ამბავს საკუთარ თავს არ ვაპატიებ, იმიტომ, რომ მე მომატყუეს, რადგან ეს იყო „ჩაწყობილი“ საქმე. **მართალია, მე მქონდა ბრძოლის გამოცდილება, მაგრამ მოვტყუვდი და რა ვქნა... უბედურება ის კი არ არის, რომ მე, დავუშვათ, დამამარცხეს, შევარდნაძის დროებითმა გამარჯვებამ და ჩემმა დამარცხებამ ეროვნული მოძრაობის დამუხრუჭებაც კი გამოიწვია, თუმცა საბოლოოდ ყველაფერი თავის ადგილას დადგა.** მადლობელი ვარ იმ ადამიანების, რომლებიც მხარს უჭერდნენ კანონიერ ხელისუფლებას (მე უზენაესი საბჭოს დეპუტატი ვიყავი) და თბილისსა და დასავლეთში მრავალათასიანი მიტინგები იმართებოდა.

**— თუმცა ამ მიტინგებს დიდი მსხვერპლიც მოჰყვა. ალბათ, გახსოვთ 2 თებერვალი...**

— როცა უზენაესი საბჭოს შენობაში ვიყავით და ტყვიებს გვიშენდნენ, ეროვნული ძალები ჯერ კიდევ მაშინ მართავდნენ მიტინგებს, რომლებსაც ქალბატონი ეთერ მგალობლიშვილი უძღვებოდა. რაც შეეხება 2 თებერვალს, იმ დღეს ბევრი ადამიანი დახვრიტეს.

**— ახლახან „მხედრიონის“ ლიდერ ჯაბა იოსელიანის საფლავის ამოთხრის მცდელობა იყო. ზოგიერთის აზრით, ეს იყო შეკვეთილი, შემკვეთთა შორის ასახელებენ განათლების ყოფილი მინისტრის, კახა ლომაიას მამას. რას იტყვით საფლავის ამოთხრის თაობაზე?**

— მე არ ვიცი, რა ისეთი ანტაგონისტური დამოკიდებულება უნდა ჰქონოდა ლომაიას მამას ჯაბას მიმართ, რომ ეს გაეკეთებინა. ეს სისულელედ მიმაჩნია და გამორიცხულია. **მიუხედავად იმისა, რომ ეს საქციელი ანტიმართლმადიდებლურია და მისი გამართლება არ შეიძლება, მსგავსი მოქმედებები არ შეწყდება მანამ, სანამ პუტჩის მოვლენები არ შეფასდება. შეიძლება 100 ან 200 წელი გავიდეს, მაგრამ ასეთი ფაქტები განმეორდება. სანამ ხელისუფლება, სწორ შეფასებას არ მისცემს პუტჩს, მანამდე საშველი არ იქნება.** ის, რაც დღეს ქვეყანაში ტრიალებს, ეს არის პუტჩის შედეგი. შენი და შენი თაობის სისხლისმსმელი რომ მოხვდეს შენს გვერდით, შეუძლებელია, ეს მშვიდად მიიღო. მე 67 წლისა ვარ უკვე, მაგრამ, თუ ისინი ჩემ გვერდით მოხვდებიან, იმის გარანტიას ვერ მოგცემთ, რომ მათ ცუდად არ მოვექცევი.

ესაუბრა
**ეთერ ბალაძე**

საქართველო და მსოფლიო
ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ამ ყველაფერმა ამარჩევინა ის გზა,
რომელსაც მთელი ცხოვრება ვადგავარ.
ჩვეულებრივ, მხატვრები თავისუფლობენ,
ფრთებს ისწორებენ სახელოსნოებში.
მე ვალდებულებებში მოვაქციე ჩემი თავი,
რაც ძალიან რთული იყო, მძიმე,
მაგრამ საინტერესო.



# ემირ ბურჯანაძე: მეშინია!

**მეშინია იმიტომ, რომ ესენი ცეცხლზე ნავთს ასხამენ, ოფიციოზზე ვამბობ. ესენი ხომ სკამისთვის, არსებობისთვის იბრძვიან, მდგომარეობისთვის, რომლის გამო ამათ გაიგეს — უნახავებმა გაიგეს...**

**ზუსტად 8 თვის წინათ, 2011 წლის 8 ივნისს, „საქართველო და მსოფლიო" მეოცე ნომერში სისხლიანი 26 მაისის კვალზე წერდა:
„ფერთა სიმბოლიკა დომინირებდა იმ დღეს — წითელი ხალიჩა, წითელი ვარდები, რომლებიც საგანგებოდ ეკვადორიდან ჩამოეტანათ მაძღართა პურის საჭმელი ადგილის — რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზის თეთრი სუფრის დასამშვენებლად...
შერონ სტოუნის ხასხასა წითელი კაბა ავლაბრის რეზიდენციაში მასპინძლის ჯინსების ფონზე და მეწამული სისხლი, რომელიც რუსთაველზე დაიღვარა 26 მაისის ღამეს.
წითელი ვარდი, კარგა ხანია, საქართველოში სიყვარულის სიმბოლოდ არ აღიქმება — ხალხის სისხლთან ასოცირდება. მაინც ერთგულებს ამ ფერს ჩვენი ხელისუფლება..."
*(იხ. „საქართველო და მსოფლიო", №20, „თბილისის გერბის ავტორი, ცნობილი მხატვარი, 74 წლის ემირ ბურჯანაძე 26 მაისს „სპეცნაზმა" ცემით სიკვდილის პირას მიიყვანა).***

## თბილისის გერბის ავტორი, ცნობილი მხატვარი, 74 წლის ემირ ბურჯანაძე 26 მაისს სპეცნაზმა ცემით სიკვდილის პირას მიიყვანა



**ფერთა სიმბოლიკა დომინირებდა იმ დღეს – წითელი ხალიჩა, წითელი ვარდები, რომლებიც საგანგებოდ ეკვადორიდან ჩამოიტანეს მაძღართა პურის საჭმელი ადგილის – რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზის თეთრი სუფრის დასამშვენებლად... შერონ სტოუნის ხასხასა წითელი კაბა ავლაბრის რეზიდენციაში მასპინძლის ჯინსების ფონზე. და მეწამული სისხლი, რომელიც რუსთაველზე დაიღვარა 26 მაისის ღამეს. წითელი ვარდი, კარგა ხანია, საქართველოში სიყვარულის სიმბოლოდ არ აღიქმება, ხალხის სისხლთან ასოცირდება.მაინც ერთგულებს ამ ფერს ჩვენი ხელისუფლება... არ ვიცი, ფიქრობდა თუ არა ფერთა სიმბოლიკაზე ცნობილი ქართველი მხატვარი ემირ ბურჯანაძე, რომელიც 26 მაისს ფეხქვეშ გაიგდეს შავხალათიანმა „წესრიგის დამცველებმა".**

ალბათ, არ ფიქრობდა.
მაგრამ ჩვენ უნდა დავფიქრდეთ, როგორც ჩანს, რადგან პერსონალურად მის თავს გადამხდარ ამბავშიც არსებობს საქართველოს ხელისუფლების მართვისა და თავლაკვერის პოლიტიკის არნახული სიკეთე სრულად და კონკრეტულად.
თანაც ისე მარტივად, როგორიც სასკოლო თვალსაჩინოებაა დაწყებითი კლასებისთვის.
თავლაკვერი: ბატონ ემირს სწორედ დღევანდელმა ხელი- ... მელები გზას გადაულობავენ, ცხენებიდან ნინ გაირეკავენ, შემდეგ ხელებს გადაუგრეხენ და მიწაზე დაყრიან. „ემირ ბურჯანაძეც გამოიყვანეს, პატარა ბიჭიც და კიდევ ვიღაც მოხუცი. 8 თუ 9 კაცი ვიყავით. ესენი გვერდზე დაანვინეს. ამ საწყალ ბურჯანაძეს სისხლი მოსდიოდა. მხოლოდ თვალები უჩანდა. მოვტრიალდი და ერთ-ერთ სპეცრაზმელს ვეუბნები – ბიჭო, ნახე ეს კაცი რა დღეშია, ხელები გაუხსენი და სადმე ნა- ... ვანდელ პოლიტიკასთან დაკავშირებით ასე ტრანსფორმირდება: ჩაერევი ვარა, არ ჩაერევი – ვუი?
მაშ, რა?
პასუხი არ ჩანს ისევე, როგორც არ ჩანს დემოკრატია.
სამაგიეროდ შედეგი სახეზეა: **ნაცემ-ნაბეგვი ადამიანი, რომელიც ლოგინად არის ჩავარდნილი და ახლობლებს უკვე ის უხარიათ, რომ „მეცლის ლრუ ნორმაშია", გულ-მკერდის მდგომარეო-**

მდევრები მყისვე თავს დაადგებიან და ურტყამენ. ურტყამენ ხელკეტებს.
ერთი ადამიანის სახედაკარგული „ზონდერი" ქორივით დააცხრება მიწაზე დავარდნილ ემირ ბურჯანაძეს და შუბლში წიხლს ჩააზელს.
ქუხს, ელავს. მეხის გავარდნა ყოვლეწუთიერია. აიზილა ერთმანეთში ცა და დედამიწა.
თავგახეთქილი ადამიანების სისხლი აწითლებს რუსთაველის პროსპექტს იქ და იმ ადგილზე, სადაც 10 დღის შემდეგ საზეიმო მეწამულ ხალიჩას დააფენენ ერთი-ორი პოლივუდელისთვის.
ერთ მწერალთან ამოვიკითხე: „ადამიანი კეთილშობილურად იქცევა მაშინ, როცა სხვა გამოსავალი არ აქვს". ეტყობა, ხელისუფლებაც ასეა. ყოველ შემთხვევაში, სწორედ

ეს ციტატა იმ ძველი პუბლიკაციიდან მოვიხმე იმიტომ, რომ თქვენთვის, ჩვენო განათლებულო მკითხველო, შემეხსენებინა, როგორ აღვიქვამდით მაშინ იმ საშინელ „ბართლომეს ღამეს", რომელიც დღეს ვისთვის „რუსეთის შემოტევისგან საქართველოს გადარჩენის" დღედ არის მიჩნეული, ვისთვის — არგუმენტად ტრანსფორმირდება პოლიტკამათის დროს.

ობივატელისთვის გაცრეცილი ფაქტია.

ავადსახსენებელი.

მისთვის მტანჯველი ტკივილია, რკინის ხელკეტებით მიყენებული ჭრილობებისგან.

**ეს კაცი ბატონი ემირ ბურჯანაძეა, საქართველოში ცნობილი პიროვნება. მაინც შეგახსენებთ: საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ეროვნული პრემიის ლაურეატი, პროფესორი, საპატიო თბილისელი. სწორედ თბილისის გულში პოლიციის მიერ „ძალის გადამეტებული გამოყენებით" არაადამიანურად გამეტებული 2011 წლის 26 მაისის ღამეს.**

**რკინის ხელკეტები ურტყეს თავსა და ფეხებში. სმენა დააკლდა. ცოტა ხნის წინათ კი ფეხის ჭრილობიდან რკინა ამოუღეს.**

— რკინის სხმულს რომ ნალვენთი აქვს, ის, — **ამბობს ბატონი ემირი,** — ექვსი თვის მანძილზე მაწუხებდა ჭრილობა, ეტყობა, ნაპრალში იყო ჩაჭედილი ლითონი. ამოჰყვა თანდათან. გამოჩნდა. ამოვიღე ფეხის კუნთიდან.

— **ჯარისკაცებს ომში მტრის ტყვია რომ რჩებოდათ სხეულში, ისე ყოფილა.**

— შეიძლება ასეც ითქვას.

— **ზონდერბრიგადის გორილების სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულების შედეგი.**

— სასიკვდილოდ იმეტებდნენ ხალხს. გოგი ქავთარაძეს თავში ურტყეს ხელკეტი, ოდნავ ასცდა თვალსა და საფეთქელს, ყბის სახსარში მოხვდა, ყურის ძირში. მადლობა ღმერთს, „გადარჩა"... სადამსჯელო ოპერაცია ჩაატარეს, დღეს ეს ყველასთვის ნათელია.

**„ლესია უკრაინკას ქუჩიდან წამოსულ წვიმის ღვარში გდია პერანგგადახეული კაცი უძრავად, გულაღმა.**

**მკვდარია?**

**ემირ ბურჯანაძე მიჰყვება მასის ნაკადს. მის წინ მავალი მოულოდნელად ვარდება — ან ტყვია მოხვდა, ან გაზმა მოწამლა. იქნებ ფეხი დაუცდა ძალაგამოლეულს?**

**ემირ ბურჯანაძე თავს ვერ შეიმაგრებს და ვარდება. ზედ ეცემიან სხვები — დომინოს ეფექტი სწორედ მასაში ვლინდება ყველაზე უკეთ და თვალსაჩინოდ. მდევრები მყისვე თავზე დაადგებიან და ურტყამენ, ურტყამენ ხელკეტებს.**

**ადამიანის სახედაკარგული ზონდერი ქორივით დააცხრება მიწაზე დავარდნილ ემირ ბურჯანაძეს და შუბლში წიხლს ჩააზელს.**

**ქუხს, ელავს. მეხის გავარდნა ყოველწუთიერია. ცა ფეხად ჩამოდის. აიზილა ერთმანეთში ცა და დედამიწა.**

**თავგახეთქილი ადამიანების სისხლი აწითლებს რუსთაველის პროსპექტს, სადაც 10 დღის შემდეგ საზეიმო მეწამულ ხალიჩას დააფენენ ერთი-ორი ჩამობრძანებული ჰოლივუდელისთვის.**

**ერთ მწერალთან ამოვიკითხე: „ადამიანი კეთილშობილურად იქცევა მაშინ, როცა სხვა გამოსავალი არ აქვს". ეტყობა, ხელისუფლებაც ასეა. ყოველ შემთხვევაში, ასე ირჯებიან ჩვენი სახელმწიფოს „მამები".**

**როცა სჭირდებოდათ, ხელის გულზე ატარეს ბატონი ემირ ბურჯანაძე.**

**როცა ხალხის უკმაყოფილება იგრძნეს და შეშინდნენ, სასიკვდილოდ გაიმეტეს" („საქართველო და მსოფლიო", 2011 წ., №20).**

**სიკვდილს ემირ ბურჯანაძე ყოფილმა პარლამენტარმა იგორ პატარიძემ გადაარჩინა.**

— დიდი შეტევა მქონდა ჟურნალისტებისგან, — **მიყვება ბატონი ემირი,** — არ მივიღე არავინ. კატეგორიულად. ჯერ ერთი, არაფრის თავი არ მქონდა. მეორეც, არავითარ ემოციას არ იწვევს ჩემში იმაზე ლაპარაკი, რაც სხვისი ინტერესის დაკმაყოფილებისთვისაა გამიზნული, როცა ესაა შეხვედრის მოთხოვნის მიზეზთა-მიზეზი.

რიგი იდგა აქ თქვენი კოლეგების. როგორ მომაგნეს?! სულ ახალი გადმოსული ვიყავი ამ ახალ სახლში...

**ამ „ახალ სახლში გადმოსვლა" თემურ ფალავანდიშვილის ფილმის სიუჟეტის ქარგასავითაა, ოღონდ პრინციპულად განსხვავებულია — სარკისებური ანარეკლია.**

**ფილმში ახალგაზრდა ცოლი (მედეა ჯაფარიძე) მხატვარ ქმარს (ოთარ მეღვინეთუხუცესს) ყოფისა და სულის განსაწმენდელად ქალაქის ცენტრიდან თბილისის ძველ უბანში „ჩაასახლებს".**

**აქ ქალბატონი ფატი (ბატონ ემირის მეუღლე) უბრალოა — ცოლ-ქმარს ყოფითი პრობლემების გამო მოუწიათ ამ ეგზოტიკურ უბანში დასახლება.**

**რა პრობლემებია? რაც თბილისელების უდიდეს უმრავლესობას აწუხებს.**

**აწუხებთ, მაგრამ არ უყვართ ამაზე ლაპარაკი: ესეც თბილისელობის შტრიხთაგანია ერთ-ერთი.**

**დაკიდებულ ხის კიბეს რომ დავძლევ და მეორე სართულზე მასპინძელი რომ შემომეგებება, მეტყვის:**

— საავადმყოფოდან რომ გამომაპარეს, აქ შემოვედი პირველად — ახლადმოძებნილი გვქონდა ეს ვარიანტი საცხოვრისისა.

**— ვერ იტყვით, რომ კეთილი ფეხი შემოდგით.**

— (*ეღიმება*) არაა! მაგრამ ძალიან კარგი გარემო დამხვდა! უბანია მაინც — ძველი ეზოა. კარგი ხალხი ცხოვრობს. თბილი, იმ ფილმის პერსონაჟებივით ყურადღებიანი — მოსაკითხით მოდიან. ერთმანეთს ეჯიბრებიან თითქოს. ეს ძალიან მახარებს — ცოცხალია მაინც. თბილისური, ნამდვილი, ის, რაც ქალაქში არსებობდა.

**— ამ გარემოში მოხვდით და კმაყოფილი ხართ. შესანიშნავია. მაგრამ ისეთი რა გარემო დაგხვდათ პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში, საიდანაც წამოსვლა amjobinet?**

— შარშან ოქტომბერში მიწვიეს. საშინელი გარემო, აუტანელი სიტუაცია იყო იქ. ჯერ ერთი, — სრულიად მოუმზადებელი კონტინგენტი სტუდენტების...

**— ვინც „ეროვნული გამოცდებით" მიიღეს?**

— დიახ. ხატვა უნდა მესწავლებინა არქიტექტურის ფაკულტეტზე... დიდი ხნის უნახავ კოლეგებს შევხვდი, საინტერესო ხალხს — გამოცდილ და დამსახურებულ პიროვნებებს. მაგრამ ამან ვერ გადასძლია უარყოფითი შთაბეჭდილება, რაც სტუდენტებმა ჩემზე დატოვეს. სიტუაცია დაამძიმა და იქიდან ჩემი წამოსვლა დააჩქარა იმან, რომ შემოიღეს რაღაც უცნაური ტაბელი: ლექციის დაწყებამდე კომპიუტერში, სადაც შენი კოდია შეყვანილი, თითის დაჭერით დაფიქსირდები, რომ ლექციაზე შედიხარ. გამოხვალ, ისევ უნდა დააჭირო თითი, რომ დაამთავრე. ამ პროცედურას იმეორებ ყოველი აკადემიური საათის — 45 წუთის შემდეგ. ეს უზნეო წესი გთრგუნავს და გბორკავს. ერთ ჩემს მეგობარ ლექტორს, ლექციის დამთავრების ზარი რომ დაირეკა და კარისკენ წავიდა, სტუდენტმა დაადევნა: — მასწ, თითის მიჭერა არ დაგავიწყდეთო. გალურჯდა კაცი — ამათი დასაცინი გაგვხადესო.

რაღაც უბედურებას თესავენ!

**— ეტყობა, ასეთია განათლების რეფორმის რობოტიზაციის ხიბლი... ხომ გახსოვთ ის კლასიკური გაბაასება, უნივერსიტეტის რექტორ ნიკო კეცხოველსა და ლექციაზე დაგვიანებით მიმავალ შალვა ნუცუბიძეს შორის რომ გაიმართა?**

— როდის იწყება, ბატონო შალვა, ლექცია? — როცა ლექტორი შევა! განწყობილება იყო მაშინ ასეთი, პატივისცემისა და მოწიწების. დიდი ავტორიტეტები დადიოდნენ მაშინ თბილისში. ფენომენალური მეცნიერები გვასწავლიდნენ.

**— ამასწინათ უნივერსიტეტის ეზოში ქართველი კორიფეების პანთეონს რომ ჩავუარე, დავრწმუნდი, რომ ამაოდ არ უცხოვრია ჩვენს თაობას, რადგან აქ დავანებულთა უმრავლესობას მოვესწარით, ჩვენი ლექტორებიც კი იყვნენ.**

— ამათ ფონზე ცოტა მეორეხარისხოვნებში გაგვყავდა ნიკო კეცხოველი. მაგრამ, რომ დაუკვირდები, აღმოაჩენ, რომ დიდი ქართველი იყო. ზნეობრივად, თავისი დამოკიდებულებით სტუდენტებისადმი, პროფესური- ▶

ექსკლუზივი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შვილს არ მიაწოდა ელემენტარული ინფორმაცია, კაცო?! საუბარში მაინც რომ არ დაუშვას სისულელეები. დავით აღმაშენებელი ამოიჩემა და მასთან გატოლებას ლამობს! სადაა გაზრდილი ეს კაცი, რა უნდა?!**

სადმი, თავისი მეცნიერული კვლევებით... გოროზიც იყო და სამართლიანიც ერთდროულად. განუმეორებელი თაობები წამოვიდა მაშინ უნივერსიტეტიდან ქართულ მწერლობაში, მეცნიერებაში.

სადაა ახლა მეცნიერთა ის თაობა? თუმცა სადღაა მეცნიერებათა აკადემია და მისი ინსტიტუტები! მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკასაც ყიდიანო, გავიგე. შენობა დასჭირდათ, ფული დასჭირდათ. ყველაფერს ყიდიან.

**— დრომ მოიტანა... დრომ, რომელიც მეფობს და ცვლის ყველაფერს. თუმცა თქვენს შექმნილ თბილისის სიმბოლიკას ვერ მოერია. კომუნისტების დროც გააცილა, გამსახურდიას დრო გამოიარა, შევარდნაძის პრეზიდენტობა, სააკაშვილისაც.**

— სცადეს გამოცვლა, ძალიან მძაფრადაც, ჭიაბერაშვილის მერობის დროს. ახალი სიმბოლიკის პლაკატიც გამოფინეს და პრეზენტაციაც მოაწყვეს... მივხვდი, რომ ძალიან ცუდ დროში ვცხოვრობდი. 2004 წელი იყო. კატეგორიულად მოვითხოვე გამოფენის მოწყობა თბილისის თემაზე. საწინააღმდეგო ვერაფერი მითხრეს და მოაწყვეს ჩემი პერსონალური გამოფენა მერიაში, რაც არც მანამდე და არც მერე არ ყოფილა. 43 თუ 44 ფურცელი იყო მარტო თბილისის თემისადმი მიძღვნილი. მთელი პაკეტი თავისი ვარიაციებით, რაც 15 წლის განმავლობაში გამიკეთებია.

სამი კონკურსი გამოვიარე თავის დროზე. გადაწყვეტილების მიღება გაჭიანურდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ვასილ მჟავანაძემ, რომელიც მაშინ საქართველოს ხელმძღვანელი იყო, ფანჯარაზე მომიკაკუნა და მკითხა, — როგორ არის საქმეო?

**— ?**

— მჟავანაძე ვერაზე ცხოვრობდა, ზევით. მელიქიშვილამდე ფეხით ჩამოდიოდა ერთი მცველის თანხლებით. მაშინ ჩვენი ბინაც ვერაზე იყო, ბელეტაჟზე.

პირველი დამტკიცება 1989 წელს იყო, მეორე უკვე — გამსახურდიას პერიოდში, ახალ ფორმაციაში არაფერი კომუნისტური არ უნდოდათ. მაშინ გამსახურდიამ შემოაგდო მოსაზრება, რომ საქართველოს დედაქალაქს ტფილისი უნდა ერქვას და არა თბილისი. ისეთი ხალხი აჰყვა, რომ მივხვდი, ძალიან ცუდი დრო დაგვდგომოდა. ეს იყო გამოვლინება ფარისევლობის. ყველაფერზე თანახმანი იყვნენ, ოღონდ თავიანთი სიკეთეები შეენარჩუნებინათ. იგივეა დღესაც. უარესი!

გადარჩა სიმბოლიკა. მთელი პაკეტი გადარჩა: დროშა, თბილისის გასაღები, საპატიო თბილისელის ატრიბუტიკა, სუვენირული ნაწილი. ჯილდოც მქონდა გაკეთებული — „თბილისელი".

ჭიაბერაშვილი ბოლოს იძულებული გახდა, ბოდიში მოეხადა.

*(საუბარს ვაგრძელებთ ერთვნული საქმიანობის მიმართულებით, ბატონი ემირი იხსენებს, როგორ შექმნა კომბინატი „სოლანი", გაერთიანება, რომელიც აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას ეთნოგრაფიულ კვლევებზე იყო დაფუძნებული და ხალხური რეწვის განხორციელება-აღორძინებას, ხალხში გასვლას ემსახურებოდა. ხალხმა აიტაცა, ხელსაქმეს მოჰკიდა ხელი, დასაქმდა. კომერციულადაც მომგებიანი იყო).*



თბილისი, გოგოლის ქ. №12, — აქ ცხოვრობს ემირ ბურჯანაძე

**— მხატვრის სახლი თუ არის დღეს სადმე? (გადავდივარ დღევანდელობაზე).**

— სახლი კი არა, საგამოფენო დარბაზიც არ არსებობს.

**— აბა, გალერეა რომ გაარემონტეს?**

— სხვა კატეგორიაში გადაიყვანეს — ღირსების, თავის გამოჩენის უბანი გახდა. გალერეის ფუნქცია დაკარგა.

**— ჩვენი ხელისუფლების გატაცებაზე ე.წ. ახალი სკულპტურით რა აზრის ხართ?**

— უფ! (*იცინის*) ასეთი „გატაცება" ევროპამ 70 წლის წინათ გაიარა. ამათ სიახლე რომ ჰგონიათ, გასული საუკუნის ნარჩენებია. რას თანამედროვეობენ! რას ღლაბუცობენ!

**— მეორე უკიდურესობაში ხომ არ ვარდებიან, მაგალითად, როცა ქუთაისის ცენტრში „ძველი კოლხური" სკულპტურებით შემკობილი შადრევნის დადგმას რომ აპირებენ?**

— ეს ხალხი ყურმოკრულით ცხოვრობს, უპირველესად — თვითონ ინიციატორი, რომლის დედა წყაროდმცოდნე ნიჭიერ ქალად ითვლება...

**— ქალბატონ გიული ალასანიას გულისხმობთ?**

— კი, კი. მაგრამ შვილს არ მიაწოდა ელემენტარული ინფორმაცია, კაცო?! საუბარში მაინც რომ არ დაუშვას სისულელეები. დავით აღმაშენებელი ამოიჩემა და მასთან გატოლებას ლამობს! სადაა გაზრდილი ეს კაცი, რა უნდა?!

დავით აღმაშენებლის ძეგლს ქალაქის ცენტრიდან ფეხი ამოაკვეთინა. კარგით, ვთქვათ, ავტორის, ამხელა მხატვრის — მერაბ ბერძენიშვილისადმი აქვს უარყოფითი დამოკიდებულება, დავუშვათ, რაღაც პიროვნულია, ელგუჯა ამაშუკელს რას ერჩოდა, როცა მისეული დავითი ქუთაისის ცენტრალური მოედნიდან მოაშორა?!

ლოგიკა ვერ მომიძებნია...

**— თამარ მეფის ძეგლი რომ დადგეს მესტიაში?**

— იმ ძეგლის ავტორი ვაჟა მელიქიშვილი, სკულპტორი, ჩემი მეგობარი იყო, მოაზროვნე, პოეტური... ძალიან ნიჭიერი და თავისებური. მარტო ციმბირის პაპის, ნესტორ კალანდარიშვილის პორტრეტი რად ღირს... შედევრია!

ვაჟას სიცოცხლეში რომ გადაეწყვიტათ ამ ქანდაკების დადგმა, დარწმუნებული ვარ, იგი ახალ რედაქციას შესთავაზებდა.

**— ვაჟა წავიდა, მოვიდნენ ესენი.**

*(ასე ნელ-ნელა და თანდათან საუბრით მივედით ბატონ ემირ ბურჯანაძის შემოქმედების სათავეებთან, რომლის წყაროს თვალი ოჯახი იყო — დიდად განსწავლული, ინტელექტუალური გარემო, რომელშიც იზრდებოდა).*

— წიგნის პატივისმცემელი ვიყავი, მაგრამ არა დამზეპირებელი. ჩემი აზრი და ჩემი დამოკიდებულება მქონდა ყოველთვის წაკითხულისადმი.

ბავშვი ვიყავი, როცა მამაჩემმა პიონერთა სასახლეში მიმიყვანა — გრიგოლ მესხის, სახალხო მხატვრის, ვალენტინ სეროვის მოწაფის, ნორჩ მხატვართა წრეში. შალვა კაპანაძე იყო მაშინ კაბინეტის გამგე. ბრძენი კაცი აღმოჩნდა ბატონი გრიგოლი — შესანიშნავი პედაგოგი, შეფასების არაჩვეულებრივი უნარის მქონე. შეგვიყვარდა ეს კაცი და გავყევით მის გზას.

თავის დროზე ქუთაისის რეალურ სასწავლებელში ასწავლიდა ხატვას. მამაჩემის მასწავლებელი იყო.

მამა რომ გარდაიცვალა და მის გასაპატიოსნებლად ვემზადებოდით, გულის ჯიბეში აღმოვუჩინეთ რომბისებურად დაკეცილი ფურცელი — ჩემი ბავშვობისდროინდელი ნახატით, მიწერილი ჰქონდა ერთი წინადადება: „ემიკო სამი წლის". ორნამენტი მქონია დახატული, რაც ბავშვებისთვის დამახასიათებელი არ არის — ბუშტებს ხატავენ, ყვავილებს, სასაცილო კაცუნებს. თილისმად უტარებია, ომი გამოიარა. მხატვრობა წარმოედგინა ჩემს მომავალ პროფესიად, ამიტომ მიმიყვანა სასახლეში ნორჩ მხატვართა წრეში თავის მასწავლებელთან.

იმ დროს მოსწავლეთა ნამუშევრების საკავშირო გამოფენები ეწყობოდა მოსკოვში, ლენინგრადში, ხარკოვშიც ჩატარდა, მახსოვს; „სოცბანაკის" ქვეყნებშიც მიჰქონდათ ეს გამოფენები — აღმოსავლეთ ევროპაში, აზიაში. საკავშირო პირველ პრემიებს ვიღებდი სულ. ასე იყო მეექვსე კლასიდან მოყოლებული.

***(ემირ ბურჯანაძე იხსენებს რკინიგზის მე-7 სკოლას, რომელიც სამაგალითო იყო თბილისში, თითით საჩვენებელი და რომელსაც დირექტორად ალექსი ცინცაძე ჰყავდა, წინაკად წოდებული. ვაჟკაცი კაცი — ნიკო კეცხოველის მსგავსი, მაღალი, მელოტი. იხსენებს, როგორ ჩამოვიდა ერთ მშვენიერ დღეს მოსკოვიდან რკინიგზელთა საკავშირო გაზეთ „გუდოკის" კორესპონდენტი მოსწავლე ბურჯანაძის ნახატის — „ქარიშხალას" (გორკის ნაწარმოების მიხედვით) კვალზე, სტუმრის საზეიმო მიღება-გაცილების შემდეგ როგორ გამოუცხადა ემირს: ამიერიდან სკოლაში აღარ ივლი. გათავისუფლებ გაკვეთილებიდან, რადგან შენი გზა არჩეული გაქვს და მიხედე იმ საქმეს, ოღონდ ერთი პირობით: მთელი ალბომი უნდა გამივსო ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების ნახატებით. ჩაუჯდა ამ დავალებას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ემირ ბურჯანაძე და შეასრულა).***

— იქ ვისწავლე არქიტექტურა, ქართული სულის ანბანი, იქ ვისწავლე ასომთავრული დამწერლობა, იქ, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ამის საშუალება მომცა დროის იმ თავისუფლებამ, რომელიც ალიოშა ცინცაძემ მომანიჭა.

შევისწავლე და შემდეგ მოხდა ისე, რომ შეხვედრები მქონდა აკაკი შანიძესთან, აკადემიის კედლებში — ლადო გრიგოლიას ფაქტორი, ლადო ქუთათელაძის გრაფიკოსობა, სერგო ქობულაძესთან ურთიერთობა; თანამშრომლობა ხელოვნებათმცოდნეებთან: ალექსანდრა წერეთელთან, გიორგი ნათიძესთან, ვახტანგ ბერიძესთან და სხვებთან, შესანიშნავ ადამიანებთან.

**«ძალიან კარგი გარემო დამხვდა! უბანია მაინც — ძველი ეზოა. კარგი ხალხი ცხოვრობს. თბილი, იმ ფილმის პერსონაჟებივით ყურადღებიანი — მოსაკითხით მოდიან. ერთმანეთს ეჯიბრებიან თითქოს. ეს ძალიან მახარებს — ცოცხალია მაინც. თბილისური, ნამდვილი, ის, რაც ქალაქში არსებობდა»**

ამ ყველაფერმა ამარჩევინა ის გზა, რომელსაც მთელი ცხოვრება ვადგავარ. ჩვეულებრივ, მხატვრები თავისუფლობენ, ფრთებს ისწორებენ სახელოსნოებში. მე ვალდებულებებში მოვაქციე ჩემი თავი, რაც ძალიან რთული იყო, მძიმე, მაგრამ საინტერესო.

შემდეგ ზურაბ ლეჟავამ მიმიწვია სამხატვრო აკადემიაში შრიფტის ლაბორატორიის ხელმძღვანელად.

*(ამ დროს შეხვედრია ბატონ ემირს მისი ყოფილი მასწავლებელი, სახალხო მხატვარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, პროფესორი ლადო გრიგოლია და ირონიულად შეუნიშნავს:*

*— შრიფტთან საერთო რა გაქვსო?!*

*ეწყინა ძალიან. და, რაც მთავარია, ამ ერთმა ეპიზოდმა განაპირობა, 24 საათის განმავლობაში ემუშავა ამ ლაბორატორიაში, რათა ურწმუნონი დაერწმუნებინა თავის შესაძლებლობებში).*

— რამაზ პატარიძემ გამოსცა წიგნი ქართული ასომთავრულის შესახებ. აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ თავისი სიტყვა თქვა ქართულ დამწერლობასთან დაკავშირებით. აღმოჩნდნენ „წინასწარმეტყველებიც", სენსორები, უფოლოგები, კოსმოლოგები — ქართული დამწერლობის თემა მძლავრად შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში.

ამ ყველაფერმა ჩამომაყალიბა როგორც მაძიებელი კაცი. მკვლევარის პრეტენზია არასოდეს მქონია.

**— როგორც მკვლევარი ქართული დამწერლობის, ქართული ანბანის ფილოსოფიის?**

— გარკვეული მნიშვნელობით — კი, ასეა: ფილოსოფიური მოვლენაა. ჰეგელი წერს, რომ გონის ფილოსოფიის აკვანი კავკასიაა — საქართველო, ჩერქეზეთი, და ჩვენს განაყოფად მიიჩნევს ევროპის აღორძინების ქვეყნებს — იტალიას, საბერძნეთს და ა. შ.

**— საქართველოს პოლიტიკაში ახალმა სიომ დაჰბერა. როგორ აფასებთ იმ გამოცოცხლებას, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა შემოიტანა? ადამიანური კუთხით გთხოვთ, შეაფასოთ.**

— ბიძინა ივანიშვილი ჩემს თვალში არის კეთილი მოვლენა, მაგრამ ვერასოდეს წარმომედგინა მისი პოლიტიკოსობა. ვის უნიშნავდა სტიპენდიებს? რა კრიტერიუმით? მიფიქრია ამაზე და მითქვამს, რომ ეს ამბავი კარგად არ დამთავრდება.

**— ცუდად შემოუბრუნდება?**

— დიახ. ახლა რა მოხდა: ეს ხალხი ორ ბანაკად გაიყო — ვის მეტი ჰქონდა და ვის — ნაკლები! ესე იგი, ამათ (ხელისუფლებამ) მოუძებნეს და მისცეს მის გეზს უკუსვლა, გააფუჭეს ყველაფერი ან შეეცადნენ გაფუჭებას: ვისაც აქვს, იმას აძლევ, ვისაც არა აქვს, იმას — არაფერი? ეს სადაური სამართალია?!

ერთის იმედი მაქვს: ბიძინა ივანიშვილი გემოვნებიანი კაცია. ძალიან კარგად ერკვევა კლასიკურ მხატვრობაში, მხატვრობის თანამედროვე მიმართულებებში. პირადად არ ვიცნობ, მაგრამ იმდენი რამ მესმის მასზე, წამიკითხავს, მიყვებიან, რომ მიჩნდება იმედი: ფულიანი კაცია, კაპიტალისტი, მაგრამ აქვს გაცემის ბუნება — სხვის საამებლად, დასაკმაყოფილებლად თუ გადასარჩენად. ეს უკვე დიდი ამბავია, აქედან რუსთაველის სურნელი მოდის. მაგრამ იქვე ილია გამახსენდება:

**„რომ ბედში მყოფი**
**შენ ძმად მიგაჩნდეს,**
**ეგ ვერაფერი სიყვარულია,**
**საქმე ის არის,**
**კაცს ის უყვარდეს,**
**ვინც ბედისაგან**
**დაჩაგრულია".**

გარემოება ცვლის ხშირად პიროვნების ისტორიულ პორტრეტს. ეს გარემოება მისივე უახლოესი გარემოცვაა, რომელიც უფუჭებს საქმეს. ესაა და ეს.

**— გადალახავს ამ ტენდენციას ბატონი ბიძინა?**

— მეშინია. მეშინია იმიტომ, რომ ესენი ცეცხლზე ნავთს ასხამენ (ოფიციოზზე ვამბობ). ესენი ხომ სკამისთვის, არსებობისთვის იბრძვიან, მდგომარეობისთვის, რომლის გემო ამათ გაიგეს — უნახავებმა გაიგეს.

უნახავმა კი რა ნახა, მოგეხსენებათ.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**«სადაა ახლა მეცნიერთა ის თაობა? თუმცა სადღაა მეცნიერებათა აკადემია და მისი ინსტიტუტები! მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკასაც ყიდიანო, გავიგე. შენობა დასჭირდათ, ფული დასჭირდათ. ყველაფერს ყიდიან»**

**მთავარი სათქმელი წინ გვაქვს:**

**ბატონმა ემირ ბურჯანაძემ ქართული დამწერლობის კოდები გაშიფრა.**

**გადატრიალებაა.**

**„აი ია" ამოხსნა, როგორც ჩანს, იაკობ გოგებაშვილმა არ იცოდა, რაც ამ ორ სიტყვაში იყო დაშიფრული. ამ აღმოჩენის შესახებ წიგნი დასაბეჭდად იყო გამზადებული, როცა ცეცხლის კევრი დაატრიალეს ემირ ბურჯანაძის თავზე" („საქართველო და მსოფლიო", 2011 წლის №20).**

**ამ აღმოჩენაზე საუბარს ჩვენი გაზეთი სულ მალე შემოგთავაზებთ. მიადევნეთ თვალი „საქართველო და მსოფლიოს" მომდევნო ნომრებს.**

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ჟვანია იხსენებს ამერიკაში ვიზიტს და ძალზე გულუბრყვილოდ თავს იწონებს, თუ როგორ „ააგდო“ გავლენიანი მოხელე თეთრ სახლში და ოკეანის გაღმიდან ნაცვლად 20 თუ 30 მილიონისა 90 მილიონი დოლარი ჩამოიტანა. როგორ გგონიათ, სად წავიდა ეს სოლიდური ფული? არ გაგიგიათ, გრანტებისათვის განკუთვნილ თანხას ჟვანია და სააკაშვილი რომ ანაწილებდნენ?“

# ვანო მერაბიშვილის ყოფილი თანაშემწე ხელს ადებს...

**ზურაბ დგებუაძე კალაძეების ადვოკატი იყო, მოგვიანებით იგი ვანო მერაბიშვილის თანაშემწე გახდა. ამჟამად ადამიანი, რომელმაც უამრავი რამ იცის კალაძის საქმის ირგვლივ, პოლიტიკური დევნილის სტატუსით გერმანიაში ცხოვრობს. ზურაბ დგებუაძე პოლიტპატიმარ ბათუ სალინაძის ინტერესებს იცავს სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში, შეგახსენებთ, რომ ბათუ სალინაძე კალაძის საქმის გამომძიებელი იყო და დღევანდელი ხელისუფლების მხრიდან დევნის, ბოლოს კი დაპატიმრების მსხვერპლიც გახდა. ბატონ ზურაბს მას შემდეგ დავუკავშირდით, რაც მან გაზეთ „რეზონანსში“ ინტერვიუ გამოაქვეყნა, რასაც შევარდნაძისა და სააკაშვილის ყოფილი თუ ახლანდელი პოლიციის მაღალჩინოსნების გაღიზიანება და მწვავე რეაქცია მოჰყვა. ადვოკატი ზურაბ დგებუაძე ვრცლად გვესაუბრება პოლიციის მაღალჩინოსნების მონაწილეობაზე კალაძის გატაცების საქმეში. მკითხველს ვთავაზობთ ადვოკატ ზურაბ დგებუაძის ინტერვიუს.**





## ზურაბ დგებუაძე:

## შეგახსენებთ — პინოჩეტი ღრმად მოხუცებულობაში გაასამართლეს

**— ბატონო ზურაბ თქვენმა ვრცელმა ინტერვიუმ გაზეთ „რეზონანსთან“, რომელიც ლევან კალაძის გატაცების საქმეს ეხებოდა, ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია, ახალს ხომ არაფერს გვეტყვით?**

— ინტერესის რა მოგახსენოთ, მაგრამ ფაქტია, მავანმა უკვე აშკარად გამოხატა თავისი რეაქცია.

**— რა გაქვთ მხედველობაში?**

— გაზეთ „რეზონანსში“ ჩემი ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ ქალბატონი ელისო ჩაფიძე დამიკავშირდა და შეშფოთებულმა მკითხა: „ვინ არის ეს ენდელაძე? რედაქციაში მოგვივარდა და ისეთი ამბავი დაგვაწია, რომ იძულებული გავხდით, პატრულისათვის გამოგვეძახაო“.

**— რამ ააღელვა ასე ენდელაძე?**

— ამბობს, ხობის ოპერაციის დროს კარლო კალაძის მანქანაში არ ვმჯდარვარო. კარლო კალაძისაგან კი საპირისპირო რამ ვიცი, ხობის ოპერაციის დროს მას მანქანაში ორი ოპერმუშაკი — ენდელაძე და თურმანიძე ეჯდა, ისინი დამნაშავეთა მობილურით ხანგრძლივ საუბრებს აწარმოებდნენ და ამ ოპერაციის დროს საეჭვო მანქანასაც კი გადაუღეს სურათი, თუმცა საქმის მასალებში არც ამ სატელეფონო საუბრის დამადასტურებელი მტკიცებულება დევს და არც საეჭვო მანქანის ფოტო. სხვათაშორის, ხობის ოპერაცია ამ საქმის მნიშვნელოვანი გასაღებია, ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ოპერატიული თანამშრომელი თურმანიძე, რომელიც უშუალოდ ესაუბრებოდა ტელეფონით დანაშავეებს, ამ საქმის გამხსნელთა ჯგუფში აღმოჩნდა. არსებობს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის ყოფილი უფროსის, დონაძის მიერ შექმნილი ცნობილი ფილმი, რომელიც კალაძის საქმის გახსნას მიეძღვნა. აი, ამ ფილმში თურმანიძე სწორედ ხობის ოპერაციის დეტალებს იხსენებს. რაც შეეხება ოპერატიულ თანამშრომელ ენდელაძეს, იგი სხვა მნიშვნელოვან ეპიზოდებშიც განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენდა.

**— რადგან ასე აუღელვებია თქვენს ინტერვიუს, ალბათ, ღირს ამ ეპიზოდების გახსენება.**

— მოგახსენებთ, მითუმეტეს ეს ეპიზოდი სხვა მხრივაც ძალზე საინტერესო და დამაფიქრებელია. ლევან კალაძე 2001 წლის 23 მაისს დილის საათებში გაიტაცეს. დამნაშავეებმა იმავე საღამოს დაურეკეს გატაცებულის მამიდას. 2001 წლის 30 მაისიდან კარლო კალაძის მობილურზე დამნაშავეების ახალი ნომერი დაფიქსირდა. გაირკვა, რომ სიმბარათი ო. ხოშტარიას პირადობის მოწმობით იყო შეძენილი. გამოძიებამ ისიც დაადგინა, რომ 2001 წლის 21 აპრილს ო. ხოშტარიამ თემქაზე ერთ-ერთი ჯიხურიდან ნისიად აიღო 10 ლარის საქონელი და გამყიდველ ლ. ჭკადუას გირაოდ თავისი პირადობის მოწმობა დაუტოვა. 28 აპრილს ხოშტარია კიევში გაფრინდა. გამოძიებისთვის ცნობილი გახდა ყველა ის პიროვნება, ვისაც შეეძლო ჯიხურიდან ხოშტარიას პირადობის მოწმობა წამოეღო. უფრო მეტიც, საქმეში არსებობდა ლ. ჭკადუას ჩვენება, რომელშიც მოწმე დეტალურად აღწერდა პიროვნებას, ვინაც ხოშტარიას ვალი გადაიხადა და მისი პირადობის მოწმობა წაიღო. რა თქმა უნდა, მე თავიდანვე დამაინტერესა ამ ფაქტმა და ერთ-ერთ თანამშრომელთან ერთად ჯიხურის გამყიდველს, ქალბატონ ლ. ჭკადუას გავესაუბრე. მან სავსებით დაადასტურა მიცემული ჩვენება და მითხრა: მუხედავად იმისა, რომ გამომძიებელს სრული სიმართლე მოვახსენე, პოლიცილმა ენდელაძემ საშინელ დღეში ჩამაგდოო. ენდელაძე კიდევ სხვა მძაფრი ეპიზოდების მონაწილეა. ამ ეპიზოდს მოგვიანებით დავუბრუნდები, ახლა ისევ სიმბარათის ირგვლივ მინდა ვისაუბრო. საქმეში ჩართვისთანავე ამ გარემოებამ განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია. როცა მინისტრ ვანო მერაბიშვილის თანაშემწედ დავინიშნე, რა თქმა უნდა, სხვა საკითხებთან ერთად ესეც დავაყენე. 2005 წლის ზაფხულში ჩემთვის არაოფიციალურად გახდა ცნობილი, რომ სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის საგამოძიებო ჯგუფმა, ანუ კოდუასა და დავით გოგიბერიძის ხალხმა დაადგინა ხოშტარიას პირადობის წამღები და ჯიხურის გამყიდველმა ლ. ჭკადუამაც ეს პიროვნება ამოიცნო.

**— რატომ არაოფიციალურად?**

— იმიტომ, რომ ისინი თავიდანვე მტრულად შემხვდნენ, თუმცა მათ მაინც ვაძლევდი მიმართულებებს და გადადგმულ ნაბიჯებსაც შეძლებისდაგვარად ვაკვირდებოდი. კახი კალაძემ პრეზიდენტს უშუალოდ გადასცა ჩემი წერილობითი მოსაზრებები გამოძიების ხარვეზების თაობაზე. ანალოგიური მასალა წარვუდგინეთ მერაბიშვილს შეხვედრის დროს. ამ ვრცელ წერილობით მასალაში ძალიან ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე ვამახვილებდი ყურადღებას.

**— საინტერესოა, როგორ განვითარდა სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა.**

— როგორც მოგვიანებით ჩემმა კოლეგებმა გაარკვიეს, საქმის მასალების მიხედვით, ხოშტარიას პირადობის მოწმობა ჯიხურიდან გიორგი წაქაძემ წაიღო. სწორედ ამ დოკუმენტით იქნა შეძენილი სიმბარათი, რომლითაც გამტაცებლები კალაძეებთან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ. ჯიხურის გამყიდველმა ლ. ჭკადუამ ამოიცნო გიორგი წაქაძე. გარდა ამისა, გამოძიებამ წაქაძის ბინიდან ამოიღო პოლაროიდის ფოტოაპარატი. გამოძიებამ საექსპერტო დასკვნით მიიჩნია, რომ ტყვეობაში მყოფ ლ. კალაძეს ფოტოსურათი ამ აპარატით გადაუღეს. სოდის მიერ გახსნილი საქმის მნიშვნელოვანი დეტალია ისიც, რომ გიორგი წაქაძე აღმოჩნდა შემდგომში ამ საქმის გამხსნელის და იმ დროისათვის მინისტრის მოადგილის, ლ. გვაზავას მეზობელი და კლასელის ძმა. 9-თვიანი პატიმრობის შემდეგ წაქაძე გაათავისუფლეს, მისი განთავისუფლების შემდეგ სიმბარათიც დავიწყებას მიეცა და დიდი რაოდენობის ჰეროინიც, რომელიც ჩხრეკის დროს წაქაძეს აღმოაჩნდა.

**— ძალიან უცნაურია.**

— უცნაურობა და მაფიური მეტასტაზები ამ საქმეს თან სდევს. ამის თვალსაჩინო მაგალითად თუნდაც ჩემ მიერ შედგენილი ინფორმაციული ხასიათის წერილობით მასალა გამოდგება, რომელიც კახი კალაძემ პრეზიდენტ სააკაშვილს გადასცა. ვახდენ ამ მასალის გარკვეული მონაკვეთის ციტირებას: **„...როდესაც ცნობილი კრიმინალური ავტორიტეტი ტ. ონიანი თბილისში ჩამოვიდა, კარლო კალაძემ მას მიაკითხა და დახმარება სთხოვა. ონიანთან კარლო კალაძეს სხვა კრიმინალებთან ერთად თ. გურჩიანიც დაუხვდა. კარლო კალაძემ თ. გურჩიანი დაიმარტოხელა და მასთან ერთად რესტორანში წავიდა. გურჩიანი კარლო კალაძეს არწმუნებდა, რომ ლევანი გატაცებული ჰყავდათ ძმებ მიქელთაძეებს და ყველაფერს იღონებდა, დამხმარებოდა, რაშიც კარლო კალაძე დაარწმუნა კიდეც. კალაძეებს ზუსტად იმავეს უმტკიცებდა პოლიციაც. უფრო მეტიც, სისხლის სამართლის საქმეში ჩნდება შემდეგი სახის ოპ. ინფორმაციები:**

**21.01.02წ. თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსის კ. ბაკურაძის ინფორმაცია: „გატაცებაში მონაწილეობა უნდა ჰქონდეს მიღებული ძმებ კობა და კახა მიქელთაძეებს(თავლიებს)“.**

**23.01.02წ. სამძებრო სამმართველოს უფროსის კ. ჩინჩალაძისა და ლებანიძის ინფორმაციის თანახმად, ო. ხოშტარიას მეუღლე ლ. ბჟალავა, მათი უახლოესი ნათესავი დ. მთვარელაშვილი და ლ. ჭკადუა, შესაძლოა, იყვნენ დანაშაულებრივ კავშირში ლ. კალაძის გატაცებასთან. ჩვენ მიერ დ. მთვარელაშვილის ელსმენზე დაფიქსირებული იქნა ტელეფონები (მითითებულია ნომრები).**

**28.01.02წ. კ. ბაკურაძის ინფორმაცია: „ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად დადგენილია ძმებ მიქელთაძეების უახლოესი დანაშაულებრივი კავშირები ნოვიკო ბალავაძესთან, რომელსაც შესაძლოა, მიღებული ჰქონდეს მონაწილეობა ლ. კალაძის გატაცებაში და ამჟამად მძევალი გადამალული ჰყავდეს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე“.**

**19.03.02წ. სამძებრო სამართველოს უფროს ჩინჩალაძის ინფორმაცია: „თბილისის შს მთავარი სამმართველოს სს სამძებროს უფროსის მოადგილეს დ. ენდელაძეს ტელეფონით დაუკავშირდა ნოე ბალავაძე და გია ქარდავა, რომლებმაც საუბრისას განუცხადეს, რომ ლ. კალაძე, როგორც მძევალი, იმყოფება მათთან და არ გამოუშვებენ იმ დრომდე, სანამ ციხიდან არ გაათავისუფლებენ გიგა ბალავაძეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოკლავენ მას“.**

ზემოთ მითითებულ თანამდებობის პირთა მნიშვნელოვანი ინფორმაციები, როგორც ვხედავთ, სრულ თანხვედრაშია კრიმინალ თ. გურჩიანის ვერსიათან. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ თანხვედრას არავითარი რეალური შედეგი არ მოჰყოლია, თუ არ ჩავთვლით იმ გარემოებას, რომ კარლო კალაძეს ამ ინფორმაციის საფუძველზე, სამართალდამცავთა ხელშეწყობით, ბოროტმოქმედებმა სოლიდური თანხა 20 000 აშშ დოლარი გამოსტყუეს. უაღრესად დამაფიქრებელია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული ვერსია ხონის სპეცოპერაციით — ნ. ბალავაძისა და გ. ქარდავას ლიკვიდაციით დასრულდა. 2002 წლის ნოემბერში თბილისის მე-5 იზოლატორში ძმები მიქელთაძეები დახოცეს. 2003 წლის გაზაფხულზე გია ქარდავა მოკლეს“.

▶

**მრჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ამ ხალხს, მიუხედავად თავიანთი წოდებებისა და სამეცნიერო ტიტულებისა, ან არ შეეძლო ამ საკმაოდ ფაქიზი და რთული საქმის გაკეთება, ანდა ვიღაც ძალიან გავლენიანი შეგნებულად ამუხრუჭებდა სასიცოცხლო მნიშვნელობის მასშტაბურ გარდაქმნებს.**

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

როგორც ვხედავთ, ასეთ „შეხმატკბილებულ“ ინფორმაციებს ოთხი კაცის სიკვდილი მოჰყვა. სისხლიანი სერიალი ამით არ დასრულებულა. ცნობილმა კრიმინალმა ნოდარ გვიჩიანმა, რომელმაც კალაძეებიდან 200 ათასი წაიღო, ჩვენების დროს განაცხადა, რომ ომეხ აფრასიძემ გარკვეულ საზღაურად ელდარ აფრასიძის მოკვლა დამავალაო. ამ ამბიდან მცირე ხანში ელდარ აფრასიძე თავად პოლიციელებმა მოკლეს სპეცოპერაციის დროს. სვანეთში ჩატარებული სპეცოპერაცია და მამა-შვილ აფრასიძეების მკვლელობა ხომ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. უკვე გერმანიაში ვიყავი, როცა კალაძეების საქმესთან დაკავშირებული კიდევ ორი პიროვნების დაიღუპვის ამბავი შევიტყვე.

**— ერთი, ალბათ, პოლკოვნიკი კეკუა გყავთ მხედველობაში, მეორე ვინ არის?**

— დიახ, პოლკოვნიკმა კეკუამ ძალზედ ბევრი იცოდა არა მარტო კალაძის გატაცების საქმეზე, არამედ საერთოდ საქართველოში დატრიალებულ დიდ კრიმინალურ ეპოპეაზე. რაც შეეხება მეორე პიროვნებას, უფრო ზუსტად მე-10 მსხვერპლს, ამაზეც მოგახსენებთ. იცით, რომ 2006 წ. 16 თებერვალს ამისულაშვილი დააკავეს. მისი დაკავების თავდაპირველი საბაბი გახდა სადახლოზე საზღვრის უკონონოდ გადაკვეთა. დაკავების შემდეგ იგი მოულოდნელად აღიარებს კალაძის გატაცების ფაქტს. **ამ საქმეზე ამისულაშვილი თანამონაწილეებად ასახელებს ასათიანს, ცინცაძესა და გაგნიძეს. ამისულაშვილის ჩვენებაში ბზარი ნათია ჯანელიძემ შეიტანა. ამ ქალბატონის განცხადებით, სადახლოზე ამისულაშვილს ვერ დააკავებდნენ, რადგან იგი მის მეუღლესა და ლევან გვაზავას უკვე ჰყავდათ მუხიანის დასახლებაში თავისუფლებააღკვეთილიო. ჯანელიძის დედა ადასტურებს, რომ ამ სახლში ამისულაშვილი სასტიკად აწამეს და იატაკზე სისხლის კვალიც იყო დარჩენილიო. ნათია ჯანელიძე ამჟამად პატიმარია, მას ბრალად ედება საკუთარი მეუღლის, უჩა ჯანელიძის მკვლელობა, რომელიც ლ. გვაზავას დეიდაშვილი იყო და სადახლოს საბაჟოზე პოლიციის უფროსად მუშაობდა.** ადვოკატი თოდუა აცხადებს: „ჯანელიძის მკვლელობა პირდაპირ კავშირში შეიძლება იყოს კალაძის საქმესთან, რადგანაც იგი სახიფათო ინფორმაციას ფლობდა და ამიტომაც მოკლეს. ამის შესახებ ჯანელიძე აპირებდა სასამართლოზე საუბარს, მაგრამ მასზე განხორციელებული ზეწოლის შედეგად უარი განაცხადა საქმეში ჩემ მონაწილეობაზე“.

**— თქვენს ინტერვიუში აცხადებთ, რომ ამ საქმეს პოლიტიკური სარჩული ადევს, პირდაპირ წერთ, რომ გატაცებები საქართველოში მხოლოდ კრიმინალური აქტი არ იყო.**

— საქართველოში ადამიანთა გატაცებების ბუმი იყო: იტაცებდნენ უცხოელ ბიზნესმენებს, პარლამენტარებს, მინისტრებს, გაეროს დამკვირვებლებს და ა.შ. ეს ფაქტი კი აშკარად მეტყველებდა ამ დანაშაულთა პოლიტიკურ მოტივაციაზე. თანაც მიაქციეთ ყურადღება: თითქმის ყველა თანამშრომელი, რომლებიც კალაძის საქმესთან არიან დაკავშირებულნი, თარგამაძის დროსაც თანამდებობის პირები იყვნენ და სააკაშვილის დროსაც შეინარჩუნეს პოზიციები. მეორეც, მოდი მოვლენებს უფრო ჩავუღრმავდეთ.

ყოფილი შს მინისტრი კახა თარგამაძე ერთი ნარცისიზმით შეპყრობილი მაღალი რანგის ჩინოვნიკი იყო. გემახსოვრებათ, საქვეყნოდ განაცხადა: მე უბრალო კაცი არ გეგონოთ, რკინის კაცი ვარო. კოჭებში ეტყობოდა, პრეზიდენტობისთვის ემზადებოდა.

**— თავის ქება და ტრაბახი ჩვენმა პრეზიდენტმაც არანაკლებად იცის.**

— რას ამბობთ! ნაკლები კი არა, კახა თარგამაძე მაგ საქმეში კოჭებამდეც ვერ შეწვდება ჩვენს მაღალს, ამიტომაც დასრულდა მათი ჭიდილი ამ უკანასკნელის გამაჯვებით.

**— რა გაქვთ მხედველობაში?**

— გემახსოვრებათ, 2001 წლის შემოდგომაზე კახა თარგამაძესა და ჟვანია-სააკაშვილის გუნდს შორის დიდი ბრძოლა გაიმართა. ოპოზიციაში გადაბარგებულმა სახელისუფლო პარტიის ყოფილმა ბირთვმა, მოწინააღმდეგე შინაგან საქმეთა მინისტრი და „ტახტისთვის“ მოცილე ბევრი სხვა პოლიტიკური ფიგურა სარბიელიდან ჩამოიშორა.

**— ეს ხომ სააკაშვილის გამჭრიახობაზე მეტყველებს?**

— სულაც არა, ეს მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ გულუბრყვილო და პოლიტიკურად მოუმწიფებელი ხალხი ადვილად მოსატყუებელია. გარდა ამისა, ამ სცენარს უაღრესად გონიერი და ყოვლისშემძლე ავტორი ჰყავს.

**— და ვინ არის ეს უჩვეულო ავტორი?**

— მოდით, ერთ ისტორიას მოგიყვებით და, ალბათ, ამ კითხვაზე პასუხი ნათელი გახდება. 90-იანი წლების დასაწყისში შინაგან საქმეთა სამინისტროში სამართლებრივი და საერთაშორისო სამსახურის უფროსი ვიყავი. სამინისტროში რეფორმების კომისიასაც ვთავმჯდომარეობდი. ჩემი სამსახურის ფუნქციებში შემოდიოდა სამინისტროს სტრუქტურული მოწყობა და საერთაშორისო ურთიერთობების დამყარება სხვა ქვეყნების შს სამინისტროებთან. სოხუმი ახალი დაცემული იყო, ოფიციალური მოწვევით მაშინდელ შს მინისტრ კვირაიასთან ერთად მოსკოვში გავემგზავრე, რსფსრ-ს შს მინისტრს უნდა შევხვედროდით და სამართლებრივი ხასიათის ხელშეკრულება დაგვედო. სხვათა შორის, კახა თარგამაძე მაშინ ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს უფროსი გახლდათ.

**— მგონი, მაგ სამსახურს კომუნისტების დროს „ობეხეს“ ეძახდნენ.**

— ზუსტად ეგრეა, სახელი გადაარქვეს, ფუნქცია კი იგივე ჰქონდა. მართალია, დელეგაციაში თარგამაძე ოფიციალურად არ ირიცხებოდა, მაგრამ თვითმფრინავში ჩვენთან იჯდა, ეტყობა, რაღაც „ჩრდილოვან“ ეკონომიკურ უზრუნველყოფას ახორციელებდა. მოსკოვში როცა ჩავფრინდით,



# «გულუბრყვილო და პოლიტიკურად მოუმწიფებელი ხალხი ადვილად მოსატყუებელია. გარდა ამისა, ამ სცენარს უაღრესად გონიერი და ყოვლისშემძლე ავტორი ჰყავს»

ტრაპთან რსფსრ-ს მაშინდელი შს მინისტრის, ერინის პირველი მოადგილე შემოგვეგება. დელეგაციის წევრები ცალკე მანქანაში მოგვათავსეს და სამთავრობო აგარაკზე დაგვაბინავეს. გენერალმა პატარა სუფრა გაგვიშალა, მერე ჩამოსვლა დაგვილოცა და ბოდიშის მოხდით გვითხრა: რსფსრ-ს დუმა (პარლამენტი) პრეზიდენტ ელცინს განუდგა, „თეთრი სახლის“ (რუსეთის პარლამენტის შენობის) შტურმით ასაღებად ვემზადებით, ჩვენს სატელეფონო საუბრებს კი მოწინააღმდეგე მხარე ისმენს. დასახმარებლად ამერიკელები ჩამოვიდნენ და ამიტომ დროებით უნდა დაგტოვოთო. ამ ინფორმაციამ სახტად დამტოვა, გულში ვთქვი: „ეს როგორ?! რუსეთის თავდაცვის სამინისტროს თვითმფრინავები სოხუმში ჩვენს პოზიციებს ბომბავენ, ამერიკელები ძმობას გვეფიცებიან და თანაც ელცინის მოყანყალებულ ხელისუფლებას ამაგრებენ?“

**— მართლაც ძალზე დამაფიქრებელი ფაქტია.**

— ახლა მოვლენების განვითარებას დაუკვირდით: „თეთრ სახლში“ გამაგრებულ პარლამენტარებს ელცინმა ჯერ ქვემეხები დასცხო, შემდეგ შტურმით აიღო და მოწინააღმდეგეები, ხაზბულატოვისა და რუცკოის ხელმძღვანელობით, შენობიდან კინწისკვრით გამოჰყარა. დემოკრატიულ დასავლეთს ელცინის ამ ძალადობაზე კრინტი არ დაუძრავს. ზოგიერთ ზვიადისტს რომ ჰკითხო, გეტყვის, საბჭოთა კავშირი ჩვენ დავანგრიეთო, სინამდვილეში კი საბჭოთა კავშირის დაშლაში ლომის წილი სწორედ ამბიციურ ელცინს მიუძღოდა. ამერიკელები მარტო კარგ ფილმებს კი არ იღებენ, დიდებულ პოლიტიკურ სცენარებსაც წერენ, საოცარი დახვეწილობით ირჩევენ როლების შემსრულებელს. მე აღფრთოვანებული ვარ მათი პროფესიონალიზმით. სამწუხაროდ, ჩვენი ლიდერები გვიან ხვდებიან, რომ თავისთვისაც და ქვეყნისთვისაც ცუდ როლს თამაშობენ. ზვიად გამსახურდიამ ბოლოს აღიარა: **„სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში იმართებოდა ოკეანის გაღმიდან... სცენარი გადატრიალებისა, რომელიც აშშ-მა მოაწყო საქართველოში, ადრე არა ერთხელ გამოუყენებია ამ ქვეყანას პლანეტის სხვა რეგიონებშიც... ჩვენ არ დავუშვებდით იმას, რომ საქართველო გამხდარიყო დასავლეთის კოლონია. დასავლეთს კი მხოლოდ ისეთი ხელისუფლება სურს, რომელიც უსიტყვოდ ასრულებს მის ნება-სურვილს...“**

არადა, ერთ დროს ზვიად გამსახურდია ამერიკის კონგრესის მიერ ნობელის პრემიაზე იყო წარდგენილი და ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა. ახლა ბატონი ედუარდის სინანული გავიხსენოთ, რომელიც მას „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ აღმოხდა: „რას წარმოვიდგენდი, თუ ჩემი მეგობრები იუგოსლავიის სცენარს გამითამაშებდნენო“. როცა დიდ პოლიტიკაზე და ქვეყნის წინამძღოლობაზე გაქვს პრეტენზია, ასეთი რამეები ნამდვილად არ უნდა შეგეშალოს. თუმცა **შევარდნაძე ბოლოს მიხვდა, რომ რუსეთმა რყევებს გაუძლო, თვითმყოფადობა შეინარჩუნა, ახალმა მეგობრებმა კი მხოლოდ თავის სასარგებლოდ გამოიყენეს და ქვეყანაც დაქუცმაცებული და დანგრეული დაუტოვეს, მიხვდა და პირი იბრუნა, მაგრამ უკვე გვიანი იყო.**

**— ამ ლოგიკას თუ გავყვებით, მაშინ არც სააკაშვილს ჰქონია კარგად საქმე.**

— ამერიკის კონგრესმა ეგეც წარადგინა ნობელის პრემიაზე. რას გაიგებ დიდი ბატონის ზრახვებს. პინოჩეტი, მაგალითად, ღრმად მოხუცებულობაში გაასამართლეს.

**— როგორც ახსენეთ, თქვენ შს სამინისტროში რეფორმების კომისიას ხელმძღვანელობდით, რა შეგიძლიათ თქვათ იმ ცვლილებებზე, რომლებიც ამ უწყებაში განხორციელდა?**

— ძალიან ბევრისგან მსმენია, რომ საქართველოში დანაშაულმა იკლო, პოლიცია ქრთამს არ იღებს, უფრო მოქნილი და მობილური გახდა. უნდა ვაღიარო, რომ კახა თარგამაძის დროინდელ და დღევანდელ პოლიციას შორის მართლაც არის საგრძნობი განსხვავება, მაგრამ იმისათვის, რომ ამ განსხვავების მიზეზები ავხსნათ, აუცილებელია, საფუძვლიანი ანალიზი გავაკეთოთ, რა გვქონდა, რა გვაქვს ამჯერად და როგორ მოხდა ეს ყველაფერი. ჯერ კიდევ 1993 წლის 6 ნოემბერს გაზეთ „კრიმინალურ ქრონიკაში“ საგანგაშო სტატია გამოვაქვეყნე, სათაურიც შესაბამისი ჰქონდა: „ვიდრე მაფია მომძლავრდება“. სტატიაში, ვაანალიზებდი რა არსებულ მდგომარეობას, გადაუდებელ აუცილებლობად მივიჩნევდი კორუფციისა და მაფიის წინააღმდეგ არა მარტო სათანადო საკანონმდებლო ბაზის შექმნას, არამედ დაუყოვნებლივ ქმედითი ღონისძიებების გატარებას. სამწუხაროდ, არც ხელისუფლებამ გაიზიარა ჩემი რჩევები და არც პოლიტიკურმა ძალებმა. ბოლოს ისევ საადვოკატო პრაქტიკას დავუბრუნდი, თუმცა არსებითი ხასიათის სასამართლო რეფორმებზე ფიქრი არ შემიწყვეტია, ხშირად ვაქვეყნებდი სამართლებრივ თემებზე გაზეთებსა და სამეცნიერო ჟურნალებში სტატიებს. ერთი შეხედვით, თითქოს არც ხელისუფლება იჯდა გულხელდაკრეფილი, — ქმნიდა სამართლებრივი რეფორმების კომისიებს, რომლებშიც შეჰყავდა მაღალი რანგის ჩინოვნიკობა და სამეცნიერო კადრებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი ამ პროცესში. საქმე კი წინ არ იძროდა. მრჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ამ ხალხს, მიუხედავად თავიანთი წოდებებისა და სამეცნიერო ტიტულებისა, ან არ შეეძლო ამ საკმაოდ ფაქიზი და რთული საქმის გაკეთება, ანდა ვიღაც ძალიან გავლენიანი შეგნებულად ამუხრუჭებდა სასიცოცხლო მნიშვნელობის მასშტაბურ გარდაქმნებს. იყო სხვა, ძალზე მნიშვნელოვანი მიზეზიც: რეფორმები საკმაო რაოდენობის თანხას საჭიროებდა, რაც გაფხეკილ ბიუჯეტში არ მოიპოვებოდა. ცოტა მოგვიანებით რეფორმების კომისიას ბატონი სააკაშვილი ჩაუდგა სათავეში და, თქვენ წარმოიდგინეთ, ფულიც უეცრად გაჩნდა.

**— საიდან?**

— ამ კითხვაზე პასუხი გოგა ხაინდარავას ფილმშიც შეგვიძლია მოვიძიოთ.

**— რომელი ფილმი გაქვთ მხედველობაში?**

— „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ზურაბ ჟვანია თავის განვლილ ცხოვრებას აჯამებს და ნებით თუ უნებლიეთ ძალზე მნიშვნელოვან ფაქტებს აჟღერებს. ამ შემთხვევაში ჩვენ მისი საუბრის ერთი მონაკვეთი გვაინტერესებს. კერძოდ, ჟვანია იხსენებს ამერიკაში ვიზიტს და ძალზე გულუბრყვილოდ თავს იწონებს, თუ როგორ „ააგდო“ გავლენიანი მოხელე თეთრ სახლში და ოკეანის გაღმიდან ნაცვლად 20 თუ 30 მილიონისა 90 მილიონი დოლარი ჩამოიტანა. როგორ გგონიათ, სად წავიდა ეს სოლიდური ფული? არ გაგიგიათ, გრანტებისათვის განკუთვნილ თანხას ჟვანია და სააკაშვილი რომ ანაწილებდნენ?

**— ისე ხართ დარწმუნებული, რომ, ეტყობა, ამ გრანტებიდან თქვენც შეგხვდათ რაღაც.**

— შეხვედრით არ შემხვედრია, თუმცა სათხოვნელად სააკაშვილთან მართლაც ვიყავით მისული.

**— უარი გითხრათ?**

— მთლად ეგრეც არ არის. მაშინ არასამთავრობო ორგანიზაციის — დემოკრატ იურისტთა კავშირის თავმჯდომარე ვიყავი, სადაც 100-ზე მეტი იურისტი იყო გაწევრიანებული. ამ ორგანიზაციის თანათავმჯდომარე იყო ცნობილი მეცნიერი და ადვოკატი, პროფესორი ოთარ გამყრელიძე. მე და ბატონ ოთარს დიდი სურვილი გვქონდა, სამართლებრივი ნიჰილიზმით გაჟღენთილი საზოგადოება კანონისკენ შემოგვეტრიალებინა. ვოცნებობდით იურისტთა დიდ გაერთიანებაზე, რომელსაც ხელისუფლებაც დაეყრდნობოდა და ოპოზიციაც. მთელი კონცეფცია გვქონდა შემუშავებული. უპირველს ამოცანად მიგვაჩნდა იურიდიული გაზეთის გამოცემა, რომელშიც მეცნიერი და პრაქტიკოსი იურისტები განიხილავდნენ კანონპროექტებს და ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე იმსჯელებდნენ. ერთი სიტყვით, ყველაფერი გააზრებული იყო, გაზეთის გამოსაცემად ხარჯთაღრიცხვაც კი გვქონდა შემუშავებული, ოღონდ საკმარისი ფული არ გაგვაჩნდა. ვისლა არ მივაკითხეთ: შევხვდით შევარდნაძის პრესცენტრის უფროსს, მან გვითხრა გაზეთი ძვირი სიამოვნებაა და ვერ დაგეხმარებითო. შევხვდით თოფაძეს და მოკრძალებით მოვახსენეთ: ბატონო გოგი, თქვენ ცნობილი ბიზნესმენი ხართ, ჩვენ კიდევ — იურისტები, ბიზნესს კანონით დაცვა სჭირდება, მოდი, ერთად ვაკეთოთ თქვენი საქმეც და საქვეყნო საქმეც-თქო, მაგრამ... სხვა გზა არ გვქონდა, დახმარებისთვის სააკაშვილს მივაკითხეთ...

ესაუბრა
**ეთერ ბალაძე**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ახლა ამერიკაში „სასჯელაღსრულებითი ორგანოების“ ზედამხედველობის ქვეშ არის ექვს მილიონზე მეტი ადამიანი, რაც სტალინის გულაგებში მყოფთა რაოდენობასაც კი აღემატება. პატიმრებისა და მეთვალყურეობის ქვეშ მყოფთა ქალაქი ამერიკაში სიდიდით მეორე ადგილზეა. 1980 წელს ასი ათას ამერიკელზე 220 პატიმარი მოდიოდა, 2010 წლისათვის ამ რაოდენობამ 731-ს მიაღწია. მსგავსი რამ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ ხდება.**

# ამერიკა — გისოსებს მიღმა

**რეპორტიორები ხშირად აჩვენებენ ამერიკის ციხეების შიდა ცხოვრებას, მაგრამ ეს რეპორტაჟები არავის მოსწონს, რადგან იქ არაფერი ხდება. იმის წარმოდგენაც კი, რომ ვინმემ ამ პირობებში შეიძლება თუნდაც ერთი წუთით იცხოვროს, შეუძლებელია. ამერიკის ციხეში ერთი დღე ათწლეულებს უდრის. ტეხასის ციხეებში ადამიანებს, რომლებიც სასიკვდილო განაჩენის აღსრულებას ელიან, „უვადოდ“ დაპატიმრებულებს უწოდებენ. ამერიკული ციხეების მთავარი რეალობა საკეტი და გასაღები კი არა, საკეტი და საათია.**



ვისაც თუნდაც ერთი დღე გაუტარებია ციხეში, ამ შეგრძნებას ვერასდროს დაივიწყებს. იქ დრო ჩერდება. ჩახშობილი პანიკის, პარანოიის, მღელვარების, მოწყენილობისა და შიშის ნარევი ნთქავს როგორც ტუსაღებს, ასევე მათ ზედამხედველებს. პატიმრები ცდილობენ, გარეთ მყოფ ადამიანებს გააგებინონ, რომ იქ დრო ყოველ წამში ცვლის გონებას. ამერიკაში, სადაც გაცილებით მეტ სასჯელს უწესებენ ადამიანებს, ვიდრე იმავეს ჩადენისთვის სხვა ცივილიზებულ ქვეყნებში (მხოლოდ ტეხასის შტატში 400 მოზარდს სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი), პატიმართათვის დრო, ნებისმიერი გაგებით, სასჯელია.

**ამერიკაში ღარიბი ადამიანების უდიდესი რაოდენობისათვის, განსაკუთრებით შავკანიანი მამაკაცებისათვის, ციხე ისეთივე აუცილებელი მოვლენაა ცხოვრებაში, როგორც მდიდარი თეთრკანიანებისათვის სკოლაში სიარული.** სკოლადაუმთავრებელი შავკანიანი მამაკაცების ნახევარი ცხოვრების რაღაც პერიოდს ციხეში ატარებს. ამერიკის ფუნდამენტურ რეალობად იქცა კაცობრიობის ისტორიაში გაუგონარი მასშტაბების დაპატიმრებები. დაახლოებით ასეთივე რეალობა 1850-იან წლებში მონობა იყო, მაგრამ ახლა აშშ-ში უფრო მეტი ზანგია პატიმრობაში, ვადამდეპირობით გათავისუფლებულთა და პირობით გათავისუფლებულთა სიებში, ვიდრე იმ პერიოდში მონა იყო. **ახლა ამერიკაში საერთო ჯამში „სასჯელაღსრულებითი ორგანოების“ ზედამხედველობის ქვეშ არის ექვს მილიონზე მეტი ადამიანი, რაც სტალინის გულაგებში მყოფთა რაოდენობასაც კი აღემატება. პატიმრებისა და მეთვალყურეობის ქვეშ მყოფთა ქალაქი ამერიკაში სიდიდით მეორე ადგილზეა.**

1980 წელს ასი ათას ამერიკელზე 220 პატიმარი მოდიოდა, 2010 წლისათვის ამ რაოდენობამ 731-ს მიაღწია. მსგავსი რამ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ ხდება. უკანასკნელ ოც წელიწადში ციხეების შენახვის ხარჯის ზრდამ ექვსჯერ გადააჭარბა უმაღლესი განათლების ხარჯების ზრდას.

„ჩვენ კარცერული სახელმწიფო ვართ“, — სწორედ ასეთი უკომპრომისო შეფასება მისცა ამერიკის შეერთებულ შტატებს კონრად ბლექმა, კონსერვატიული პრესის ყოფილმა მფლობელმა და ახლადგამომცხვარმა რეფორმატორმა, რომელიც ახლა ფლორიდის ერთ-ერთ ციხეში ზის.

**ჩვენი ციხეების რაოდენობა და სისასტიკე ამერიკელთა მორალური სირცხვილია. ყოველდღიურად 50 000 ადამიანი მარტოდმარტო პატიმრობაში ილვიძებს ციცქნა კამერაში, სადაც ვერავის ხედავს, არ შეუძლია თავისუფლად წეროს ან იკითხოს. მათ მხოლოდ ერთსაათიანი გასეირნების უფლება აქვთ, ისიც სრულ სიმარტოვეში. ჩაიკეტეთ საპირფარეშოში და წარმოიდგინეთ, რომ იქ მომავალი ათი წლის გატარება მოგიწევთ და მიუახლოვდებით იმის შეგრძნებას, თუ რას ნიშნავს ამგვარი პატიმრობა. ციხეებში იმდენად გავრცელებულია გაუპატიურება — ყოველწლიურად 70 000-ზე მეტ ადამიანს აუპატიურებენ — რომ ამას დასაშინებლადაც კი იყენებენ, როგორც მომავალი შესაძლო სასჯელის ნაწილს.**

**უკანასკნელ ათ წელიწადში მრავალი სახელმწიფო საპატიმრო თუ გამოსასწორებელი დაწესებულება კერძო საკუთრებაში გადავიდა და, როგორც ნებისმიერი ბიზნესი, ისიც საჭიროებს განვითარებას. სწორედ ამან განაპირობა კანონების გამკაცრება და ხანგრძლივი პატიმრობები არც თუ მძიმე დანაშაულებისთვის. ციხეები ფულს უხდიან მოსამართლეებს ყოველი ახალი პატიმრისათვის.** საქმე ისაა, რომ კერძო ციხეები შტატების ხელისუფლებებისგან საკმაოდ სოლიდურ დაფინანსებას იღებენ იმისდა მიხედვით, თუ რამდენი პატიმარი ჰყავთ. ვინაიდან ამ თანხიდან წილი მოსამართლეებამდეც მიდის, ისინი ზრუნავენ, რომ კამერები არასდროს დაცარიელდეს. მას შემდეგ, რაც წვრილმანი დანაშაულებებისთვის ციხეში გამწესებულმა მოზარდებმა ერთობლივი სარჩელი შეიტანეს მოსამართლეების წინააღმდეგ, ამ უკანასკნელთ თავად ემუქრებათ ციხეში მინიმუმ შვიდი წლის გატარების პერსპექტივა.

**გაეროს ბავშვთა ფონდ იუნისეფის მონაცემებით, 2006-2008 წლებში აშშ-ის ციხეებში 6-დან 12-წლამდე ასაკის 93 ათასი პატიმარი იხდიდა სასჯელს.**

**The New Yorker**

# აშშ-მა ყირგიზეთში ჰეროინის ბაზა მოაწყო



**თურქულმა ვებ-საიტმა Turkish Weekly-მა გამოაქვეყნა საკუთარი გამოძიების შედეგები, რომელიც ყირგიზეთის სიდიდით მეორე ქალაქ ოშის პოლიციის ახალ უფროს სუიუნ ომურზაკოვს ეხება. ეს ადამიანი შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ მუშაობდა და ცნობილია როგორც გავლენიანი ნარკობარონი და ორგანიზებული დამნაშავეობრივი დაჯგუფებების ლიდერი. წარსულში იგი არაერთხელ გამხდარა სისხლის სამართლის გამოძიების ობიექტი.**

2009 წლის ოქტომბერში საიტზე Kyrgyznews.com გაჩნდა სტატია, რომელიც ომურზაკოვის ნარკოტიკების კონტრაბანდით დაკავებულ ორგანიზებულ დამნაშავეობრივ ჯგუფებთან პირდაპირ კავშირზე მიანიშნებდა. სტატიაში ამ ადამიანს ყირგიზეთის სამხრეთის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ნარკობარონი უწოდეს.

კიდევ ერთი გამოძიება 2010 წლის ივნისში ტარდებოდა. ყირგიზეთისა და უზბეკეთის უფლებადამცველების ჯგუფმა სახელწოდებით „ოშის ინიციატივა“ ომურზაკოვს ორგანიზებული დამნაშავეობრივი ჯგუფის ლიდერი უწოდა და იმავე ტიტულით შეამკო, რომლითაც ოშის მერი მელის მირზაკმატოვი, ასევე კრიმინალური ავტორიტეტები ალმანდეტ მანაპიაევი, კადირ დუსანოვი და სხვები.

ყველა ამ ადამიანს უშუალო კავშირი ჰქონდა ანტიუზბეკური რყევების ორგანიზებასთან, ხელმძღვანელობასა და დაფინანსებასთან. ისინი ამარაგებდნენ ყირგიზეთის პოლიციის თანამშრომლებს იარაღითა და საბრძოლო მასალებით და პირადად მონაწილეობდნენ დარბევებში.

**2001 წლიდან ყირგიზეთის ტერიტორიაზე, მანასში განლაგებულია აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების სატრანზიტო გადაზიდვების ცენტრი (ყოფილი ავიაბაზა). მას იყენებენ ავღანეთში მიმავალი და იქიდან სამშობლოში დაბრუნებული ჯარისკაცების შუალედურ პუნქტად. ობიექტების შემდგომი გამოყენების შესაძლებლობისათვის ყირგიზეთს 200 მილიონი დოლარი გადაუხადეს.** ამ ბაზის არსებობის მანძილზე მის ირგვლივ სკანდალები არ შეწყვეტილა. ერთ-ერთი ჟურნალისტური გამოძიება გასული წლის დეკემბერში ჩატარდა.

რაოდენ მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს ეს ბაზა ყირგიზეთისთვის, მისი ნამდვილი დანიშნულების შესახებ საკითხი ღიად რჩება. უკვე მრავალი წელია, ისმის ბრალდებები ნარკოტიკების ტრანსპორტირებასთან, ტერორიზმთან და რევოლუციის ორგანიზებასთან დაკავშირებით. მანასის ბაზასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ყველაზე მოულოდნელი აღმოჩენა სუნიტური ტერორისტული ორგანიზაცია „ჯუნდალას“ ლიდერის, აბდოლმალეკ რიგის ისტორია გახდა. 2010 წლის თებერვალში ირანის ხელისუფლებამ იგი არაბეთის გაერთიანებული საემიროებიდან ყირგიზეთში მიმავალი თვითმფრინავის რეისიდან მოხსნა.

**ტერორისტული ორგანიზაცია „ჯუნდალა“ განსაკუთრებულად შიიტურ ირანს ემტერება. ცსს, უკვე მრავალი წელია, აფინანსებს ამ ორგანიზაციას, მიუხედავად „ალ ქაიდასთან“ მისი კავშირებისა.** თავად რიგის მტკიცებით, აშშ რეგულარულად იყენებს მანასეს ბაზას ისეთ ადამიანებთან საიდუმლო შეხვედრებისთვის, როგორიც თავადაა.

გასულ წელს პიტერ დ. სკოტმა დაწერა ვრცელი სტატია იმის შესახებ, თუ როგორ განაპირობა აშშ-ის მხრიდან ყირგიზეთის საქმეებში ჩარევამ (თავისი სტრატეგიული ობიექტის დაცვის საბაბით) ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების დესტაბილიზება და ქვეყნის გავლით ნარკოტიკების ნაკადის მკვეთრი გაზრდა:

**ნარკოტრაფიკის უკან დგანან სერიოზული ძალები: სადაზვერვო სამსახურები, ტერორისტები.** ეს ემთხვევა ფაქტებს ცსს-ს ადრინდელი ჩარევის შესახებ ავღანეთის, ლაოსისა და ბირმის საქმეებში და მიანიშნებს ამერიკის პასუხისმგებლობაზე მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდიდან ამ დრომდე ნარკოტიკებით გლობალური ვაჭრობის ზრდაში. მნიშვნელოვანია იმის გაგება, რომ 2001 წელს ამერიკის შეჭრიდან ამ დრომდე ავღანეთში ოპიუმის წარმოების გაორმაგება ბირმაში, ტაილანდში და ლაოსში 1940-იანი წლების ბოლოდან 1970-იან წლებამდე განვითარებული მოვლენების გამეორებაა. მაშინ ცსს-ს ჩარევის შედეგად (ლაოსის შემთხვევაში საფრანგეთის) ეს ქვეყნები მსოფლიოში ნარკოტიკების ძირითად მიმწოდებლებად იქცნენ.

**2001 წლის დასაწყისში, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით, ყირგიზეთი ადამიანებით მოვაჭრე ტრანსნაციონალური ჯგუფების მოღვაწეობის ცენტრად იქცა.** აშშ-ის კონგრესის ბიბლიოთეკაში დაცული 2002 წლის დოკუმენტების თანახმად, ყირგიზეთი ნარკოტიკების წარმოებისა და უკანონო ბრუნვის ცენტრი გახდა.

ქვეყნის მდებარეობა ავღანეთიდან მომავალი მარშრუტების გადაკვეთაზე ნარკოტიკების კონტრაბანდის არაეფექტურ ნაციონალურ კონტროლთან შერწყმით წარმოუდგენლად მიმზიდველია **„საერთაშორისო ორგანიზაციისათვის, რომელიც აერთიანებს ამერიკის, რუმინეთის, ბრაზილიის, რუსეთის, ბელარუსისა და ყაზახეთის წარმომადგენელთა უპრეცედენტოდ ფართო წრეს... ესენი არა ნახევრადგანათლებული ტაჯიკ-ავღანელი ნარკომოვაჭრეები, არამედ მსოფლიო ნარკოსისტემის მაფიოზურ კლანებში სტაჟირებაგავლილი პროფესიონალები არიან“.**

როდესაც საუბარია ავღანეთის, პაკისტანის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთისა და სხვათა სტრატეგიულ მნიშვნელობაზე, იგულისხმება არა მხოლოდ ტრადიციული რესურსები, არამედ ნარკოტიკულიც.

**ამჟამად ავღანეთში სუფთა ჰეროინის მარაგი თითქმის სამ ათას ტონას შეადგენს, ავღანელი ნარკომომწოდებლების შემოსავალი კი წელიწადში დაახლოებით სამი მილიონი დოლარია.** ავღანელი გმირები ყოველწლიურად საერთაშორისო ნარკომაფიას, სულ მცირე, 100 მილიონი დოლარით ამდიდრებენ. ეს ფული კვებავს ორგანიზებულ დამნაშავეობას არა მხოლოდ ავღანეთში, არამედ მთელ ცენტრალურ აზიაში — ყირგიზეთში, ყაზახეთში, ტაჯიკეთსა და უზბეკეთში.

და რეალურად ამ თანხებს ავღანელი ფერმერები ან ნარკოტიკების გადამზიდავები როდი განაგებენ. ჰეროინის საწარმოების ნამდვილი მფლობელები აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც სპეციალურად „გამოიყვანეს“ ამ როლისათვის და რომლებსაც, თავის მხრივ, ჰყავთ თავიანთი პატრონები, რომლებიც აშშ-სა და დასავლეთის სხვა ქვეყნებში ცხოვრობენ.

**Sibel Edmonds' Boiling Frogs**

**ერთი საზღვაო ქვეითი მართლაც ნაღმზე აფეთქდა, რის შემდეგაც მისმა საბრძოლო მეგობრებმა გადაწყვიტეს, გასწორებოდნენ ყველას, ვინც ახლომახლო აღმოჩნდნენ. „შურისმაძიებელთა“ პირველი მსხვერპლი „ტაქსის“ მძღოლი და მისი ოთხი მგზავრი გახდა. ტაქსი აფეთქების გამო გაჩერდა. მანქანაში მსხდომთა დახოცვის შემდეგ ამერიკელი საზღვაო ქვეითები ირგვლივ მდებარე სახლებში შეცვივდნენ და 45 წუთის განმავლობაში ხოცავდნენ ყველას, ვინც კი იპოვეს. დახოცილთა შორის ათი ქალი აღმოჩნდა, ერთი — ბავშვი და ერთი — ინვალიდი, რომელსაც დამოუკიდებლად მოძრაობა არ შეეძლო.**

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სამთვიანი პატიმრობა — ოცდაოთხი გვამისათვის

**საიდუმლოს არ წარმოადგენდა, რომ სამხედრო მოქმედებები ერაყში, ავღანეთსა და სხვა ადგილებში, სადაც კოლონიზატორებმა „თავისუფლება“ და „კეთილდღეობა“ შეიტანეს, საკმაოდ უხეშად წარიმართებოდა. ახალი ამბები იმის თაობაზე, რომ უპილოტო საფრენი აპარატის რეიდის შედეგად რომელიღაც შორეულ მთიან რაიონში რამდენიმე მშვიდობიანი მოსახლე დაიღუპა, უკვე დიდი ხანია, „ცხელი წერტილების“ საინფორმაციო ფონის რუტინულ ელემენტად იქცა. იმ შემთხვევაში, როდესაც ავიადარტყმა აბსოლუტურად უმიზეზოა ან მსხვერპლის რაოდენობა განსაკუთრებით დიდი, საშუალო დონის ზოგიერთი ჩინოვნიკი პენტაგონიდან „მწუხარებას გამოხატავს“ და ეს სავსებით საკმარისად მიაჩნია.**



## ამერიკულმა მართლმსაჯულებამ ერაყის რიგით მოქალაქეებს სიცოცხლის უფლება ჩამოართვა

ამასთან, მსგავსი შეტევები ჟენევის კონვენციის პირდაპირი დარღვევაა, მაგრამ მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლი „უპილოტო ომში“ გარდაუვალ დანაკარგებად ითვლება. ალბათ, ამის გამო **უპილოტო საფრენი აპარატის არც ერთი ოპერატორი ამ დრომდე სიმბოლურადაც კი არავის დაუსჯია.** ამერიკული არმიის წარმომადგენელთა ქმედებები „ხმელეთზე“ სავსებით შეესაბამება უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენების სქემას. საყოველთაოდ გამოიყენება უსიტყვოდ შეთანხმებული პრინციპი, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს სამხედრო მოსამსახურეებმა სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე მოღვაწეობისას ჯერ უნდა ისროლონ, შემდეგ კი მშვიდად დაიწყონ იმის გარკვევა, თუ რამდენად საფუძვლიანი იყო მოცემულ სიტუაციაში გამანადგურებელი ცეცხლის გახსნა. **მიუხედავად იმისა, რომ მშვიდობიან მოსახლეობაში მნიშვნელოვანი დანაკარგებია, ამის პარალელურად იზრდება და სულ უფრო თვალშისაცემი ხდება ამერიკული სამართალდამცავი სისტემის ლოიალობა საკუთარი ქვეყნის ჯარისკაცების მიმართ.**

2005 წლის 19 ნოემბერს ერაყის ქალაქ ელ-ხადიტაში მოხდა ინციდენტი, რომელიც ერაყის ომის ყოველდღიურობის ფონზეც კი შოკისმომგვრელად გამოიყურებოდა. აშშ-ის საზღვაო ქვეითებმა ქალაქის კვარტალში „რეიდი“ ჩაატარეს და 24 მშვიდობიანი მოსახლე, მათ შორის ქალები და ბავშვები მოკლეს. ამ მოვლენას თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღება არ მიუპყრია — იმთავითვე გახმოვანებული ვერსიის თანახმად, საზღვაო ქვეითთა კოლონას თავს დაესხნენ ბოევიკები, რომლებმაც ნაღმის აფეთქების შედეგად ერთი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე და 15 მშვიდობიანი მოქალაქე იმსხვერპლეს. ამ შეტაკების შედეგად საპასუხო ცეცხლით ამერიკელებმა 8 ბოევიკი გაანადგურეს. შემთხვევის ადგილთან ახლოს მყოფმა The Time-ის კორესპონდენტებმა მომხდარი ცხელ კვალზე შეისწავლეს, მაგრამ გავრცელებულ ვერსიაში ხსენებული აფეთქების კვალს ვერსად მიაგნეს. სამაგიეროდ დარწმუნდნენ, რომ ერაყელ მშვიდობიან მოქალაქეებს მრავალრიცხოვანი ჭრილობა ჰქონდათ მიყენებული ცეცხლსასროლი იარაღიდან. ზემოხსენებულ გამოცემაში დაბეჭდილი პუბლიკაციის შემდეგ ისტორიამ აბსოლუტურად განსხვავებული ელფერი შეიძინა და პენტაგონი იძულებული გახდა, ოფიციალური გამოძიება დაეწყო. ამ გამოძიების შედეგები აბსოლუტურად არ ემთხვეოდა პირვანდელ ისტორიას.

გაირკვა, რომ **ერთი საზღვაო ქვეითი მართლაც ნაღმზე აფეთქდა, რის შემდეგაც მისმა საბრძოლო მეგობრებმა გადაწყვიტეს, გასწორებოდნენ ყველას, ვინც ახლომახლო აღმოჩნდნენ. „შურისმაძიებელთა“ პირველი მსხვერპლი „ტაქსის“ მძღოლი და მისი ოთხი მგზავრი გახდა. ტაქსი აფეთქების გამო გაჩერდა. მანქანაში მსხდომთა დახოცვის შემდეგ ამერიკელი საზღვაო ქვეითები ირგვლივ მდებარე სახლებში შეცვივდნენ და 45 წუთის განმავლობაში ხოცავდნენ ყველას, ვინც კი იპოვეს. დახოცილთა შორის ათი ქალი აღმოჩნდა, ერთი — ბავშვი და ერთი — ინვალიდი, რომელსაც დამოუკიდებლად მოძრაობა არ შეეძლო.**

ბრალდება წაუყენეს რვა სამხედრო მოსამსახურეს, მათ შორის — ორ ოფიცერს. შვიდ საზღვაო ქვეითს არანაირი სასჯელი არ დაკისრებია, ისინი მხოლოდ მოწმეების როლს ასრულებდნენ საქმეში. ერთადერთ ბრალდებულად დასახელდა დანაყოფის მეთაური შტაბ-სერჟანტი ფრენკ ვუტერიჩი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა 19 ადამიანის მკვლელობაში. თავდაპირველად ბრალდების მხარე დამნაშავისთვის, სულ მცირე, 150-წლიან პატიმრობას ითხოვდა, რაც, უნდა ითქვას, ცოტაც კია ჩადენილ დანაშაულთან შეფარდებით. მაგრამ, რაც უფრო შორს მიდიოდა სასამართლო განხილვა, მით უფრო მეტად იხლართებოდა ყველაფერი. თავდაპირველად ვუტერიჩს ადანაშაულებდნენ ბრალდების დაახლოებით 25-პუნქტიანი ჩამონათვალის მიხედვით მკვლელობის, დამამძიმებელ გარემოებებში ადამიანებზე თავდასხმის, სამხედრო ვალდებულების შეუსრულებლობისა და მართლმსაჯულებისთვის დაბრკოლებების შექმნის ჩათვლით.

**გამოძიებასთან გარიგების შედეგად, ვუტერიჩი მხოლოდ „გაუფრთხილებლობაში“ დაადანაშაულეს. სულ სერჟანტს ბრალდების ცხრა პუნქტი აპატიეს.** „გაუფრთხილებლობაში“ იგულისხმება ის, რომ ვუტერიჩმა გასცა პირდაპირი ბრძანება: „ჯერ ისროლონ და შემდეგ დასვან კითხვები“. სასამართლოს ვუტერიჩმა განუმარტა, რომ მისი ბრძანების მიზანი იყო არა სამოქალაქო პირების დახვრეტა, არამედ „საკადრისი პასუხი მოწინააღმდეგეს და საკუთარ დაქვემდებარებაში მყოფთათვის სიცოცხლის შენარჩუნება“. გაურკვეველი დარჩა, დაცვის აზრით, რა პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენდა ვუტერიჩის დაქვემდებარებაში მყოფთა სიცოცხლისათვის უფეხებო ინვალიდი, რომელიც პირდაპირ თავის ეტლშივე ჩაცხრილეს, ან დედა-შვილი, რომელთაც შტაბ-სერჟანტმა ვუტერიჩმა პირადად ესროლა. **სასამართლომ ვუტერიჩის საქციელში აფექტის ნიშნებიც დაინახა — სერჟანტი „აკონტროლებდა თავის დაქვემდებარებაში მყოფთა მოქმედებებს**, მაგრამ თავად ფატალურად არასწორი გადაწყვეტილებები მიიღო“.

განსაკუთრებული სინდისის ქენჯნა ვუტევიჩს არ გამოუმჟღავნებია. ჯერ კიდევ განაჩენის გამოტანამდე მან დახოცილი ერაყელების ახლობლებსა და ოჯახის წევრებს მიმართა და შეეცადა, დაერწმუნებინა, რომ ღრმა მწუხარებას განიცდის მომხდარის გამო, მაგრამ ისიც აღნიშნა, რომ ეს ინციდენტი ერაყის კონფლიქტისათვის ჩვეულებრივი შემთხვევაა და ის მოქმედებდა ისე, როგორც ამას გარემოებები მოითხოვდა. ამის შემდეგ კი, გამოძიებასთან გარიგების პირობების თანახმად, თავი სრულიად დამნაშავედ აღიარა.

ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ სასამართლომ ვუტევიჩს სამი თვით პატიმრობა, ამავე ვადით ხელფასის 75%-ით დაჯარიმება და წოდების რიგითამდე ჩამოქვეითება მიუსაჯა. ჯერ კიდევ ვერდიქტის გამოტანამდე სასამართლოსთვის ცნობილი გახდა, რომ აშშ-ის საზღვაო ქვეითთა სარდლობა მიუღებლად ჩათვლიდა თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სასჯელს. შედეგად ვუტერიჩი პირდაპირ სასამართლოს დარბაზიდან გაათავისუფლეს. ტრიბუნალის თავმჯდომარემ დევიდ ჯონსმა მისთვის, უბრალოდ, წოდების რიგითამდე შემცირება იკმარა და ამით სასამართლო განხილვა დასრულებულად ჩათვალა.

ვუტერიჩის ოჯახის ბიუჯეტი არ დაზარალებულა — მიუხედავად იმისა, რომ წოდება აღარ აქვს, ექს-სერჟანტს ხელფასი იგივე დაუტოვეს. ამგვარი პოზიციის მოტივად სასამართლომ ის დაასახელა, რომ ვუტერიჩი მარტოხელა მამაა და სამ შვილს ზრდის.

**მსოფლიოს კიდევ რომელ სასამართლოში შეიძლებოდა 19 ადამიანის მკვლელობისათვის მიესაჯათ ის, რასაც არასათანადო ადგილას სპირტიანი სასმელების მოხმარებისთვის უსჯიან, და შემდეგ ბრალდებული ამ სასჯელის მოხდისგანაც გაეთავისუფლებინათ?**

ერაყის ოფიციალურმა ხელისუფლებამ სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილებას „შეუსაბამო“ უწოდა. გაოგნებულნი დარჩნენ ქალაქ ელ-ხადიტის მცხოვრებნი, რომლებსაც ბედმა გაუღიმათ და სერჟანტ ვუტერიჩთან შეხვედრის შემდეგ ცოცხალი გადარჩნენ. სამაგიეროდ, ვუტერიჩის ადვოკატი მარკ ზეიდი თვლის, რომ მისი კლიენტისთვის, რომლის სახელიც ხელისუფლებამ და მასმედიამ სიბინძურეში ამოსვარა, სამართლიანობისა და რეაბილიტაციის პერიოდი დადგა.

**სერჟანტ ვუტერიჩის საქმე აშშ-ის ისტორიაში უმსხვილეს სისხლის სამართლის სასამართლოდ ითვლება, რომელშიც ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეები საბრძოლო მოქმედებების დროს ჩადენილი დანაშაულებებისთვის გაასამართლეს. ამასთან, ვუტერიჩი სასამართლოს წინაშე მხოლოდ იმიტომ წარსდგა, რომ მისმა ისტორიამ ძალზე დიდი რეზონანსი გამოიწვია. უამრავი მსგავსი შემთხვევიდან კი ძალიან იშვიათი გამონაკლისები აღწევენ თუნდაც გამოძიებამდე.**

win.ru

მოკლედ

## ირანი ევროპას ნავთობს შეუწყვეტს

**ირანმა კვლავ განაცხადა, რომ აპირებს, შეუწყვიტოს ბუნებრივი აირის მიწოდება რიგ ევროპულ ქვეყნებს მანამ, ვიდრე ევროკავშირის მიერ დაპირებული სანქციები ამოქმედდება.** ნავთობმომპოვებელი მრეწველობის მინისტრმა რუსტამ კასემიმ არ დააკონკრეტა ის ქვეყნები, რომლებიც ვერ მიიღებენ ირანულ ნავთობს, და მიმართა ევროპას, გადახედოს თავის გადაწყვეტილებას, რაც, მისი თქმით, ნავთობის ბაზრებზე ქაოსს გამოიწვევს.



## ტიმოშენკო საზღვარგარეთ ვერ იმკურნალებს

**უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა უკრაინის ექს-პრემიერ იულია ტიმოშენკოს საზღვარგარეთ მკურნალობის შესაძლებლობა გამორიცხა.** „უკრაინა მადლობელია უცხოელი ექიმებისა შემოთავაზებისთვის, სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარონ ექს-პრემიერს იულია ტიმოშენკოს, მაგრამ ეს ყველაფერი უკრაინის ტერიტორიაზე უნდა განხორციელდეს“, — განაცხადა იანუკოვიჩმა და აღნიშნა, „ჩვენ წინააღმდეგი არ ვართ, მაგრამ უკრაინის კანონმდებლობა გამორიცხავს ტიმოშენკოს მკურნალობას საზღვარგარეთ“. მანვე აღნიშნა, რომ უკრაინული მხარე მზადაა, ტიმოშენკოს სამკურნალოდ ნებისმიერი უკრაინული სამედიცინო დაწესებულება აირჩიოს.

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1970-იან წლებში ამერიკული ენერგეტიკული კომპანიის ჯგუფი ამგვარ ფორმულირებას აკეთებდა: „ირანის შაჰი მსოფლიოში ნავთობის უდიდეს რეზერვუარზე ზის და კიდევ სურს, ააგოს ორი ატომური სადგური ქვეყანაში ელექტროობის წარმოებისათვის. მან იცის, რომ ნავთობი მთავრდება და მასთან ერთად მთელი ეპოქაც“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სწორედ აშშ-ის ბირთვულმა პროგრამამ დაუდო სათავე ირანულ ბირთვულ პროგრამას, რომელიც ასე სძულს ახლა ვაშინგტონს.**

# მითი ირანის იზოლაციაზე

**ჩვენს დროში, როდესაც სპარსეთის ყურეში კრიზისი თანდათან მწვავდება, აშშ-ისა და ირანის შესახებ ისტორიის მოკლე გაკვეთილი, შესაძლოა, სწორედაც ექიმის გამოწერილი წამალივით იყოს. მაშ, ასე: გავიხსენოთ რამდენიმე ნათელი ან ბნელი მომენტი ორი ქვეყნის ურთიერთობიდან განვლილი ნახევარი საუკუნის განმავლობაში.**



ხალხი ჰამენეისა და ისლამური რევოლუციის მცველთა კორპუსის მხარეს დადგება. გარდა ამისა, ირანის ოპოზიციაც კი მხარს უჭერს მშვიდობიანი ატომის პროგრამას, ეს ნაციონალური სიამაყის საგანია

1953 წლის ზაფხული: ცსს-მა და ბრიტანეთის დაზვერვამ მოახდინეს სახელმწიფო გადატრიალება და ჩამოაგდეს ირანის დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება, რომელიც სახელმწიფოს ნავთობმრეწველობის ნაციონალიზებას აპირებდა. მის ნაცვლად დასვეს ავტოკრატი, ირანის ახალგაზრდა შაჰი და მისი საიდუმლო პოლიცია, რომელიც მალე საფრთხობელად იქცა.

შაჰი მეოთხედი საუკუნის მანძილზე მართავდა ქვეყანას, როგორც რეპრესიულ მიწას და სპარსეთის ყურეში ვაშინგტონის საყრდენს წარმოადგენდა, ვიდრე 1979 წელს შიდარევოლუციურმა მოძრაობამ არ ჩამოაგდო და მის ადგილას აიათოლა რუხოლა ჰომეინი არ დასვა. ჰომეინი ვაშინგტონის კაცი არ იყო, მაგრამ 1953 წლის გადატრიალების წყალობით გარკვეულწილად მის პოლიტიკურ პროდუქტად იქცა.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, **ვაშინგტონის ფატალური გადაწყვეტილება, ჩამოეგდო პოპულარული დემოკრატიული ხელისუფლება, გახდა ვაშინგტონისათვის ესოდენ საძულველი ირანული სამყაროს შექმნის საბაბი, მაგრამ მაშინაც ყველაფრის მიზეზი ნავთობი იყო.**

1967 წელი: აშშ-ის პროგრამა „მშვიდობიანი ატომის“ მიხედვით, რომელიც 1950-იან წლებში დაიწყო, პრეზიდენტ დუაიტ ეიზენჰაუერის მიერ შაჰს უფლება მიეცა, თეირანისათვის ეყიდა 5-მეგავატიანი კვლევითი რეაქტორი, რომელიც ამ დრომდე ასრულებს გარკვეულ როლს ირანის ბირთვული პროგრამის განხილვებისას.

თავდაცვის დეპარტამენტის ოფიციალური პირები მაშინ იმაზე შფოთავდნენ, რომ შაჰს შეეძლო „მშვიდობიანი ატომი“ მომავალი სამხედრო პროგრამის საფუძვლად გამოეყენებინა, ან ბირთვული მასალები არასაჭირო ხელში მოხვდებოდა. პენტაგონის ჩანაწერებში ნათქვამი იყო, რომ შაჰის აგრესიულ მემკვიდრეს, შესაძლოა, ბირთვული იარაღი რეგიონში ირანის სრული სამხედრო დომინირების დამყარებისთვის საჭირო ფინალურ ელემენტად ჩაეთვალა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია პენტაგონისათვის, მხარი დაეჭირა და დახმარებოდა ირანს ბირთვული პროგრამის შექმნაში.

შაჰი, ისევე, როგორც მისი მიმდევრები, ირწმუნებოდა, რომ ამგვარი პროგრამა ირანის ეროვნული უფლება იყო და ოცნებობდა ქვეყანაზე, რომელიც ელექტროენერგიის მნიშვნელოვან ნაწილს მთელი რიგი ატომური სადგურებიდან მიიღებდა. 1970-იან წლებში ამერიკული ენერგეტიკული კომპანიის ჯგუფი ამგვარ ფორმულირებას აკეთებდა: **„ირანის შაჰი მსოფლიოში ნავთობის უდიდეს რეზერვუარზე ზის და კიდევ სურს ააგოს ორი ატომური სადგური ქვეყანაში ელექტროობის წარმოებისათვის. მან იცის, რომ ნავთობი მთავრდება და მასთან ერთად მთელი ეპოქაც“.** სხვაგვარად რომ ვთქვათ, სწორედ აშშ-ის ბირთვულმა პროგრამამ დაუდო სათავე ირანულ ბირთვულ პროგრამას, რომელიც ასე სძულს ახლა ვაშინგტონს.

**1980 წლის სექტემბერი:** ერაყელმა მმართველმა სადამ ჰუსეინმა ჰომეინის ირანის წინააღმდეგ აგრესია დაიწყო. 1980-იანი წლების დასაწყისში ის ვაშინგტონის კაცი გახდა, რომელსაც გაუწოდეს ხელი, მასთან ერთად კი „დეტალური ინფორმაციაც“ ირანის ჯარების განლაგებისა და ტაქტიკური დაგეგმარების შესახებ, რამაც მას შესაძლებლობა მისცა, ირანის ჯარის წინააღმდეგ უფრო ეფექტიანად გამოეყენებინა ქიმიური იარაღი.

**იმისათვის, რომ დარწმუნებულიყო, ყველაფერმა კარგად ჩაიარა, რონალდ რეიგანის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა, ჩუმად მიეყიდა რაკეტები და სხვა შეიარაღება ირანისთვის. მომავალში ამ გარიგებას „ირან-კონტრასის საქმე“ ეწოდა და პრეზიდენტსა და მის გუნდს ლამის თანამდებობების ფასად დაუჯდათ.**

**2003 წლის მარტი:** სადამ ჰუსეინი უკვე აღარ იყო ვაშინგტონისათვის „ჩვენი კაცი“, არამედ იქცა ახალ ჰიტლერად, რომელიც, ვაშინგტონის უმაღლესი ჩინების განცხადებით, უდავოდ ატარებდა ბირთვული შეიარაღების პროგრამას, რაც ერთხელაც ამერიკის ქალაქების თავზე სოკოსებური ღრუბლების სახით გამოჩნდებოდა. ამიტომ ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციამ დაიწყო აგრესია ერაყის წინააღმდეგ, ერაყისა, რომელიც ისევე, როგორც ირანი, თავდაცვის მდივნის მოადგილის, პოლ ვულფოვიცის თქმით, ნავთობის ზღვაზე ცურავს.

გავიდა ცხრა წელი, ბაღდადის შიიტური ხელისუფლება მჭიდრო კავშირშია თეირანთან, რომელსაც ამერიკული ოკუპაციის ჩაშლის წყალობით რეგიონული გავლენა აქვს.

50 წელიწადზე მეტხანს ამერიკელ ხელმძღვანელ პირებს ირანსა და მის სიახლოვეს არ განუხორციელებიათ არც ერთი მოძრაობა, მოულოდნელი და უსიამოვნო საპასუხო დარტყმა რომ არ მოჰყოლოდა. ახლა, ირანის წინააღმდეგ საიდუმლო ომის წარმოების მრავალი წლის შემდეგ, ვაშინგტონში კიდევ ერთმა ადმინისტრაციამ გადაწყვიტა, მოემზადოს ახალი მანევრებისათვის — ამჯერად ცენტრალური ბანკის წინააღმდეგ დაწესებული სანქციებით, რაც სახელმწიფოს ნავთობწარმოების სფეროს დააზარალებს და ერთი დარტყმით გაანადგურებს ეკონომიკას, მაგრამ არავინ იცის, რა მოჰყვება ამას.

რა არის მთავარი მიზანი: თეირანში რეჟიმის შეცვლა?

მოდით, დავიწყოთ წითელი ზოლიდან. სად გადის ვაშინგტონის წითელი ზოლი, რომლის იქითაც პირდაპირ ლომის ხახაში გადასავარდნია? თავდაცვის მინისტრმა ლეონ პანეტამ განაცხადა: **„ნუთუ ისინი ბირთვული იარაღის შექმნას ცდილობენ? არა. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ისინი ბირთვული სიმძლავრეების შექმნას ცდილობენ და ეს გვაშფოთებს. ირანისათვის ჩვენი წითელი ზოლი ასეთია: არ შექმნას ბირთვული იარაღი“.**

საოცარია, მაგრამ ეს წითელი ხაზები სულ უფრო შორს გადადიან. ოდესღაც ვაშინგტონისთვის წითელი ხაზი ურანის „გამდიდრება“ იყო. ახლა ეს ადგილი ბირთვულმა იარაღმა დაიკავა. გავიხსენოთ, ჯერ კიდევ 2005 წლიდან ირანელი უმაღლესი ლიდერი აიათოლა ალი ჰამენეი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მისი ქვეყანა არ ისწრაფვის ბირთვული იარაღის შექმნისაკენ.

**ეროვნული დაზვერვის ირანული განყოფილების ბოლოდროინდელმა შეფასებებმა ასევე ხაზგასმით დაადასტურა, რომ სინამდვილეში ირანი არ ქმნის ბირთვულ იარაღს, მაგრამ რა მოხდება, თუ დავუშვებთ, რომ არ არსებობს არანაირი წითელი ხაზი, არამედ არსებობს რაღაც სხვა, რასაც პირობითად ნავთობდოლარების ხაზი შეიძლება ვუწოდოთ?**

დავიწყოთ სანქციებით. 2011 წლის დეკემბერში გლობალური ეკონომიკისათვის მოსალოდნელი შავ-ბნელი შედეგების მომტანი სანქციების პაკეტი აშშ-ის კონგრესმა პროისრაელური ლობის ჩვეული ზეწოლით მოახვია თავს ბარაკ ობამას ადმინისტრაციას. ივლისიდან მოყოლებული აშშ სანქციებს უწესებს მესამე ქვეყნის ყველა იმ ბანკსა და კომპანიას, რომელთაც ურთიერთობა აქვთ ირანის ცენტრალურ ბანკთან, რაც ამ ქვეყნის ნავთობგაყიდვებს აზარალებს.

**მთავარი მიზანი სხვა რა უნდა იყოს, თუ არა რეჟიმის შეცვლა თეირანში? აშშ-ის დაზვერვის ანონიმმა მაღალჩინოსანმა „ვაშინგტონ პოსტთან“ საუბარში განაცხადა, რომ „აშშ-ის მიზანი და ირანის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები რეჟიმის კოლაფსში მდგომარეობს“ და ამით ცალსახად მიანიშნა, რომ აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაცია ირანის ხელისუფლების შეცვლას აპირებს.** მოგვიანებით გაზეთის რედაქცია იძულებული გახდა, ამ განცხადების შესწორება დაებეჭდა და მიზნების შესახებ მონაკვეთი საერთოდ გაქრო. უდავოა, რომ ამჯერად „წითელი ზოლი“ ძალზე მიუახლოვდა ჭეშმარიტებას და ეს უკვე უხერხულობას ქმნიდა.

შტაბების მეთაურთა გაერთიანებული კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე მაიკლ მულენი თვლიდა, რომ მხოლოდ შოკისა და ცახცახის მსგავსი, თეირანის ხელმძღვანელობისათვის სრულიად დამამცირებელი სასწაულებრივი მოვლენა განაპირობებს იქ რეჟიმის შეცვლას. ამ პოზიციაში მას მრავალი მომხრე ჰყავდა — საჰაერო დარტყმებიდან დაწყებული, ირანში შეჭრით დამთავრებულ აქციებს ამერიკაში უამრავი მომხრე ჰყავს.

მაგრამ ნებისმიერი, ვინც შორიდან მაინც იცნობს ირანს, დარწმუნებულია, რომ ამგვარი შეჭრის შედეგად მოსახლეობა, ხალხი ჰამენეისა და ისლამური რევოლუციის მცველთა კორპუსის მხარეს დადგება. გარდა ამისა, ირანის ოპოზიციაც კი მხარს უჭერს მშვიდობიანი ატომის პროგრამას, ეს ნაციონალური სიამაყის საგანია.

**ირანელი ინტელექტუალები, რომლებიც გაცილებით უკეთ იცნობენ სპარსულ ანარეკლებს, ვიდრე ვაშინგტონის იდეოლოგები, ნებისმიერ სამხედრო სცენარს სრულ კრახს უწინასწარმეტყველებენ. ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ თეირანის რეჟიმს დიდი გამოცდილება აქვს სპარსული ჩრდილების თეატრში და არ დაუშვებს იმ თავდასხმის პროვოცირებას, რომელიც შეიძლება მისი განადგურებით დასრულდეს.**

**თავის მხრივ, თეირანელი სტრატეგები ვარაუდობენ, რომ ვაშინგტონს არ შეუძლია ახლო აღმოსავლეთში კიდევ ერთი ომი დაიწყოს, განსაკუთრებით ისეთი ომი, რომელიც გამაოგნებელ დანაკარგებს მოუტანს მთელი მსოფლიოს ეკონომიკას.**

ამავე დროს ვაშინგტონი ვარაუდობდა, რომ ახალ სანქციებს ირანული ვალუტა რიალის საბედისწერო მეგა დევალვაცია მოჰყვებოდა. ირანის ეკონომიკური კოლაფსის ფანატების სამწუხაროდ, პროფესორმა ჯავად სალეხი-ისფაჰანმა ყველა ასპექტში დაამუშავა იმ პროცესის გრძელვადიანი პროექტი, რომელიც ირანელმა ეკონომისტებმა ერთხმად მოიწონეს. ის მხარს ▶

## რუსეთი სირიას ცეცხლსასროლ იარაღს არ აწვდის

**რუსეთის მიერ სირიაში იარაღის მიწოდება ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ბალანსზე არ აისახება, — განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა მიუნხენში უსაფრთხოებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე.** „რაც არ უნდა მიგვეყიდა სირიითვის, ის არც „არაბულ გაზაფხულამდე“ ცვლიდა ძალების შეფარდებას და არც ქვეყნის შიდა სიტუაციაზე აისახება. ის, რასაც ჩვენ ვაწვდით, არ არის ცეცხლსასროლი იარაღი და კონფლიქტის დროს არ გამოიყენება“, — განაცხადა ლავროვმა. შეგახსენებთ, რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ანატოლი ანტონოვმა ადრე განაცხადა, რომ მოსკოვი გააგრძელებს სირიისათვის იარაღის მიწოდებას საერთაშორისო ნორმებისა და ასევე ორმხრივი, რუსეთ-სირიას შორის არსებული ვალდებულებების ფარგლებში.



## პან გი მუნს ფეხსაცმელები ესროლეს

**როგორც კი მუნის საავტომობილო კორტეჟმა საკონტროლო-გამშვები პუნქტი გადაკვეთა, ათობით პალესტინელმა ღაზას სექტორში ჩასული გაეროს გენერალური მდივნის მანქანას ფეხსაცმელები და სკამები დაუშინეს.** სააგენტო ასევე აღნიშნავს, რომ ეს ჟესტი არაბულ სახელმწიფოებში უკიდურესი აღშფოთების მანიშნებელია. აღნიშნული ინციდენტის შედეგად არავინ დაზარალებულა.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ირანელი ინტელექტუალები, რომლებიც გაცილებით უკეთ იცნობენ სპარსულ ანარეკლებს, ვიდრე ვაშინგტონის იდეოლოგები, ნებისმიერ სამხედრო სცენარს სრულ კრახს უწინასწარმეტყველებენ. ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ თეირანის რეჟიმს დიდი გამოცდილება აქვს სპარსული ჩრდილების თეატრში და არ დაუშვებს იმ თავდასხმის პროვოცირებას, რომელიც შეიძლება მისი განადგურებით დასრულდეს. თავის მხრივ, თეირანელი სტრატეგები ვარაუდობენ, რომ ვაშინგტონს არ შეუძლია ახლო აღმოსავლეთში კიდევ ერთი ომი დაიწყოს, განსაკუთრებით ისეთი ომი, რომელიც გამაოგნებელ დანაკარგებს მოუტანს მთელი მსოფლიოს ეკონომიკას.**

# ირანს სურს, შეშფოთებულ ვაშინგტონს შეაგნებინოს, რომ შეეჯახება არა მხოლოდ რეგიონულ ზესახელმწიფოს, არამედ თავის მთავარ სტრატეგიულ მოწინააღმდეგეებს — ჩინეთსა და რუსეთს

◀ დაუჭერს ირანის არასანავთობო ექსპორტს და ადგილობრივ მრეწველობას იაფფასიან ჩინურ იმპორტთან გამკლავებაში დაეხმარება. შედეგად, რიალის დევალვაცია ირანში უმუშევრობის მკვეთრად შემცირების საშუალებას იძლევა.

მართალია, აშშ-ში ამის დანახვა არ სურთ, მაგრამ **ირანი არც ისე „იზოლირებულია“, როგორც ვაშინგტონს სურდა. პაკისტანის პრემიერ-მინისტრი თეირანში ხშირი სტუმარია, მაგრამ ის ჯერ კიდევ ახალბედაა რუსეთის ნაციონალური უშიშროების მეთაურ ნიკოლაი პეტრუშევთან შედარებით, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ ისრაელი გააფრთხილა, აშშ-ს ირანზე თავდასხმისაკენ არ უბიძგოს. ამ ჩამონათვალს ემატება აშშ-ის მოკავშირე ავღანეთის პრეზიდენტი ხამიდ ყარზაიც, რომელმაც 2011 წლის ბოლოს თემთა 2000 მეთაურს განუცხადა, რომ ქაბული თეირანთან დაახლოებას აპირებს.**

ვაშინგტონის საუბედუროდ, ირანულ-პაკისტანური გაზსადენი უკვე დგამს პირველ ნაბიჯებს. პაკისტანს ჰაერივით სჭირდება ენერგია და მისმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, არ ელოდოს ვაშინგტონის ესოდენ საყვარელ ტაჯიკეთი-ავღანეთი-პაკისტანი-ინდოეთის პროექტს, რომელიც ოდესმე, ალბათ, გადაკვეთს თალიბანისტანს.

მიუხედავად იმისა, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა უფრო დაძაბულია, ვიდრე ოდესმე, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი აჰმეთ დავითოღლუ ახლახან ეწვია თეირანს. ამ რეგიონში ენერგიის ფაქტორი ყველა საფრთხეს გადაწონის. **თურქეთი ირანის ენერგორესურსებისაკენ მიილტვის. თუ ირანის ბუნებრივი გაზი მიაღწევს დასავლეთ ევროპამდე, რასაც ასე მოუთმენლად ელიან ევროპელები, თურქეთი პრივილეგირებულ სატრანზიტო ქვეყნად იქცევა. ამიტომ ამ ქვეყნის ხელმძღვანელობამ უკვე გამოაცხადა, რომ ირანის წინააღმდეგ აშშ-ის შემდგომ სანქციებს არ დაუჭერს მხარს.**

და ბოლოს, ირანის პრეზიდენტის ლათინოამერიკული ტურნე მისი კავშირების შესახებ ნათელ წარმოდგენას იძლევა. **რამდენიც უნდა იყვიროს აშშ-მა, რომ თეირანი-კარაკასი ბოროტების ღერძია და მთელ ლათინურ ამერიკაში ტერორს ალვივებს ჩრდილოეთის ზესახელმწიფოზე სამომავლო თავდასხმის პლაცდარმის მოსამზადებლად, რეალობა სულ სხვაგვარად გამოიყურება.**

ვაშინგტონი თავისას არ იშლის და ამტკიცებს, რომ ირანი სრულ იზოლაციაშია, მაგრამ მას ფაქტებისათვის თვალის გასწორება მოუწევს. იზოლირებულ ირანს 4-მილიარდიანი ერთობლივი პროექტები აქვს ვენესუელასთან, მათ შორის, საერთო ბანკიც. ამერიკულმა პრესამ ყველა კუთხით დაამუშავა ახმადინეჯადის ბრაზილიაში არჩასვლის ფაქტი, მაგრამ თეირანი და ბრაზილია კვლავაც შეთანხმებულნი არიან, როდესაც საქმე ბირთვულ დოსიემდე მიდის, ბრაზილიის მთელი ისტორია ადასტურებს, რომ მხარს უჭერს თეირანს. ბოლოს და ბოლოს, ეს ქვეყანა ამუშავებდა ბირთვული იარაღის პროგრამას, შემდეგ კი უარი თქვა მასზე. 2010 წლის მაისში თურქეთი და ბრაზილია ასრულებდნენ შუამავლის როლს ირანისათვის ურანის გაცვლის თაობაზე შეთანხმებაში და ამას შეეძლო დღის წესრიგიდან მოეხსნა ამერიკულ-ირანული ბირთვული გაურკვევლობა. **ვაშინგტონმა ეს ყველაფერი დაუყოვნებლივ დაბლოკა, ბრაზილია კი აშშ-ის სანქციებისა და ემბარგოების სტრატეგიის წინააღმდეგი რჩება.**

ასე რომ, ირანი, შესაძლოა, მართლაცაა იზოლირებული აშშ-სა და დასავლეთ ევროპისაგან, მაგრამ არა დანარჩენი მსოფლიოსაგან. გასაკვირიც არაფერია, აშშ-ის ცალმხრივი სანქციები ხომ პირდაპირ აზიისკენაა მიმართული. ჩინეთი, ინდოეთი და სამხრეთ კორეა ირანის ნავთობექსპორტის 62%-ს ყიდულობენ. მიუხედავად სანაქებო აზიური თავაზიანობისა, იაპონიის ფინანსთა მინისტრმა იიუნ აზუმემ აშშ-ს საშუალება მისცა, გააზრებინა, თუ რამხელა პრობლემას უქმნის მის ქვეყანას, რომელიც 10%-ით დამოკიდებულია ირანის ნავთობზე და მხოლოდ ამ წლის ნელ-ნელა შემცირებას დაჰპირდა. სამხრეთ კორეამ კი პირდაპირ გამოაცხადა, რომ 2012 წელს მთელი საჭირო ნავთობის 10%-ს ირანისგან შეიძენს.

ყველაზე მთვარი ისაა, რომ იზოლირებული ირანი უმნიშვნელოვანესი საკითხი აღმოჩნდა ჩინეთის ნაციონალური უსაფრთხოებისათვის, რომელმაც ვაშინგტონს უკვე მიახალა უარი სანქციებზე თვალის დაუხამხამებლად. ირანი უკვე აწვდის ჩინეთს ნავთობისა და გაზის ექსპორტის 15%-ს, ენერგეტიკაში ჩინეთისათვის ირანი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე აშშ-ისთვის საუდის არაბეთი, საიდანაც იმპორტირებული ნავთობის 11%-ს იღებს.

საბოლოო ჯამში, ვაშინგტონის სანქციების შედეგად, ჩინეთმა შესაძლოა მოგებაც კი ნახოს, რადგან ირანელებმა ჩინურ ბაზარზე ძალზე დამოუკიდებლად იგრძნეს თავი. მართალია, ახლა ჩინეთი ნავთობსა და გაზს შედარებით დაბალ ფასად ყიდულობს, მაგრამ მხარეებს შორის მიმდინარეობს რთული მოლაპარაკებები ირანული ნავთობის საფასურის თაობაზე და ჩინელები განაგრძობენ ზეწოლას ენერგიის შესყიდვის ოდნავი შემცირებით.

ეს ყველაფერი უნდა დამთავრდეს მარტში, აშშ-ის სანქციების ბოლო პაკეტის ძალაში შესვლამდე ორი თვით ადრე. **შედეგად ჩინეთი, რა თქმა უნდა, უფრო მეტ გაზს იყიდის, ვიდრე ნავთობს, მაგრამ ირანი მაინც ნავთობის სიდიდით მესამე მიმწოდებელი იქნება საუდის არაბეთისა და ანგოლის შემდეგ.**

რაც შეეხება ახალი სანქციების ჩინეთზე ზემოქმედების ეფექტს, ამის იმედი არავის ჰქონდეს. **ირანში ჩინური ბიზნესი მანქანების მშენებლობა, ბოჭკოვანი ქსელები და თეირანის მეტროს მშენებლობაა.** ორმხრივი ვაჭრობა უკვე არის 30 მილიარდი დოლარის დონეზე და 2015 წლამდე 50 მილიარდს გაუტოლდება. ასე რომ, ჩინური ბიზნესი ახალი სანქციების დაწესებით გაჩენილი საბანკო პრობლემების გვერდის ავლის გზებს გამონახავს.

„იზოლირებული“ ირანის კიდევ ერთი მომხრეა რუსეთი. ის სანქციების გაძლიერების წინააღმდეგია და გაეროს ახლანდელი სანქციებისათვის გვერდის ასავლელად ამუშავებს ალტერნატიულ გეგმას, რომელიც ყველას შეუნარჩუნებს სახეს.

ბირთვულ ფონზე თეირანი ვაშინგტონთან კომპრომისის გამონახვის სურვილს ამჟღავნებს, თანაც იმ გეგმის ფარგლებში, რომელიც ბრაზილიამ და თურქეთმა წარმოადგინეს და რომელზეც ვაშინგტონმა უარი ჯერ კიდევ 2010 წელს განაცხადა. ახლა გაცილებით უფრო გასაგები გახდა, რომ ვაშინგტონისთვის უმთავრესია რეჟიმის შეცვლა და არა ბირთვული პროგრამა, ამიტომ ყოველგვარი მოლაპარაკებები მტანჯველად მტკივნეული იქნება.

ეს განსაკუთრებით სწორია ახლა, როდესაც ევროკავშირის ლიდერებმა როგორც იქნა მოახერხეს საკუთარი თავი მომავალი მოლაპარაკებებისგან ჩამოეშორებინათ. ირანულ ნავთობზე ემბარგოს საკითხში ისინი ჩვეული მანერით, ლამის უსიტყვოდ მიუერთდნენ ვაშინგტონს. როგორც ევროკავშირის ერთ-ერთმა უმაღლესი თანამდებობის პირმა განაცხადა, ევროპა შიშობს, რომ ეს შესაძლოა ღია ომისკენ გადადგმული უკანასკნელი ნაბიჯი იყოს.

ირანის იზოლაცია მხოლოდ სუსტდება, როგორც კი ვილაც გაიგებს, რომ ქვეყანა დოლარზე უარს ამბობს და რუსეთთან რუბლითა და რიალით ვაჭრობაზე გადადის, ზუსტად ისევე, როგორც უკვე გააკეთა ეს ჩინეთსა და იაპონიასთან მიმართებაში. რაც შეეხება ინდოეთს, მისმა ხელმძღვანელობამ ირანის ნავთობის შესყიდვის შეჩერებაზე უარი განაცხადა და ეს ვაჭრობა, სავარაუდოდ, დოლარით დიდხანს არ გაგრძელდება.

ინდოეთი უკვე იყენებს იუანს ჩინეთთან სავაჭროდ, რუსეთი და ჩინეთი კი, უკვე წელიწადზე მეტია, სავაჭრო ანგარიშსწორებას რუბლებსა და იუანებში აწარმოებენ. ყველა ახალი სავაჭრო გარიგება და ერთობლივი ინვესტიცია ირანისა და ჩინეთის მიერ მხოლოდ იუანსა და რიალში განხორციელდება.

უფრო მეტიც, რუსეთი, ინდოეთი და ჩინეთი ირანთან ერთად ოქროს მთავარი მწარმოებლები არიან. მათ რთულ სავაჭრო კავშირებზე აშშ-ის კონგრესის ჭირვეულობა გავლენას ვერ მოახდენს. **სინამდვილეში, როდესაც განვითარებადი მსოფლიო ატლანტიკური დასავლეთის ღრმა კრიზისს უყურებს, მხოლოდ აშშ-ის უზარმაზარ ვალს, ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ ფულის ბეჭდვას და საძირკვლებამდე შერყეულ ევროზონას ხედავს.**

თვალი ადევნეთ ფულს. ჯერჯერობით გვერდით გადადეთ ახალი სანქციები ირანის ცენტრალური ბანკისათვის, რომელთაც რამდენიმე თვის შემდეგ გამოიყენებენ; ნუ მიაქცევთ ყურადღებას ირანის მუქარას ორმუზის სრუტის გადაკეტვის შესახებ, მით უფრო, რომ ეს სრუტე ბაზარზე ირანული ნავთობის მიწოდების მთავარი მაგისტრალი არაა და მაშინ სპარსეთის ყურეში კრიზისის მთავარი მიზეზი სწორედ უნივერსალური გადახდის საშუალების სახით ნავთობდოლარების ტორპედირების პროცესის მზადებაა.

**ამ ნაბიჯებს სათავეში ირანი უდგას და მას სურს, შეშფოთებულ ვაშინგტონს შეაგნებინოს, რომ შეეჯახება არა მხოლოდ რეგიონულ ზესახელმწიფოს, არამედ თავის მთავარ სტრატეგიულ მოწინააღმდეგეებს — ჩინეთსა და რუსეთს.**

ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ, რომ 2000 წელს სადამ ჰუსეინმა უარი განაცხადა ერაყული ნავთობისთვის ანგარიშსწორების სახით ნავთობდოლარების გამოყენებაზე და ევროზე გადავიდა. 2003 წლის მარტში ერაყში შეჭრა დაიწყო და ამას რეჟიმის გარდაუვალი ცვლა მოჰყვა. ლიბიაში მუამარ კადაფმა საერთო აფრიკული ვალუტის და მისი სახელმწიფოს ენერგორესურსებისთვის ანგარიშსწორების სახით ოქროს დინარი წარადგინა. ამას კიდევ ერთი ინტერვენცია და რეჟიმის შეცვლა მოჰყვა.

**ვაშინგტონი, ნატო და თელავივი სხვაგვარ სცენარს გეგმავენ. ირანული მუქარა ახლანდელი კრიზისის ცენტრში მოექცა, მიუხედავად იმისა, რომ ეს რეალურად მხოლოდ დაუსრულებელ საიდუმლო ომზე სახელმწიფოს პასუხი იყო. როგორც თვლიან, სწორედ ეს მუქარა ზრდის ნავთობის ფასს და კვებავს ახლანდელ რეცესიას (და არა უოლ-სტრიტის კაზინო ან უზარმაზარი ამერიკული და ევროპული ვალები). ერთპროცენტიან ნაღებს ნავთობის ფასების ზრდის საწინააღმდეგო არაფერი აქვს, ვიდრე ირანი სახალხი მრისხანების განტევების ვაცი იქნება.**

შეხედეთ 2012 წელს, როგორც მსოფლიო ვალუტის სახით დოლარზე მასობრივად უარის თქმის დასაწყისს. წარმოიდგინეთ, რომ მსოფლიო აწარმოებს მარტივ მათემატიკურ გათვლებს და ნელ-ნელა საქმეებს საკუთარ ვალუტაზე აწარმოებს და აშშ-ის სახაზინო ვალდებულებებში სულ უფრო ნაკლებ სახსრებს აბანდებს.

ათწლოვანმა პირობამ მხოლოდ ნავთობდოლარების გამოყენების შესახებ ისინი ახლო აღმოსავლეთში პენტაგონის ძალის თანმდევად აქცია. ირანიდან ცენტრალურ აზიამდე გადაჭიმულ უზარმაზარ ენერგომდიდარ ტერიტორიებზე, რომელთაც ჩვენ შეგვიძლია მილსადენისტანი ვუწოდოთ, პენტაგონი კი, როგორც წესი, „არასტაბილურობის კერას“ უწოდებს, თანამშრომლობის საბჭო აშშ-ის ჰეგემონიის შემცირების გასაღებად რჩება.

**აშშ-ს ირანში რეჟიმის შეცვლა აქვს ჩაფიქრებული და მხოლოდ ნაპერწკალია საჭირო, რომ ცეცხლი გაჩაღდეს. არც ისე რთულია პენტაგონში იმ შემსრულებელთა სრულმასშტაბიანი დომინირება, რომლებიც სხვისი დროშით მოაწყობენ ინციდენტს სპარსეთის ყურეში ირანზე თავდასხმისათვის. გავითვალისწინოთ აშშ-ის ახალი სამხედრო სტრატეგიაც, რომელიც ეს-ესაა გამოიგონა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ.**

ასე რომ, ეს ფსიქოდრამა, რომელიც მთელი ცხოვრება გრძელდება და რომელსაც ჩვენ ირანს ვუწოდებთ, შესაძლოა, ზუსტად იმდენადვე იყოს დამოკიდებული ჩინეთსა და ამერიკის დოლარზე, რამდენადაც სპარსეთის ყურის პოლიტიკასა და არარსებულ ირანულ ბომბზე. მაგრამ საკითხავი ისაა, — „მაინც რა არის ის ურჩხული, რომელიც პეკინში ჩნდება“?

**Asia Times Online**



მოკლედ

## ნატო რუსეთთან უთანხმოებას არ აპირებს

**ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ხელმძღვანელობა რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების გამო არ აპირებს რუსეთთან უთანხმოებას ჩიკაგოს სამიტამდე, რომელზეც აუცილებელი იქნება ერთობლივი გადაწყვეტილების მიღება.** ეს განცხადება გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა გიდო ვესტერველემ გააკეთა. „ნატოსა და რუსეთს აერთიანებს შესაძლო სარაკეტო თავდასხმებისგან ჩვენი დაცვის ინტერესები. ჩვენ არ ვართ დაინტერესებულნი, რომ ნატოსა და რუსეთს შორის სტრატეგიულ პარტნიორობაზე გავლენა მოვახდინოთ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების საკითხში უთანხმოების საფუძველზე“, — განაცხადა მინისტრმა მიუნჰენის უსაფრთხოების 48-ე კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას.

## «კონსტრუქციული» მოლაპარაკებები

**აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა თავის რუს კოლეგა სერგეი ლავროვთან „კონსტრუქციული“ მოლაპარაკებები გამართა სირიაში არსებულ ვითარებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის შესახებ.** ორი ქვეყნის საგარეო უწყების ხელმძღვანელები სატელეფონო საუბრისას შეთანხმდნენ, რომ დიპლომატები გააგრძელებენ კონსულტაციას რეზოლუციის პროექტთან დაკავშირებით. რუსეთმა გასაგებად აღნიშნა, რომ ის გამოიყენებს ვეტოს უფლებას იმ შემთხვევაში, თუ რეზოლუციის პროექტი მისთვის მიუღებელი იქნება. რუსული მხარის განცხადებით, არსებული დოკუმენტი ხელს არ უწყობს კომპრომისის მიღწევას დაპირისპირებულ მხარეებს შორის.

კონსპიროლოგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აქ „პატარა ებრაული ქვეყნის“ არა მარტო ბიზნესის ინტერესები, არამედ სტრატეგიული გეოპოლიტიკური ინტერესებიც იკვეთება. ისრაელი გამწარებით იბრძვის ნავთობისა და გაზის გაყიდვით მიღებული დივიდენდებისგან რუსეთის ჩამოსაცილებლად, რომელიც აუცილებელია რუსეთის სახელმწიფოს ეკონომიკური, სოციალური და სამხედრო აღორძინებისთვის. ამავე დროს, იბრძვის ჩინეთის სტრატეგიული ნედლეულის გადასაკეტად, რომელიც მას საკუთრივ არა აქვს.**



ეროვნებით ებრაელი მწერლისა და მკვლევარის, ლევ გუნინის სკანდალური ნაშრომი:

# კავკასია, როგორც ისრაელის ტერიტორიის ნაწილი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №2-4 (140-142)

**პრესტიჟულმა სამხედრო-პოლიტიკურმა კვლევითმა ინსტიტუტმა International Institution of Strategic Studies-მა ქართული ქვეითი ჯარის რაოდენობა 20 ათასით შეაფასა. შეუძლებელია, ვერ დაასკვნა, რომ შეტევის მონაწილეთა დიდი ნაწილი ისრაელის ქვეითები და დაქირავებული მებრძოლები იყვნენ (ისრაელის ფირმების მიერ ნებისმიერ ადგილას რეკრუტირებულნი).**

უფრო მეტიც, როგორც რუსულენოვანმა ტელეარხმა Россия Сегодня / Russia Today აჩვენა, არაერთ განადგურებულ ტანკს უკრაინელები მართავდნენ (RT, Aug, 10, 2008). რუსეთმა, აგრეთვე, გამოაქვეყნა შავკანიანი გვამების ფოტოები, სავარაუდოდ, ამერიკის ან ბრიტანეთის მოქალაქეებისა. **გაზეთი JERUSALEM POST-ი წერდა, რომ აშშ-ის თვითმფრინავები მონაწილეობდნენ ბრძოლებში, სულ ცოტა, სამხედრო ძალის გადაყვანის მიზნით და დაზუსტებით არის ცნობილი, რომ ერაყიდან სამხედრო მოქმედებათა ზონაში ქართველი სამხედროები ამერიკული სატრანსპორტო თვითმფრინავებით ჩამოიყვანეს.**

რუსი ჟურნალისტი ანდრეი არეშევი პრესტიჟული Strategic Culture Foundation-ისთვის მომზადებულ მასალაში აღნიშნავს: **„მოვლენათა ქრონოლოგიური რიგიდან, რომელიც უშუალოდ ქართულ აგრესიას უსწრებდა წინ, ერთი ფაქტი იქცევს ყურადღებას: ეს იყო ერთობლივი ქართულ-ამერიკული სწავლება Immediate Response 2008 (31 ივლისი). სწორედ იქ ასწავლიდნენ ამერიკელები ქართველებს მჭიდროდ დასახლებული პუნქტების „წმენდას“ (ადგილობრივი მოსახლეობის გენოციდს) და ამას „ანტიტერორისტულ წმენდას“ უწოდებდნენ. ამგვარად, სამხედრო დანაშაული, რომელიც მალე ცხინვალში ჩაიდინეს ცინიკური სახელწოდებით „ანტიტერორისტული ტაქტიკა“ — ქართველებს სწორედ ამერიკელმა და ებრაელმა ინსტრუქტორებმა ასწავლეს.**

**მოსადის უშუალო მონაწილეობა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე სამხედრო კონფლიქტში არახალია. ეს კარგა ხნის დამკვიდრებული ტაქტიკაა.“**

თურქეთის ახალი ამბების სააგენტო AXIS ჩეჩნეთის სამხედრო კონფლიქტში მოსადის ჩართულობის შესახებ წერდა, რომელიც ასევე ნავთობისთვის მეტოქეობას უკავშირდებოდა:

„მაშინ დამოუკიდებელი ჩეჩნეთის ოფიციალური წარმომადგენლები მოსადის აქტივობის შესახებ ინფორმირებული იყვნენ 1997 წლის ივნისში. ეროვნული უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელი აბუსუფ მოვზაევი ამის შესახებ გაზეთ „პუყყკმღ აპრფმ“-სთვის მიცემულ ინტერვიუში აცხადებდა. მოგვიანებით, 1999-2001 წლებში ჩეჩნეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა რესპუბლიკის ტერიტორიაზე ისრაელის აგენტების დაპატიმრების შესახებ რამდენიმე ცნობა გამოაქვეყნეს. 2001 წლის დეკემბერში, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ვიქტორ ილიუხინმა ეს ინფორმაცია ცალსახად დაადასტურა. წყაროს დასახელების გარეშე მან განაცხადა, რომ მოსადი საკუთარი აგენტების მეშვეობით ჩეჩნეთში დაზვერვას აწარმოებს“.

„ცნობილია, რომ 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან მოსადი სულ უფრო მზარდ ინტერესს გამოხატავს კავკასიაში არსებული ვითარებისადმი (AXIS, Turkish Analysis of Politics, 27.3.06).

კავკასიის მაგალითზე ჩანს, როგორი მეთოდებით აღწევს ისრაელი, როტშილდების British Petroleum-ი და „მსოფლიოს ებრაელობა“ საკუთარ მიზნებს, კანადის, აშშ-ისა და სხვა სახელმწიფოების მთავრობებს იძულებით მიაღებინონ მათთვის სასურველი გადაწყვეტილებები.

ცნობილი საინფორმაციო ცენტრი Trend-ი , რომელიც სპეციალიზებულია უსაფრთხოების, სხვადასხვა ქვეყნის სამხედრო პოტენციალისა და დაზვერვის საკითხებში, მიიჩნევს, რომ ქართული არმიის მეოთხედი ამერიკის ან ისრაელის ინსტრუქტორების მიერ არის მომზადებული და რომ ისრაელის მონაწილეობა ქართველი ჯარისკაცების მომზადებაში გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე ამერიკის. სხვა მასალაში Trend-ი იტყობინება:

**საქართველოს სახმელეთო ჯარების ერთმა მეოთხედმა ამერიკული მომზადება გაიარა. ქართული არმიის საფუძველს წარმოადგენს 7 ქვეითი ბატალიონი, რომლებიც ნულიდან შეიქმნა და ამერიკელმა „მწვანე ბერეტებმა“ გაწვრთნა. ეს, საერთო ჯამში, დაახლოებით 5 ათას მებრძოლს ნიშნავს“.**

Trend-ი წერს, რომ მოწინავე ქართული ბატალიონები ნატოს ფორმებშია გამოწყობილი, ატარებენ საუკეთესო მუზარადებსა და ჯავშანჟილეტებს, შეიარაღებულნი არიან ამერიკული წარმოების ავტომატებით — M-16. ამგვარად, 2008 წლის ომი არ ყოფილა ომი საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის, ეს იყო ისრაელის (პირველ რიგში) და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ რუსეთის წინააღმდეგ წარმოებული ომი. იმავე Trend-ისა და ჟურნალ „Milit-Pow“-ის თანახმად, სამხედრო მოქმედებების დაწყებამდე საქართველო 11 ათასმა ამერიკელმა მრჩეველმა, სპეციალისტმა, მედესანტემ და მზვერავმა დატოვეს, რომლებმაც სამხრეთ ოსეთში შეჭრისა და რუსეთის არმიისთვის შეტევისთვის საქართველოს მხრიდან წინააღმდეგობის წარმატებით გაწევის საფუძველი მოამზადეს. **საქართველოდან გაყვანილი ამერიკელი სამხედროები მთლიანად ჩაანაცვლა ისრაელმა.**

ისრაელ-საქართველოს სამხედრო ავანტიურის მომზადების კოორდინირებაში უმნიშვნელოვანესი როლი თურქეთში ისარელის ელჩმა – მორდეხაი ამიხაიმ შეასრულა. ამის შესახებ თურქული წყაროებიდან არის ცნობილი. ისინი ამტკიცებენ, რომ მორდეხაი ამიხაიმ პირადად ჩადო სერიოზული ინვესტიციები ქართულ ნავთობსადენში. ისევე, როგორც სხვები, იგი იმედოვნებდა, რომ ისრაელის ფირმები შეძლებენ ნავთობის თურქეთში (აზერბაიჯანში) და გაზის თურქმენეთში მოპოვებას, თუკი მათ ტრანსპორტირებას შეძლებდნენ საქართველო-თურქეთის გავლით დასავლეთის ქვეყნებში, როგორც რუსეთის ნავთობისა და გაზის ალტერნატივას. აქ „პატარა ებრაული ქვეყნის“ არა მარტო ბიზნესის ინტერესები, არამედ სტრატეგიული გეოპოლიტიკური ინტერესებიც იკვეთება. **ისრაელი გამწარებით იბრძვის ნავთობისა და გაზის გაყიდვით მიღებული დივიდენდებისგან რუსეთის ჩამოსაცილებლად, რომელიც აუცილებელია რუსეთის სახელმწიფოს ეკონომიკური, სოციალური და სამხედრო აღორძინებისთვის. ამავე დროს, იბრძვის ჩინეთის სტრატეგიული ნედლეულის გადასაკეტად, რომელიც მას საკუთრივ არა აქვს.**

საიტიდან cnews.canoe.ca და, აგრეთვე, კანადური რესურსების სხვა წყაროებიდან ცნობილი ხდება, რომ სწორედ ისრაელის სამხედრო მეთაურები გაუძღვნენ ქართველ ჯარისკაცებს სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, ხოლო კანადელი (სავარაუდოდ, ებრაული წარმოშობის) სამხედროები საქართველოში ჩავიდნენ სამხედრო მოქმედებებში უშუალოდ მონაწილეობისთვის.

ჰარპერის მმართველობისას კანადა ამერიკის შეერთებული შტატების უბრალო სატელიტად კი არა, ისრაელის დამცირებულ, მლიქვნელ ყმად იქცა.

საიტი debka.com ადასტურებს: ისრაელის მეთაურები ქართველ თავზეხელაღებულ მებრძოლებს მიუძღვიან.

**მნიშვნელოვანი ინფორმაცია გამოაქვეყნა ისრაელის ახალი ამბების სააგენტო DEBKA-მ, რომელსაც საკუთარი ინფორმატორები ჰყავს მოსადში და ისრაელის არმიაში. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში საომარი მოქმედებების ესკალაცია შემთხვევით როდი დაემთხვა პეკინის ოლიმპიადის დაწყებას. ამ მოვლენებს „ისრაელის ხელწერა“ გამოარჩევს.**

უკანასკნელი 12 თვის (2008 წელი) განმავლობაში საქართველოს პრეზიდენტმა დაახლოებით ათასი ებრაელი სამხედრო აამოქმედა, რომელთაც მდიდარი საბრძოლო გამოცდილება ჰქონდათ, ხოლო არმიისგან თავისუფალ დროს დაცვის სამსახურებში მუშაობდნენ. ეს ადამიანები წვრთნიდნენ ქართველ სამხედროებს, გადასცემდნენ კომანდოსების, არტილერისტების, ტანკისტების, მფრინავების საბრძოლო ტაქტიკის გამოცდილებას. ისინი, აგრეთვე, სამხედრო დაზვერვისა და უსაფრთხოების ინსტრუქციებს აწვდიდნენ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას. **თბილისი ისრაელში უზარმაზარი რაოდენობის შეიარაღებას ყიდულობდა. სამხედრო მრჩევლები რეკომენდაციას უწევდნენ, თუ რომელი შეიარაღება შეეძინათ და უშუალოდ მონაწილეობდნენ სამხრეთ ოსეთზე თავდასხმისთვის ქართული არმიის მომზადებაში.**

Debka-ს ინფორმაციას ადასტურებს სხვა წყაროებიც:

Sachkhere Mountain Training Stage of Nine-Months “Charley” Land Forces Junior Officers Training Course.

Course Set-up with Help of “Jewish” (aka Israeli) Instructors mod.gov.ge Georgian National Guards/Reservists Taking Five-weeks Tactical Fire, Urban Combat, Military-Medical and Topographical Retrainig Course under Israeli Instructors.

გარდა ისრაელის მტაცებლური გეოპოლიტიკური მიზნებისა, საქართველოს ისრაელთან თბილისი-ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენიც აერთიანებს.

Debka შეგვახსენებს ისრაელის ფირმების მონაწილეობას ამ პროექტში. ამას კი განცხადება მოსდევს:

DEBKAfile discloses Israel’s interest in the conflict from its exclusive military sources (ფაილი ექსკლუზიურ სამხედრო წყაროებზე დაყრდნობით ამ სამხედრო კონფლიქტში ისრაელის ინტერესებს ამხელს).

ამ წყაროებისგან ცნობილია, რომ Georgian tanks and infantry, aided by Israeli military advisers, captured the capital of breakaway South Ossetia, Tskhinvali, early Friday, Aug. 8 (ქართულმა ტანკებმა და ქვეითებმა, ისრაელის სამხედრო მრჩევლების დახმარებით, საქართველოსგან გამოყოფილი სამხრეთ ოსეთის დედაქალაქი ცხინვალი 2008 წლის 8 აგვისტოს დილით დაიკავეს). ამ რესურსის სტილის გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ საუბარია ისრაელის სამხედროთა მიერ ამ ბარბაროსული სამხედრო ოპერაციის პირდაპირ მართვაზე, რომელიც ერთი-ერთზე წააგავს ისრაელის სამხედრო დანაშაულობებს ლიბანში, ღაზის სექტორში, დასავლეთ ნაპირზე და ა. შ.

**ჩვენთვის ცნობილია, რომ ექსკლუზიური სახელმწიფოთაშორისი კავშირების, ებრაული ორგანიზაციების მეშვეობით, რომლებიც ყველა ქვეყანაში მეხუთე კოლონის როლს ასრულებენ, ტრიუმვირატმა ისრაელი-ბრიტანეთი-აშშ მუქარებისა და დაპირებების ხარჯზე დაიყოლია საკუთარი მოკავშირეები საქართველოსთვის არნახული სამხედრო დახმარების გაწევაზე, რომელშიც, აგრეთვე, ჩაერთნენ ესტონეთი, ლატვია, უკრაინა, გერმანია, საფრანგეთი, იტალია, რუმინეთი, დანია, ნიდერლანდები, კოსოვო და ა. შ.**

(საფიქრებელია, რომ ყველაფერი გაცილებით უფრო მარტივად იყო: ისრაელის დაცვის სამსახურები ქირაობდნენ „იღბლის ჯარისკაცებს“ ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებში და სამხედრო წრეებთან (ამ ქვეყნების სამხედრო უწყებებთან) ხანმოკლე კონტრაქტებს აფორმებდნენ („სუფთა ბიზნესი“).

რაც შეეხება საქართველოს შეიარაღებას სამხრეთ ოსეთზე თავდასხმისთვის, აქაც ცენტრალურ როლს ისრაელი ასრულებდა (თუ არ ჩავთვლით იმას, რომ საქართველოს საკუთარი მარიონეტების ხელით აიარაღებდა: ებრაული (იგულისხმეთ ისრაელის) ფირმები, რომლებიც უკრაინაში, აშშ-ში და სხვა ქვეყნებში მდებარეობს; ავტომატები Tavor-ი; საბრძოლო მასალები; სამხედრო ელექტრონიკა; განცალკევებული საწვავის ავზები ავიაციისთვის; თვითმფრინავის მატყუარა რაკეტები ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებებისთვის; ზალპური ცეცხლის 30 რეაქტიული სისტემა (ისრაელის „კატიუშა“) LAR-160; ზალპური ცეცხლის სისტემები Lynx; 11 თვითმავალი ჰაუბიცა; 7 საბრძოლო გამანადგურებელი Су-25 Scorpion; კიდევ 12, ისრაელში მოდერნიზებული გამანადგურებელი; 12 (თუ 20) სამხედრო ვერტმფრენი; 15 სასწავლო-საწვრთნელი თვითმფრინავი L-29 და L-39, რომელთაც მსუბუქი გამანადგურებელის ფუნქციის შესრულება შეუძლია; ტანკები „მერკავა“, მართალია, გარიგება ჩაიშალა, მაგრამ საქართველომ რამდენიმე ტანკი მაინც მიიღო; 58 უპილოტო საფრენი აპარატი Hermes; 100 გადასატანი გამნაღმველი დანადგარი; 500 შენიღბვის ბადე და სხვ.

**ყურადღება მივაქციოთ ისრაელის მიერ საქართველოსთვის უპილოტო საფრენი აპარატების მიწოდების განსაკუთრებულ რეჟიმს, რომლებიც სხვა არც ერთმა ქვეყანამ არ მიაწოდა (თვით შეერთებულმა შტატებმაც კი), ვინაიდან ამ აპარატის ფუნქციებში საერთაშორისო სამართლის სუბიექტების საჰაერო სივრცის დარღვევა იგულისხმება. უპილოტო საფრენი აპარატების მიწოდებით ისრაელი სისხლიან დანაშაულებში თანამონაწილეობაზე შეგნებულად წავიდა.**

ისრაელის ერთ-ერთი ოფიცერი მწერდა: „დრონების ყიდვა ისრაელისგან ნებისმიერს შეუძლია, ოღონდ ფული გადაიხადოს“. ვითომ ასეა? ჰეზბოლას, ჰამასს, კუბასა და ირანსაც?

ისრაელის ოფიცერთა ფორუმზე (2008) ითქვა, რომ საააკაშვილი ებრაელ ქალზეა დაქორწინებული და ქორწინების შემდეგ იუდაიზმი მიიღო. ცაგალის (ისრაელის არმიის) მოსამსახურეები, რომლებიც საქართველოში მსახურობდნენ, შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ ერთმანეთს.

ისრაელის სამხედრო ინსტრუქტორი: „ქართველი ჯარისკაცები ძალიან სერიოზულად ეკიდებოდნენ სწავლებას“.

(გაგრძელება იქნება)

თანამედროვე გლობალური ეკოლოგიური კრიზისის წარმოქმნის მთავარ ფაქტორად მსოფლიოს წამყვან მეცნიერ-ეკოლოგებს ეკონომიკის გლობალური კრიზისი, საზოგადოების დეგრადაცია მიაჩნიათ, რაც ადამიანის სასიცოცხლო სივრცის — ბუნებრივი გარემოსადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებად არის ტრანსფორმირებული. ბუნების კულტი ტექნიკის კულტმა, ბუნებაზე გაბატონების იდეოლოგიამ შეცვალა.

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# თავის სასიცოცხლო გარემოს ადამიანი თვითონ სპობს

## პირველი ხის მოჭრამ ცივილიზაციას გაუღო კარი, ბოლო ხის მოჭრა დაღუპავს კაცობრიობას

**„ადამიანის ბედი ისე სასიცოცხლოდ არასოდეს ყოფილა დამოკიდებული დედამიწის ცოცხალ ბუნებასთან ურთიერთობაზე, როგორც დღეს არის. ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევით და პლანეტის სასიცოცხლო სივრცის გამოუსწორებელი შეკვეცით ადამიანი ბოლოს და ბოლოს თავადვე გაუსწორდება საკუთარ სახეობას არანაკლებ ატომური ომისა“, — განაცხადა დიდმა მეცნიერმა-ეკოლოგმა აურელიო პეჩენიმ. დღევანდელ მსოფლიოში შექმნილი ვითარება ამის ნათელი დადასტურებაა. გაუდაბნოების მზარდი პროცესი თანამედროვე გლობალურ პრობლემებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მწვავეა. კაცობრიობა თანდათან იმკის ბუნებასთან ურთიერთობაში დაშვებული ცოდვების შედეგებს.**



ბუნების ელემენტებს შორის ტყე ადამიანის სამეურნეო ზემოქმედების მიმართ ყველაზე მგრძნობიარეა. გეოგრაფიული გარსის ფარგლებში ტყემ მძიმედ იწვნია მსოფლიო ცივილიზაციის (განსაკუთრებით კი, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის) ნეგატიური ზემოქმედება. კაცობრიობის ისტორიაში პირველი ეკოლოგიური კრიზისები უკავშირდება ტყეების ვრცელი მასივების პირწმინდად განადგურებას — გაჩეხვას, გადაწვას. ტყეებს დიდ ზიანს აყენებს ატმოსფეროს გაბინძურება და მასთან დაკავშირებული მჟავე წვიმები. შედეგად, **ისტორიულად მოკლე დროში მსოფლიოს საშუალო ტყიანობა 70-80 პროცენტიდან 30 პროცენტამდე შემცირდა და ეს პროცესი დღემდე გრძელდება.**

მსოფლიო ტყის საფარის კლება ძირითადად ტროპიკული ტყეების ხარჯზე ხდება. მსოფლიო საზოგადოება შეშფოთებულია ამაზონიის ტყეების (რომლებიც პლანეტის ფილტვებად არის აღიარებული) ბედით...

**თანამედროვე გლობალური ეკოლოგიური კრიზისის წარმოქმნის მთავარ ფაქტორად მსოფლიოს წამყვან მეცნიერ-ეკოლოგებს ეკონომიკის გლობალური კრიზისი,**

## ბუნების დაცვის აუცილებელი მოთხოვნები საქართველოში ყოველ ფეხის ნაბიჯზე ირღვევა

## ენერგეტიკულმა სიდუხჭირემ ტყის მხრებზე გადაიარა. კონტროლს არ ექვემდებარება ხეტყის შავი ბიზნესი

**საზოგადოების დეგრადაცია მიაჩნიათ, რაც ადამიანის სასიცოცხლო სივრცის — ბუნებრივი გარემოსადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებად არის ტრანსფორმირებული. ბუნების კულტი ტექნიკის კულტმა, ბუნებაზე გაბატონების იდეოლოგიამ შეცვალა.**

თანამედროვე მწვავე გლობალური ეკოლოგიური პრობლემების გადასაჭრელად, მსოფლიოს წამყვან მეცნიერ-ეკოლოგთა აზრით, საჭიროა ახლებურად იქნას გაცნობიერებული ადამიანის როლი დედამიწაზე სიცოცხლის შენარჩუნების საქმეში. ეკოლოგიური ზნეობრივი განაწესის შესრულება მიჩნეულია ცივილიზაციის გადარჩენის ერთ-ერთ პირობად. ამისთვის აუცილებელი ხდება ბუნებასთან ურთიერთობის ჰუმანურ ფასეულობათა ახალი სისტემის ფორმირება, ადამიანის ეკოლოგიური განათლების, ეკოლოგიური ეთიკისა და კულტურის დონის განუხრელი ამაღლება.

**საქართველოში, სამწუხაროდ, ძალიან მძიმე ეკოლოგიურ გარემოში უხდება ცხოვრება ჩვენს მოქალაქეებს. გაბინძურებულია მდინარეები და წყალსატევები (განსაკუთრებით, მტკვარი და შავი ზღვა), ჰაერი (განსაკუთრებით, დიდ ქალაქებში).**

საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა და მთიანი რელიეფის პირობებში ტყის გარემო და რესურსწარმომქმნელი ფუნქცია ნათლად არის გამოხატული. ნალექი ტყეში თითქმის მთლიანად ჩაიჟონება ნიადაგში, რაც ზრდის მის ტენიანობას, მკვეთრად ამცირებს ზედაპირულ ჩამონადენს და მასთან დაკავშირებულ ნიადაგის გადარეცხვის, ზედაპირის დახრამვის, საბოლოო ჯამში, — ნაყოფიერი ნიადაგების ადგილას უვარგისი მიწების წარმოქმნის საშიშროებას. ეროზიული პროცესები და ღვარცოფული მოვლენები უტყეო ფერდობებზე 5-ჯერ და 8-ჯერ უფრო აქტიურად მიმდინარეობს, ვიდრე ტყიან ფერდობებზე. ამის უგულებელყოფა საქართველოს მთიანეთში მეურნეობის მდგრად განვითარებას სერიოზულ პრობლემას უქმნის. ღვარცოფულ-მეწყრული მოვლენებისა და თოვლის ზვავების საწინააღმდეგო ღონისძიებებიდან ყველაზე ეფექტიანია ფერდობების გატყიანება. ეს საყოველთაოდ ცნობილია. მაგრამ ბუნების დაცვის აუცილებელი მოთხოვნები საქართველოში ყოველ ფეხის ნაბიჯზე ირღვევა. ამიტომაა, რომ **ბოლო პერიოდში კომერციული ტყესარგებლობის შედეგად ტყის ფართობი მნიშვნელოვნად შეიკვეცა. თითქმის მთლიანად გაიჩეხა მთისწინებისა და დაბალმთიანი ზონები.**

ენერგეტიკულმა სიდუხჭირემ ტყის მხრებზე გადაიარა. კონტროლს არ ექვემდებარება ხეტყის შავი ბიზნესი. შედეგი კი ძალიან სავალალოა — **ბუნების სტიქიური მოვლენებისა და პროცესების (წყალდიდობები, მეწყრული და ღვარცოფული მოვლენები, თოვლისა და ქვათა ზვავები და სხვ.). მოსახლეობა იძულებულია, აიყაროს მამაპაპური საცხოვრისიდან.**

ეკოლოგიური კულტურის დონე ჩვენი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილში, სამწუხაროდ, დაბალია. ამაზე მეტყველებს მრავალი ფაქტი, რომელთაგან ზოგიერთი შეიძლება წვრილმანადაც მოგვეჩვენოს, მაგრამ ამ „წვრილმანებისაგან“ საბოლოოდ აგორდება დიდი პრობლემები. ასეთ „წვრილმანებს“ მიეკუთვნება ქალაქის პარკების „ურბანული ათვისება“, საცხოვრებელი კვარტლების დანაგვიანება.

**პოლიტიკური პროცესების გამძაფრებამ საქართველოში ყველა პრობლემა გადაფარა. თუ ასე გაგრძელდა, „ცაფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი“ ქვეყნის ნაცვლად მომავალ თაობებს გაუდაბნოებული ტერიტორია დარჩებათ.**

**ზურაბ სეფერთელაძე,**
პროფესორი

**გელა მარგველანი,**
დოცენტი

# სახელოვანი იუბილარი

**საბედნიეროდ, არიან ისეთი გამორჩეული ადამიანები, რომელთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაცნობა დიდ სიამოვნებას გვანიჭებს და თავდადებული შრომის სტიმულს გვაძლევს. როგორც წესი, ადამიანის შეფასება ხდება არა მხოლოდ ამქვეყნად გატარებული წლების რაოდენობით, არამედ ღირსეული სიცოცხლით.**

ერთის მხრივ, თითქოსდა სუსტი ფიზიკური შესახედაობით, მაგრამ საოცარი გამძლეობით, შეუპოვრობითა და გონიერებით დღესაც ბრწყინვალედ ასრულებს თავის სამსახურებრივ მოვალეობას ზუგდიდისა და აფხაზეთიდან დევნილ ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე, დიდი სამამულო ომის პირველი ხარისხის, ვახტანგ გორგასლის, ღირსების საპატიო ორდენისა და მრავალი მედლის კავალერი, თადარიგის პოლკოვნიკი, 90 წლის იუბილარი ბატონი შოთა გრიგოლის ძე თოდუა, რომელიც 1922 წლის 14 თებერვალს დაიბადა ქ. ზუგდიდში. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე იგი 1941 წელს, დიდი სამამულო ომის დაწყებამდე, გაწვეული იქნა არმიის რიგებში და ომის დაწყებიდან მის დამთავრებამდე, მუდამ წინა ხაზზე იმყოფებოდა და აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული უკრაინის, ბელორუსიის, ვარშავის, ჩეხოსლოვაკიის, პრაღისა და ბერლინის შტურმით აღებაში...

არმიის რიგებიდან 1946 წელს, დემობილიზაციის შემდეგ, მუშაობდა ზუგდიდის შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების სისტემაში. როგორც პატიოსანი და უმწიკვლო პიროვნება, იგი 20 წლის განმავლობაში მუშაობდა სამოქალაქო სამსახურის სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. ასევე გარკვეული პერიოდი იმუშავა ენგურჰესის უნიკალური მშენებლობის მე-5 გასამხედროებული დაცვის სამმართველოს უფროსად.



90 წლის ამაგდარი იუბილარი, ბატონი შოთა, დღესაც მხნედ და ამაყად გამოიყურება და ადგილობრივი ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელების აქტიური მხარდაჭერითა და დახმარებით წარმატებით უზრუნველყოფს ვეტერანთა სოციალური პირობების გაუმჯობესებას და სამართლებრივი უფლებების დაცვას. არჩეულია საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის გამგეობის წევრად.

ადგილობრივი მმართველობის ხელმძღვანელობამ სათანადოდ დააფასა ბატონ შოთა თოდუას მოღვაწეობა და იგი წარდგენილია ზუგდიდის საპატიო მოქალაქის წოდების მისანიჭებლად, რითაც ღირსეულ პატივს მიაგებენ არა მარტო მას, არამედ მთლიანად საქართველოს ვეტერანთა მოძრაობის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას.

**ბატონო შოთა, გილოცავთ 90 წლის იუბილეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლესა და აქტიურ ცხოვრებას ქვეყნისა და ვეტერანთა მოძრაობის საკეთილდღეოდ.**

არაპოლიტკორექტული სიმართლე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იმ ვითარებაში, როცა ბრალდებათა უზარმაზარი ტალღა აგორდა, რომელიც ამტკიცებდა, რომ ქვეყანაში არსებობდა რეალური და უაღრესად საშიში შეთქმულებების კერები საბჭოთა მთავრობის უმაღლესი თანამდებობის პირთა მონაწილეობით, სტალინსა და პოლიტბიუროს არ შეექლოთ უყურადღებოდ დაეტოვებინათ პირველი მდივნების დაჟინებული მოთხოვნა, დაწყებულიყო ყოვლისმომცველი ომი იმ საშიშროების წინააღმდეგ, რომელიც ქვეყანას და პირადად მათ ემუქრებოდა.**




# გროვერ ფერი
# 37 წლის გამოცანა
# ანტისტალინური უნამუსობა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-4 (139-142)

## რობერტ ეიხეს საქმე

სანამ ნიკიტა ხრუშჩოვი რობერტ ინდრიკის ძე ეიხეს, ეროვნებით ლატვიელს, თავის დახურულ მოხსენებაში XVII ყრილობის მიერ არჩეულ ცეკას რეპრესირებულ წევრთა შორის მოიხსენიებდა როგორც წამებულ რაინდს, ეს პარტიული ნომენკლატურის უმაღლესი რანგის ფუნქციონერი თავად იყო უმოწყალო ჯალათთა შორის, რომელსაც ბოლოს და ბოლოს აგებინეს პასუხი მის მიერ ჩადენილ დანაშაულობათა გამო.

ხრუშჩოვმა ყრილობის დელეგატებს ეიხე წარუდგინა როგორც პროვოკაციისა და ბოროტი ფალსიფიცირების, რევოლუციური კანონიერების დარღვევის უდანაშაულო მსხვერპლი. ბიოგრაფიულ-ენციკლოპედიურ ლექსიკონში „სტალინის იმპერია“ კი იგი ასეა დახასიათებული: „1929 წლიდან საკ. კპ(ბ) ციმბრის, 1930-დან — დასავლეთ ციმბირის სამხარეო კომიტეტის მდივანი. 1935 წლის 1 თებერვლიდან ცკ პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი. 1936-37 წლებში სათავეში ედგა პარტიული და სამეურნეო აპარატის წმენდის საქმეს, რამაც გამოიწვია დაპატიმრებათა უპრეცედენტო ტალღა ციმბირში. 1937 წლის 1 თებერვალს პარტაქტივის კრებაზე განაცხადა: **„ჩვენ უნდა გამოვააშკარაოთ, ვამხილოთ მტერი, რაგინდ სოროშიც იყოს შემძვრალი“**. დასავლეთ ციმბირის პარტკონფერენციაზე გამოსვლისას 1937 წლის 7 ივნისს თქვა: **„შემოწმების და (პარტბილეთების) შეცვლის შემდეგ ვამხილეთ და პარტიიდან განვდევნეთ კიდევ უფრო მეტი დაუძინებელი მტერი... ყველანი ჯერ კიდევ არ არიან მხილებული, ყოველმხრივ უნდა გავაძლიეროთ მუშაობა ტროცკისტ-ბუხარინელთა მხილების მიმართულებით“.** 1937 წლის 29 ოქტომბერს დაინიშნა სსრკ მიწათმოქმედების სახელმწიფო კომისრად. 1937 წელს აირჩიეს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. 1938 წლის 29 აპრილს დააპატიმრეს. 1940 წლის 2 თებერვალს მიუსაჯეს დახვრეტა. განაჩენი აღსრულდა. 1956 წელს რეაბილიტირებულია და აღდგენილია პარტიაში“ (გვ. 505).

ასეთია რეალობა, რომელიც გვეუბნება, რომ ჯალათს თავისი მიეზღო.

მაგრამ ხრუშჩოვმა ყველაფრის თავდაყირა დაყენება მოინდომა. მან ყრილობის დელეგატებს წარუდგინა ეიხეს საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტები, მათ შორის 1939 წლის 27 ოქტომბერს სტალინისათვის გაგზავნილი მისი წერილის ფრაგმენტი, რომელშიც ლაპარაკია გამოძიების უკანონო მეთოდებზე, რომლებიც ეიხემ საკუთარ თავზე იწვნია.

ამასთან დაკავშირებით გროვერ ფერი ასეთ დასკვნას გვთავაზობს:

**„ჩვენ არ გვაქვს მიზეზი, არ ვენდოთ ეიხეს მტკიცებას იმის თაობაზე, რომ გამომძიებლები სცემდნენ მას, რათა იძულებული გაეხადათ, ელიარებინა დანაშაულობანი,**

გროვერ ფერი



**რომლებიც არასოდეს ჩაუდენია. მაგრამ, ამასთანავე, არ შეგვიძლია სიტყვაზე ვენდოთ და ვირწმუნოთ ის, რაც დაწერა“.**

ახლა კი მივყვეთ წიგნის გვერდებს.

არ შეიძლება ისტორიულ მტკიცებულებათა ნაცვლად მათი სუროგატის გამოყენება. ეიხეს ერთი წერილი სულაც არ არის საკმარისი ჭეშმარიტების დასადგენად, მათ შორის იმისაც, აწამეს თუ არა იგი.

მაგალითად: **1940 წლის სასამართლოს სტენოგრამის ფრაგმენტში ეჟოვი აცხადებს, რომ, მისგან ცრუ ჩვენებების მიღების მიზნით, იგი უმოწყალოდ აწამეს და, მიუხედავად ამისა, ეჟოვის ბრალეულობა აღიარებათა ფალსიფიცირებაში, ცემასა და წამებაში, საქმეების შეთითხვნაში და მრავალი უდანაშაულო ადამიანის ფიზიკურ განადგურებაში ეჭვს არ იწვევს.**

სტალინისათვის გაგზავნილი წერილი ეიხეს საქმის **სიმართლის ნაწილია.** სრულად მას არ ვიცნობთ, რადგან ხრუშჩოვმა და მისმა მემკვიდრეებმა... მიზანშეუწონლად ჩათვალეს სააშკარაოზე გამოეტანათ ეიხეს საქმის მასალები ან თუნდაც მკვლევარებისთვის გაეხადათ ხელმისაწვდომი.

არსებობს სანდო მოწმობა იმისა, რომ სწორედ ეიხემ გაუკვალა გზა სხვა პირველ მდივნებს (დასაწყისში — მხოლოდ სათავისოდ გაიკვალა), აღჭურვილიყვნენ საგანგებო რეპრესიული ღონისძიებების განხორციელების — ათასობით ადამიანის დახვრეტის და უფრო მეტის გულაგში გამწესების უფლებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **ეიხემ წამოიწყო ის მასობრივი რეპრესიები, რომელთა შესახებ საუბრით ხრუშჩოვი თავის აღშფოთებას უზიარებდა XX ყრილობის დელეგატებს... სწორედ აქ უნდა ითქვას, რომ მოვლენათა განვითარების ერთ-ერთი ვარიანტი, კერძოდ ის, რომ ეჟოვს, რომელიც პირველ მდივნებთან მჭიდრო კავშირში მუშაობდა, შეეძლო დაეპატიმრებინა და დაეხვრიტა სტალინი, ამ უკანასკნელს უარი რომ ეთქვა მდივნების მოთხოვნათა დაკმაყოფილებაზე.**

2006 წლის დასაწყისში დაიბეჭდა დოკუმენტების სქელტანიანი კრებული, რომელშიც სხვა დოკუმენტებთან ერთად გამოქვეყნებულია ეჟოვის და შინსახკომში მისი მოადგილის მ.პ. ფრინოვსკის საქმეების გამოძიების საარქივო მასალები, რომლებშიც ორივენი აღიარებენ თავიანთ მონაწილეობას მემარჯვენეთა შეთქმულებაში ბუხარინთან, რიკოვთან და შინსახკომის ხელმძღვანელის პოსტზე ეჟოვის წინამორბედთან გენრიხ (გერმონ) იაგოდასთან ერთად. მაგალითად, ფრინოვსკი ლავრენტი ბერიას სახელზე დაწერილ 1939 წლის 11 აპრილის განცხადებაში ევდოკიმოვსა და ეჟოვს, აგრეთვე, იაგოდას მთავარ მემარჯვენე მეამბოხეთა შორის მოიხსენიებს. იგი საგანგებოდ ასახელებს ეიხეს, რომელიც ევდოკიმოვთან და ეჟოვთან საგანგებოდ ჩავიდა.

ევდოკიმოვს ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა ეჟოვთან, 1940 წელს მასთან ერთად წაუყენეს ბრალდება, მიუსაჯეს და დახვრიტეს. ფრინოვსკი მიიჩნევდა, რომ მემარჯვენეთა შეთქმულების ჯგუფში ეიხეც მონაწილეობდა ეჟოვთან, ევდოკიმოვთან და სხვებთან ერთად. ამ დაჯგუფების წევრი თვითონაც იყო. სხვა შემთხვევაში განცხადების ავტორს საბაბი არ ექნებოდა, ეხსენებინა ეიხე.

**...დოკუმენტურად მტკიცდება** (იხ. Ოუქჭნკთ. Ყითომნ მ ნკვლ-ნკგძ-გუკპ “Ყსეპშ”, გვ. 38), რომ **1934 წლისთვის მემარჯვენეებს გადაბირებული ჰყავდათ ბევრი ხელმძღვანელი მუშაკი მთელ საბჭოთა კავშირში.**

ევდოკიმოვი ხაზს უსვამდა, რომ საჭირო იყო უფრო დაბალი რგოლის პარტიის წევრებისა და საბჭოთა მუშაკების გადაბირება, ასევე — კოლმეურნე გლეხების, რათა კონტროლი დაემყარებინათ ამბოხებულთა მზარდ მოძრაობაზე, რომელიც, მემარჯვენეთა ანგარიშით, ორგანიზებულ მოძრაობად უნდა ქცეულიყო და თავისი როლი შეესრულებინა სახელმწიფო გადატრიალებაში.

დოკუმენტებიდან, რომლებიც ერთი პერიოდი იანსენსა და პეტროვს ხელთ ჰქონდათ და შემდეგ კვლავ გასაიდუმლოვდა, მტკიცდება, რომ ეიხე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საქმეებში ერეოდა, მოითხოვდა იმ პირების დაპატიმრებას, რომელთა წინააღმდეგ „ორგანოებს“ არავითარი სამხილი არ გააჩნდათ (იხ. M.Jansen, N. Petrov. Stalins Loyal Executioner... გვ. 91). თავის მხრივ, ეჟოვმა უბრძანა ხელქვეითებს, ხელი არ შეეშალათ ეიხესათვის და ეთანამშრომლათ მასთან. ეს ყველაფერი ეთანხმება იმას, რაც ფრინოვსკის განცხადებაშია ნათქვამი საკუთრივ მისი მუშაობისა და ეჟოვის მუშაობის შესახებ: უდანაშაულო ადამიანების ცემის, მათ წინააღმდეგ ცრუ ბრალდებების შეთითხნის შესახებ, იმ მიზნით, რათა გამოგონებული შეთქმულებების წინააღმდეგ ბრძოლით შეენიღბათ თავიანთი ანტისახელმწიფოებრივი შეთქმულების გეგმები.

რიგი მკვლევარებისა მიიჩნევს, რომ ეიხესა და სხვა პირველი მდივნების მიზანი იყო, რადაც უნდა დამჯდარიყო, ჩაეშალათ 1937 წლის დეკემბერში დანიშნული ალტერნატიული, შეჯიბრებითობის პრინციპზე აგებული არჩევნები საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოში, არგუმენტთა შორის ოპოზიციის უაღრესად საშიშ შეთქმულებათა მომიზეზებით.

**სტალინის ჩანაფიქრით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები უნდა ჩატარებულიყო 2-3 კანდიდატის მონაწილეობით დეპუტატის ერთ ადგილზე. ამასთან, კანდიდატების წარდგენა შესაძლებელი უნდა ყოფილიყო არა მარტო საკ.კპ(ბ)-ს მიერ, არამედ საკავშირო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერაც. საარჩევნო ბიულეტენების ნიმუშები, რომლებიც წინასწარ გამოქვეყნდა, ჩაწერილი იყო — „საარჩევნო ბიულეტენში დატოვეთ ერთი კანდიდატის გვარი, ვისაც ხმას აძლევთ, დანარჩენები წაშალეთ“.**

ცენტრალური კომიტეტის 1937 წლის ოქტომბრის პლენუმზე პირველმა მდივნებმა შეძლეს ზემოქმედება მოეხდინათ სტალინსა და მოლოტოვზე და იძულებული გაეხადათ, უარი ეთქვათ ალტერნატიულობისა და შეჯიბრებითობის იდეაზე. შეიცვალა ბიულეტენებიც.

სტალინზე ზემოქმედებდნენ სხვა მხრიდანაც. მისი ერთ-ერთი უახლოესი თანამშრომელი კონსტიტუციაზე და არჩევნების პრობლემებზე მუშაობის პროცესში იაკობ არკადის ძე იაკოვლევი (ეპშტეინი), პარტიული კონტროლის კომისიის თავმჯდომარის პირველი მო- ▶

1937 წლის არჩევნების ბიულეტენი



ИЗБИРАТЕЛЬНЫЙ БЮЛЛЕТЕНЬ
по выборам в Верховный Совет СССР
_______ 1937 года
_______ округ № ___ по выборам в Совет Национальностей от _______
(название Автономной республики, области или нацокруга)
Оставьте в избирательном бюллетене фамилию ОДНОГО кандидата, за которого Вы голосуете, остальных вычеркните

| Фамилия, имя, отчество кандидата в депутаты | Кем выставлен кандидатом в депутаты |
| --- | --- |
| | |

Председатель _______ окружной избирательной комиссии по выборам в Совет Национальностей от _______

1937 წლის არჩევნების პლაკატი




1937 წლის არჩევნები



არაპოლიტკორექტული სიმართლე

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რობერტ ეიხემ წამოიწყო ის მასობრივი რეპრესიები, რომელთა შესახებ საუბრით ხრუშჩოვი თავის აღშფოთებას უზიარებდა XX ყრილობის დელეგატებს... სწორედ აქ უნდა ითქვას, რომ მოვლენათა განვითარების ერთ-ერთი ვარიანტი, კერძოდ ის, რომ ეჟოვს, რომელიც პირველ მდივნებთან მჭიდრო კავშირში მუშაობდა, შეეძლო დაეპატიმრებინა და დაეხვრიტა სტალინი, ამ უკანასკნელს უარი რომ ეთქვა მდივნების მოთხოვნათა დაკმაყოფილებაზე.**

◀ადგილე, შემდეგ ბელორუსიის კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივანი, 1937 წლის 12 ოქტომბერს მოულოდნელად დააპატიმრეს. აღიარებით ჩვენებებში, რომლებიც მხოლოდ 2004 წელს გამოქვეყნდა, იაკოვლევმა განაცხადა, რომ ჯერ კიდევ ლენინის გარდაცვალების დროიდან ტროცკისტულ იატაკქვეშეთში იმყოფებოდა და გერმანელი ჯაშუშის მეშვეობით კავშირი ჰქონდა დამყარებული ტროცკისთან. **იმ ვითარებაში, როცა ბრალდებათა უზარმაზარი ტალღა აგორდა, რომელიც ამტკიცებდა, რომ ქვეყანაში არსებობდა რეალური და უაღრესად საშიში შეთქმულებების კერები საბჭოთა მთავრობის უმაღლესი თანამდებობის პირთა მონაწილეობით, სტალინსა და პოლიტბიუროს არ შეეძლოთ უყურადღებოდ დაეტოვებინათ პირველი მდივნების დაჟინებული მოთხოვნა, დაწყებულიყო ყოვლისმომცველი ომი იმ საშიშროების წინააღმდეგ, რომელიც ქვეყანას და პირადად მათ ემუქრებოდა.**

საინტერესოა, რომ ეიხე და ეჟოვი თითქმის ერთსა და იმავე დროს გაასამართლეს და დახვრიტეს. იბადება შეკითხვა: ხომ იყო შესაძლებელი, რომ სასამართლოზე ეიხესთვის წარდგენილ ჭეშმარიტ ბრალდებათა საფუძველი ყოფილიყო მისი საიდუმლო კავშირი შინსახკომის ყოფილ შეფთან, რათა შეთითხნილი ბრალდებებით მოესპოთ და გაენადგურებინათ მრავალი უდანაშაულო ადამიანი? ავიაკონსტრუქტორი იაკოვლევი თავის მემუარებში იხსენებს **სტალინის ნათქვამს, რომ ეჟოვი დაიხვრიტა, რადგან „ბევრი უდანაშაულო დახვრიტა“** (ა. იაკოვლევი. „ცხოვრების მიზანი“, გვ. 509). სხვა დოკუმენტების მიხედვით, რომლებიც ეჟოვის საქმიდანაა ამოღებული, განაჩენი მას გამოუტანეს ანტისამთავრობო შეთქმულებაში მონაწილეობის გამო და „ტერორისტული აქტების მომზადებისთვის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ“. გამორიცხული არ არის, რომ იმავე დანაშაულობათა გამო გაასამართლეს ეიხეც.

1939 წლის 27 ოქტომბრის ეიხეს წერილი სტალინისადმი პოსპელოვის კომისიის მოხსენებას თან ერთვოდა. წერილის ტექსტიდან ვიგებთ, რომ ეიხეს ბრალი ედებოდა როგორც შეთქმულების ორგანიზებაში, ასევე ეჟოვთან მჭიდრო თანამშრომლობაში. ზემოთ ნახსენები წყარო, რომელიც იანსენისა და პეტროვისათვის ხელმისაწვდომი იყო, გვაფიქრებინებს, რომ **ეიხე უაღრესად მჭიდროდ იყო დაკავშირებული ეჟოვის მასობრივ რეპრესიებთან.**

მისი განცხადება იმის თაობაზე, რომ სასურველი ჩვენების მისაღებად მას აწამებდნენ, სარწმუნო უნდა იყოს, რადგან მწამებელთა შორის იგი ასახელებს ზ. მ. უშაკოვსა და ნ. გ. ნიკოლაევ-ჟურიდას. დამოუკიდებელი წყაროებიდან ცნობილია, რომ შინსახკომის ეს ორი გამომძიებელი მონაწილეობდა დაპატიმრებულთა ცემაში და სწორედ ამის გამო ღირსეულად დაისაჯნენ ბერიას სახალხო კომისრობის დროს.

ნიკოლაევ-ჟურიდა დააპატიმრეს 1939 წლის 25 ოქტომბერს. იმავე ოქტომბრითაა დათარიღებული ეიხეს წერილი სტალინისადმი. სასამართლოს განაჩენით, ნიკოლაევ-ჟურიდა დახვრიტეს 1940 წლის 4 თებერვალს, ანუ ეჟოვთან და ეიხესთან ერთად.

ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ **ეჟოვი და მისი დამქაშები ცდილობდნენ, ერთმანეთისთვის გადაებრალებინათ დანაშაული და ამით თავი დაეძვრინათ პასუხისმგებლობისგან.** ეს კი ემთხვევა ეჟოვის საქმიანობას, რომელიც ფრინოვსკის ბარათშია მითითებული. ფრინოვსკი დეტალურად აღწერს ზაკოვსკის სასწრაფოდ დახვრეტის მოთხოვნის ეპიზოდს, რათა არ მიეცათ ბერიასთვის მისი დაკითხვის საშუალება, რადგან მაშინ გაირკვეოდა, თუ რა როლი ითამაშა ეჟოვმა მასობრივი რეპრესიების განხორციელების საქმეში, აგრეთვე, მისი აქტიური მონაწილეობა მემარჯვენეთა შეთქმულებაში.

ეიხე დააპატიმრეს 1938 წლის 29 აპრილს, ანუ შინსახკომში ბერიას მოსვლამდე კარგა ხნით ადრე, მაშასადამე, სანამ ეჟოვს შეეშინდებოდა ბერიას მიერ ეიხეს დაკითხვის. იმ დოკუმენტების მიხედვით, რომლებსაც იანსენი და პეტროვი გაეცნენ, ეიხესა და ეჟოვს შორის შავმა კატამ გაირბინა — რაღაცის გამო დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. სხვადასხვა დოკუმენტით მტკიცდება, რომ ეჟოვი და მისი დამქაშები ჩვეულებრივ აწამებდნენ იმათ, ვისაც თვითონ აპატიმრებდნენ და, მიუხედავად იმისა, იყვნენ თუ არა დამნაშავენი, აიძულებდნენ, თავიანთი თავის წინააღმდეგ მიეცათ აღიარებითი ჩვენებები.

ხრუშჩოვსა და მის ქვეშევრდომთ, ვინც მოამზადა პოსპელოვის მოხსენება და „სარეაბილიტაციო“ ცნობები, მთელი ეს ინფორმაცია ხელთ ჰქონდათ. მაშინ რატომ არ აისახა ეს ინფორმაცია მათ მიერ ხელმოწერილ დოკუმენტებში? პასუხი უმარტივესია: იმიტომ, რომ მხოლოდ მათი დამალვით იყო შესაძლებელი იმ დასკვნების გაკეთება, რომლებიც „დახურულ მოხსენებაშია“ და რომელთაც სიმართლესთან საერთო არაფერი აქვს.

იბადება კითხვა: რატომ სჩადიოდა ამ ყველაფერს ეჟოვი? ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ იგი პირველი მდივნების მხარეს იდგა და მათთან ერთად მონაწილეობდა შეთქმულებაში. პირველ მდივნებთან ადგილებზე მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ეჟოვის თანამზრახველები. დოკუმენტებში, რომლებიც 1990-იანი წლების დასაწყისში იანსენისა და პეტროვის განკარგულებაში აღმოჩნდა და რომლებსაც აქტიურად იყენებენ თავიანთ წიგნში, მითითებულია, რომ დასავლეთ-ციმბირის მხარის შინსახკომის სამმართველოს უფროსმა ს.ნ.მირონოვმა ეჟოვისგან მიიღო ინსტრუქცია, რომლის თანახმად მას ეკრძალებოდა ეიხესთვის წინააღმდეგობის გაწევა მაშინაც კი, როცა იგი დაუსაბუთებელ დაპატიმრებებს მოითხოვდა და პირადად ერეოდა გამოძიებაში. ჯერ კიდევ გაუშიფრავია იმ პროცესების სტენოგრამები, რომლებზეც განიხილავდნენ ეჟოვთან ერთად დაპატიმრებულთა საქმეებს. სავსებით დასაშვებია, რომ დაპატიმრებულთა შორის მრავალი (მათ შორის ეიხეც) განსასჯელთა სკამზე აღმოჩნდა და ეჟოვთან ერთად გაასამართლეს უდანაშაულო ადამიანების განადგურების გამო.

მთელი ეს ინფორმაცია, და უფრო მეტიც, ცნობილი იყო ხრუშჩოვისთვის და მისი „მკვლევარებისთვის“. XX ყრილობამდე ორი კვირით ადრე. მას მიაჩნდა, რომ ეჟოვი კი არ არის დამნაშავე, არამედ ყველაფერი სტალინის ბრალია. „დახურულ მოხსენებაში“ ნიკიტამ ცოტათი შეასწორა თავისი შეხედულება, მაგრამ ეჟოვის ქმედებაზე პასუხისმგებლობა მაინც სტალინს დააკისრა.

სტალინს კი მიაჩნდა, რომ ძირითადი ბრალი იმაზე, რაც მოხდა, მთლიანად ეჟოვის სინდისზეა, მისი დასკვნები სრულად ემთხვევა იმ დოკუმენტურ მტკიცებულებებს, რომლებიც იანსენისა და პეტროვის წიგნშია მოცემული.

1939 წლის აპრილში ნიკოლაი ეჟოვი დააპატიმრეს. მან სწრაფად აღიარა, რომ დაკითხვების დროს ბოროტად იყენებდა უკანონო მეთოდებს — აწამებდა დაპატიმრებულებს, აყალბებდა ოქმებს, ხვრეტდა ეჭვმიტანილებს. იანსენისა და პეტროვის მიერ გამოყენებული დოკუმენტებით სრულად მტკიცდება ეჟოვის აღიარებითი ჩვენებების ნამდვილობა. **მაგრამ არსად, არც ერთ საბუთში მინიშნებაც კი არ არის იმისა, რომ სტალინი ან ცენტრალური ხელმძღვანელობა ცდილობდა, მისთვის მიმართულება მიეცა ამ საქმიანობაში. პირიქით, არსებობს საკმაო რაოდენობის მტკიცებულება, რომ ეჟოვის ამგვარი დანაშაულებრივი ქმედება მათთვის მიუღებელი იყო.**

„საქართველო და მსოფლიო“ მკითხველს ეჟოვის უკანონო საქმიანობაზე მიახლოებითი შთაბეჭდილება რომ შეექმნას, მოვიხმობთ ვრცელ ამონარიდს ანტისტალინური სულისკვეთებით შედგენილი ბიოგრაფიულ-ენციკლოპედიური ლექსიკონიდან „სტალინის იმპერია“:

**„ეჟოვი პირადად მონაწილეობდა დაკითხვებში, დასახვრეტთა სიების შედგენაში და ა.შ. ამას შეუძლებელია არ ემოქმედა მისი ისედაც დეგრადირებული პიროვნების კიდევ უფრო გახრწნაზე. თანამედროვეთა მტკიცებით, 1938 წლისთვის იგი ჩამოყალიბებული ნარკომანი გახდა... ეჟოვი სათავეში ედგა მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურთა შემადგენლობის ყველაზე მასშტაბურ წმენდას. ამ დროს დაიღუპა: 3 მარშალი, 3 პირველი რანგის არმიის სარდალი, 2 პირველი რანგის ფლაგმანი, 1 პირველი რანგის არმიის კომისარი, 2 მეორე რანგის არმიის სარდალი, 2 მეორე რანგის ფლოტის ფლაგმანი, 2 მეორე რანგის არმიის კომისარი და ა.შ.). შინსახკომის აპარატის მიერ იყო ორგანიზებული 1930-იანი წლების უმსხვილესი ფალსიფიცირებული ღია პროცესები... ნიკიტა ხრუშჩოვი იხსენებს, რომ „ამ დროისთვის ბუკვალურად დაკარგა ადამიანის სახე, ელემენტარულად გალოთდა. ისე გამოთვრებოდა, რომ თავის თავს აღარ ჰგავდა“. 1938 წლის 17 ნოემბერს მოლოტოვმა და სტალინმა ხელი მოაწერეს სახალხო კომისართა საბჭოსა და ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „დაპატიმრებების, საპროკურორო ზედამხედველობისა და გამოძიების ჩატარების შესახებ“, რომელშიც აღნიშნული იყო შინსახკომის მუშაობაში არსებული დამახინჯებანი. 23 ნოემბერს ეჟოვმა სტალინის სახელზე დაწერა წერილი შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის თანამდებობიდან გათავისუფლების თხოვნით მის მიერ დაშვებული შეცდომების გამო. 25 ნოემბერს მისი თხოვნა დააკმაყოფილეს. 1939 წლის 10 მარტს ეჟოვი ჩამოაცილეს პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარეობას, ცენტრალური კომიტეტის მდივნობას, გამოიყვანეს პოლიტბიუროსა და ორგბიუროს შემადგენლობიდან, 1939 წლის 9 საწყლოსნო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის ფორმირებასთან დაკავშირებით, მოხსნეს ამ უწყების სახალხო კომისრის თანამდებობიდანაც. 1939 წლის 4 აპრილს შინსახკომის ივანოვის ოლქის სამმართველოს უფროსის ვ. პ. ჟურავლიოვის დასმენის საფუძველზე, დააპატიმრეს.**

**ბრალად წაუყენეს სტალინზე ტერაქტების მომზადება, ასევე ჰომოსექსუალიზმი. მიესაჯა სიკვდილი. სკკპ XX ყრილობაზე ნ. ს. ხრუშჩოვმა ეჟოვი მოიხსენია როგორც „დამნაშავე“ და „სახალხო კომისარი, რომელმაც დაიმსახურა სასჯელი“. ამის მიუხედავად, ეჟოვს არსად — არც ცნობარებში, არც ისტორიულ კვლევებში — არ ახსენებდნენ და მხოლოდ 1987 წლიდან თანდათან გაირკვა მისი როლი რეპრესიებში, მაგრამ არა როგორც ინიციატორისა, არამედ როგორც სტალინის ნების მორჩილი აღმსრულებლისა. 1988 წელს სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო საქმეების კოლეგიამ უარი თქვა ეჟოვის რეაბილიტაციაზე“.**


ნიკოლაი ეჟოვი


რობერტ ეიხე

**საინტერესოა, რომ ეიხე და ეჟოვი თითქმის ერთსა და იმავე დროს გაასამართლეს და დახვრიტეს. იბადება შეკითხვა: ხომ იყო შესაძლებელი, რომ სასამართლოზე ეიხესთვის წარდგენილ ჭეშმარიტ ბრალდებათა საფუძველი ყოფილიყო მისი საიდუმლო კავშირი შინსახკომის ყოფილ შეფთან, რათა შეთითხნილი ბრალდებებით მოესპოთ და გაენადგურებინათ მრავალი უდანაშაულო ადამიანი?**

### ს. კოსიორის, ვ. ჩუბარის, პ. პოსტიშევის, ა. კოსარევის შესახებ

ხრუშჩოვი: „ამგვარი „საქმეების“ საშინელი ფალსიფიცირების შედეგად, იმის შედეგად, რომ სჯეროდათ სხვადასხვა მოჭორილი „ჩვენებების“ და საკუთარ თავზე ბრალის იძულებით აღების, დაიღუპა მრავალი ათასი პატიოსანი, სრულიად უდანაშაულო კომუნისტი. ამგვარადვე იყო შეთითხნილი „საქმეები“ გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეების კოსიორის, ჩუბარის, პოსტიშევის, კოსარევისა და სხვათა წინააღმდეგ“.

კოსიორი, ჩუბარი, პოსტიშევი და კოსარევი — სწორედ ამ თანმიმდევრობით არიან ჩამოთვლილი ეს პირები სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარის ვ. ულრიხის მიერ სტალინისათვის გაგზავნილ ბარათში, რომელშიც ხაზგასმულია, რომ **„ყველა მათგანმა სამხედრო კოლეგიის სასამართლო სხდომაზე სრულად აღიარა თავისი ბრალი“.**

მაგრამ, როგორც ულრიხი აღნიშნავს, უსამართლო მოსმენების დროს ზოგიერთმა განსასჯელმა უარი თქვა მათ მიერ მიცემულ ჩვენებებზე, მიუხედავად იმისა, რომ „სრულად იქნენ მხილებულნი საქმის სხვა მასალებით“. ამრიგად, კოსიორს, ჩუბარს, პოსტიშევსა და კოსარევს ამ „სხვებისგან“ განსხვავებით **უარი არ უთქვამთ მათ მიერ მიცემულ ჩვენებებზე.**

ამათ საქმეებზე დეტალურად ვისაუბრებთ მომდევნო პუბლიკაციაში.

**სტალინს კი მიაჩნდა, რომ ძირითადი ბრალი იმაზე, რაც მოხდა, მთლიანად ეჟოვის სინდისზეა, მისი დასკვნები სრულად ემთხვევა იმ დოკუმენტურ მტკიცებულებებს, რომლებიც იანსენისა და პეტროვის წიგნშია მოცემული**

**გაგრძელება იქნება**

რუბრიკას უძღვება **არმაზ სანებლიძე**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ყველა ქვეყნის ანტიფაშისტები საბჭოთა კავშირს მიიჩნევდნენ სახელმწიფოდ, რომელიც ყველაზე უფრო ეფექტიანად წარმართავდა ბრძოლას ჰიტლერისა და მუსოლინის წინააღმდეგ. სტალინის ფიგურამ საერთაშორისო მასშტაბი შეიძინა, რამაც ხელი შეუწყო მისი კულტის განმტკიცებას კომუნისტურ მოძრაობაში“



რუდოლფ ბალანდინი, სერგეი მირონოვი

# სტალინის ეპოქა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-4 (139-142)

## დიპლომატიური ორთაბრძოლები

### გზა მეორე მსოფლიო ომისკენ

**ესპანეთის პლაცდარმი, სადაც ევროპის ფაშიზმი რესპუბლიკურ ესპანეთს დაუპირისპირდა, წარმოგვიდგა „ბრძოლით დაზვერვად“, რომელმაც გვაჩვენა, თუ როგორ განაწილდა ძალები ევროპის კონტინენტზე.**

ისტორიკოსები მიიჩნევენ, რომ „ესპანეთი საბჭოთა დიპლომატიისთვის გახდა ის ნიადაგი, რომელზეც მოსკოვი იმედოვნებდა დაეფუძნებია საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის ძალისხმევა ფაშისტური სახელმწიფოების წინააღმდეგ და, აქედან გამომდინარე, უზრუნველეყო საბჭოთა კავშირისთვის რეალური უსაფრთხოების გარანტიები. 1937 წლის სექტემბერში საბჭოთა მთავრობა შეუერთდა ლიონის შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებდა ერთობლივ მოქმედებას ხმელთაშუა ზღვაში იტალიის წყალქვეშა ნავების მეკობრული თარეშის აღსაკვეთად.

მაგრამ შედეგები იმედისმომცემი ვერ გამოდგა. დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა ვერ შეძლეს რეალურად წინ აღდგომოდნენ იტალია-გერმანიის ინტერვენციას... ინგლისის კონსერვატიული მთავრობა და საფრანგეთის მემარჯვენეთა და ცენტრისტული ძალების ბანაკი სიმპათიით ელაციცებოდნენ ფრანკოს და ესპანელ ფაშისტებს, რადგან აშინებდათ მემარცხენე პარტიების, განსაკუთრებით, კომუნისტების შეტევაზე გადმოსვლა. ამასთან ინგლისისა და საფრანგეთის პოლიტიკური წრეები სრულიადაც არ გამორიცხავდნენ უფრო ფართე შეთანხმებას ჰიტლერთან და მუსოლინისთან, ან, უკიდურეს შემთხვევაში, მათგან ერთ-ერთთან მაინც.

სტალინი ხედავდა, რომ დასავლეთის ბურჟუაზიული დემოკრატიები სულიერად, იდეურად ფაშისტურ რეჟიმებთან უფრო ახლოს იდგნენ, ვიდრე სოციალისტურ სახელმწიფოსთან, მით უფრო, ვიდრე საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობასთან. იგი დარწმუნდა, რომ ფაშისტების მთავარ სამიზნედ ძალიან მალე საბჭოთა კავშირი გახდებოდა. ჰიტლერისა და მუსოლინის რეჟიმების განცალკევება მან ვერ შეძლო. ახლა ისე უნდა ემოქმედა, რომ დასავლეთის სიმპათია ჰიტლერისადმი მასთან მჭიდრო თანამშრომლობაში არ გადაზრდილიყო. ამიტომ მან ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რეჟიმებთან კომუნისტური პარტიების იდეოლოგიური კონფრონტაციის კურსი აიღო.

**იმ ქვეყნების კომუნისტებს, რომლებსაც დიდი ალბათობით მოუწევდათ ფაშისტებთან ხელჩართულ ბრძოლაში ჩაბმა, უპირველესად — საფრანგეთისა და ჩეხოსლოვაკიისა — მოსკოვიდან მისცეს მითითება, არ შეეშალათ ხელი ეროვნული თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების ღონისძიებებისთვის, თუნდაც ისინი ეწინააღმდეგებოდეს მათი პარტიებისა და მთლიანად მუშათა მოძრაობის ანტიმილიტარისტულ ტრადიციებს.** ასე იყო მითითებული სტალინის ცნობილ განცხადებაში, რომელიც მან გააკეთა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ხელშეკრულების დადების დროს, როცა მოიწონა საფრანგეთის პოლიტიკა თავისი შეიარაღებული ძალების მხრადაჭერისა და გაძლიერებისკენ მიმართული.

ამ შორსმჭვრეტელურმა დიპლომატიამ თავისი შედეგი მრავალი წლის შემდეგ გამოიღო. მაშინ კი უნაყოფო ჩანდა...

„ყველა ქვეყნის ანტიფაშისტები საბჭოთა კავშირს მიიჩნევდნენ სახელმწიფოდ, რომელიც ყველაზე უფრო ეფექტიანად წარმართავდა ბრძოლას ჰიტლერისა და მუსოლინის წინააღმდეგ. სტალინის ფიგურამ საერთაშორისო მასშტაბი შეიძინა, რამაც ხელი შეუწყო მისი კულტის განმტკიცებას კომუნისტურ მოძრაობაში“, — წერს ისტორიკოსი დ. ბოფი.

**სტალინის ავტორიტეტი იქმნებოდა არა რაღაც ხრიკებითა და მზაკვრულობით, არა დემაგოგობის ნიჭით, არამედ მისი თანმიმდევრული, ლოგიკური და პატიოსანი პოლიტიკის წყალობით, რომელიც ხალხის მასების ინტერესებს უპასუხებდა.** მან ერთ-ერთმა პირველმა გამოააშკარავა ფაშისტების მზაკვრული ჩანაფიქრი და შეეცადა მძლავრი თავდაცვითი ზღუდის აღმართვას ჰიტლერისა და მუსოლინის აგრესიულ განზრახულობათა განხორციელების გზაზე. მაგრამ რაც უფრო გავლენიანი ხდებოდა სტალინი როგორც მსოფლიო მასშტაბის პოლიტიკოსი, მით უფრო უფრთხოდნენ მას წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნები — დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და აშშ.

**სტალინის პიროვნული კულტი აქ მეორეხარისხოვანია, მთავარი იყო უაღრესად გაზრდილი ავტორიტეტი ქვეყნის, რომელსაც იგი ედგა სათავეში...**

სახელგანთქმული გერმანელი მწერლის ლიონ ფეიხტვანგერის წიგნში „მოსკოვი 1937. მოგზაურობის ანგარიში ჩემი მეგობრებისთვის“, რომელიც პირველად ამსტერდამში გამოიცა, აღნიშნული იყო საბჭოთა კავშირში ხალხის ძალაუფლების არსებობის ფაქტი: „უკლასო საზოგადოების ძირითადი პრინციპი არის ის, რომ ყველას დაბადებიდანვე აქვთ თანაბარი შესაძლებლობა მიიღონ განათლება და აირჩიონ პროფესია, მაშასადამე, ყველა დარწმუნებულია, რომ უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო ადგილით თავისი პროფესიის მიხედვით და შეძლებს თავისი უნარის სრულ გამოვლენას. ეს ძირითადი პრინციპი, რომელსაც სადავოდ არ ხდიან საბჭოთა კავშირის ყველაზე უფრო თავგამოდებული მოწინააღმდეგენიც კი, განხორციელებულია სსრკ-ში. ამიტომაც **მოსკოვში არ შემიმჩნევია ქედის მოხრის ნიშანი, სიტყვა „ამხანაგი“ ცარიელი სიტყვა არ არის. ამხანაგი მშენებელი მუშა, რომელიც მეტროს შახტიდან ამოვიდა, ამხანაგ კომისრის თანასწორად ნამვილად გრძნობს თავს.** დასავლეთში, ჩემი დაკვირვებით, გლეხების და პროლეტარების შვილები, რომლებმაც შეძლეს განათლების მიღება, ხაზს უსვამენ უმაღლეს კლასში თავიანთ გადასვლას. საბჭოთა კავშირში ინტელიგენტები, რომლებიც მუშურ-გლეხური წარმოშობისანი არიან, მჭიდრო კონტაქტს ინარჩუნებენ მშობლიურ გარემოსთან“.

ამრიგად, ჩამოყალიბდა საზოგადოება, სადაც არ არიან ბატონები და მსახურები, პატრონები და მათზე დამოკიდებული მუშაკები; სადაც არ არის ყალბი დემოკრატია, რომელიც მოწოდებულია შენიღბოს მდიდრების რეალური ძალაუფლება; სადაც არ არსებობს დაბადებიდანვე სოციალური ფენების, კასტების, ოჯახების კუთვნილებით მინიჭებული კოლოსალური უპირატესობანი. ეს იყო სახალხო დემოგრაფია, რომელიც პრინციპულად განსხვავდებოდა ბურჟუაზიულისგან ისევე, როგორც ფაშისტური ანტიდემოკრატიისგან.

მართალია, სსრ კავშირში სერიოზულად იყო შეზღუდული პრესის თავისუფლება. მაგრამ ამაზე ფეიხტვანგერმა (არაკომუნისტმა) მკაფიოდ და სამართლიანად შენიშნა: **„საბჭოთა კავშირი ვერასოდეს მიაღწევდა იმას, რასაც მიაღწია, დასავლეთევროპული შინაარსის საპარლამენტო დემოკრატიის დანერგვის, გინების განუსაზღვრელი თავისუფლების პირობებში შესაძლებელი არ იქნებოდა სოციალიზმის აშენება.** ვერავითარი მთავრობა, რომელსაც მუდმივად თავს ესხმის პარლამენტი და ბეჭდვითი სიტყვა და რომელიც არჩევნების შედეგებზეა დამოკიდებული, ვერ აიძულებდა მოსახლეობას გადაეტანა ის მძიმე ტვირთი, რომლის წყალობითაც შესაძლებელი გახდა ამ მშენებლობის განხორციელება. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ, რომელიც ალტერნატივის წინაშე აღმოჩნდა — ან თავისი ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი დაეხარჯა უაზრო და ბოროტი თავდასხმების მოსაგერიებლად, ან მთელი თავისი ძალა წარემართა მშენებლობის დასამთავრებლად, მხარი დაუჭირა გინების თავისუფლების შეზღუდვას.

მაგრამ დაცინვა, ბუზღუნი და ავყიობა ზოგიერთებისთვის იმდენად საყვარელი გასართობია, რომ ამის გარეშე ცხოვრება არ შეუძლიათ... ამიტომაა, რომ ბევრს საბჭოთა კავშირი დემოკრატიის საწინააღმდეგო რამედ მიაჩნია და იმასაც კი აცხადებენ, თითქოს საბჭოთა კავშირსა და ფაშისტურ დიქტატურას შორის განსხვავება არ არსებობს. საცოდავი უსინათლონი!..“

როგორც ვხედავთ, დღევანდელი ოფიციალური პროპაგანდის გააქტიურება კომუნიზმისა და ფაშიზმის იდენტურობის მტკიცების მიმართულებით სამოცდაათ წელიწადზე უწინდელი და გახუნებული მტკიცებულებების უნიჭო რეანიმაციის მცდელობაა და ელემენტარული პლაგიატი.

**„ძირითადად,** — განმარტავდა ფეიხტვანგერი, — **საბჭოთა დიქტატურა იფარგლება ორი შეხედულების გავრცელების აკრძალვით: პირველი, რომ სოციალიზმის აშენება საბჭოთა კავშირში შეუძლებელია მსოფლიო რევოლუციის გარეშე და, მეორე, რომ საბჭოთა კავშირმა უნდა წააგოს მომავალი ომი. ის, ვინც ამ ორი აკრძალვიდან გამომდინარე ასკვნის, რომ საბჭოთა კავშირი და ფაშისტური რეჟიმები ერთგვაროვანია, ივიწყებს ერთ მნიშვნელოვან განსხვავებას, კერძოდ: საბჭოთა კავშირი კრძალავს აგიტაციას იმის დასამტკიცებლად, რომ ორჯერ ორი ხუთია, ფაშისტური დიქტატურები კრძალავს მტკიცებას იმისას, რომ ორჯერ ორი ოთხია“.**

და კიდევ: საბჭოთა ხელისუფლებისა და „დემოკრატიული დიქტატორის“ (ასე უწოდა ფეიხტვანგერმა სტალინს) ავტორიტეტის განმტკიცება მიზნად ისახავდა საზოგადოების კონსოლიდებას, მშრომელთა (და არა პარაზიტული ფენების) ცხოვრების უფლებების უზრუნველყოფას, აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლას. ფაშისტური ხელისუფლება ჰიტლერისა და ▶

## უკომენტაროდ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სტალინი ყველაფერს აკეთებდა ომის თავიდან ასაცილებლად, რომლის გარდაუვალობას იგი გრძნობდა და ხედავდა. მაგრამ მისი მცდელობა, დაემყარებინა მტკიცე სამხედრო კავშირი დასავლეთის ბურჟუაზიულ დემოკრატიებთან, წარუმატებელი იყო.**

დუჩეს მიმართ უაზრო და უგონო მონამორჩილებას აღიარებდა და, როგორც ჰიტლერი ღაღადებდა, იბრძოდა „ჩვენი ხალხის ერთიანობის, ნებისა და სულისკვეთების აღორძინებისთვის“. ეს კი ნიშნავდა მშრომელთა მორჩილებას უმაღლესი ხელისუფლებისა და კასტის ინტერესების მიმართ, რაც გულისხმობდა სხვა ხალხების წინააღმდეგ აგრესიისა და ექსპლუატაციის განხორციელებას (არაფერი რომ არ ვთქვათ „დაბალი რასების“ განადგურებაზე).

ამის თაობაზე კვლავ და კვლავ გვიწევს საუბარი, რათა თანამედროვე მკითხველმა, რომელსაც ცრუპროპაგანდის კოლოსალური ძალებით შეუტიეს, შეძლოს სიმართლესთან მიახლოება და შემდეგ თვითონ გაერკვეს, რომელ მხარეს დადგება.

სტალინი ყველაფერს აკეთებდა ომის თავიდან ასაცილებლად, რომლის გარდაუვალობას იგი გრძნობდა და ხედავდა. მაგრამ მისი მცდელობა, დაემყარებინა მტკიცე სამხედრო კავშირი დასავლეთის ბურჟუაზიულ დემოკრატიებთან, წარუმატებელი იყო. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ დემოკრატიების მიერ გაქსუებული გერმანული ფაშიზმი მათვე დაესხა თავს, იძულებული გახდნენ, შეეცვალათ თავიანთი საგარეო პოლიტიკის მიმართულება. ფაშისტურმა დიქტატურებმა, სანამ აღმოსავლეთისკენ დაძრავდნენ თავიანთ ძალებს, დაიმორჩილეს დასავლეთი და ცენტრალური კონტინენტური ევროპის პრაქტიკულად ყველა ქვეყანა.

**სტალინმა თავისი დიპლომატიური ძალისხმევა წარმართა იქითკენ, რომ რაც შეიძლება გადაევადებინა ომის დაწყება და რაც შეიძლება უკეთ გამოეყენებინა სსრკ გეოპოლიტიკური მდგომარეობა მისი დაწყების დროისთვის.** ამით აიხსნება ის ნაბიჯები, რომლებიც გადადგა სტალინმა იტალიისა და გერმანიის ფაშისტურ რეჟიმებთან მშვიდობიანი ურთიერთობის გახანგრძლივების მიზნით.

ომის საშიშროების ზრდის ვითარებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშა მუსოლინის. მისთვის, ისევე, როგორც ფიურერისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო, არ დაეშვა საბჭოთა კავშირის მიერ სამხედრო ხელშეკრულების დადება ინგლისთან და საფრანგეთთან. ამ თვალსაზრისით რომისა და ბერლინის ინტერესები ერთმანეთს სრულად შეესაბამებოდა. მუსოლინის ესმოდა, რომ სტალინს სულაც არ სურდა, საბჭოთა ადამიანები საზარბაზნე ხორცად რომ ქცეულიყვნენ ბურჟუაზიული დემოკრატიების ინტერესების დასაცავად გამართულ ომში. მაგრამ სტალინისთვის არც სსრ კავშირის საერთაშორისო იზოლაცია იყო სასურველი. ამ ყველაფერს უნდა მიმხვდარიყო ჰიტლერი, რომელიც დასავლეთ ევროპაზე თავდასხმას გეგმავდა. მას თავი უნდა დაეცვა ორ ფრონტზე ომის საშიშროებისგან სსრ კავშირთან დაახლოების გზით.

მაგრამ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ურთიერთობა იმ ზომამდე იყო დაძაბული და გაფუჭებული, რომ მოსკოვთან ურთიერთობის გაუმჯობესების სურვილის შესახებ ბერლინიდან ინფორმაციის პირდაპირ მოწოდება შეუძლებელი იყო. საჭირო იყო შუამავალი. გარკვეული თვალსაზრისით ასეთი შუამავალი გახდა მუსოლინი.

1939 წლის 27 მაისს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა რიბენტროპმა გერმანიაში იტალიის ელჩს შესთავაზა, რომ იტალიის ელჩი საბჭოთა კავშირში შეხვედროდა სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეს ვ. პოტიომკინს და ეცნობებინა მისთვის, რომ გერმანიაში მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის მიმართ გერმანიის კურსის გადახედვა...

მეორე მსოფლიო ომის დაწყების კვირაძალს, მუსოლინი მიესალმა გერმანია-საბჭოთა კავშირის პაქტის დადებას, რადგან მას შესაძლებლობა მიეცა აქტიურად განეხორციელებინა თავისი პოლიტიკა ხმელთაშუა ზღვის რეგიონში. ინგლისმა და საფრანგეთმა თავიანთივე ბრალით დაკარგეს საბჭოთა კავშირის მხარდაჭერა.

1940 წლის შემოდგომაზე დუჩემ თავისი ძალები საბერძნეთისკენ დაძრა. მის არმიაში ალბანეთის საჯარისო ნაწილებიც შედიოდა.

საბერძნეთის დიქტატურა თითქმის სრულად ემთხვეოდა იტალიისას, ამიტომ დუჩე არ ელოდა ძლიერ წინააღმდეგობას. მაგრამ მოხდა ისეთი გაუთვალისწინებელი რამ, რომელმაც არა მარტო დაამსხვრია მისი ყველა გეგმა, არამედ იტალია გერმანიაზე დამოკიდებულ სახელმწიფოდ აქცია. ბერძენმა ხალხმა და საბერძნეთისარმიამ არა მარტო ძლიერი და მოულოდნელი წინააღმდეგობა გაუწია მომხდურებს, არამედ — ფრიად წარმატებულიც.

დუჩეს ჯარები თავიანთ ტერიტორიაზე რომ დაამარცხეს, ბერძნებმა ალბანელი პარტიზანების დახმარებით ალბანეთის მნიშვნელოვანი ნაწილიც გაათავისუფლეს. ამას დაემატა ინგლისელების მიერ იტალიელების დამარცხება აფრიკაში, რასაც შედეგად იტალიელების კოლონიური იმპერიის დიდი ნაწილის დაკარგვა მოჰყვა. იტალიაში გაძლიერდა დიქტატორის მოწინააღმდეგე ოპოზიცია.

მუსოლინი იძულებული გახდა დასახმარებლად ჰიტლერისთვის მიემართა. ფიურერი არ ჩქარობდა. მას ხელს აძლევდა, თუ იტალია თავის თავს რაც შეიძლება მეტად დაასუსტებდა, რადგან მსოფლიოს ბატონ-პატრონად მხოლოდ საკუთარ თავს წარმოიდგენდა.

მხოლოდ 1941 წლის დასაწყისში შეიჭრნენ გერმანელები საბერძნეთში და ბულგარეთის დახმარებით დაამარცხეს იგი. **და თუ იტალია-საბერძნეთის ომამდე მუსოლინი ზოგჯერ ფიურერისგან დამოუკიდებელ პოზიციას იკავებდა (უარი თქვა მეორე მსოფლიო ომში ჩართულიყო 1939 წელს; გააჭიანურა ომის გამოცხადება ინგლისისა და საფრანგეთისთვის), საბერძნეთში და ჩრდილოეთ აფრიკაში ფიასკოს შემდეგ, ჰიტლერის სრული გავლენის ქვეშ მოექცა და სრულად მასზე დამოკიდებული გახდა.** ფიურერმა მისთვის სატელიტის როლიღა გაიმეტა საბერძნეთის დიდ ნაწილსა და გერმანელების მიერ დაპყრობილ იუგოსლავიაში: ჰიტლერს არ სურდა გაეფანტა თავისი ძალები მათ საოკუპაციოდ. იგი აღმოსავლეთისკენ საომრად იწვევდა.

ადოლფ ჰიტლერი და ბენიტო მუსოლინი



სტალინმა თავისი დიპლომატიური ძალისხმევა წარმართა იქითკენ, რომ რაც შეიძლება გადაევადებინა ომის დაწყება და რაც შეიძლება უკეთ გამოეყენებინა სსრკ გეოპოლიტიკური მდგომარეობა მისი დაწყების დროისთვის

ჰიტლერი არ უმხელდა მუსოლინის საბჭოთა კავშირზე თავდასხმის ზუსტ თარიღს. თუმცა დუჩე ხვდებოდა, როდისთვის იყო დანიშნული ეს დღე იქსი. იტალიის სამხედრო დაზვერვის უფროსმა აცნობა, რომ ომი 1941 წლის 15 ივნისს დაიწყებოდა. მუსოლინიმ გასცა ბრძანება, გაემზადებინათ 3 დივიზია აღმოსავლეთ ფრონტზე გასაგზავნად. იგი ფაშისტების გამარჯვებაში იყო დარწმუნებული. მაგრამ ძალიან მალე წაუხდა ნირი. სულ უფრო იზრდებოდა იტალიის საექსპედიციო კორპუსის დანაკარგები, განსაკუთრებით 1941-1942 წლების ზამთარში. დუჩემ მნიშვნელოვნად გაზარდა კორპუსის შემადგენლობა, მაგრამ მისმა მე-8 არმიამ არსებობა შეწყვიტა სტალინგრადთან ბრძოლის შედეგად.

ბენიტო მუსოლინი და კლარა პეტაჩი თავდაყირა დაკიდებული სახრჩობელაზე



და მაშინ მუსოლინი კიდევ ერთხელ, თავის ცხოვრებაში უკანასკნელად შეეცადა, მოლაპარაკებოდა სტალინს. იგი აპირებდა ჰიტლერისთვის შეეთავაზებინა საბჭოთა კავშირთან სეპარატისტული ზავის დადება და ჯარების გადასროლა ხმელთაშუა ზღვის რეგიონში ინგლისელებისა და ამერიკელების წინააღმდეგ, რომლებმაც ჩრდილოეთ აფრიკაში გადმოსხეს თავიანთი შეიარაღებული ძალები. ფიურერის თანხმობის გარეშე მისი ჩანაფიქრი ვერ განხორციელდებოდა.

ძნელია იმის გაგება, თუ რისი იმედი ჰქონდა დუჩეს. ამგვარი სამშვიდობო შეთანხმება გაცხარებული ომის დროს ჰიპოთეტურადაც ძნელი წარმოსადგენია. ალბათ, ეს იყო ისეთი სიტუაცია, როცა წყალწაღებული ხავს ეპოტინება და ასე ცდილობს თავის გადარჩენას. თუმცა მუსოლინის იმედი მისცა: იაპონიამ, რომელმაც მხარი დაუჭირა მის ინიციატივას. მაგრამ ჰიტლერს უსაზღვროდ სძულდა საბჭოთა კავშირი, ხოლო სტალინი, რომელიც დარწმუნებული იყო ჰიტლერის ორპირობაში, რომელმაც იცოდა, თუ რა დიდი მსხვერპლი გაიღო და რა ტანჯვა-წამება ხვდა წილად საბჭოთა ხალხს ფაშისტური აგრესიის შედეგად, ჰიტლერთან არავითარ შეთანხმებას მხარს არ დაუჭერდა.

ბოლო ოცწლეულის ზოგიერთი ვაიმკვლევარი იმდენად მედროვე აღმოჩნდა, რომ განაცხადა, საბჭოთა ტერიტორიის გათავისუფლების შემდეგ სტალინმა განახორციელა აგრესია ევროპის წინააღმდეგ. ასეთ შეხედულებაში მეცნიერულ კვლევის კი არა, საღი აზრის ნატამალიც არ ჩანს. საბჭოთა ჯარები საზღვართან რომ გაჩერებულიყვნენ, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, ფაშიზმი, კაცობრიობის ეს შავი ჭირი დღესაც იარსებებდა და, სავსებით შესაძლებელია, მსოფლიოს ბატონ-პატრონადაც მოგვლინებოდა.

**მოკლედ, სტალინისთვის აგრესორობის დაბრალება ერთ მიზანს ემსახურება — დააკნინონ საბჭოთა კავშირისა და მისი შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის როლი კაცობრიობის ფაშიზმისგან გათავისუფლების საქმეში.**

ფიურერი არა მარტო საბჭოთა კავშირის, კომუნისტებისა და „დაბალი რასების“, არამედ თვით გერმანელი ხალხის მტერი იყო. სეპარატისტული სამშვიდობო ხელშეკრულების დადება ნაცისტების ინტერესების სასარგებლო აქტი იქნებოდა. ფიურერი ნაცისტური იდეის ფანატიკოსი იყო, მსოფლიო ბატონობის ბოდვითი იდეით შეპყრობილი ავადმყოფი, მიაჩნდა, რომ მას, გერმანელი ხალხის ბელადს, არიული რასა ზებუნებრივი ძალების დახმარებითა და შემწეობით „ზეადამიანის“ გამარჯვების გზით მიჰყავდა. პირველ ზეადამიანად, ცხადია, საკუთარ თავს წარმოიდგენდა...

**მუსოლინის დასუსტების კვალად სტალინს სულ უფრო ეკარგებოდა მისდამი ინტერესი. ხოლო 1943 წლის ზაფხულში დუჩეს დამხობის შემდეგ სულაც დაივიწყა იგი.**

იმავე წლის 3 სექტემბერს ინგლის-ამერიკის ჯარების შეტევის შედეგად იტალიამ კაპიტულაცია გამოაცხადა. მუსოლინი მალევე დააპატიმრეს და ციხეში გამოკეტეს. ოტო სკორცენიმ თავისი „სპეცრაზმით“ — გერმანელი პარაშუტისტების დანაყოფით — გაათავისუფლა იგი. გერმანელების დახმარებით დუჩემ ჩრდილოეთ იტალიაში — ლომბარდიაში შექმნა რესპუბლიკა სალო, გამოაცხადა იტალიის ახალი აღორძინება, მისი შებღალული ღირსებისა და დიდების აღდგენა კაპიტულაციის სირცხვილის ჩამოსარეცხად, რომელსაც ხელი მოაწერა მეფე ვიქტორ-ემანუილმა. რესპუბლიკა სალო ცნეს გერმანიამ, იაპონიამ, რუმინეთმა, ბულგარეთმა, ხორვატიამ და სლოვენიამ. მუსოლინი შეეცადა, ტერორითა და მხურვალე სიტყვებით გაეღვიძებინა ქვეშევრდომთა საბრძოლო სულისკვეთება (მან თავისი სიძე, დის ქმარი გრაფი ჩიანო კიდეც დახვრიტა). მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა. იტალიელები არ ისწრაფოდნენ თავი შეეწირათ დუჩესა და ფაშისტური ხელისუფლებისთვის.

**გერმანელების სამხედრო ნაწილებთან ერთად უკანდახევის დროს მუსოლინი იტალიელმა პარტიზანებმა დაატყვევეს, დახვრიტეს თავის საყვარელთან — კლარა პეტაჩისთან ერთად და ცხედრები მოედანზე თავდაყირა დაკიდეს** (ლეგენდის მიხედვით, ჰიტლერი სწორედ ასეთმა ფინალმა შეაძრწუნა და თავის ქვეშევრდომებს დაავალა, რომ მისი და ევა ბრაუნის ცხედრებს თვითმკვლელობის შემდეგ რაიხსტაგის ეზოში დაეწვათ. — ა.ს.).

ასე სამარცხვინოდ დამთავრდა დუჩეს და იტალიური ფაშიზმის ისტორია.

**გაგრძელება იქნება**

რუბრიკას უძღვება **არმაზ სანებლიძე**

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ავღანეთში 6 ტყუპი გაჩნდა

**24 წლის ავღანელმა შარანმა ავღანეთის ქალაქ მაზარ-ე-შარიფის ჰოსპიტალში 6 ტყუპი გააჩინა — სამი ბიჭი და სამი გოგონა. ეს მისი პირველი ფეხმძიმობა იყო.** ავღანელი ქალი ბალკჰის პროვინციიდანაა და ფეხმძიმობის დროს ექიმთან არ დადიოდა, ამიტომ 6 ტყუპი მისთვის მოულოდნელობა იყო. მცირე წონის გამო ახალშობილები ინკუბატორში მოათავსეს. პატარები ექთნებისა და ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ არიან. დედა თავს კარგად გრძნობს. დედას პატარების მოშორება სურდა და აბორტის გაკეთებას აპირებდა. „სიმაღლიდან გადმოვხტი, რათა მუცელი მომშლოდა, მაგრამ ბავშვებს არაფერი მოსვლიათ“, — განაცხადა ქალბატონმა. „ჩვენ არ ვიცოდით, რომ შარანი მუცლით 6 ბავშვს ატარებდა. ეს ნამდვილი სასწაულია. ასეთ ფეხმძიმეებს მშობიარობამდე რამდენიმე დღით ადრე საავადმყოფოში ვტოვებთ. ამ შემთხვევაში, მშობიარეს ნამდვილად გაუმართლა“, — განაცხადეს ექიმებმა. ავღანეთი ფეხმძიმეთა და ახალშობილთათვის მსოფლიოში ყველაზე საშიშ ქვეყნად ითვლება. სტატისტიკური მონაცემებით, ავღანეთში 5 წლამდე ასაკის 10 ბავშვიდან ერთი იღუპება.

# ყველაზე სწრაფი მშენებლობა

**კომპანია „Broad Group“-ის მშენებლებმა ახალი სამშენებლო რეკორდი მოხსნეს, როდესაც 30-სართულიანი სასტუმრო სულ რაღაც 15 დღეში ააგეს.**



ერთი წლის წინ მსოფლიო გაოგნებით უყურებდა ვიდეორგოლს, რომელშიც ნაჩვენები იყო, თუ როგორ ააშენეს ჩინელმა მშენებლებმა 15-სართულიანი სასტუმრო „Ark Hotel“-ი ქალაქ ჩანშში 6 დღეზე ნაკლებ დროში.

იმ დროს, როცა მთელი დასავლური სამყარო შობისთვის და ახალი წლისთვის ემზადებოდა, ჩინელი მშენებლები ახალი პროექტის განხორციელებას იწყებდნენ და მის 31 დეკემბრისთვის დასრულებას გეგმავდნენ. თუმცა მშენებლობის დაწყებამდე სერიოზული სამუშაოები ჩატარდა საძირკვლის გასამაგრებლად და შეიქმნა ამ შენობის აწყობისთვის საჭირო ელემენტები.

**30-სართულიანი ცათამბჯენის დედაბოძად ფოლადის კარკასი გამოიყენეს და სწორედ ამ კარკასს უმაგრდება შენობის სხვა დანარჩენი კონსტრუქციები. პანელებს, რომლებიც ფოლადის კარკასზე მაგრდებოდა, უკვე ჩამონტაჟებული ჰქონდა სასტუმროს ფუნქციონირებისთვის საჭირო კომუნიკაციები – მილები, ელექტრო გაყვანილობა, ვენტილაცია. ასე რომ, მშენებლებს ამაზე დრო არ დაუკარგავთ.**

უფრო მეტიც, 15 დღეში არა მხოლოდ შენობის კედლები აშენდა, არამედ — ფუნქციონირებისთვის სრულიად გამზადებული სასტუმრო თავისი კომუნიკაციებით და ავეჯით ყველა ოთახში.

30-სართულიანი ცათამბჯენი 17 000 კვადრატულ მეტრ ფართობს მოიცავს. ყველაზე თანამედროვე ენერგოეკონომიის ტექნოლოგიების წყალობით კი ეს შენობა 5-ჯერ ნაკლებ რესურსებს მოიხმარს, ვიდრე სხვა მისი ანალოგიური შენობები. ხოლო ჰაერი ამ შენობაში 20-ჯერ უფრო სუფთა იქნება, ვიდრე სხვა ცათამბჯენებში. ყველაფერს კი მაღალტექნოლოგიური დასუფთავების კომპიუტერიზირებული სისტემა გააკონტროლებს.

შენობას შეუძლია 9-ბალიან მიწისძვრას გაუძლოს.












# ცეროდენა მანქანა

**ფოსტალიონი პოლ ჰარისი ყველგან მანქანით დადის. Peel P50-ის მოდელის მანქანა ბრიტანული კლასიკური მანქანის ვერსიაა, რომელიც 1962-1965 წლებში გამოუშვეს. მაშინ მხოლოდ 50 მოდელი დაამზადეს. მანქანა სამბორბლიანია და ერთ მგზავრზეა გათვლილი.**

ცეროდენა მანქანა თავისუფლად თავსდება ლიფტში და შეზღუდვების გარეშე მოძრაობს შენობის დერეფნებში. მანქანა იმდენად პატარაა, მისი პარკირება სამუშაო მაგიდის გვერდითაც შეიძლება. ამ მანქანით ვერ იმგზავრებთ ავტომაგისტრალებზე. სამაგიეროდ, პოლ ჰარისი სასადილოში მანქანით დადის.

**„მანქანის წყალობით, ყოველთვის ყურადღების ცენტრში ვარ. ქალბატონებს ჩემი მანქანა ძალიან მოსწონთ“,** — განაცხადა ჰარისმა.




# ყველაზე მაღალი სასტუმრო

სასტუმრო Ritz Carlton-ი, რომელიც ჰონკონგში მდებარეობს, ყველაზე მაღალი სასტუმროა. იგი international Commerce Centre-ს შენობის 102-118 სართულს იკავებს და სიმაღლეში 488 მეტრია.

ყველაზე მაღალი სასტუმრო მოიცავს 312 მდიდრულ აპარტამენტს, 6 რესტორანს, სპა-ზონასა და შუშის საცურაო აუზებს, რაც მის ლუქსის სტატუსს შეესაბამება.















## სქესშეცვლილმა წყვილმა მეორედ იქორწინა

**ბარი და ენი ვოთსონებმა პირველად 2002 წელს იქორწინეს. 9 წლის შემდეგ კი მათ საქორწინო ფიცი თავიდან დადეს.** ქმარმა ორიენტაცია შეიცვალა. ამჯერად ისინი არა როგორც ცოლ-ქმარი, არამედ როგორც ერთსქესიანი წყვილი, ისე დაოჯახდნენ. ბარიმ სქესი შეიცვალა და ჯეინი დაირქვა. ენი იხსენებს, როგორ განრისხდა, როდესაც მეუღლემ განუცხადა, რომ სქესის შეცვლა სურდა. 53 წლის ენიმ 43 წლის ქმარს არ დაუჯერა და იფიქრა, რომ ის სხვასთან ღალატობდა. როდესაც ენიმ პირველად დაინახა საყვარელი მეუღლე ქალის სამოსში, გაოგნდა, მაგრამ დროთა განმავლობაში მიხვდა, რომ მის მიმართ გრძნობა არ შეცვლია. „ადამიანებმა, შესაძლოა, იფიქრონ, რომ გავგიჟდი, მაგრამ მთავარია, რომ ჩემს ცოლს ვუყვარვარ," — ამბობს ბარი.

ქრონოგრაფი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უცნაური მილიონერი



**შვედეთის პატარა ქალაქ სკელეფტეაში ცხოვრობდა ერთი ღატაკი კურტ დეგერმანი, რომლის ცხოვრება არაფრით განსხვავდებოდა სხვა ბომჟების ყოველდღიური ყოფისგან. იგი ნაგავში იქექებოდა, იქ პოულობდა საკვებს და ტანსაცმელს. ძირითად დროს ლუდის ქილების ძებნაში ატარებდა, ამ ქილებს კი აგროვებდა და აბარებდა. ამის გამო მას ზედმეტსახელი „ლუდის ქილაც" კი შეარქვეს.**



კურტი 60 წლის ასაკში გარდაიცვალა. სიკვდილამდე მან დატოვა ანდერძი, რომელშიც წერდა, რომ მთელ თავის ქონებას უტოვებდა ბიძაშვილს, რომელიც სიცოცხლეში ხანდახან მოინახულებდა ხოლმე.

ანდერძი ძალაში შევიდა და, წარმოიდგინეთ, ყველა გააოცა, როცა აღმოჩნდა, რომ სიკვდილის შემდეგ მან დატოვა 8 მილიონი კრონის (1,1 მილიონი დოლარი) აქციები და სხვადასხვა ფასიანი ქაღალდი შვეიცარიის ბანკში. გარდა ამისა, მას ერთ-ერთ ბანკში ჰქონდა ანგარიში, რომელზეც 6500 დოლარი აღმოჩნდა, ამასთან, ის ბანკში ინახავდა 124 ოქროს ზოდს, რომელთა საერთო ღირებულებამ 2,6 მილიონი კრონი (300 000 დოლარი) შეადგინა.

კურტის ბიძაშვილის აზრით, მან ყველაფერს გაზეთების რეგულარული კითხვით მიაღწია. ის ყოველდღე დადიოდა ბიბლიოთეკაში, რადგანაც გაზეთებს არასოდეს ყიდულობდა, კითხულობდა „Swedish Business Daily"-სა და „Dagens Industri"-ს, ასე რომ, გათვითცნობიერებული იყო ფინანსურ ბირჟებზე მიმდინარე პროცესებში.

დეგერმანის სიკვდილის შემდეგ მისმა ბიძაშვილმა ვერ შეძლო მთლიანად დაუფლებოდა ქონებას, რადგან საქმეში ჩაერთო ბიძა, რომელმაც ნათესავის მიმართ ინტერესი მხოლოდ მაშინ გამოხატა, როცა დატოვებული ქონების შესახებ გაიგო და სასამართლოში შეიტანა სარჩელი, რომლითაც წილს ითხოვდა. პროცესი 4 თვეს გაგრძელდა და ყველაფერი შეთანხმებით დამთავრდა — ნათესავებმა ქონება გაიყვეს. ვის რამდენი შეხვდა, უცნობია, თუმცა მხარეები კმაყოფილი დარჩნენ შედეგით.

როგორც ამბობენ, კურტი ბავშვობაში ძალიან ნიჭიერი იყო და მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, თუმცა დეგერმანმა გადაწყვიტა, წასულიყო საზოგადოებიდან და სოცილური კიბის ყველაზე დაბალ საფეხურზე აღმოჩნდა.

# სოციალური ქსელი მდიდრებისთვის

**მდიდრები რიგითი ადამიანებისგან არამარტო რეალურ ცხოვრებაში, არამედ კიბერსივრცეშიც უნდა გამოირჩეოდნენ. ამის შესახებ დავოსში მიმდინარე ეკონომიკურ ფორუმზე ისაუბრეს და მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანებისთვის ცალკე სოციალური ქსელის შექმნის თაობაზეც იმსჯელეს.**



ქსელის შექმნის ინიციატორი პროგრამული უზრუნველყოფის კომპანიის Tibco-ს დამფუძნებელი ვივეკ რანადივია. მისი აზრით, პირველ ეტაპზე ახალშექმნილ სოციალურ ქსელში მსოფლიოს 200 ყველაზე მდიდარი და გავლენიანი ადამიანი უნდა გაერთიანდეს. რანადივის თქმით, ასეთი გაერთიანებები მსოფლიოს უკეთესობისკენ შეცვლის საშუალებას მისცემს. მათ მარტივად შეეძლებათ, გლობალური პრობლემების მოგვარებისთვის თავიანთი ძალისხმევა გააერთიანონ. რანადივის ინიციატივას მხარს უჭერს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის დამაარსებელი კლაუს შვაბიც.

ახალი ქსელი TopCom ფეისბუქის, ტვიტერისა და სკაიპის შესაძლებლობებს მოიცავს. რანადივი ირწმუნება, რომ ის საიმედოდ იქნება დაცული. ქსელი მუშაობას ფორუმის დასრულების შემდეგ დაიწყებს.

# ეკოლოგიურად სუფთა თვითმფრინავი

**ამერიკელმა დიზაინერმა უილიამ ბრაუნმა ახალი, ეკოლოგიური თვითმფრინავის კონცეფცია დაამუშავა.**



იგი წყალბადის საწვავით იფრენს და შეძლებს დედამიწის ნებისმიერ წერტილამდე დამატებითი საწვავის გარეშე მიფრინდეს. საჰაერო ხომალდის ეს პროექტი ავსტრალიური ფრინველის, პატარა თითისტარას აგებულების საფუძველზე შეიქმნა. ეს ფრინველი მსოფლიო რეკორდსმენია გადაფრენის ხანგრძლივობით – 11 680 კილომეტრი ავსტრალიიდან ალასკამდე.

ბრაუნმა თავისი ქმნილება იმ კომპანიას მიუძღვნა, რომელიც მფრინავი აპარატების ერთ-ერთი უმსხვილესი დამმუშავებელია და თვითმფრინავსაც სწორედ მისი სახელი უწოდა – Lockheed Stratoliner.

**ფრთების განსაკუთრებული მოწყობილობის გამო, ისინი უფრო დიდია, ვიდრე ჩვეულებრივი თვითმფრინავების ფრთები და თან დაბლაა დახრილი — თვითმფრინავი მეტწილად ჰაერში ილივლივებს გამორთული ან მცირე სიმძლავრეზე მომუშავე ძრავებით. სრულ სიმძლავრეზე ტურბორეაქტიული წყალბადის ძრავები მხოლოდ აფრენისას, სიმაღლის აღებისა და განსაკუთრებულ შემთხვევებში ჩაირთვება, ანუ ატმოსფეროს დამაბინძურებელი გამონაბოლქვიც მინიმალური იქნება.**

ამ იდეის სუსტი მხარე თვითმფრინავის შემცირებული მდგრადობაა. ეს იმას ნიშნავს, რომ კომპიუტერს ან პილოტს, გამუდმებით მოუხდება „შეასწოროს" აპარატის მდგომარეობა. ამან კი შეიძლება მგზავრებს დისკომფორტი შეუქმნას. მიუხედავად ამისა, დიზაინერის თქმით, მთელი პროექტი გათვლილია უახლოეს მომავალზეა, იმ დროისთვის, როცა საბორტო კომპიუტერები შეძლებენ ეფექტურად მართონ და შეინარჩუნონ სტაბილურობა ფრთების ასეთი კონსტრუქციის შემთხვევაშიც კი. ამას გარდა, მაშინ უფრო მყარი და მსუბუქი მასალები გვექნება, რათა შეიქმნას საჭირო ზომის მყარი ფრთები.





# 13 წლის მამა

**ინგლისელი ბიჭი 13 წლის ასაკში მამა გახდა, ხოლო დედა შანტელი 15 წლისაა. ბავშვებმა როცა გაიგეს ორსულობის შესახებ, გადაწყვიტეს, ბავშვი გაეჩინათ, მაგრამ სკანდალი ამით არ დამთავრებულა. მას შემდეგ, რაც წყვილი მთელ ქვეყანაში ცნობილი გახდა, კიდევ ორმა — 14 და 16 წლის მოსწავლემ — განაცხადა, რომ ჰქონდათ სექსუალური კავშირი შანტელთან, სავარაუდოდ, იმ დროს, როცა ბავშვი ჩაისახა და ასევე შეიძლება იყვნენ ბავშვის მამები. საბოლოოდ გადაწყდა, რომ ბავშვს გაუკეთებენ დნმ-ის ანალიზს და ეს გადაწყვეტს, თუ ვინაა ნამდვილი მამა.**



# Goodbye, Mikheil,

## ანუ როგორ ჩაატარებს აშშ არჩევნებს საქართველოში

### ნაწილი პირველი: «ერთხელ ამერიკაში...»

**საქართველოში მიმდინარე დღევანდელი პოლიტიკური პროცესების ანალიზისა და მომავლის პროგნოზების გაკეთებისას არ შეიძლება ისეთი მოვლენის გაუთვალისწინებლობა, როგორიცაა 2012 წლის 30 იანვარს ვაშინგტონში, თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში, აშშ-ისა და საქართველოს პრეზიდენტების შეხვედრა.**



სანდო წყაროების მტკიცებით, ეს შეხვედრა ქართველ გადასახადის გადამხდელებს რამდენიმე მილიონი დოლარი დაუჯდათ (სახელდება სხვადასხვა ციფრი – 2-დან 50 მლნ დოლარამდე), რომელიც მისი ორგანიზებისათვის სამ ამერიკულ ლობისტურ კომპანიას – The Podesta Group-ს, The Ilfacta Goup-სა და Gephardt Group-ს გადაუხადეს.

შეხვედრა სულ 15 წუთს გაგრძელდა, ხოლო დანარჩენი, ვითომდა ერთ საათამდე დამრგვალებული წუთები წაიღო: ერთობლივმა ბრიფინგმა (პრეზიდენტთა მოკლე განცხადებებმა) მისი დასრულებისას და სამახსოვრო ფოტოსესიამ აშშ-ის პრეზიდენტთან, რითაც ობამამ არნახულად გააბედნიერა ქართული დელეგაცია.

რთული მისახვედრი როდია, თუ რაზე ისაუბრეს პრეზიდენტებმა დახურულ კარს მიღმა 15 წუთის განმავლობაში: სავარაუდოდ, მხოლოდ საქართველო-რუსეთის ურთიერთობებსა და საქართველოში მოსალოდნელ არჩევნებზე, სააკაშვილის ხელისუფლებიდან წასვლისა და მის მიერ ამერიკელთა სხვა ხელდასხმულებისთვის – თარგამაძის, ბოკერიას, ხიდაშელის, ალასანიას, უგულავასთვის – ძალაუფლების გადაცემაზე (თანაც, აქედან პირველი სამი, ასევე, ვაშინგტონში იმყოფებოდა, მიშასგან სხვადასხვა მანძილზე...). იმიტომ, რომ 15 წუთის განმავლობაში კიდევ სხვა თემებზე მსჯელობა პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა. ამას მოწმობს ის კაზუსიც, რომ **ბარაკ ობამა იმ „დახურული“ 15 წუთის განმავლობაში ისე ხშირად წარმოთქვამდა სიტყვას „რუსეთი“, რომ ავტომატურად წამოსცდა იგი შემდგომაც – ბრიფინგზე, როცა საქართველოს შეცდომით რუსეთი უწოდა.**

თუმცა „თემების განხილვა“ ზედმიწევნით ხმამაღალი ნათქვამია: სავარძლის კიდეზე ჩამომჯდარმა გაყუჩებულმა სააკაშვილმა, როგორც ამბობენ, 15 წუთის განმავლობაში აშშ-ის პრეზიდენტის ჯერ მკაცრი ლექცია მოისმინა დემოკრატიაზე, თანაც, ორგანიზატორებისგან წინდაწინ მიიღო კონკრეტული ინსტრუქციები — თუ რა და როდის ეპასუხა ობამასთვის; ხოლო ბრიფინგზე — არავითარ შემთხვევაში არ წამოსცდენოდა თავისი საყვარელი, ყოველ საჯარო გამოსვლაში გამოყენებული პასაჟები პირსისხლიან ოკუპანტ რუსეთსა და პუტინზე, რომელიც ერთი ადგილით ჩამოკიდებას შეჰპირდა; **და რაც მთავარია – საქართველოში დაბრუნების შემდეგ, არავითარ შემთხვევაში მეტად აღარ უნდა გაამწვავოს ურთიერთობები რუსეთთან და ხელი არ უნდა შეუშალოს ამერიკელ სპეციალისტებს, საქართველოში საპარლამენტო არჩევნები ისე ჩაატარონ, როგორც ეს ოფიციალურ ვაშინგტონს სჭირდება, ანუ – კავკასიაში აშშ-ის სახელმწიფო და არა მისი – სააკაშვილის, პირადი ანდა ნაცპარტიული ინტერესების შესაბამისად.**

ყინულოვანი შხაპივით გამოსაფხიზლებელი ამ სიურპრიზის გამო, თავისი არტისტიზმის მიუხედავად, სააკაშვილმა ამ დაბნეულობისა და უკმაყოფილების დაფარვა ვერ შეძლო. ობამასთან ტეტ-ა-ტეტ შეხვედრის შემდეგ პირველსავე წუთებში ყველაზე უყურადღებოებმაც კი შენიშნეს მისი დაბნეული მზერა და ისიც არ გამოჰპარვიათ, რომ ერთობლივი ბრიფინგისას საქართველოს პრეზიდენტი აშშ-ის პრეზიდენტს თვალს არიდებდა და გამუდმებით განზე იყურებოდა... სწორედ ამიტომ სააკაშვილმა დაგვიანებით შენიშნა, რომ მედიისათვის გაკეთებული განცხადების დასრულების შემდეგ ობამამ მას ხელი გაუწოდა!

მიუხედავად ამისა, როგორც კი სააკაშვილი ობამას დაემშვიდობა, მყისვე გამოერკვა მიღებული შოკისგან და თავის ჩვეულ, ნახევრადთავაშვებულ ფორმას დაუბრუნდა (ამ ორს გარდა ხომ არავის გაუგონია, თუ რა უსიამო სიტყვების მოსმენა მოუხდა რამდენიმე წუთის წინ დახურულ კარს მიღმა!). სააკაშვილმა ამაყად განუცხადა ქართველ ჟურნალისტებს: **„მე არაერთხელ ვყოფილვარ ოვალურ კაბინეტში, თუმცა უწინ არასდროს დამიტოვებია იგი ასეთი კონკრეტული შედეგებით!“**

**და მაინც, როგორია ეს „კონკრეტული შედეგები“?** მოდი, საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია გავაანალიზოთ.

დავიწყოთ იმით, რომ საქართველომ ამერიკის პრეზიდენტისგან რეგიონული პირველობის მანდატი მიიღო „დემოკრატიისა და გამჭვირვალობის მოდელის შექმნისთვის“ (ისევე, როგორც თავის დროზე ჯორჯ ბუშ-უმცროსისგან — კავკასიაში „დემოკრატიის შუქურის“ წოდება). **ეს სააკაშვილის მიერ მიღებული დივიდენდი იყო რუსეთის მსო-ში გაწევრებაზე საქართველოს თანხმობის სანაცვლოდ. უფრო მეტიც — საქართველოს ამის საწინააღმდეგოდ რომ მიეცა ხმა, აშშ-ის პრეზიდენტთან შეხვედრაზე ლაპარაკიც ზედმეტი იქნებოდა, თუნდაც ზემოხსენებული ლობისტური კომპანიებისთვის 10-ჯერ მეტი მილიონი დოლარი გადაეხადათ!** ეს ერთი.

მეორეც (რაც უფრო მნიშვნელოვანია), ეშმაკმა ობამამ განაცხადა: **„მინდა, აღვნიშნო ის სამუშაო, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ წარსულში ჩაატარა, და, ასევე, ველი სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების ჩატარებას მომავალში“**, და, ამასთან, თითქოსდა სასხვათაშორისოდ, დასძინა: **„ხელისუფლების გადაცემა, რასაც ადგილი ექნება საქართველოში, ვფიქრობ, განამტკიცებს იმ მრავალ რეფორმას, რომლებიც უკვე მიმდინარეობს“.**

ამის პასუხად, ცელქი მოსწავლესავით თვინიერმა მიშამ მიუგო, რომ მომავალ წელს საქართველო ახალ პრეზიდენტს აირჩევს, რაც საშუალებას მისცემს, კიდევ უფრო მეტად „განავითაროს“ ისედაც „განვითარებული“ ქართული დემოკრატია, რაც ხელს შეუწყობს პლურალისტული და მრავალფეროვანი პოლიტიკური გარემოს შექმნას.

**საკითხავი მხოლოდ ისაა – საითღა უნდა განვავითაროთ ქართული დემოკრატია, თუკი ჯერ კიდევ 2005 წლის მაისში ამ სფეროში აშშ-ის მიერ პოსტსაბჭოთა სივრცეში, ბალტიისპირეთის ქვეყნების გარდა, საუკეთესოთა შორის საუკეთესოდ გვაღიარეს?! და ხომ არ გადაიზრდება ჩვენი დემოკრატია ელემენტარულ ანარქიასა და თვითნებობაში, ხალხის მიერ „უმაღლესი ხარისხის თავისუფლებების“ შეძენის გამო?..**

ურიგო როდი იქნებოდა, პასუხი თავად ბატონ ობამასგან ან ქალბატონ კლინტონისგან მოგვესმინა... თუმცა, დიდი ალბათობით, გამოთქმული თვალსაზრისი, რომელმაც ჩვენს პრეზიდენტს ფრთები შეასხა, ჩვეულებრივ ორმაგ ამერიკულ სტანდარტებს უნდა მივაწეროთ, პოლიტკონიუნქტურის ანდა მორიგი დიპლომატიური თავაზიანობის გამოისობით. რადგან, იმავე სტანდარტების მიხედვით, დემოკრატებად მიიჩნევიან ჩვენი მეზობლებიც — კავკასიის ქვეყნების, ანდა, იმავე პოლიტსაჭიროების გამო, უზბეკი და ტაჯიკი ლიდერებიც.

ანეკდოტური პოლიტიკური ამერიკანიზმების ნუსხა იოლი გასაგრძელებელია, თუმცა საფიქრებელია, რომ სააკაშვილისა და ობამას ოკეანისგაღმური შეხვედრის პრიზმაში განმსაზღვრელია ის, რომ საქართველოს ლიდერმა აშშ-თვის უკვე შეიძინა „დაცლილი მჭიდის ვაზნის“ სტატუსი. მას „ფარულად“ სთავაზობენ, მეტად აღარ იონავროს და დამსახურებულ პენსიაზე გავიდეს საქართველოში სამაგალითო არჩევნების (და საკუთარი გადარჩევის) ჩატარების შემდეგ. ნათელია, რომ ეს ყველაფერი შუბლში კი არ მიახალეს, როგორც უწინ ხდებოდა საბჭოთა რესპუბლიკებში პარტიული გადაადგილებების დროს, არამედ, მკაფიოდ ამერიკულ სტილში happy end.

**თუმცაღა, სავარაუდოდ, მძლავრ ემოციურ სტრესს დაქვემდებარებული მგზნებარე კავკასიელის უყურადღებოდ დატოვებას ამერიკელები არ აპირებენ, მით უფრო, 08.08.08 ომის გაკვეთილების გათვალისწინებითა და მის მიერ ვაშინგტონის მესიჯების უმართებულოდ გაგების და, ასევე, თავად სააკაშვილის „უნებლიე“ გამონათქვამების შემდეგ, რომ იგი უარზე როდია, პრეზიდენტის სავარძელი პრემიერისაზე გაცვალოს. საქართველოს ამჟამინდელი ხელმძღვანელის ეს „მოწოდებით მიზანსწრაფულობა“ არ შეიძლება არ აფრთხობდეს სააკაშვილის პატრონებს, რომლებიც საქართველოს სახით არა მარტო საკუთარი სტრატეგიული ინტერესებისა და ექსპერიმენტების ობიექტს, არამედ მსოფლიო ამერიკული წესრიგის დამყარების გზაზე ერთ-ერთ საკვანძო პუნქტსაც ხედავენ.**

ნუ დავივიწყებთ, რომ დიდი ხნის წინ დაწყებულმა „საქართველო-ამერიკის მეგობრობამ“ დოკუმენტური დადასტურება ჯერ კიდევ 2009 წლის იანვარში მიიღო — **„აშშ-სა და საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიით“.** იმის გარდა, რომ მასში ოფიციალურად კონსტატირებულია საქართველოს ახალი პატრონების გამოჩენა, მკაფიოდ არის განსაზღვრული ჩვენი „ოკეანისგაღმელი მეგობრების“ პრიორიტეტებიც. ეს, რა თქმა უნდა, ორსაუკუნოვანი, ქართლ-კახეთის მეფის, ერეკლე მეორეს მიერ აღიარებული რუსეთის უმაღლესი ხელისუფლებისა და მფარველობის დამადასტურებელი გეორგიევსკის ტრაქტატის პირწმინდა ასლი არ არის — დოკუმენტი თანამედროვე დიპლომატიის ენაზეა გაფორმებული, რომელიც **მეგობრობისა და პარტნიორობის საფარველით საქართველოს სრული ამერიკანიზაციის დაკანონებას ახდენს, ვალდებულებათა ქსელში ახვევს და ამერიკულ მხარეს უფლებას ანიჭებს, მოიმოქმედოს ყველაფერი, რაც და როცა სურს.**

ჯერ მარტო ეს სტრიქონები რად ღირს: **„ხაზს ვუსვამთ, რომ თანამშრომლობა ჩვენს დემოკრატიებს შორის** (ამერიკელების მიერ ყველაზე ხშირად განმეორებადი სიტყვა!) **დაფუძნებულია საერთო ღირებულებებსა და ინტერესებზე, მათ შორის – დემოკრატიისა და ეკონომიკური თავისუფლების განვითარებაზე, უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვაზე, კანონის უზენაესობისა და ადამიანთა უფლებების განმტკიცებაზე, ყველა ლტოლვილისა და იძულებით გადაადგილებული პირის ღირსეული, უსაფრთხო და ნებაყოფლობითი დაბრუნების უფლებების ჩათვლით, ტექნოლოგიური მიღწევებისა და ინოვაციების მხარდაჭერისა და ევრაზიაში ენერგეტიკული უსაფრთხოების განმტკიცებაზე“.**

არსობრივად, ესაა ლამაზი სიტყვებისა და სენტენციების ნაკრები, რადგან ამერიკელებთან **„საერთო ინტერესები“** და **„საერთო ღირებულებები“** ცოტა გვაქვს. მიუკერძოებელი მიდგომის თანახმად, ამ განზომილებებში შეუძლებელია, იყოს პარიტეტი იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც დიამეტრულად განსხვავებულ „წონით კატეგორიებში“ არიან. ერთი მათგანი ეს-ესაა ემშვიდობება თავის საბჭოთა წარსულსა და „შინაარსს“, ხოლო მეორემ – შესამჩნევი ხარვეზით დატოვა რასიზმისა და სეგრეგაციის „აკვანი“ 60-იან წლებში. გახსოვთ ანეკდოტი: **„ისინი გვეუბნებიან — პროდუქტი ცოტა გაქვთ, ჩვენ კი ვპასუხობთ — სამაგიეროდ, თქვენთან ზანგებს ლინჩის წესით ასამართლებენ!“?**

**„დემოკრატიის განვითარება“, „ჩვენი დემოკრატიები“** — კმარა, ბატონებო! **მაშასადამე, „დემოკრატიის გასავითარებლად“, სწორედ აშშ-ის დახმარების შედეგად, ქარტიაზე ხელმოწერიდან ორნახევარი წლის შემდეგ საქართველოს ხელისუფლების სადამსჯელო სპეცოპერაცია მივიღეთ, რომელმაც 2011 წლის 26 მაისს თბილისში, რუსთაველის გამზირზე, სასტიკად ცემა ათასობით მომიტინგეს (მათ შორის, ჟურნალისტებს!), და ათობით – სასიკვდილოდ?! ხოლო მოსკოვში, სადაც ბოლო თვეებში გამართულ მრავალათასიან მიტინგებზე, დასავლელი „დემოკრატებისა და უფლებათადამცველების“ დიდი სურვილის მიუხედავად, არ დაფიქსირებულა მომიტინგეთა შეურაცხყოფის არცერთი ფაქტი, (აღარაფერი რომ არ ვთქვათ ცემაზე, დაპატიმრებებსა და მკვლელობებზე!) – თურმე „სისხლიანი დიქტატურა სუფევს ჩეკისტი პუტინის ხელმძღვანელობით“?!**

და მთლად დამცინავად აღიქმება სიტყვები **„ლტოლვილთა ღირსეულ, უსაფრთხო და ნებაყოფლობით დაბრუნებაზე“** (ჩანს, მათი თავდაპირველი ბინადრობის ადგილას). ისმის კითხვა: რის ხარჯზე, როდის და როგორ დაბრუნდებიან ისინი (დევნილები), როცა დღესაც კომუნალურ ჯურღმულებში შიმშილით სული ხდებათ, ხოლო პერიოდულად, ტექნიკური თუ კომერციული საჭიროებებისდა მიხედვით, ხელისუფლება იქიდან აძევებს კიდეც (ხშირად — სპეცრაზმის ხელკეტებით!)?!

**საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმი“**
saqinform.ge

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.ge

**მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა**
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail:info@geworld.net